ფალვა

I

თბილისი
2016

ფალავების საგვარეულო კავშირი

ყარამან ფალავა

ფ ა ლ ვ ა

წიგნი I

თბილისი – 2016

UDC (უაკ) 94(479.22)+821.353.1-82+821.353.1-94
ფ-329

კრებული საქართველოს ისტორიით დაინტერესებული პირთათვის არის განკუთვნილი. მასში თავმოყრილია მასალები ფალავების საგვარეულოს ისტორიის შესახებ, ნაჩვენებია, რომ ისინი ბალეაშ-ორბელიანების შთამომავლები არიან. სქემატურადაა წარმოდგენილი ფალავების წვლილი ჩვენი ქვეყნის კულტურასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ISBN 978-9941-0-8753-0 (ყველა წიგნის)
ISBN 978-9941-0-8754-7 (პირველი წიგნის)
© ყარამან ირაკლის ძე ფალავა, რედაქტორი,
მასალების შემკრები - 2016



წინასიტყვაობა

გვარი არ არის, რომლის წარმომადგენლებს გარკვეული წვლილი არ შეეტანოთ ჩვენი ქვეყნის წინსვლა-განვითარებაში. არც ფაღავები არიან გამონაკლისი. ცნობები მათ შესახებ გაფანტულია სხვადასხვა წიგნსა თუ გაზეთში, საარქივო მასალებში. დიდი ხანია მქონდა სურვილი შემეკრიბა ისინი და დაინტერესებული პირებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გამეხადა, მით უფრო რომ ეს წიგნებიცა და გაზეთებიც პრაქტიკულად ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა. გადავწყვიტე შემექმნა ფაღავების ენციკლოპედიის მსგავსი რამ. წინამდებარე ნაშრომი ამ მიმართულებით ძალისხმევის პირველი ცდაა.

კრებულს წავუმძღვარე ჩემი ბროშურა "ფაღავები", საგვარეულოს შესახებ არსებული ცნობების კვინტესენცია. მასში სქემატურადაა ნაჩვენები გვარიშვილების დამსახურება მეცნიერების, ხელოვნების, სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე.

წარმოდგენილია მონოგრაფიული ხასიათის ნაშრომები ფაღავების სათავადოს შესახებ (ო. სოხელია; შ. ჯღარკავა). ცნობები სამეგრელოს (ოდიშის) სამთავროსი და აჭარის თავადი და აზნაური ფაღავების შესახებ. მოყვანილია დოკუმენტის ასლი ეთოლისთაველ ფაღავებზე.

შემდეგი განაკვეთია ნაწარმოებები (მონოგრაფია, ნარკვევი, სტატიები) საჩინო ფალავების შესახებ: ორატორ და საზოგადო მოღვაწეზე დარია ფალავაზე (ს. სხირტლაძე), საზოგადო და თეატრის მოღვაწეზე აკაკი ფალავაზე (რ. ქორქია), მწერალზე იუსუფ ფალავაზე (ი. ბიბინეიშვილი), პედიატრზე ირაკლი ფალავაზე (თ. ონიანი, ნ. მანჯავიძე, ყ. ფალავა), აღმოსავლეთმცოდნეზე, ირანისტ კონსტანტინე ფალავაზე (ლ. ჟორჟოლიანი; ყ. ფალავა).

ამას მოჰყვება ამონარიდები და მინიატურები გვარის წარმომადგენლებზე (ნ. ლორთქიფანიძის, შ. დადიანის, ს. ერისთავისა და ი. რურუას ნაწარმოებებიდან).

ეისარგებლე რედაქტორის და მასალების შემკრების უფლებით და კრებულში შეეიტანე სამი ახალგაზრდა ფალავას, სამი ირაკლის – ჩემი ძმისშვილის (გაიოზის ძის), ნათლულის (ნოდარის ძის) და ვაჟის (ყარამანის ძის) ლიტერატურული შემოქმედების ნიმუშები.

ვფიქრობ, კრებულს დაამშვენებს საოჯახო ალბომებში მოძიებული ფოტოები.

დასასრულს სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია მადლობა მოვუხადო ყველას, ვინც დახმარება გამიწია ამ კრებულის მომზადებისას, განსაკუთრებით კი - ჩემს მეგობარს, მამაჩემის უმრწემეს ბიძაშვილს პროფესორ თეიმურაზ ფალავას თანადგომისათვის, იდეის მხარდაჭერისა და საგულისხმო რჩევებისთვის.

წიგნს ვუძღვნი საქართველოს ახალგაზრდობას, ახსოვდეთ ეისი გორისანი არიან, გამარჯვებებისა და წარმატებებისთვის მიელწიოთ ოჯახის, გვარისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ და საამაყოდ.



პროფესორი
ფალავების საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე

თბილისს, 2016 წლის პირველ მაისს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

ფალავები[1]

„გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ...“
ალექსანდრე ყაზბეგი

* * *

იოანე ბატონიშვილის „საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარების შემოკლებით აღწერის“ თანასმად: „ფალავა, ფალრაველი ანუ ფალავაშვილი იყო ორბელიანთ-გვარი, რომელიც მეფემან გარდაასახლა ოდიშში და იწოდნენ ფალავაშვილებად, წელსა 1271“ [ი. ბაგრატიონი // ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფ. S, №3729, 116 V].

ფალავების წინაპარი ორბელიანები წარმოდგენილია ვახუშტის „აკუარნი და ძუელთანი“-ს სიაში [ქართლის ცხოვრება (ქც). ტ. IV. თბ., 1973. გვ. 36]. ქართლის ცხოვრებაში ამ საგვარეულოს ორბელებად მოიხსენებენ (XIII საუკუნის სომეხი საეკლესიო მოღვაწის სტეფანოზ სიუნიელის, მ. ბროსეს, თ. ჟორდანიას, ე. თაყაიშვილის თხზულებებში ხმარებულია გვარსახელი ორბელიანი). პირველ ორბელად (გვარი ორბელი-ორბელიანი ორბეთის ციხის მფლობელობასთანაა დაკავშირებული) მიჩნეულია ივანე ლიპარიტის ძე [შ. მეხია. საშინაო პოლიტიკური ეფთარება და საბოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში. თბ., 1979, გვ. 12-24], დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, 1110 წელს სამშვილდის ციხის აღების ერთ-ერთი მოთავეთაგანი [ქც. I. თბ., 1955. გვ. 331], შემდგომში აფსარეთა და ქართველთა ხამეფოს პირველი ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი.

ისტორიული წყაროებისა და მკვლევართა შეხედულებების ურთიერთშეჯერება საფუძველს იძლევა გაეიგივოთ ორბელები ასევე ძველ გვართან ბალეაშებთან – „ბალღუში, რომელი იყო ლიპარიტის ძე“ [გვარის სტრუქტურის მიხედვით ბალეაში, ბალღუაში ლაზურ-ჭანური წარმოშობის უნდა იყოს]. მოღწეული

[1] ყარამან ფალავას წიგნის “ფალავები”, თბილისი-ბათუმი, 2014 – რეპრინტი.

მასალების თანახმად გვარის ყველაზე ადრინდელ წარმომადგენლად ლიპარიტია ცნობილი, რომელიც IX საუკუნის დამლევს არგვეთიდან თრიალეთს გადმოვიდა, გუარამ მამფალის ბაგრატიონის კუთვნილი ქვეყანა დაიპყრო, დავით I კურაპალატი (876-881) იუფლა, როგორც ჩანს, მხოლოდ ნომინალურად, და კლდეკარის საერისთაოო შექმნა. საგულისხმოა, რომ ფალავასა და ორბელიანს შორის რაიმე ფონეტიკური მსგავსება არ არსებობს. ამავე დროს, ფალავას სამეგრელო'ში უპირატესად ხმარებულ ფორმებს ფალვა – ფალუას და ლაზურ ში ნაწილაკმოცილებულ ბალეა-'ში – ბალუა-'ში-ს ერთმანეთს თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ეს არსებითად ერთი და იგივე გვარია. უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთ'ში გადასვლისას საგვარეულო ციხისა და მამულის – ორბეთის დაკარგვის შემდეგ ორბელებმა ციხის (თუ ქვეყნის) მფლობელობასთან დაკავ'შირებულ გვარზე უარი თქვეს, ძველი გვარი ბალვაში აღიდგინეს, ლაზური 'ში ნაწ'ილაკმოცილებული ბალვა – ფალვა გაითავისეს და დღევანდლამდე მოიტანეს.

* * *

განხაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბალვა'შ [ლიპარიტისძეებადაც მოიხსენებიან]-კახაბერიძე (ესენიც ბალვა'შების გამონაყოფია)-ორბელთა უდიდესი ღვაწლი ერისა და ქვეყნის წინაშე. IX-XIII საუკუნეებ'ში მათ ეკავათ უმაღლესი თანამდებობები – იყვნენ ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები, სარდლები, ამილახვრები, ამირსპასალარები და მანდატურთუხუცესები, ეკავათ ათაბაგის თანამდებობა, იყვნენ მეფეთა მაგვირგვინებელნი და წელზე ხმლის 'შემომრტყმელნი. არა ერთი მათგანი დაიღუპა ბრძოლის ველზე სამ'შობლოს დასაცავად, იყვნენ ქტიტორები და აღმ'შენებელნი ისეთი საქვეყნოდ ცნობილი ტაძრებისა, როგორიცაა კაცხისა და ნიკორწმინდის, მანგლისისა და ბეთანიის, ატენისა და წმინდა ბარალამის სახელობისა (სავარაუდოდ ლიხნის), ქართლისა და ქვემო ქართლის მთელი რიგი მონასტრებისა და ეკლესიების. იყვნენ მეცენატები, ეწ'ეოდნენ ლიტერატურულ მოღვაწ'ეობას

(ლიპარიტ ბალვაში, რატი ორბელი), გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ღვთისმოსაობით. ბალვაშნი სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას თბილისის განთავისუფლებისთვის, ფაქტიურად მიაღწიეს კიდეც საწადელს და რომ არა ციდამტკავლური შური და მეტოქეობა, თბილისი თითქმის ერთი საუკუნით ადრე დაუბრუნდებოდა დედა სამშობლოს. საგვარეულოს უდიდესი დამსახურებაა, რომ მათ მიერ შექმნილი კლდეკარის საერისთავო ფაქტიურად წინ აღუდგა ლორე-ტაშირის სამეფოს აგრესიას და შეუშალა მას ხელი საქართველოს დანარჩენი ტერიტორიის ხარჯზე გაფართოებულიყო.

მაშინაც ვი, როდესაც ერეოდნენ ბაგრატიონთა შიდა ქიშპში ან ებრძოდნენ, მათი აზრით, არადირსეულ მეფეს, პრეტენზიას ტახტზე არასოდეს აცხადებდნენ. ასე მაგალითად, ლიპარიტ IV, ახლო აღმოსავლეთში უდიდეს სარდლად ცნობილი, მეფე ბაგრატ IV-ის ბიზანტიაში განდევნის შემდეგ, მეფედ მისი შვილი – გიორგი II აკურთხებინა, თვითონ კი მხოლოდ მეურვის როლით შემოიფარგლა.

ლიპარიტ V, შემდგომში დავით აღმაშენებლის მოწინააღმდეგედ რომ იქნა მინნეული, ჯერ კიდევ დავითის ყრმობაში უწინამძღოლა ქართველობას სამხრეთ საქართველოში შემოჭრილი ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში და დაამარცხა მტერი. ლიპარიტის სიკვდილის შემდეგ მეფემ მის შვილს რატის გადაულოცა კლდეკარის საერისთავო. უფრო მეტიც, კლდეკარის საერისთავოს გაუქმების შემდეგ დიდმა მეფემ მხარში ამოიყენა სწორედ ამ საგვარეულოს წარმომადგენელი (ლიპარიტის შვილი ან უახლოესი ნათესავი) იანე ორბელი [ბალვაში], რომელმაც თავდაპირველად სამშვილდის ციხის აღებით ისახელა თავი. შემდეგ იგი და მისი შთამომავლობა, ვიდრემდე ისინი გიორგი III-ის წინააღმდეგ არ გამოვიდნენ უფლისწულ დემეტრეს (დემნას) – ტახტის კანონიერი მემკვიდრის უფლებების დასაცავად, საქართველოს მანდატურთუხუცესისა და ამირსპასალარის სახელოს ფლობდნენ, შესაბამისად, იმდროინდელი საქართველოს ყველა მიღწევის მონაწილენი და მოზიარენი იყვნენ.

კახაბერ კახაბერიძე-ბაღვაში ქართველ მამულიშვილთა მონღოლთა წინააღმდეგ მიმართული ვოხტასთაგის ცნობილი შეთქმულების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახლდათ. მისი ასული გვანცა კი ულუ-დაგითის მეუღლე და დემეტრე თავდადებულის დედა, ფაქტიურად ყველა მის შემდგომ ბაგრატიონთა დიდი დედაა.

ტარსაიჭ ორბელი, ათაბაგი, დემეტრე თავდადებულის აღმზრდელი იყო.

სწორედ დავით აღმაშენებლის დროიდან, როდესაც საქართველოს თავზე დაფრიალებდა თეთრი დროშა მასზე გამოსახული ერთი დიდი და ოთხი მცირე წითელი ჯვრით, სწორედ ისეთი, თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო დროშად რომ დამტკიცდა და რომლითაც ჩვენ ესოდენ ვამაყობთ, ორბელ-ბაღვაშები ფლობდნენ დროშას, მეფისაგან ბოძებულს, ნაწყალობებს, საოცრად მსგავსს მეფისეულისას, პრაქტიკულად იგივეს, ოღონდ ფერებში საპირისპიროს, შვინდის ფერისას თეთრი ჯვრებით. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისი, რომ დავით აღმაშენებლისა და მისი მემკვიდრეების დროს ბაღვაშ-ორბელთა საგვარეულო ბაგრატიონთა შემდეგ ქვეყანაში პირველი იყო.

სხვადასხვა დროს ბაღვაშ-ორბელიანები ფლობდნენ არგვეთს, სალიპარტიანოს (სამეგრელოს ერთ-ერთი ისტორიული ნაწილია, დაახლოებით თანამედროვე მარტვილის მუნიციპალიტეტს შეესაბამება. მკვლევართა უმეტესობა ტოპონიმს ამ მსარის უწინდელი ბატონების ლიპარიტიძეების გვარით ხსნის), რაჭასა და ლეჩხუმს, ატენს, თრიალეთს, ლორესა და სამშვილდეს. ანისსაც განაგებდნენ, ბოძებული ჰქონდათ მიწაწყალი სივნიეთში, საქართველოს სამეფოში შემავალ სომხეთის ერთ-ერთ პროვინციაში.

* * *

გიორგი III-ის (1156-1184) ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესის ივანე სუმბატის ძის ორბელის სიძე იყო უფლისწული დემეტრე-დემნა – გიორგი III-ის უფროსი ძმის დავ-

ით V-ის (1155) შვილი, დემეტრე I-ის (1125-1156) შეილიშვილი, დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) ბადიში და უკანასკნელი პირდაპირი მამაკაცი შთამომავალი. 1177 წელს ივანე ორბელმა აღმოსავლეთ საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად დემნას გამეფების მიზნით აჯანყება მოაწყო. იგი მარცხით დამთავრდა. სტეფანოს სივნიელის ცნობით, გიორგი III-მ დაარღვია აშბოხებულ ორბელიანებთან დადებული პირობა და საგვარეულო დედა-წულიანად ამოხოცა. მეფის რისხვას მხოლოდ ივანეს ძმა ქართლის ერისთავი ლიპარიტი თავისი ორი ვაჟითურთ ივანეთი და ელიგუმით გადაურჩა. ისინი მაშველი ჯარის მოსაყვანად იყვნენ წასული. ლიპარიტი და ელიგუმი უცხოეთში მოკვდნენ. ლიპარიტის შვილიშვილი ლიპარიტ ელიგუმის ძე სამშობლოში მხოლოდ ლაშა-გიორგის დაბადების შემდეგ დააბრუნეს, მამული ხივნიეთში მისცეს. მისი სახლი თანდათა- 8 ნობით კვლავ გაძლიერდა, მხარის მფლობელი გახდა. ლიპარიტის ძემ ტარსაიჭმა, დემეტრე II თავდადებულის (1270-1289) და მისი ვაჟების გამზრდელმა, საქართველოს უმაღლეს მოხელეობას – ათაბაგობას მიაღწია. ივანე ლიპარიტის ძეს, ასევე თამარის მეფობის დროს, მაგრამ შედარებით ადრე დაბრუნებულს, მისცეს მამულთაგან თვისთა მხოლოდ ორბეთი. 1271 წელს კი. იოანე ბაგრატიონის ცნობით, ორბელიანნი „მეფემან ოდიშში გარდაასახლა“ და მათ ფალავაშვილი-ფალავა ეწოდა. ისიცაა საგულისხმო, რომ ფალავები სამეგრელოში – ბანძაში – სალიპარტიანოს ტერიტორიაზე – შორეულ წინაპრებთან ლიპარიტიძეებთან დაკავშირებულ მხარეს ჩაასახლეს. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფალავები პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანან (ყოველ შემთხვევაში, ხაბუთი მათი მოღვაწეობის შესახებ არ შემორჩა). მხოლოდ XVII საუკუნიდან – მას შემდეგ რაც ჩიქვანებმა დაამსეს და გაწყვიტეს ლიპარიტიძეების დამთრგუნველი დადიანების ძველი დინასტია ბედიან-სადირიძეებისა, გვარის ხელახალი აღზევება იწყება.

* * *

ფაღავები სამეგრელოს უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნოდნენ [ქც. ტ. IV. თბ., 1973, გვ. 36; ყიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. ტ.I. თბ., 1962, გვ. 322-323; ნ. დადიანი ქართველთ ცხოვრება. თბ., 1962, გვ. 66; კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი. თბ., 1934; ო. ხოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ სა- 9 ქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბ., 1981, გვ. 187- 194]. ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ძველი დოკუმენტური წყარო, სადაც მოყვანილია ცნობა ოდიშის თავად (ასმანა-ასპანა) ფაღავას შესახებ – XVII საუკუნის 70-იანი წლებისაა. ამავე საუკუნეს მიაკუთვნებენ მარტეილის ხელნაწერების შატბერდის კრებულის ერთ-ერთ მინაწერს, რომელშიც ფაღავას ასული როდამია ნახსენები.

ფაღავების სათავადო ისტორიულ სალიპარტიანოსა და საჭილაოს შორის მდებარეობდა, შესაძლებელია სალიპარტიანოს სამხრეთ ნაწილს წარმოადგენდა. ეს ტერიტორია ამჟამად მარტვილის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის. რეზიდენცია – „ფაღაოს სასახლე“ და კარის ეკლესია ბანძაში ჰქონდათ, აქვე იყო „ციხე კეთილნაშენი“. ეკუთვნოდათ აგრეთვე, თარგამულის ციხე-სიმაგრე. მათივე იყო შაურკარის და ეედიდკარის (ბანძის უბნებია) ეკლესიებიც. ამ უკანასკნელთან საგვარეულო სასაფლაო იყო. ტოპონიმიკურ მასალებზე დაყრდნობით ეარაუდობენ, რომ სოფელ ნახუნაოშიც (ბანძის მახლობლად) „ფაღავების სასახლე და ციხე-სიმაგრე ყოფილა“ [გ. ელიავა. აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია. თბ., 1977, გვ. 122].

ლიხთ-იმერეთის 1737 წლის რუქაზე ნაჩვენები ხუთი სამეფო და ფეოდალური სასახლედან – გეგუთში, ქუთაისში, ბანძაში, სკანდასა და წესში – ერთი ფაღავებს ეკუთვნოდა [ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I. თბ., 1959, გვ. 177-198].

ფაღავებს მამულები სამეგრელოს ფარგლებს გარეთაც ჰქონდათ (ფარცხანაყანებს, ჭაგანში, ბაღდადში, ქორენიშში).

ფაღავები იყვნენ სამეგრელოს სამთავროს მდივანბეგები, ალექსანდრე ფაღავამ თავი ისახელა ომერ-ფაშას შემოტევისას

სამეგრელოში. რუსეთის იმპერიამ ოდიშის ხამთავრო რომ შემოიერთა, გარკვეული დროის განმავლობაში ეოფილ სამთავროს დროებითი ხუთკაციანი კომისია განაგებდა, თავადებს გიგო ფალავა წარმოადგენდა.

ხამეგრელოს სამთავროს ანექსიის შემდეგ რუსეთის მთავრობამ ფალავებს მაღალი წოდება დაუმტკიცა და, შესაბამისად, უფლებრივად იმპერიის თავადაზნაურობას გაუთანასწორა.

* * *

ფალავების ძლიერი განშტოებაა აჭარაში. მათი ძირითადი სამფლობელო ბათუმის შემოგარენი იყო, ცენტრით ორთაბათუმში, ყოროლიხთავში. ჰქონდათ საკუთარი ციხე, საგვარეულო სასაფლაო. თურქების ბატონობის დროსაც ფალავების გვარს ატარებდნენ, თუმცა ამავე დროს შერქმეული გვარსახელებიც იხმარებოდა (ინან-ოღლი, ეფენდ-ოღლი, ხაჯიბაირახტარ-ოღლი, ჭეჭელ-ოღლი, მოლ-ოღლი მოლიშვილი, აირანჯ-ოღლი, არხი-ოღლი). ყოროლისწყლის ხეობის მკვიდრნი ფაევაძეებიც ასევე ფალავებად არიან მიჩნეული (ფაევაძე-ფალვა-ფალავა ფონეტიკური ცვლილების შედეგია). აჭარელი ფალავები ბეგებად და აღებად მოიხსენიებიან. ოჯახური გადმოცემის თანახმად, თურქეთში ფაშას თანამდებობაც ჰქონიათ. აჭარის რუსეთის II იმპერიაში ინკორპორირების შემდეგ ადგილობრივმა არისტოკრატიამ, მათ შორის ფალავებმაც მთავრობას მიმართეს, რათა ისინი თავადებად და აზნაურებად ეცნოთ. მთხოვნელების ერთ-ერთი არგუმენტი ისიც იყო, რომ საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები მათი ნათესავები-მოგვარეები რუსეთის ხელისუფლებამ უფლებრივად რუსეთის თავადაზნაურობას გაუთანასწორა. პროცესი ძალზე გაჭიანურდა, იმპერიის გაუქმებამდე მოესწრო მხოლოდ ის, რომ თავადობისა და აზნაურობის მაძიებლების, მათ შორის ფალავების საბუთები, შესაბამისი კომისიის მიერ განხილვის შედეგად მიჩნეული იქნა სანდოდ და პატივსაცემად [რ. ხურმანიძე. თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში. ბათუმი, 2007]. ყოროლისთავის „ფალავების“ სასაფლაოზე დაცული გვარის

წარმომადგენლების ყველაზე ძველი წარწერიანი ქვები XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისიხაა.

* * *

ფალავების გერბს ვერ მივაგენით. ისტორიულ რეალიებზე დაყრდნობით ამ სტრიქონების ავტორისა და ბატონ დავით გულორდავას მიერ შეიქმნა საგვარეულო გერბი, 2004 წელს იგი დამტკიცდა რომანოვების საიმპერატორო სახლის მეთაურის მისი უდიდებულესობის მარიას მიერ. გერბზე ასასული რაშები გვარის მხედრულ ტრადიციებზე მეტყველებს; ოქროს ვერძი გვარის კოლხურ წარმოშობაზე 12 მიუთითებს; კვერთხი და ხმალი შორეული წინაპრების ამირსპასალარობასა და მანდატურთუსეცესობაზე მიუთითებს; ფესვებიანად ამოღებული ხე გვარის ტრადიციას გვაგონებს – „ჭვენიერობას“, აღდგომის კვირაძალს ბანძაში ახალგაზრდა ფალავებს შიშველი ხელებით უნდა ამოეთხარათ ხე და ნაკუწ-ნაკუწ დაეტეხათ; ლომი იმ ცნობის განსახიერებაა, რომ ორბელებს ხელში ლომთავოვანი კვერთხი (რაც შეიძლება ჰერალდიკური მნიშვნელობისა იყო) ეკავათ. ხოლო დროშა ლომის თათში დავით აღმაშენებლის მიერ ბოძებული დროშის განსახიერებაა (წითელ ფონზე ერთი დიდი და კუთხეებში პატარა თეთრი ჯვრები); ოჯახური ტრადიციის მიხედვით, ჭადრის ხე გარკვეულად ტოტემის ფუნქციებს ანსახიერებდა.

* * *

XIX-XX საუკუნეებში საზოგადოებრივ ასპარეზზე მრავალმა ფალავამ გამოიჩინა თავი. მათ შორის პირველ რიგში შეიძლება მოვიხსენიოთ შემდეგნი –

აკაკი ფალავა (1887-1962) – საზოგადო მოღვაწე, 1918 წელს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოში უმაღლესი თეატრალური განათლების მესაძირკველე, პროფესორი, თეატრმცოდნე;

დავით ფალავა (1882-1962) – „ციცინათელას“ მუსიკის ავტორი;

დარია ფალავა (1869-1899) – საზოგადო მოღვაწე, ორატორი, მ. ზიზის ეეფეხისტეაოსნის ილუსტრაციებში თამარ მეფის პროტოტიპი;

გიორგი (გოგიტა) ფალავა (?-1924), საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის დეკლარაციის ხელისმომწერი, 1924 წლის ანტიბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი;

ეთერ ფალავა (დ. 1932) – ფრანგული ბალეტის ვარსკვლავი;

ვერა ფალავა (1907-1988) – ცნობილი მხატვარი, მოღვაწეობდა საფრანგეთში;

ირაკლი ფალავა (1918-1988) – პროფესორი, პედიატრი;

იუსუფ ფალავა (1912-1982) – მწერალი, ქართველ მწერლებში პირველად მისი თხზულებები ითარგმნა თურქულად;

იღუმენია დარია (ხიტუს ასული) ფალავა (1805-1853) – სამთავროს დედათა მონასტრის დამფუძნებელი;

კონსტანტინე ფალავა (1919-1994) – პროფესორი, ალმოსაველეთმცოდნე;

ლევან ფალავა (1907-1996) – საფრანგეთში ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თავკაცი, ჟურნალ „ჩვენი დროშა“-ს რედაქტორი;

მელქისიდეკ ფალავა (1854-1929) – ქუთაისის საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკის გამგეობის თავმჯდომარე, იურისტი, ნაფიცი მსაჯული, საზოგადო მოღვაწე და მეცენატი;

სერაპიონ ფალავა (1908-1976) – პროფესორი, მეტეოროლოგ-სინოპტიკოსი, მოღვაწეობდა რუსეთში.

* * *

საქართველოში ამჟამად (1995 წლის 1.II-ის მდგომარეობით) 1300-ზე მეტი ფალავაა [ა. სილაგაძე, ა. თოთაძე. გვარსახელები საქართველოში. თბ. 1997]. ამათგან დაახლოებით 800 აჭარაში სახლობს, დანარჩენები თბილისში, სამეგრელოში, აფხაზეთში, იმერეთში; ითთო-ოროლა ოჯახი საქართველოს ყველა რეგიონშია. არასრული მონაცემებით ფალავები არიან ასევე

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროპის ქვეყნებში, თურქეთში, რუსეთსა და უკრაინაში.

* * *

მუხრან მაჭავარიანის კალამს ერთი მშვენიერი ლექსი ეკუთვნის „წარსული კარგი! ძალიან დიდიც! აუგი ვინ თქვა! მაგრამ ერთს ვიტყვი, ნამდვილად ვიტყვი! გაწი გამოწი, ის რაც ხარ, დღეს ხარ!“. ნამდვილად ასეა. ვიმედოვნებ, რომ ფაღაევების შემდგომი თაობები ტრადიციების ერთგულნი დარჩებიან, კულაევაც იღწვიან ოჯახის, გვარის, ერისა და სამშობლოს სასახელოდ.

ოლღა სოსელია

ფალავათა სათავადო

[წიგნიდან "ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები) II", თბილისი, 1981]

ფალავათა საგვარეულოს შესახებ საქართველოს თავადთა და აზნაურთა გვარების „ალწერაში" ვკითხულობთ: „ფალავა... იყო ორბელიანთ გვარი, რ(ომე)ლიც მეფემან გარდაასახლა ოდიშში და იწოდნენ ფალავაშვილებად წელსა 1271„-სა[1].

თვით ფალავების გვარში დღემდე დაცული გადმოცემით კი, ისინი, თითქოს, უძველეს დროს ადილედან მოხულან ოდიშში და აქ ბანძაში დამკვიდრებულან[2].

ამ ორი ცნობიდან რომელია სწორი, ძნელი სათქმელია. ორივე მეტად საეჭვოა. შეიძლება ფალავები თავიდანვე ოდიშში მკვიდრობდნენ და ეს ცნობები ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებული იყოს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფალავა (მეგრული ფორმით ფალუა‖ფალეა‖ფალა) რამდენადმე მიაგავს ძველ ფეოდალურ გვარსახელ „ბალუაშს"[3]. ხომ არ არის ეს ორი გვარსახელი ერთი და იმავე წარმოშობის? ან ხომ არ მომდინარეობენ ფალავები ბალუაშთა რომელიმე შტოდან?

---

[1] იხ. ხელნაწ. ინსტ., ფ. S, № 3729, გვ. 116 v.

[2] გადმოცემა ჩავიწერეთ 1959 წლის აგვისტოს სოფ. ბანძაში ამავე სოფლის მკვიდრი 91 წლის კოკი გუჯას ძისა და იქვე მცხოვრები 61 წლის თეიმურაზ გრიგოლის ძე ფალავების თხრობის მიხედვით. შდრ. კ. ბოროზდინი. სამეგრელო და სვანეთი, თარგმნილი თ. სახოკიას მიერ, 1934, გვ. 249

[3] ცნობილია ლიპარიტ ბალუაში, რომელიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან იყო და რომელმაც IX საუკუნის მეორე ნახევარში დაიპყრო თრიალეთი, ააგო ციხე კლდეკარსა და „სამირკელი ნაუფარა კლდეკარის ერისთავთა ერისთაველების სახლს" (იხ. ს. ჯანაშია, ბარათაშვილთა გენეალოგიისათვის. შრომები, II. თბილისი, 1952, გვ. 477). ცნობილი არიან აგრეთვე ამ საგვარეულოს გვიანდელი წარმომადგენლებიც (იხ. იქვე; ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება. I. თბილისი, 1955, გვ. 325-326; ჟამთააღმწერელი. ქართლის ცხოვრება. II. თბილისი, 1959, გვ. 275)

ვახუშტი ბატონიშვილი ფალავას ერთიანი საქართველოს პოლიტიკური დაშლის შემდეგდროინდელი ოდიშის ერთ-ერთ „უწარჩინებულეს" გვარად ასახელებს[4].

დოკუმენტურ წყაროებში ფალავათა საგვარეულოს წარმომადგენელი XVII ს. მეორე ნახევარზე ადრე არ ჩანს.

ფალავების გვარის წამოწევა ოდიშში ახალი სამთავრო დინასტიის, ჩიქვანების გაბატონებასთან უნდა იყოს დაკავშირებული. იმ ბრძოლაში, რომელსაც ჩიქვან-დადიანთა სახლი ოდიშის ძირძველ წარჩინებულ საგვარეულოებთან — ჭილაძე-გოშაძე-ქორთოძე-ჯაიანებთან აწარმოებდა, ფალავები ჩიქვან-დადიანების მხარეზე არიან საგულისხმებელი: ჭილაძეების მიწა-წყალი ფალავების სამფლობელოს ემიჯნებოდა[5]. ამ ძლიერი თავადების მეზობლობა ფალავებისათვის სახიფათო იყო. ამიტომ, უნდა ვიფიქროთ, ჭილაძეთა დამარცხებით ფალავები დაინტერესებული იყვნენ.

ფალავათა საგვარეულოს ისტორიულად ცნობილი ყველაზე ადრინდელი წარმომადგენელი ასპანა ფალავა არის. იგი XVII ს. 70-იან წლებში იხსენიება კათალიკოს დავით ნემსაძის ერთ შეწირულების წიგნში. ასპანას გულერის კარს საკათალიკოსო ემები მიუტანია, გაუკეთია და „დაუკარგავს". კათალიკოსს ამის გამო მთავართან უჩივლია. ლევან III დადიანს ფალავას „გარდასახადად" კათალიკოსისათვის ხორაგს ინალუხუ ლეფონავა მიუცია[6].

ეს ასპანა არის უთუოდ გრიგოლ კათალიკოსის 1712 წ. „გარიგების" წიგნში მოხსენიებული „ასმანა ფალავა". მაგრამ ამ დროს ის ცოცხალი არ უნდა იყოს[7].

ასპანაზე ცოტა გვიან გვევლინება მისი თანამოგვარე ხუხუ I ფალავა, რომელიც შეიძლება ასპანას ახლო ნათესავი იყო[8].

---

[4] იხ. მისი აღწერა . . . გვ. 36

[5] ე. თავაქიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. III. გვ. 3; ო. სოსელია. ნარკვევები . . . I. გვ. 274-275

[6] საქ. სიძვ. I. გვ. 29. №6

[7] დახ. საქ. ხალკლ. სიბ. I. გვ. 104. შდრ. საქ. სიძვ. I. გვ. 29. №6

[8] იხ. საქ. სიძვ. II. გვ. 106, №81.

ამ ხუხუს უმცროსი თანამედროვე ჩანს მისი სახლიკაცი ვახტანგი, რომელსაც მოწმედ ვხედავთ 1696-1742 წწ. შედგენილ ერთ უთარიღო საბუთში[9].

ხუხუ I იმ დროს მოღვაწეობს, როცა ოდიშის სამთავროს ფაქტიურად გიორგი ლიპარტიანი განაგებს (1681-1714 წწ.). უკანასკნელთან ხუხუ ნათესაურადაა დაკავშირებული. ლიპარტიანი მას თავის „ერთგულს"... ხიძეს ეძახის[10]. ამ ერთგულებისა და ნათესაობის გამო იყო, რომ ლიპარტიანმა ხუხუ ფაღავას უბოძა შხეფს „პარტახი სამოსახლო, ღელესა და ღელეხ შუა . . . მისის მიწა-მამულითა" და თავის „მეცხოვნის სათხოვარისაგანაც" გაათავისუფლა იგი[11].

ხუხუ არის ამ დროს ფაღავათა საგვარეულოს თავკაცი. ზემოხსენებულ პარტახს გარდა, თავისი ყმა-მამულის დიდი ნაწილი მას გიორგი ლიპარტიანისაგან უნდა ქქონდეს მიღებული. ფაღავათა სათავადოს სამოყალიბებაც სწორედ მის დროს, XVII საუკუნის მიწურულს თუ – XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზეა საკარაუდებელი.

ფაღავების სამფლობელოში, მთლიანად თუ ნაწილობრივ, შემდეგი სოფლები შედიოდა: 1. ბანძა, 2. აბედათი, 3. ნახუნე‖ნახუნათ, 4. თარგამუ‖თარგამული (ნაწილობრივ)[12], 5. ჯოლევი (ნაწილობრივ)[13], 6. მუხურჩა[14].

ეს სოფლები ერთ მთლიან ტერიტორიას ქმნიდნენ, რომელსაც აღმოსავლეთით სოფ. ნაგებეროუ-ნაჯახოუ საზღვრავდა, დასავლეთით – ორქა, სამხრეთით – ონოღია და ჩრდილოეთით – სერგიეთი.

---

9 დან. საქ. საეკლ. საბ. I. გვ. 98-99

10 საქ. ხიძე. II. გვ. 106, №81

11 იხ. იქვე.

12 თარგამულის ნაწილი თავად ჩიქვანებს ეკუთვნოდათ. იხ. ი. ხოსელია. ნარკვევები . . . I. გვ. 317. იხ. იქვე, 49 სქოლიოც.

13 ნაწილი თავად ჩიქვანებისა იყო. იხ. იქვე.

14 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, №10975; ფ. H, № 2782, გვ. 29, კოკისა და თეიმურაზ ფაღავების ცნობები.

აღნიშნულ სოფლებს გარდა, ფადავები, მეტ-ნაკლებად, ყმამამულს ფლობდნენ აგრეთვე ლეხაინდრის, ნაგვაზეს, სეფიეთს, ეკს, მიხაშს, ეშაფათს, სეჯუნახა და ინოდიაში[15].

გვიანდელი, XIX საუკუნის მეორე ნახევრის, ცნობით, ფადავების ყმათა საერთო რაოდენობა 800 კომლს უდრიდა*. მათი ყმა-გლეხები იყვნენ: ფოჩხუები, ესვანჯიები, მაისაიები, რუსია, კონტუაძეები, პატარაიები, კეკელიები, ჯიქიები, კუპრავა, დარჯანიები, კაკულიები, ცანავები, სიგუები, თოფურიები, პირტახიები, ჯეჯელავები, კაჭარავები, კოკაიები, ქაჯაიები[16], დანელიები, ხართანიები, ბახია, ურიდიები, ტაბალუები, კორძახია, ფარცვანიები, ჩაბრავები, კუცეიები, შეროზია და სხვ.[17]

ფადავების აზნაურები იყვნენ გაბუნიები[18].

ფადავების ყმები სამთავრო გადასახადებისაგან ნაწილობრივ თავისუფალი იყვნენ. 1838 წ. ცნობით, „საფადაოდან" დადიანის სასარგებლოდ მხოლოდ ხაური მოიკრიბა[19], საუდიერო მათ საყმოს უთუოდ არ მართებდა.

ფადავათა სათავადოს სამოხელეო აპარატის შესახებ ძალიან ცოტა ვიცით. გვხვდება მხოლოდ მათი „ხელოსანი სიმონია პატარაია" და ისიც გვიან, 1855 წ.[20]. მაგრამ ფადავებს სხვა მოხელეებიც (სახლთუხუცესი, მოურავი და სხვ.) უნდა ჰყოლოდათ, რომელთაც იყენებდნენ სათავადოს მართვის საქმეში.

---

[15] ქართული სამართლის ძეგლები, ტ.VI, გვ. 368-369, №189; კ. ბოროზდინი. დასახ. ნაშრ. გვ. 250; კოკისა და თეიმურაზ ფადავების ცნობები.

* იხ. კ. ბოროზდინი. დასახ. ნაშრ. გვ. 248.

[16] ინოდიელი ქაჯაიები გლეხები იყვნენ.

[17] იხ. ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, №№ 9004, 10975; ქუთ. მუზ. საბ., №№ 497, 1562; დას. ხაქ. საეკლ. საბ. II, გვ. 34; ითნა მეუნარგია. სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დაეთი დადიანი. მასალები და დოკუმენტები სოლ. ცაიშვილის რედაქციით, თბილისი, 1939, გვ. 119. კოკისა და თეიმურაზ ფადავების ცნობები.

[18] კოკისა და თეიმურაზ ფადავების ცნობები.

[19] ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №6723.

[20] ხელნაწ. ინსტ., ფ. Hd, №10975

ფალავების რეზინდენცია ბანძაში იყო. აქ იყო ე. წ. „ფალაოს სასახლე" და კარის ეკლესია[21]. მათვე ეკუთვნოდათ თარგამულის ციხე-სიმაგრე[22].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ციხე იმერთა მეფე სოლომონ I-მა „აიღო დიდის ნაშოერით" 1776 წ. 5 თებერვალს[23]. ამ დროს მეფეს და ოდიშის მთავარს შორის კონფლიქტი იყო. მეფემ დალაშქრა ოდიში კაცია დადიანის დამორჩილების მიზნით და, თარგამულის გარდა, აიღო გორდის ციხეც. მაგრამ დადიანი მალე შეურიგდა მეფეს[24] და თარგამულის ციხესაც ისევე ფალავები დაეპატრონენ. ჩანს, ისინი თავიანთ ქონებას აქ ინახავდნენ. ამაზე მეტყველებს ის „დიდი ნაშოვარი", რომელიც ამ ციხის აღებისას სოლომონს ნაუფარდა ხელში.

საგვარეულო სასაფლაო ფალავებს მთავარანგელოზის სახელზე აშენებულ ვედიდ კარის (ბანძის ერთ-ერთი უბნის) ეკლესიაში ჰქონდათ[25].

აღსანიშნავია, რომ ფალავათა საგვარეულოს წევრმა ხუხუ II-ემ XIX ს. დამდეგს ამ ეკლესიას „აუშენა" მთავარანგელოზის ხატი ვერცხლისა მრავალი „ძვირფასის ქვით შემკობილი"[26]. ეს ხუხუ, როგორც ქვემოთ ვნახეთ, ხუხუ I-ის შვილიშვილია.

გიორგი ლიპარტიანის დროიდან დაწყებული ფალავათა გვარის წარმომადგენელი განუწყვეტლივ ჩანს ოდიშის სამთავროს დიდებულ თავადთა შორის. ხუხუ I-ის შემდეგ, თუ ნა-

---

21 იხ. შ. ბურჯანაძე. ლიხთ-იმერეთის 1737 რუკა, როგორც ფეოდალური საქართველოს ისტორიის პირველწყარო. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. I. 1959, გვ. 193; კოკისა და თეიმურაზ ფალავების ცნობები.

ეს სასახლე იყო მიდამოებში, სადაც დღეს კოკისა და თეიმურაზ ფალავების სახლებია. კარის ეკლესიაც – იქვე, სადაც ახლა ადგილობრივი მოსახლეობა „ნაოხვამუს" („ნასაყდარს") ეძახის.

22 ხელნაწ. ინსტ., ფ. H, №2782, გვ. 29.

23 იხ. იქვე.

24 იხ. ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. გვ. 179; შ. ბურჯანაძე. იმერეთის სამეფო 1768-1784 წლებში. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე. III. 1961, გვ. 134.

25 კოკისა და თეიმურაზ ფალავების ცნობები.

26 ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობებიდან სამეგრელოში. ძველი საქართველო. III. გვ. 38.

წილობრივ მის დროსაც, ფალავათა საგვარეულოში გამოირჩეოდნ პეპუნა და ეფთვიმი ფალავები.

პეპუნა ოდიშის გარეთაც ცნობილი პირია. იგი, გიორგი ლიპარტიანთან ერთად, მოწმედ ისსენიება იმერთა მეფე ალექსანდრე IV-ის მიერ ბაკა იაშვილისათვის მიცემულ 1691-1695 წწ. საფიცრის წიგნში[27].

პეპუნა ცაიშელ ეპისკოპოსის მაქსიმე ციხისთავის შვილის (აგიაშვილის) სიძეა[28]. გრიგოლ ლორთქიფანიძის კათალიკოსობაში (1696-1742 წწ.) პეპუნა, თავის თანამეცხედრე გუდიასთან ერთად, იერუსალიმს გამგზავრებულა და თავისი „სამკვიდრო ემები" ბიჭვინთის ღვთისმშობლისათვის შეუწირავს. იერუსალიმში წასულა იმ დროის კვალობაზე იმდენად ღირსშესანიშნავი ფაქტი იყო, რომ გრიგოლ კათალიკოსი ამას საგანგებოდ აღნიშნავს[29].

პაპუნას თანამოგვარე ეფთვიმი ფალავას 1700 წ. ახლო ხანაში „ხოფელ მთავარეპისკოპოსის" კათედრა უჭირავს და დიდად ზრუნავს ხოფის მონასტრის ყმათა გამრავლებისათვის[30].

გიორგი ლიპარტიანის მემკვიდრის ბეჟან I-ის დადიანობაში (1714-1728 წწ.) ვხედავთ შამადავლე ფალავას. შამადავლე ფრიად დამსახურებული პირია. იგი მთავრის დარბაზის წევრთა შორის არის დასახელებული[31].

აღნიშნულ ხანში ფალავათა საგვარეულოს ნათესაური კავშირი აქვს დამყარებული ჩიქვანების ძლიერი ფეოდალური გვარის ერთ შტოსთან. ფალავას ასული როდამი „პატრონი" გიორგი ჩიქვანის თანამეცხედრეა[32].

ოტია და კაცია II დადიანების დროინდელი[33] მოდვაწეა გიორგი ფალავა, რომელიც, ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის

---

[27] ქუთ. მუზ. საბ. №854.
[28] დას. საქ. ხაელ. საბ. I. გვ. 156.
[29] იხ. იქვე.
[30] დას. საქ. ხაელ. საბ. I. გვ. 84.
[31] ქუთ. მუზ. საბ. №1157.
[32] იხ. ჯ. თავაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 30-31.
[33] ოტია დადიანობდა 1728-1757 წწ., კაცია II – 1757-1788 წწ.

გამო, ბესარიონ ერისთავის შვილის კათალიკოსობის პერიოდში (1742-1769 წწ.) ერთ დროს „ხიზნად“ დგას ხობის მონასტერში[34].

1771წ. ვხედავთ ნასხიდა ფალავახა და მის ძეს პეპუს, რომელთაც რალაც დიდი ღვაწლი მიუძღვით იმერთ მეფის სოლომონ I-ის წინაშე: შეიძლება ისინი მეფის მზეერავები იყვნენ ოდიშში და საჭირო ცნობებს აწვდიდნენ მას. მეფემაც „ერთგულად ნამსახურ“ თავად ფალავებს აღნიშნულ წელს ქმამაძული უწყალობა ფარცხანაყანევს[35].

გრიგოლ დადიანის დროს (1788-1804წწ.) სამთავრობო კართან დაახლოებული ჩანს ზაალ ფალავა. იგი ხშირად იხსენიება მთავრის „კარის მდეგნი დიდებულებს“ შორის[36].

ეს ზაალი, სახლთუხუცეს გიორგი სიქვანთან ერთად, მთავრის „მამულის მომკითხველად“ არის მოხსენიებული, აგრეთვე იმერთა მეფე სოლომონ II-ხა და გრიგოლ დადიანს შორის დადებულ 1792წ. 4 მაისის ხელშეკრულებაშიც[37].

ზაალ ფალავა ზემოდასახელებულ ხუხუ I-ის შვილია. ზაალს გარდა, ხუხუს ორი ვაჟი ჰყოლია: მურძაყანი და კოსა. მათგან მურძაყანს ოთხი ვაჟი ჰყავს: ხუხუ II (რომელიც ზემოთ ვახსენეთ და რომელმაც, როგორც ითქვა, XIX ს. დამდეგს ეკედდიდ კარის ეკლესიას (ბანძაში) „აუშენა“ მთავარანგელოზის ვერცხლის ხატი), ხიტუ, ბეჟანი და ვატა[38].

მურძაყანის ძმას ზაალსაც ოთხი შვილი ჰყავს: მანუჩარი, გიგო, ტატი და იმანე. ხოლო კოჩას მხოლოდ ორი ვაჟი – ილარიონი და ლომკაცი[39].

---

[34] ქუთ. მუს. სამ. №1191. აღსანიშნავია, რომ ამ „ხიზნობისას“ გიორგი ფალავასთვის სამი ცხენი მოუპარავს ხობის ეკლესიის „კაცს“, შოშიელა შოსიას მამას. ქურდი გაქცეულა. მისი „შვილი პატარა“ შოშიელა კი დაზარალებული ფალავასათვის „ხელათ ქმნელათ“ მიუცია (იხ. იქვე).

[35] ქუთ. მუს. სამ. №334

[36] ქუთ. მუს. სამ. №№ 759, 1008, 1143.

[37] სსცია. ფ. 226, №1286.

[38] დას. საქ. საეკლ. სამ. II. გვ. 157

[39] იქვე.

ხუხუ I-ის შვილები და შვილიშვილები ყველა ერთად იხსენიება 1807წ. ერთ „საუდაო წიგნში"[40].

XVIII ს. ბოლოს (1800წ.) ჩანს ვახუშტი ფალავა, ხოლო მომდევნო საუკუნის დამდეგს (1808წ.) – მისი სახლიკაცი გოგია[41]. მაგრამ ამ საგვარეულოს რომელ შტოს ეკუთვნიან ისინი, არ ვიცით.

ხუხუ I-ის შვილიშვილებიდან ხხვებზე უფრო ცნობილია ზაალის შვილი მანუჩარი. იგი ლევან V დადიანის კარზე მიღებული პირია. 1827წ. დადიანმა უბოძა მანუჩარს „საქუთრად" ბუჭეულა ბახია „თავისი ცოლშვილით"[42].

შეიძლება მანუჩარის ცოლი იყოს სოფიო გიორგი მანაბლის ასული, რომელსაც თავის ნამზითვი ყმები ჰყავს ხარხერეში და რომელიც 1821 წ. გრიგოლ წერეთლისათვის მიცემულ ნასყიდობის წიგნში თავის თავს თავად ფალავას მეუღლედ ასახელებს[43].

დაეით დადიანის დროს (1840-1853 წწ.) ვხვდებით მანუჩარის თანამოგვარეს კაცია ფალავას. იგი ფრიად მდიდარი თავადია: 1847 წ. მან თავის „საფასით" გააჭედინა შაურკარის (ბანძის ერთ-ერთი უბნის) ეკლესიის წმინდა გიორგის ვერცხლის ხატი და „ცხრა ძეირფასი" ქვით შეამკო იგი[44].

კაციას თანმეცხედრე იყო ზეფისშვილის ასული ელისაბედი[45].

მოგვარეობის გარდა რა ნათესაური კავშირი იყო კაციასა და ზემოთდასახელებულ მის სახლიკაცებს შორის, წყაროებიდან არ ჩანს.

დაეით დადიანის დროსვე იხსენიებიან და ფრიად დაწინაურებულებიც არიან ლუტუ და გიგო ფალავები[46]. როცა

---

40 იხ. იქვე.
41 იქვე, გვ 161; ხელნაწ. ინსტ., ფ. IId, №9004.
42 იხ. ქუთ. მუზ. საბ. №1562.
43 ხელნაწ. ინსტ., ფ. Sd, №1319
44 ე. თაყაიშვილი. დასახ. ნაშრ. გვ. 38-39.
45 იხ. იქვე, გვ. 39.
46 ითნა მეუნარგია. ხამეგრელოს ხამთავროს უკანასკნელი პერიოდი . . . გვ. 80, 114, 118.

დავით დადიანმა ოდიშში ახალი ადმინისტრაციული დანაწილება შემოიღო და სამთავრო ცხრა მაზრად დაჰყო[47], მურის „მაზრის უფროსად" („მეორე ხარისხის მდივანბეგად") მან ერთ დროს დუტუ ფალავა დანიშნა, ხოლო გიგოს საჭილაოს მაზრის „მდივანბეგობა" მისცა. იგივე იყო „მენგრელეთის უსინავს სასამართლოს" წევრიც[48].

ამავე დროს ვხედავთ ბათუ, დავით, ზურაბ[49], არჩილ, გახუ და სოლომონ ფალავებს[50]. მათგან უკანასკნელი სამნი „რიგის ქაცები" იყვნენ, ე.ი. მორიგეობდნენ მთავრის სასახლეში. ხოლო მთავარი თუ სადმე წავიდოდა, ესენი „თან ახლდნენ ცხენით თუ ფეხით"[51].

ერთ გვიანდელ (1855 წლის) დოკუმენტში გვხვდებიან აგრეთვე კონსტანტინე როსტომის ძე, ხახუ (რომელსაც, ბოროზდინის ცნობით, საკუთრად ჰყავდა ახ კომლამდე ყმა)*, ზემოხსენებული ზურა, დათიკა და ბეჟან ფალავები[52]. 1857 წლის საბუთში კიდევ ვხვდებით ფალავას ასულ გაიანეს, რომელიც „ბრწყინვალე" თავადის ყორიმ დადიშქელიანის თანამეცხედრეა[53].

ამგვარად, ფალავების საგვარეულო აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ჩიქვან-დადიანების დროინდელ ოდიშის სამთავროს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ფალავათა სათავადო XIX საუკუნის 20-30-იან წლებში დაიშალა.

---

47 მამია დუმბაძე. სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში. „მიმომხილველი", I. 1949, გვ. 29-31.

48 ოთნა მეუნარგია. დასახ. ნაშრ., გვ. 114, 118.

49 საეთვალთაოდ ცნობილი ქურდი იყო (ცხენისა და ხარ-კამეჩის) დავით დადიანის დროს (იქვე, გვ. 118).

50 იქვე. გვ. 42, 66, 72, 118.

51 იხ. იქვე. გვ. 66; „რიგის ქაცები" გამოყავდათ აგრეთვე ხხვა თავადურ საგვარეულოებიდანაც. მაგალითად: მხეიძეებიდან, დგებუაძეებიდან, თვით სამთავრო სახლიდან (დადიანის ძეებიდან ანუ ბატონიშვილებიდან), ჩიქვანებიდან და სხვ. (იქვე).

* იხ. მისი სამეგრელო და სვანეთი. გვ. 248.

52 ხელნაწ. ინსტ. ფ. Hd, №10975.

53 ქუთ. მუზ. საბ. №497.

ფაღავების სათაეადო (ბანძა)
[ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციიდან "სალიპარტიანო", თბილისი, 1970]

ძველ რუკებს შორის ბანძას პირველად ვხვდებით არქანჯელო ლამბერტის რუკაზე.[1] ჩვენ ზემოთ არაერთხელ მოვიხსენიეთ ბანძა, რომლის სანახებში XVII საუკუნის მეორე ნახევარში ბევრჯერ მომხდარა ბრძოლა.

ვახუშტი ოდიშის აღწერას იწყებს ბანძით, ის წერს: „ცხენისწყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილნაშენი".[2] იგი თაეის რუკაზე ბანძას აღნიშნავს ციხისა და თავადის აღმნიშვნელ ორივე ნიშნით. ვახუშტის აღნიშვნას შეესაბამება 1737 წლის ლიხთ-იმერეთის რუკის მონაცემი. ამ რუკაზე დახატულია ციხე და სასახლე ერთად შეერთებული, რომელსაც აწერია „ფაღაოს სასახლე".[3] ასეთი აღნიშვნა ოდიშის ტერიტორიაზე თავადის რეზიდენციას არსად არა აქვს.

შ. ბურჯანაძე წერს, რომ „ლიხთ-იმერეთის რუკა არის საქართველოს ისტორიის სანდო წყარო, რომელიც თაეის წარწერებში სწორია".[4] შ. ბურჯანაძე შენიშნავს რომ ლიხთ-იმერეთის რუკაზე ვახუშტიხ მიერ მოცემული ადგილები თითქმის ყველა ემთხვევა ერთმანეთს. ასეთი შესაბამისობა გვაქვს ჩვენ ბანძის პირობით ნიშანთან.

დასკვნა ერთია: ბანძა ყოფილა თავადი ფაღავას რეზიდენცია, სადაც იყო მისი ციხე და სასახლე.

---

[1] არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა. 1938. იხ. რუკა.

[2] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941. გვ. 167.

[3] იხ. ლიხთიმერეთის რუკა. თბილისის სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კაბინეტი.

[4] შ. ბურჯანაძე, ლიხთ იმერეთის 1737 წლის რუკა. როგორც ფეოდალურ საქართველოს ისტორიის პირველი წყარო, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, გვ. 192.

მიუმართოთ წერილობით წყაროებს ფალავების შესახებ.

XVII საუკუნით დათარიღებულ საბუთებში ვკითხულობთ, რომ გიორგი ლიპარტიანმა უბოძა გიორგი ფალავას კვაუთს მცხოვრები პაჭაველა ძიმისეიშვილი ცოლშვილითა და მამულითურთ.[1] მარტვილის ხელნაწერებში შაჭბერდის კრებულის პირის მინაწერებში, რომელიც ე. თაყაიშვილის აზრით XVII საუკუნის ხელია, ნახსენებია ჩიჩუა გიორგი და ფალავას ასული როდამი".[2]

XVII საუკუნის პირველი ნახევრის დიდი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი თავადებს შორის ასახელებს ფალავას. ამავე პერიოდის რუკებიც მას დიდ თავადად წარმოგვიდგენენ.

ამგვარად, დადასტურებულია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისიდან ფალავები ოდიშის სამთავროში დიდი თავადები არიან.

ცხადია, მათი დაწინაურება ადრე უნდა დაწყებულიყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ფალავების აღზევება უნდა მომხდარიყო კაცია და გიორგი ლიპარტიანების დროს. ზემოდ გვქონდა საუბარი, თუ როგორ ანადგურებდნენ კაცია და გიორგი თავის მოწინააღმდეგეებს, ამ პროცესს გადაყვა არაერთი ფეოდალი. ბევრი მოსპეს, ბევრიც დამცრობილ იქნენ. მათ ადგილს იკავებდნენ ახლად აღზევებულ კაცია და გიორგი ლიპარტიანების ერთგულნი. ამ პერიოდში განდიდებულთა შორის უნდა იყვნენ ფალავები.

ამგვარად, ფალავების აღზევება დაკავშირებულია ოდიშის სამთავროში ახალი დინასტიის დამკვიდრებასთან.

XVIII საუკუნეში ფალავები დიდი თავადები არიან. ამაზე მეტყველებენ, გარდა დასახელებულისა, სხვა მრავალი საბუთები.

იმერეთის მეფე სოლომონ პირველისათვის მიცემულ პირობის წერილს, რომელიც ტევის სეიდვას აკრძალავს ჩიქოვანის შემდეგ ხელს აწერს ფალავა.[3] XVIII საუკუნის

---

[1] ქუთაისის მუზეუმი, №1178

[2] ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, 3, 1913-14. გვ. 86.

[3] Акты , собранные Кавказскою Археографическою Комиссию, т I, ст. 56-58.

ცნობილი მეცნიერი და მოგზაური გიულდენშტედტი ოდიშის თავადების შორის პირველ რიგში ასახელებს ფალავას გვარს.[1]

თუმცა, სხვა საბუთიც რომ არ გვქონოდა, საკმარისი იქნებოდა ლიხთ-იმერეთის რუკაზე მოცემული აღნიშვნა და წარწერა იმის დასადასტურებლად, რომ ფალავები დიდი ფეოდალები ყოფილან XVIII საუკუნის ოდიშში.

გრიგოლ დადიანის მთავრობის დროს ბანძა და მისი მფლობელი ფალავები ხშირად იხსენიებიან. 1792 წელს დაწერილ საბუთში, სადაც გრიგოლ დადიანი მიმართავს სოლომონ მეფეს, სამთავროს საქმის მოგვარებას მთავარი აეალებს სასლთუხუცესს გიორგი ნიქოვანს და ზაალ ფალავას.[2] გრიგოლ დადიანი ხშირად ჩერდება ბანძაში ფალავას რეზიდენციაში.[3] როდესაც სამეგრელო რუსეთის მფარველობის ქვეშ შევიდა, რუსი მოხელე ლიტვინოვი ბანძაში იჯდა და აქედან აწესრიგებდა სამეგრელოს საქმეებს.[4] რუსეთიდან დაბრუნებულ დელეგაციას, რომელსაც მეთაურობდა „დიდი“ ნიკო, ოდიშის მმართველი ნინა დედოფალი და მემკვიდრე ლევანი ბანძაში ხვდებიან.[5] 1804 წლის ლიტვინოვის წერილს ციციანოვისადმი ექვსი ბეჭედი ახია, მათ შორის ჭყონდიდელ-მიტროპოლიტ ბესარიონის და პეპუა ფალავას.[6]

1805 წელს ბანძაში დაიწერა სამურზაყანოს მფლობელ შერვაშიძეების ფიცის წიგნი. სადაც ისინი ერთგულებას უცხადებენ რუსეთის იმპერატორს.[7] ფალავები ოჯახურადაც იყვნენ დაკავშირებული მთავრის ოჯახთან. ლევან მესუთე დადიანის ძე გრიგოლი გაძიძავებული იყო ბანძაში და იზრდებოდა ბახვა ფალავას ოჯახში. ბახვა ფალავას მეუღლე

---

[1] გიულდენშტედტი (Путешествия Г-на Академика Гульденштедта через Россию и по Кавказским городам в 1770-73 годы, С.Петербург, 1809 г.) გვ. 323.

[2] Акты, т. 1, ст. 60-61.

[3] ნ. დადიანი. ქართველთა ცხოვრება. 1962. გვ. 89.

[4] Акты, т. 2, ст. 413.

[5] ნ. დადიანი, იქვე. გვ. 196.

[6] Акты, т. 2, ст. 480.

[7] Акты, т. 1, ст. 60-61.

მანუჩარ დადიანის ასული იყო.[1] ფაღაევები მთავრის კარისკაცები იყვნენ. ასრულებდნენ საპატიო სამსახურს. შეადგენდნენ მთავრის ამალას.

ფაღაევების სათავადოს ერცელი ტერიტორია ეჭირა. 1872 წლის აღწერით ფაღაევებს ეკუთვნოდათ შემდეგი სოფლები: ბანძა, ვედიდკარი, მუხურჩა, ონოდია, ნაგებერაო, ნახუნაო.[2] გარდა ამისა, სადედოფლო სალიპარტიანოში ფაღაევებს ჰქონდათ ყმა-მამული. სოფელი თარგამული თითქმის მთლიანად ფაღაევების საუფლო იყო. მნიშვნელოვან ადგილებს ფლობდნენ თამაკონისა და ნამიკოლოეოს სოფლებში.[3]

ბოროზდინი გვაძლევს ფაღაევების ერცელ დახასიათებას. იგი ბანძას სმარობს ფაღაევების სათავადოს აღმნიშვნელ სახელწოდებად, რომელშიც შედის ყველა სხვა სოფლები.

ბოროზდინი წერს: „მდ. აბაშის ვაკეზე გაშლილი იყო უშველებელი სოფელი ბანძა, სადაც 75-ზე მეტი კომლი თავადები ესახლენ. ეს თავადები – ფაღაევები იყვნენ. რომელთაც მხოლოდ 800 კომლი აზნაური და გლეხი ჰყავდათ, ორთა შუა რიცხვით, მაშასადამე თითოეულის მებატონეზე 10 კომლზე მეტი გლეხი არ მოდიოდა. მაგრამ ასე თანასწორად როდი ჰყავდათ ყმები. ერთს მაგალითად, თავადს ხუხუ ფაღავას, ას კომლამდე ჰყავდა, მაშასადამე, მის ბევრ თანამოგვარესა და ნათესავს ყმები ათი კომლიც არა ჰყავდა“.[4]

ბოროზდინის გადმოცემით „ბანძას ეჭირა 40 ვერსი სივრცე ადგილი, ესე იგი ის ადგილი, რომელიც მდებარეობდა მდ. აბაშისა და ცხენისწყალს შუა, ქუთაისის გუბერნიამდე. ამ სახით, ბანძა სენაკის ოლქში status in statu-ს (სახელმწიფო სახელმწიფოში) ჰგავდა, ხოლო მებატონე ფაღაევები – ცალკე ელემენტს, ცალკე ძალას“.[5]

---

[1] ზუგდიდის მუსეუმის შრომები.
[2] ზსიემ. მთავრის ფონდი. №6494/18.
[3] იქვე, №3365.
[4] ბოროზდინი, სამეგრელო, სამეგრელო, 1934, გვ. 248.
[5] იქვე, გვ. 248-249.

ბორიზდინის ცნობიდან გარკვევით ჩანს, რომ XIX საუკუნის ფაღავების სათავადო ტერიტორია ვრცელი იყო.

1871-72 წლებში აღწერილი საუფლისწულო მამულები სიდიდით ვერცერთი ვერ შეედრებოდა ფაღავების სათავადოს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასეთ ერცელ სათავადოში მოსახლეობა შედარებით მცირე ყოფილა. ვფიქრობთ, ამის ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ იმერეთის სამეფოს საზღვარზე მდებარე ფაღავების სათავადო ფეოდალურ აშლილობის მუდმივი ბრძოლების ასპარეზი იყო. ისტორიულ წყაროებში ძნელად მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც იმდენი ბრძოლა მომხდარიყოს, რამდენიც ნაჩვენებია ბანძის სანახებში.

ბორიზდინისა და „აღწერაში“ მოცემული მასალებიდან ირკვევა, რომ ფაღავების სათავადოს დასავლეთით ესაზღვრებოდა ნოქალაქეველი და ჯოლოველი დადიანების საუფლისწულო, აღმოსავლეთით – მდინარე ცხენისწყალი, ჩრდილოეთით ჯოლეველი დადიანების საუფლისწულო და საეკლესიო მამულები, სამხრეთით – საჭილაო.

ამ საზღვრებში არ არის მოცემული ნახუნაო, რომელიც ვრცლად გაშლილია უნაგირას გორაკიან ადგილზე, რომელსაც სადედოფლო მამული ესაზღვრებოდა.

ფაღავების რეზიდენცია ბანძა დაყოფილი ყოფილა კარეებად: ვედიდკარი, შაურ-კარი, გიულ-კარი და ხხვა. ვედიდკარის მთავარანგელოზის ეკლესიის ხატზე ე. თაყაიშვილს შემდეგი წარწერა ამოუკითხავს:

„ბ დიდნი მთავარნი ზეცისა ძალთანი მიქაელ და გაბრიელ აღგიშენე ხატი ესე მე ფაღავამ ხუხუმ შენდა სადიდებლად“.[1]

შაურ-კარის წმინდა გიორგის ეკლესიის კარზე ასეთი წარწერა იყო:

„წელსა ჩყმ-სა და იელისის კზ-სა, წმინდა გიორგი, ჩვენ მოსავმან შენმან თავადმან ფაღავამ კაციამ და მეცხედრემან

[1] ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, 3, გვ. 38.

ჩემმან ‘ხეზი’შვილის ასულმან ელისაბედმან გავაჭედინეთ ხატი ესე“...[1]

ორივე ეკლესია ფალავების იყო. სიმკაცრით ცნობილი ხახუ ფალავა, რომელსაც ბოროზდინიც იხსენიებს, ყველაზე გაელენიანი ყოფილა ფალავებს შორის. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სათავადოს მეთაურიც ყოფილიყო, თუმცა ჩვენ არ მოგვეპოვება შესაბამისი მასალები ამ საკითხზე მსჯელობისათვის. გადმოცემით შაურ-კარის ეკლესიის მღვდელი წირვას მანამდე არ დაიწყებდა, სანამ ხახუ ფალავა არ მოვიდოდა და თავის მიჩენილ ადგილზე არ დადგებოდა.[2]

ბანძის შაურკარის ეკლესიაში იმართებოდა ხეკლესიო დღესასწაული „ჭვენიერობა“. საინტერესოა ის წესი, რომ ამ დღესასწაულთან დაკავშირებით უნდა მოეთხარათ ეკლესიის ეზოში მდგარი ერთერთი ხე, ამ ხეს ეკლესიის გარშემო შემოატარებდნენ და მის შტოს ყველა ინაწილებდა.

„ჭვენიერობა“ ვრცლად აქვს აღწერილი პროფ. ს. მაკალათიას.[3] ხის მოთხრის წესს მოგვითხრობს ე. თაყაიშვილიც.[4] ბანძის საეკლესიო დღესასწაულს ესწრებოდნენ დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხიდან. არსებობდა სასიმღერო ლექსი „ბანძა დიდი ხოფელია“. შალვა დადიანის სიტყვით ქუთაისი „სავარდო და სამაისო“ იყო ძველად, მაშინ იმ დროის ბანძას „სალხინო და საქეიფო“ შეიძლება ვუწოდოთ.

ვედიდ-კარის მინდორზე, რომელიც ისე დიდი ყოფილა, რომ გადმოცემით რამდენიმე ათასი ცხენოსანი ჯარი დაეტეოდა, იმართებოდა ჯირითობა, სხვადასხვა თამაშობანი. იგი საასპარეზო მოედანი ყოფილა.

ბატონებისათვის „სალხინო და საქეიფო“ ბანძა ყმებისათვის ტანჯვისა და უბედურების ადგილი იყო. ხახუ ფალავას სისასტიკის შესახებ თედო სახოკიას ჩაუწერია ბანძაში მოსმენილი ერთი გადმოცემა: თამაკონელ ფალავას ყმა

---

[1] იქვე, გვ. 39.
[2] ადვოკატ ალექსანდრე გაბუნიას ნაამბობი.
[3] ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, 1941, გვ. 370-372.
[4] ე. თაყაიშვილი, ძველი საქართველო, 3, გვ. 39.

გოჩა სიხარულიას ზამთარში, ყინვა-სიცივეში, მდინარე ტეხურში 15 ცალი კალმახი დაუჭერია, ბატონს გაუხარდებაო და ზამთრისა და უგზოობის ძნელ პირობებში შორი გზა გადაულახავს და კალმახი ბატონისათვის მიურთმევია.. წყალობის მომლოდინე ყმა ხუნდზე დაუსვამთ ხუთი დღეღამის განმავლობაში. როცა გაანთავისუფლეს ცოცხალ მკვდარ ყმისათვის მრისხანე ბატონს უთქვამს: მე რომ 15 კალმახი მომიტანე მეორე იმდენხ სახლში დატოვებდიო. წადი და მეორეჯერ არ გაბედო შენთვის დატოვებაო, თორემ ვაი შენს ტყავს.[1]

ჩვენ ასეთი გადმოცემა ჩავიწერეთ: ხახუ ფალავა გარდაცვლილა. არცერთი ყმათაგანი არ ეკარებოდა თურმე მიცვალებულს. ფიქრობდნენ გვატყუებენ, რაღაც მახეს გვიგებენ, თორემ ხახუ ბატონს რა მოკლავდაო. გამოჩენილა ერთი გაბედული ყმა ბასაია დანელია. წამოუყვანია თავის სოფლელები და წახულან ბატონის სასახლეში. მეზობლები დაურიგებია: მე ეზოში შევალ, ენახავ მკვდარს, თუ მართალია გამოვალ აივანზე და ცალ ფეხზე მოვტრიალდებიო. მერე თქვენ მოდითო. ბასაია გაბედულად შესულა ეზოში. შვილი დუტუ ხედავს კაცი მოდის, გახარებია მწუხარების ჟამს კაცის ნახვა, როდესაც უცვნია, დაუძახია: მოდი ბასა, დაეიღუპეთ, ბატონი გარდაიცვალაო. მაგრამ ბასას ჯერ არ სჯერა. შედის დარბაზში. ხედავს მიცვალებულს. გრძელ ულვაშებს მოქაჩავს და მაშინ დარწმუნდება სინამდვილეში. გამოდიხ გარეთ ქუსლზე შემოტრიალდება, გამოცვიედებიან ყმები და ვაი-ვიშვიშით შედიან დარბაზში.[2]

1857 წლით დათარიღებულ ერთ საბუთში იხსენიება ხახუ და მისი შვილი დუტუ ფალავები.[3] ხახუ, რომ სხვაზე მდიდარი თავადი იყო ამაზე მიუთითებს სადედოფლო სალიპარტიანოს აღწერის დოკუმენტი. სადაც ნახსენებია გვადა და დუტუ

---

[1] ბოროზდინი, რ. ერისთავი, მურიე. ბატონყმობა სამეგრელოში. თ. სახოკია, შესავალი, 1927. გვ. V-VI.

[2] აღეოკატ ალექსანდრე გაბუნიას ნაამბობი.

[3] Акты, т. 12, ст. 300.

ხახუს ძე ფალავები (იმ დროს ხახუ ცოცხალი არ ყოფილა), რომლებსაც სადედოფლოში ჰყავდათ 17 კომლი ყმა, სხვებს 8-ზე მეტი კომლი არცერთს არ ჰყავს.[1]

ოდიშის უკანასკნელმა მთავარმა დავით დადიანმა სამთავრო დაჰყო ცხრა მაზრად, ი. მეუნარგია რვას ასახელებს, რომელსაც ჭალადიდი გამორჩენია.[2] მაზრის მდივანბეგად ხხვადასხვა დროს ყოფილა გიგო ფალავა და დუტუ ფალავა.[3]

ბოროზდინს, როდესაც ხენაკის ოლქის უფროსი იყო, ბანძის მოურავად დაუსვამს დავით ფალავა, რომელიც სიპატიოსნით ცნობილი იყო. იგი ბოროზდინის თანაშემწე იყო. მეორე თანაშემწედ აუყვანია გიგო ფალავა „ჭკვიანი, მაცდური და თავის სოფელში მეტად გავლენიანი კაცი. ადრე მდივანბეგად ყოფილა, და ამიტომ გამოცდილი იყო ადმინისტრაციულ საქმეებში“.[4]

ფალავების ჩამომავლობის შესახებ ბოროზდინი შემდეგს მოგვითხრობს: „ფალავები“ ჩამომავალნი არიან ერთი ჯიქეთის თავადისა, რომელიც ამ რამდენისამე საუკუნის წინად დადიანთან გადმოვიდა. დადიანმა მიიღო და აქ დაასახლა-კარა. ამ თავადის შთამომავლობა გამრავლდა“.[5] უნდა ვიფიქროთ, რომ ბოროზდინმა გაიგონა ასეთი გადმოცემა და ის გადმოგვეცა.

ბანძაში ეხლაც არის ასეთი ხასიათის გადმოცემა: ბანძაში გამავალ ღელეს პირას ცხოვრობდნენ ფალავები, რომლებსაც ყველას წყარო ჰქონდათ. ეს იმიტომ, რომ მთის ხალხი იყვნენ და წყარო უყვარდათ.[6] ჩანს რაღაც გადმოცემა ყოფილა ბანძაში, რომელსაც მიაჩნია, რომ ფალავები მთიდან

---

[1] ზსიმ. მთავრის ფონდი. №3365/276

[2] მ. დუმბაძე, სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური წყობილების ევოლუცია XIX საუკუნეში. 1949, გვ. 29.

[3] ი. მეუნარგია, სამეგრელო დავით დადიანის დროს. 1939, გვ. 112-114.

[4] ბოროზდინი, იქვე, გვ. 249.

[5] იქვე.

[6] ადვოკატი ალ. გაბუნიას ნაამბობი.

არიან მოსული. ჩვენ არ გაგვაჩნია სარწმუნო წყარო ფალავების შთამომავლობის გასარკვევად.

ამგვარად, ჩვენ მოკლედ მიმოვიხილეთ ფალავების სათავადო. გავარკვიეთ მისი წარმოშობის დრო, მისი მდგომარეობა და როლი ოდიშის სამთავროში.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ უნაგირასა და ცხენისწყალს შორის მდებარე ტერიტორიაზე, მისი დაშლის შემდეგ, არსებობს ლიპარტიანების მიერ აღზევებული ფალავების მამული. თავის ერთგულ თავადებს ლიპარტიანები ასაჩუქრებენ მამულით. ჩვენ დაკვირდეთ, რომ XVII საუკუნის საბუთში გიორგი ფალავას კვაუთში ყმა-მამულს ლიპარტიანი აძლევს. ეს იმასვე მიუთითებს, რომ სალიპარტიანოს არსებობის დროს, ფალავა ლიპარტიანის ყმა იყო. ჩვენ ვიცით ვახუშტის გადმოცემა, რომ სალიპარტიანოს შიგნით ცხოვრობდნენ თავადნი და აზნაურნი. ერთი ასეთი აზნაური თუ თავადი თავიდანვე ყოფილა ფალავა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ყველა წერილობით წყაროში, რომელიც ჩვენ შეგვხვედრია, ფალავა თავადად იხსენიება.

მაშასადამე, XVIII-XIX საუკუნის ბანძა, ფალავების სათავადო, ტიპური სათავადოა, რომელიც გარკვეულ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულს წარმოადგენდა, რომელსაც როგორც სხვა სათავადოს, „თავისი შინაგანი ორგანიზაცია გააჩნდა, - როგორც დ. გვრიტიშვილი წერს, - და ერთი შეხედვით თითქოს ქვეყნის დამოუკიდებელ ნაწილად ითვლებოდა“.[1]

ასეთი ხასიათის იყო ფალავების სათავადო – ბანძა.

სათავადოში შემავალი თავადიშვილები სათავადოს მამულს თანაბრად არ ფლობდნენ. „მართალია, - წერს დ. გვრიტიშვილი, - საგვარეულო მამული ყველას კუთვნილება იყო „ოლონდ არათანაბარი პრინციპით. საგვარეულოს

[1] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. 2, 1965, გვ. 80.

უმცროსი შტო ნაკლები უფლებით სარგებლობდა, უფროსი კი პრიეილეგიურ მდგომარეობაში იყო“.[1]

ჩვენ ზემოდ გექონდა საუბარი, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში თავადი ხახუ ფალავა ასობით ყმას ფლობდა, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც ათზე მეტი ყმა არ ყავდათ. ამ სათავადოშიც სავსებით დაცული იყო ზემოდადნიშნული პრინციპი. ასეთივე მდგომარეობა ვნახეთ საუფლისწულოების განხილვის დროს. შხეფელი და ნოდელი დადიანები პრიეილეგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, როგორც მთავრის უახლოესი შთამომავალნი, ხოლო ბეთლემელი და ჯოლეველი დადიანების საუფლისწულოები გაცილებით პატარა იყო, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს მათი წარმომავლობის სიმორეზე.

ფალავების სათავადო ვრცელი იყო. ეს იყო მათი სიძლიერის წყარო. ფეოდალურ სახელმწიფოში, როგორც შ. მესხია წერს „ფეოდალის სიმდიდრესა და სიძლიერეს განსაზღვრავდა მიწის სიდიდე და ყმა-ვლეხთა რიცხვი“.[2]

ფალავები სამთავროში ანგარიშგახაწევ ძალას წარმოადგენდნენ. შეიძლება დავასკვნათ, რომ XVIII-XIX საუკუნეებში აღნიშნულ ტერიტორიაზე ყველაზე ცნობილი და გავლენიანი თავადები ფალავები იყვნენ. ყველაზე ვრცელი მათი სათავადო იყო.

---

[1] დ. გერიტიშვილი, ნარკვევები... 2, გვ. 79.
[2] შ. მესხია... საქართველოს ისტორია, 1, 1959, გვ. 318.

ოდიშის სამთავროს თავადი და აზნაური ფაღავები[1]

1950-54 წლებში კავკასიის მეფისნაცვლის მიხეილ ვორონცოვის წერილობითი მომართვის საფუძველზე ოდიშის მთავრის დავით დადიანის ბრძანებით შედგენილ იქნა სამთავროში მცხოვრებ თავადაზნაურთა სია. წლების განმავლობაში იგი ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა დეპუტატების საკრებულოს არქივში ინახებოდა. 1901 წელს იგი სანქტ-პეტერბურგში რუსეთის იმპერიის სენატის ჰეროლდიის დეპარტამენტში გადაიგზავნა. ამჟამად იგი დაცულია რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივში სანქტ-პეტერბურგში (РГИА, Фонд 1343, Опись 51, Дело 636). რუსეთში მოღვაწე იგორ მიქაძემ და დავით გულორდავამ ამ მასალებს მიაკვლიეს, ქსეროასლი გადაიღეს და მათი გამოქვეყნება შესაძლებლად გასადეს. გაურკვეველი მიზეზების გამო წარმოდგენილ დოკუმენტებში არ არის მარტვილის მაზრის თავადაზნაურთა ოჯახების აღწერის მასალები. მოგვიანებით ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში აღმოჩნდა ამ მაზრის მდივანბეგის თავად მაქსიმე ქოჩაკიძის მიერ შედგენილი პირვანდელი აღწერის ტექსტი (1850 წ.).

წინამდებარე ნარკვევში მოცემულია მასალები ოდიშის სამთავროში მცხოვრები თავად და აზნაურ ფაღავების შესახებ

---

[1] - ნარკვევს საფუძვლად დაედო წიგნი – ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს თავადთა და აზნაურთა ოჯახები. სამეგრელოს თავადთა და აზნაურთა დირსებების მქონედ აღიარებულ პირთა სახელდებითი საოჯახო სიები. ტექსტები შეკრიბეს და დასაბეჭდად მოამზადეს ზურაბ ჭუმბურიძემ, იური ჩიქოვანმა და ანზორ სიჭინავამ ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით. თბილისი, 2013. შესავალში მითითებულია ქუთაისის სახელმწიფო არქივის დირექტორის მერაბ კეზეკიძისა და ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმის დირექტორის ლილი ბერაიას ღვაწლი აღნიშნული ნაშრომის მომზადებაში.

1850-1854 წლებში. იმ დროისათვის სამთავრო ადმინისტრაციულად 8 მაზრად იყო დაყოფილი: 1) ზუგდიდის 2) ზუბის, 3) ჯვარის, 4) სუჯუნის, 5) საჭილაოს, 6) მარტვილის, 7) ლაილაშისა და 8) მურის. საინტერესოა აღინიშნოს რომ ამ რვა მაზრიდან ორის მდიგანბეგები იყვნენ თავადი ფალავები: მურისა – დუტუ ფალავა, საჭილაოსი – გიგო ფალავა.

ფალავები აღრიცხული ყოფილან სუჯუნის მაზრასა და მარტვილის მაზრაში.

სუჯუნის მაზრის თავადი ფალავები:

- პორუჩიკი ალექსანდრე ხიტუს ძე – 50[2], ცოლი მისი ეკატერინე – 39, ძენი მისნი: ნიკოლოზ - 22, ლეონ – 17, ხიტუ 16, დიმიტრი – 14, ასული სოფიო – 7
- ნიკო ზაალის ძე – 72, ძენი მისნი: პრაპორშჩიკი გიგო – 47, თეიმურაზ – 27, დიმიტრი – 23, ასულნი: კესარია – 22, ეკატირინა – 21, ცოლი გიგოსი სალომე – 40, ძენი მისნი: ალექსანდრე 7, გიორგი – 4, ასულნი: ელისაბედ - 13, მართა – 12, ბარბარე – 10, ცოლი თეიმურაზისა მატრონა – 32, ასული მისი ეკატირინა -2 (მითითებულია, რომ სარგებლობდნენ უხსოვარ დროითგან თავადის დირსებით)
- ქერიეი ლევან ზურაბის ძისა ეკატირინა – 40, ძენი მისნი: მიხაილ – 18, დიმიტრი – 17
- გიგო ბეჟანის ძე – 32, ცოლი მისი სალომე, ასული მისი ნინო – 2, ძმანი გიგოსნი: ნიკო - 23, მურზაყან – 19, ცოლი ნიკოსი მარიამ – 22, და□ გიგოსი სალომე – 16
- ლომკაცი კოწას ძე – 69, ძმისწული მისი ბურდღუ ილარიონის ძე – 25, ძმისწული ბურდღუსი ალექსანდრე ზალის ძე – 16
- ქერიეი პრაპორშჩიკისა ვაჩა მურზაყანის ძისა ელისაბედ – 50, ძენი მისნი: სოლომონ – 30, მალხაზ – 29, ასულნი მისი: ტასია 19, ნინო – 18, ევდუკია – 15

---

[2] აქაც და შემდგომში რიცხვები ასაკს შეესაბამება.

- პრაპორშჩიკი დავით ხუხუს ძე – 33, ცოლი მისი ქეთევან – 31, ასულნი მისნი: სოფიო – 12, პელანგია – 6, ძმა დაეთისა ზურაბ – 28
- პრაპორშჩიკი ტოტი ზაალის ძე – 61, ცოლი მისი რიდამ – 51, ძენი მისნი – გიორგი – 27, ბესარიონ – 23
- დავით მანუჩარის ძე – 52, ცოლი მისი ჯერანხან – 34, ძენი მისნი: მიხაილ - 23, მანუჩარ - 17, ბეგლარ – 10, ასული ნინო – 8
- ნასხი ალმასხანის ძე – 49, ცოლი მისი მძეხა – 40, ძენი მისნი: ბესარიონ – 26, ლევან – 17, გრიგოლ – 15, ძმა ნასხის პრაპორშჩიკი ერაჯი – 44, ცოლი მისი რუსუდან – 33, ძე მისი დიმიტრი - 9
- პრაპორშჩიკი ზურაბ ბეკოს ძე – 41, ცოლი მისი ელისაბედ – 34, ასულნი მისნი: ნინო – 14, მარიამ – 12, ელენე – 10, ძმანი ზურაბისნი: ფარნაოზ – 33, იოანე – 22, ცოლი ფარნაოზისა მაკრინე – 24, ძე მისი ნიკო - 8
- პრაპორშჩიკი ხახუ ვახუშტის ძე – 56, ცოლი მისი რუსუდან – 47, ძენი მისნი: დიმიტრი - 28, ალექსანდრე – 6, ასული სალომე – 13, ცოლი დიმიტრის სოფიო – 22
- ქვრივი პრაპორშჩიკის როსთომის თათია – 45, შვენი მისნი: კოსტა – 27, არჩილ – 21, ასული ბარბარე – 20, ცოლი კოსტასი მარიამ – 22
- ქვრივი მათე ხუხუს ძისა თათია – 40, ძენი მისნი: ბათუ – 30, ალექსანდრე – 15, ასულნი მისი სალომე – 21, მატრონა – 19, ნინო – 14, ელენე – 10, ცოლი ბათუსი ბარბარე – 25, შვილნი მისნი: სამსონ – 6, ეკატერინე 4, ნინო – 2, ალათი – 1
- ბეჟან ბეჟანის ძე – 32, ცოლი მისი ანნა – 30, ძენი მისნი: დიმიტრი – 14, ხახუ 9, სვიმონ 7, ასულნი: ელისაბედ 15, სინკლიტიკა – 12
- ბეჟან პაპუს ძე – 72, ძენი მისნი არჩილ – 40, ბურდღუ – 27, ლევან – 24, ცოლი არჩილის მარიამ – 34, ძე მიი გაბრიელ 8, ასულნი: ნინო – 15, ქესარია – 14, ცოლი

ბურდღუსი მარიამ – 25, ასული მისი ფებრონა – 5, ცოლი ლევანის ბარბარე – 20

- ბეჟან დეისმას ძე – 51, ცოლი მისი მართა – 44, ასულნი მისი: სალომე – 23, ნინო – 16, მატრონა – 15, აღათი – 13
- პრაპორშჩიკი გიორგი ერისთუს ძე – 33
- ყარამან დავითის ძე – 28, ცოლი მისი ეკატერინა – 20, ძმანი ყარამანისნი: ბიბი – 21, სამსონ – 17, და□ მისი ეფროსინე – 21
- გიორგი გოგის ძე – 59, ცოლი მისი მარიამ 44, ძენი მისნი – რევაზ – 20, მურზაყან – 19, ალექსი – 17, სამსონ – 15, ასულნი: სალომე – 12, ეკატერინა – 11.

სუჯუნის მაზრის აზნაური ფაღავები:

- ხახუ ბერის ძე - 50, ცოლი მზეხა - 40, ძენი მისნი: ბერიკა - 18, თემურაზ - 13, ასულნი: რებეკა - 10, სოსანა - 8, ირინე - 7 (მითითებულია, რომ "ესარგებლებიათ დიდხნობით ღირსებითა აზნაურობისათა და მის ზედა მოწმობს საბუთიცა მთავრის ოტია დადიანისა ჩღპთ [1789]-სწელსა შინა ბოძებული).
- ბიჭინია დავითის ძე – 35, ცოლი მისი მართა – 32, ძენი მისი: დათა – 2, სამსონ – 1, ასული მკრინე 6
- ბეჟანიკა სურაბის ძე – 35, ცოლი მისი მაია – 30, ასული მისი ფადუ – 3, ძმა ბეჟანისი იოანე – 25
- გოგია ამირანის ძე – 40, ცოლი მისი მართა – 30, ძე მისი დიმიტრი – 5, ასული თამარი – 8
- ქერიეი როსთომ ხუხუიას ძისა მარიკა – 50, ძენი მისნი: თეიმურაზ – 15, ხტეფანე – 10, ძმისწული როსთომისი ვასუ ნიკოს ძე – 7.

მარტვილის მაზრაში აღრიცხული ყოფილან (როგორც ზემოდ აღინიშნა, ამ მაზრისა მოღწეულია მხოლოდ პირვანდელი აღწერის ტექსტი) – თავადები ბეჟან დეისომას ძე, მიხაილ და ბესარიონ ლევანის ძენი, ზაალ პეპეს ძე, მანუჩარ ვახუს ძე და ბეჟან როსტომის ძე, პეტრე, იესებ და ანტონ ლევანის მენი, ვიტა გიორგის ძე, ხახუ გიორგის ძე; აზნაურები

(საეკლესიო) – გოგი და ზალიკა ბუჭუას ძენი, დათი იხთიანეს ძე, ნიკო იუანეს ძე, პავლე ხუხუს ძე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზემოდხსენებულ დოკუმენტებიხ კრებულს თან ახლავს აგრეთვე თაეად ფაღავების განცხადებები (უჩივიან რამდენიმე გაბუნიას აზნაურობაზე, მათი აზრით, უმართებულო პრეტენზიის გამო); ესენი არიან ნიკო ზაალის ძე, ხახუ, ბახვა ხიტუს ძე, ტოტი ზაალის ძე, ერაჯ ალმასხანის ძე, გიორგი გიგოს ძე, გიგო ნიკოს ძე, ბეჟან ბეჟანის ძე, გიგო ბეჟანის ძე, გიორგი ერითოუს ძე, კონსტანტინე როსტომის ძე, არჩილ ბეჟანის ძე, ბათუ მათის ძე, სოლომონ ვახტანგის ძე, ყარამან დათიკას ძე, ზურაბ ბეკოს ძე, დათუ მანუჩარის ძე და, ასევე, დავით ხუხუს ძე.

საბოლოოდ ხაზს გავუსვამდით იმას, რომ ოდიშის სამთავროში ფაღაეების დიდი უმრაელესობა თაეადებია. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც მკვლევარი შ. ჯღარკავა აღნიშნავს, მის მიერ მოძიებულ საბუთებში ფაღავები მხოლოდ როგორც თაეადები მოიხსენიება. ისიკაა გასათვალისწინებელი, რომ ფაღაეების წარმოშობის შესახებ ერთადერთი დოკუმენტური წყაროს მიხედვით (იოანე ბატონიშვილის „საქართველოს შინა მცხოვრებთა თაეადთა და აზნაურთა გვარების შემოკლებით აღწერის“ [ფონდი S, №3729, გვ. 116 v] თანახმად, ფაღაეები (ფაღავაშვილები) აღმოსავლეთ საქართველოდან გადმოსული (ბაღვაშ-)-ორბელ-ორბელიანების შთამომაელები არიან. აქედან გამომდინარე, შეიძლება მიეიდეთ იმ დასკვნამდე, რომ აზნაური ფაღავები გაღარიბებული, ბედის სიავის გამო დამცრობილი თაეადების შთამომაელები არიან და არა პირიქით: თაეადი ფაღავები არ უნდა იყონ აზნაური ფაღაეების რომელიმე მომძლავრებული შტოს წარმომადგენლები (ამის მაგალითი საკმარისად შრაეალია როგორც საქართველოს სხვა რეგიონებსა და უცხოეთში, ასეეე თვით სამეგრელოშიც).

ყარამან ფაღავა

წარჩინებული ფაღავები აჭარაში (თავად-აზნაურები – ბეგიები და აღიები)[1]

ისევე, როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, აჭარაშიც იქნებოდა ფეოდალური იერარქია, მოსახლეობის წარჩინებული ფენა იყო თავადაზნაურობა. მიწის საკუთრება, მისი ეკონომიური სიძლიერის ძირითადი წყარო, მემკვიდრეობითობის პრინციპს ემყარებოდა. მას შემდეგ, რაც თურქეთმა ეს ტერიტორია შეიერთა, იმპერიის კანონმდებლობის თანახმად მამულის მემკვიდრეობით გადაცემას წყალი შეუდგა. ცხადია, პირველ რიგში ეს მიწის ძირითად მფლობელებს, თავადაზნაურობას შეეხებოდა. არსებითად თურქული მიდგომა უფრო დემოკრატიულიც იყო ალბათ: ითვლებოდა, რომ მთელი მიწა სულთანს ეკუთვნოდა და ცალკეულ ქვეშემრდომს დამსახურების მიხედვით დროებით გამგებლობაში მიეცემოდა "ფეოდი". ეს პრინციპი მკვეთრად აადვილებდა სოციალურ აღმასვლას, ღარიბი არაწარჩინებული ოჯახის წარმომადგენელი პირადული ღირსებების შემთხვევაში შეიძლება სწრაფად აღზევებულიყო, ალბათ პირიქითაც ხდებოდა. მიუხედავად ერთგვარი სამართლიანობისა, ასეთი სისტემა მძაფრ კონფლიქტში შედიოდა ქართულ ტრადიციულ მიწათმფლობელობის სისტემასთან. განსაკუთრებით თავადაზნაურობა ებრძოდა ამ ახალი წესების შემოღებას. აჭარის თურქეთის შემადგენლობაში ყოფ-

[1] - ნარკვევს საფუძველად დაედო წიგნი – რამაზ სურმანიძე. თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წელს. თბილისი, 2007. თავის მხრივ, ეს ნაშრომი ეფუძნება ა) აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში შენახული საქმეებს, რომელშიც თავმოყრილია 1911-1912 წლებში ბათუმის ოლქში მცხოვრებ წარჩინებულ პირთა განცხადებების (მათთვის თავადაზნაურთა ტიტულების აღდგენის თაობაზე), მოწმეთა და საბოქალაქო რწმუნებულთა ნაკვნებების განხილვის საფუძველზე შედგენილი ოქმები; ბ) აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ დოკუმენტებს (ფონდი №78, აღწერა 1, საქმეები 3 და 4).

ნის მთელი ხნის განმავლობაში ცენტრალური მთავრობა თანდათანობით ამკვიდრებდა საკუთარ კანონებს. თავადაზნაურობა სულ უფრო ძნელ დღეში ეარდებოდა. ამას ემატებოდა ისიც, რომ თურქეთის მთავრობა მათი წოდებრივი მდგომარეობის დაზუსტების საბაბით გამოითხოვდა ხოლმე შეხაბამის დოკუმენტებს, რომელიც მალზე ხშირად უბრალოდ იკარგებოდა.

რუსეთ-თურქეთის 1877-78 წწ. ომის შემდეგ აჭარა ინკორპორირებულ იქნა რუსეთის იმპერიაში. აჭარის თავადაზნაურობამ (ბეგებმა, აღიებმა, ფაშებმაც კი) იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ამ რეგიონის მკვიდრ არისტოკრატიას წარმოადგენდნენ, მათი მოგვარეები და ნათესავები [მათ შორის ფაღავებიც] წარჩინებული წოდების უფლებებით სარგებლობდნენ საქართველოს სხვა მხარეებში და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, უფლებრივად გატოლებულნი იყვნენ რუსეთის თავადაზნაურობასთან, თავიანთთვისაც იგივე უფლებები მოითხოვა.[2] ამ მისწრაფებაში მათ მხარს უჭერდნენ რუსის სამსახურში მყოფი ქართველებიც. მიუხედავად აჭარლების სამართლიანი მოთხოვნისა, რუსეთის მთავრობა ამას მაქსიმალურად ეწინააღმდეგებოდა პირველ რიგში იმიტომ, რომ თუ ომამდე მთელი მიწის პატრონი სულთანი იყო და ადგილობრივი წარჩინებულნი მხოლოდ სულთნის (მისი მთავრობის) ნებართვით განაგებდნენ ამა თუ იმ მამულს, ამჟამად ეს მიწები სახაზინო უნდა გამხდარიყო და რუსეთის მთავრობა თუ გაანაწილებდა მათ, მხოლოდ იმაზე, ვისაც ენდობოდა. აჭარის ბეგებისა და აღიების პრეტენზიები თავადაზნაურობაზე (ძირითადად ტრადიციის საფუძველზე, ქუთაისისა და თბილისის გუბერნიებში მცხოვრები ნათესავების წარჩინებულობის ანალოგიაზე, თურქულ დოკუმენტებზე დაყრდნობით) რუსეთის

---

[2] საინტერესოა აღინიშნოს, რომ 1885 წელს აჭარის თავადაზნაურობამ მიმართა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლს დიმიტრი ყიფიანს, რათა ისინი "ქუთაურის გუბერნიის თავადაზნაურთა სიაში" სარეიცხათ და მათთვის ძველი წოდებები და პრივილეგიები დაებრუნებინათ ("დროება", №152, 17 იელისი, 1885 წ.). ამ წერილს 19 პიროვნება აწერს ხელს, მათ შორის თეარ-აღა ფალავა.

მთავრობას მათი იმპერიის თავადაზნაურებად დამტკიცებისთვის საკმარისად არ მიაჩნდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მრავალ პრეტენდენტს, როგორც თურქეთის იმპერიის ქვეშევრდომებს, რუსეთ-თურქეთის ომებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ და ომობდნენ კიდეც. გასაგებია რუსული მხარის პოზიციაც, მათ არ სურდათ ეთფილი მოწინააღმდეგების და პოტენციურად არალოიალური პირების წინწაწევა. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის არისტოკრატიის ცალკეულ წარმომადგენელს უწინ დე ფაქტო მათ საკუთრებაში მყოფ მამულებს ზოგჯერ უბრუნებდნენ (როგორც წესი, არასრულად), პენსიებსაც უნიშნავდნენ, მაგრამ ოფიციალურად, ხენატის პეროლდიის დეპარტამენტის მიერ არც ერთი იყო დამტკიცებული იმპერიის თავადად ან აზნაურად (შეიძლება იყო თითო-ოროლა გამონაკლისი, მე პირადად მიძებნია, მაგრამ ვერ ვიპოვნე). 1877-78 წწ. ომის დასრულებიდან დაახლოებით 30 წელიწადში, ალბათ ადგილობრივ მოსახლეობაში დასაყრდენის მოპოვების მიზნით, ბათუმის ოლქში თავი იჩინა გარკვეულმა ძალისხმევამ: ოლქის მუსლიმანი მოსახლეობის წოდებრივი უფლებების გამოსარკვევად 1911 წელს შეიქმნა სპეციალური კომისია. მსურველებს შეეძლოთ წარმოედგინათ წოდებრივი უფლებების დამადასტურებელი საბუთები (უმრავლეს შემთხვევაში ოჯახების წარმომადგენლებს ეხენი რეალურად არ ჰქონდათ), კომისიას დაკვნები შეიძლება დამყარებული ყოფილიყო იმაზე, რომ ადგილობრივი სელისუფლებისთვის ცნობილი იყო, რომ პრეტენდენტი მიეკუთვნებოდა პრივილიგირებულ კლასს, ეს დასტურდებოდა ნაფიცი მსაჯულების მოკვლევით, არჩეული წოდებრივი წარმომადგენლების ჩვენებით. კომისიას ჰქონდა უფლება წარმოდგენილი დოკუმენტაცია ეცნო სანდოდ თავადის, აზნაურის ან საპატიო მოქალაქის წოდების მისაღებად. საბოლოო დამტკიცებისთვის საჭირო იყო შემდეგი ბიუროკრატიული საფეხურების გავლა.

აღსანიშნავია, რომ კომისიაში, გაურკვეველი მიზეზების გამო, განცხადება არ შეუტანიათ მთელი რიგი ცნობილი ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლებს. შესაბამი-

სად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დოკუმენტების წარმომდგენთა სია სრულად არ მოიცავს აჭარაში (ბათუმის ოლქში) მცხოვრებ ყველა თავადაზნაურულ ოჯახს.

ზემოდხსენებული კომისია მუშაობის წარმართვისას სხვასთან ერთად მოწმეების ჩვენებებსაც ეყრდნობოდა. უპირატესად მოწმეებად წოდების ან ჯილდოების მქონე და რუსეთის ხელისუფლების მიერ აღიარებული პირები სახელდებოდნენ. მათ შორის იყვნენ ხასან ბაირახტარ-მოლა-ოღლი, მეელუდ ხაჯი-ეფენდი-ოღლი, მემედ-აღა ეფენდოღლი, ისმაილ ალი ბაირახტაროღლი, მემედ-აღა ეფენდოღლი, ხასან ფაყაძე, შერიფ ინანოღლი, ალი ინანოღლი [ფაყაძეებს ფაღავების განშტოებად მიიჩნევენ. ამასთანავე ცნობილია, რომ თურქეთში ფაღავები ძირძველ გვართან ერთად ზემოდაღნიშნულ თურქულ ზედსახელებსაც იყენებდნენ – იხ. ამ კრებულში გამოქვეყნებული ნარკვევი "ფაღავები" ყარამან ფაღავას ავტორობით].

მათ შორის, ვინც 1911-12 წლებში თხოვნით მიმართა კომისიას, რათა აზნაურობა მინიჭებოდათ იყვნენ - ფაღავა იბრაიმ-აღა მოლა-ემინის ძე, მემი-აღა გენჯალის ძე, ხასან-აღა ისაკის ძე, ხასან-აღა ხაჯი-ბაირახტარის ძე (ყოროლისთავი, კინტრიშის უბანი).

ზემოდაღნიშნულ ოქმებში მოცემულია თავადი (ბეგი) ფაღავების (მოლოღლების) სია ყოროლისთავიდან: ალი ჯასიმის ძე, ქაზიმ ახმედის ძე, ხემიდ ახმედის ძე, ხუსეინ არიფის ძე, შეკქეთ არიფის ძე, ხასან არიფის ძე, მემედ არიფის ძე, მიქთათ არიფის ძე; ასევე აზნაური (აღა) ფაღავები (ეფენდოღლები) ყოროლისთავიდან – ახმედ-აღა და სულეიმან-აღა ხუსეინის ძენი და ისმაილ – ორთაბათუმიდან.

გვრჩება შთაბეჭდილება, რომ 1917 წლამდე მაინც თავადასაურთა წარმომადგენლები, როგორც წესი, სახელდებოდნენ (ოფიციალურ დოკუმენტებშიც კი) ტიტულიანად – სახელს ბეგი ან აღა ემატებოდა. ეს მიუთითებს იმაზე რომ, თავადისა თუ აზნაურის წოდების დამტკიცების პროცესში ბიუროკრატიული წინაღობების მიუხედავად, საზოგადოება მათ

ისედაც წარჩინებულებად მიიჩნევდა. სხვათაშორის ერთი ანალოგიის მოყვანაც შეიძლება: თანამედროვე გერმანიაში ტიტულები აკრძალულია, მაგრამ მათ ყოფილ მფლობელებს მიეცათ უფლება ტიტული გვარის ნაწილად გაფორმებულიყო, ასევე იყო, როგორც ჩანს, აჭარაშიც.

აჭარაში თავადაზნაურობის (მათ შორის ფაღავების) შესახებ შესაძლებლად სრული სურათის მისაღებად შემდგომი კვლევებია საჭირო და, პირველ რიგში, საბუთების მოძიება.

ხიმონ სხირტლაძე

მჭევრმეტყველი ქართველი ქალი[1]

... ქვეყნის ერთგულ-მოყვარული, ქმარ-შვილისათვის თავდადებული, დარბაისლურად ზრდილი და საუბრის დროს ტკბილ-მოქართულე, მართლა რომ მადლსა ჰყენდა გარეშემოს.

ა კ ა კ ი

ორატორული ხელოვნების საკაცობრიო საგანძურში განუმეორებელი ორიგინალობით ბრწყინავენ ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების შედევრები. ზეპირი მეტყველების ეს უმაღლესი და უმშვენიერესი ფორმა არც მსამსარეულად მიგვიღია საიდანმე და არც სახელდახელოდ შეგვიმუშავებია.

ქართული მჭევრმეტყველება მარტოოდენ სახოტბო-საზეიმო ხასიათისა როდია. მასში, როგორც სარკეში, უკუფენილია მთელი ერის საზოგადოებრივი ყოფა, მისი ჭირი და ლხინი, მისი ვაჟკაცური შემართება დამპყრობი მოძალადეებისა, უსამართლო და უვარგისი სოციალური წყობილებისადმი.

კასმულსიტყვაობის ამ მომხიბლავ ნიმუშებში ხშირად ტრაგიკული აკორდებიც გაისმის, გამოწვეული რაიმე სახალსო უბედურებით, ამა თუ იმ შესანიშნავი პიროვნების დაკარგვით.

მაგრამ საერთოდ, ისტორიულად, ქართულ ორატორულ ხელოვნებას, ისევე, როგორც ჩვენს ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურას, დაცემულობის განწყობილება როდი ახასიათებს. მტკიცე ხელით და ლოგიკური თანმიმდევრობის განსაცვიფრებელი ძალით ნაჭედ სტრიქონებში აწეული ტონით გაისმის განუხრელი რწმენა იმისა, რომ მუხის დაცემა არ ნიშნავს ფესვებგარი ჯიშის მთლიან მოსპობას, რომ ისტორიული ბედუკულმართობის შედეგად დატეხილი უბედურება არ შეიძლება იყოს

[1] წიგნიდან ხიმონ სხირტლაძე "გადანახული საგანძური", თბილისი, 1965

მარადიული, რომ უკეთეს მომავალზე ხელის ჩაქნევა, ბრძოლაზე ხელის აღება ნიშნავს სიკვდილს.

კლასიკური მჭევრმეტყველების ამ სწორუპოვარ შედევრებში მთელი სიძლიერით ჩქეფს ქებათა-ქება ყოველივე დიადისა, რაც ვრის ზნეობრივ ამაღლებას და გონებრივ წარმატებას ემსახურება. ამ ძვირფას მარგალიტებში უთვალაე ფერებად ბრწყინავს ქართველი დედების მადლი, წინაპართა საქმენი საგმირონი, მათი აზრისა და მკლავის ძალა, სულიერი ახოვანება. ამაევ დროს, ორატორის ბაგეთაგან წამლეკავი ტალღების მქუხარებით გაისმის ზიზღი და კრულვა ფლიდისა და ორგულისა, სამშობლოს განსაცდელის ჟამს ბოსლის ყურეში ძილად მიგდებულისა.

ჭეშმარიტად დიდია ორატორული სიტყვის ზემოქმედების ძალა! მას შეუძლია შეცვალოს, თავდაყირა დააყენოს ჩვენს წარმოდგენაში დღემდე განმტკიცებული დოგმები, ფეტიშად ქცეული აზრები.

იცის რა ორატორმა ჩვენი სიტყვის უძლურება, გულთამხილავი ძალით იჭრება ჩვენს სულსა და გულში და ჩვენც ხარბად ეუღებთ გულის კარს მის მღელვარე სიტყვებს. ამ სიტყვებში არა მარტო ეეძებთ და დავტირით ჩვენს გაფრენილ ბედნიერებას, არამედ ნუგეშით ვეგებებით ხვალინდელ, კიდევ უფრო პირმომცინარე დღეს.

დიახაც რომ ქებათა-ქება ეკეთვნის სიტყვის დიდოსტატს! ჩვენს სათქმელს ის ასჯერ და ათასჯერ უკეთ ამბობს, ამზეურებს, ჩვენს მოსლეავებულ, მაგრამ გამოუთქმელ გრძნობებს ხორცს ასხამს, უმშვენიერეს მხატვრულ ფორმებში ხვევს.

* * *

ქართული ორატორული მჭევრმეტყველება ისევე ძველია, როგორც მისი შემქმნელი ერის ისტორია, ისევე მომხიბლავი და დრმაააზროვანი, როგორც მისი სულიერი და მატერიალური კულტურის საკვირველებანი.

ეს სწორუპოვარი ნიმუშები ერის სულიერ სალაროს ისეთივე სიდიადეს მატებენ, როგორც რუსთაველის უკვდავი პოემა, დ. გურამიშვილის ლექსთა კრებული, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის პოეტური ქმნილებანი, როგორც თამარის კოშკები, დავითის გელათი, სვეტიცხოველი, სიონი.

რომელი და რამდენი ერთი დავასახელოთ! მსოფლიო'ში ალიარებულ რომელ ოქროპირთა სიტყვებს ჩამოუვარდებიან თავისი შინაარსით ან სიტყვაკაზმულობით არსენ ბერის, სოლომონ ლიონიძის, გაბრიელ ქიქოძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო დადიანის და სხვათა ორატორული მჭევრმეტყველების ნიმუშები! როცა ამ შედევრებს კითხულობთ, გაოცებული რჩებით წინადადების წყობით, სიტყვათა ლოგიკური შედეგებით, მხატვრული ვირტუოზულობით, რომელნიც საბოლოოდ აზრისა და გრძნობის ერთ დიდებულ და დასრულებულ გრეხილს ქმნიან.

ერის რჩეულთა ამ სიტყვებში მკაფიოდ ეღერს არა მარტო დრტვინვა და ჩივილი უვარგის აწმყოზე, არამედ ისიც, თუ რანი ვიყავით გუშინ, რა ღირსებით ბრწყინავდა ჩვენი წარსული. კიდევ მეტი, ამ სიტყვებში მთელი ძალით ჩქეფს ნათელი რწმენა უკეთესი მომავლისა, ჰიმნი ბრძოლისა და შრომისა. ჩვენი ეროვნული მჭევრმეტყველება საქართველოს ჩახჩახა მზის სხივებითაა მოოქროვილ-მოვარაყებული, ცისარტყელას ფერებ'შია გავლებული: მასში გაისმის ლომის გრგვინვა, არწივის ყაშყაში, მტრედის ღუღუნი, იადონის სტვენა-ბალობა, თერგის ყეფა, რიონის ქუხილი, მტკვრისა და ალაზნის დუდუნი, მთის ანკარა წყაროთა რაკრაკი.

* * *

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ძირითადი ნიმუშები მეფეების, სასელმწიფო მოღვაწეების, მხატვრული სიტყვის ოსტატების, ეკლესიის მსახურთა ბაგეთაგან დარხეულა. ფრიად საყურადღებოა, რომ ამ მხრივ ნაკლებად ბრწყინავენ დაბალი ფენები. ცხადია, ეს გარემოება მათი სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. რაც შეეხება ქალს, თუ მისი ნიჭი წარსულ'ში მთელი ძალით არ გამოსხივებულა, ამაში მარტო მას ნუ დავდებთ ბრალს. უკიდურესად შეზღუდულს, მხოლოდ და მხოლოდ საოჯახო საქმიანობაზე მიჯაჭვულს, ქალს არ შეეძლო მოვლენარე სულიერი ძალები აემოქმედებინა, მთელი ძეხაძლებლობით გაეშალა.

ქართველ დედათა პლეადიდან მხოლოდ ერთი ქალის, და ისიც დიდებული თამარის, ორიოდე ორატორული სიტყვა შემოგვრჩა (ერთი თქმული დარბაზში ეკლესიის უზენაეს

მსახურთა მიმართ და მეორე – მხედრობის წინაშე შამქორის ომის წინ).[1]

უდავოა, ორატორული ხელოვნების თავისებური ნაპერწკლები ციმციმებენ მე-17-18 საუკუნის ქართველ პოეტ ქალთა მხატვრულ ნაწერებშიც. ამ მხრივ მხედველობაში გვყავს ცნობილი პოეტი ქალი მანანა და დები ბატონიშვილები. განსაკუთრებით კი ერეკლე მეფის უმცროსი, უსაყვარლესი ასული თეკლე („თეკლა ბიჭი"), რომელმაც თავისი ძალგულოვანი მამის სიკვდილით გამოწვეული სევდა საუკეთესო რიტორიკულ ფორმებში ჩამოასხა და წერილის სახით გარსევან ჭავჭავაძის მეუღლეს – მაიას შესტირა. რა თქმა უნდა, აღარაფერს ვამბობთ იმ დიდ ამაგზე, რომელიც სხვადასხვა დროს ქართველმა ქალებმა დასდეს საერთოდ ქართულ კულტურას, მწიგნობრობას, წიგნების გადაწერა-მოკაზმვას, ხელრთვა-კალიგრაფიის საპატიო საქმეს.

ამჯერად ჩვენ ის ქალები გვაინტერესებს, რომელთაც ქართული ორატორული ხელოვნების საგანძურში რამე წვლილი შეუტანიათ, „ტკბილქართულით" ჟღერადი ბაგე გაუპიათ. ვიმეორებთ, მაღალი სოციალური მდგომარეობის ქალთაგან ჩვენამდე მხოლოდ თამარის საჯარო სიტყვებმა მოაღწიეს და ეს სიტყვებიც მხოლოდ სადარბაზო მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუშებია. საკუთრივ მართებულად შენიშნავს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის მკვლევარი ნ. კანდელაკი, როცა წერს: „ამ აღორძინებას არ შეიძლებოდა ჩამორჩენოდა ქართული მჭევრმეტყველება და, გვაქვს საფუძველი აღვნიშნოთ, არც ჩამორჩენია. თამარის ეპოქაში განსაკუთრებით განვითარდა სადარბაზო მჭევრმეტყველება".[2]

როგორც აღვნიშნეთ, მდაბიო წრიდან გამოსული ქართველი ქალის ორატორულ სიტყვას (ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით) ჩვენ ვერ ეხედებით. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ვინმე ქიზიყელი ქერივი დედაკაცის მიერ ერეკლე მეორის ზარით დატირება. სოლომონ ლიონიძის სიტყვის შემდეგ თუ რა ხელის დამრევი ზემოქმედება მოუხდენია მსმენელთა სულსა და გულზე ამ მართლაც და საისტორიო ქალის დატირებას, მოვუსმინოთ თეიმურაზ ბატონიშვილს:

---

[1] ნ. კანდელაკი, ქართული მჭევრმეტყველება, 1958 წ., გვ. 159.

[2] ორიგე სიტყვა შეტანილია დოც. ნ. კანდელაკის მიერ სამაგალითოდ შედგენილ კრებულში „ქართული მჭევრმეტყველება".

„იწყო ამან სმითა მაღალითა ტირილად. ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა ტირილისა მას შინა მოიღებდა თვითეულთა ღირს სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ეოველნი მსმენელნი სიტყვათა მით უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ და განუკვირდებოდათ თუ ვითარ ერთმან მსოფლიოშან დედა-კაცმან ესრეთ შესაბამისა სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა“. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართული სამგლოვიარო რიტუალის მიხედვით ძველ ქართველ ქალებს მიცვალებულის მოთქმით დატირება (ე.წ. ზარი) უფრო ეხერხებოდათ. ქიზიყელი დედაკაცის ეს დატირება კი ერთგვარი გამონაკლისია, რადაც მაღალი საფეხურია. საოცარი ისაა, რომ ეს ცამდე ასული გოდება ამავე დროს მოხდენილი სამოსი ყოფილა ღრმააზროვანი, მკაფიოდ გამოკვეთილი რიტორიკული სიტყვებისათვის.

როგორც ირკვევა, ჩვენთვის დღემდე უცნობი კახელი ქალის ეს ზარით დატირება ქართული ხალხური მჭევრმეტყველების უმაღლესი სახე უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამჯერად ჩვენ სულ სხვა ვინმე გვწადია წარვუდგინოთ ქართველ საზოგადოებას, პირველ რიგში კი – ქალებს.

ლაპარაკია დარია ფაღავაზე, რომელიც თავის დროზე ფიზიკურადაც და – რაც უფრო სათაყვანოა, - სულიერადაც აცისკროვნებდა „მშვენიერთა მარაქას“.

* * *

არავითარი კლასიკური განათლებით არ ბრწყინავს სახელი იმ ქალისა, ვინც ამიერიდან მტკიცე და საპატიო ადგილს იკავებს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში.

თამარის შემდეგ, ქრონოლოგიურად, დარია ფაღავა, მგონია, მეორე ქალია, რომელმაც ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ერთადერთი, მაგრამ ნამდვილად ობოლი მარგალიტი დაგვიტოვა. და ეს მით უფრო საკვირველია, რადგან თვითნასწავლ ქალს ეს სიტყვა რომ წარმოუთქვამს, 26 წლისა ყოფილა.

მხედველობაში გვაქვს დარია ფაღავას სიტყვა თქმული 1896 წლის 10 მარტს, გელათში, გაბრიელ ქიქოძის კუბოზე.

როგორც ცნობილია, „მსოფლიოში სახელგანთქმული მქადაგებლის“ (მ. ჯანაშვილი) და „ღრმად მოწყენილი მეცნიერის“ (ილია ჭავჭავაძე) გაბრიელის გარდაცვალებამ ქართველი ხალხის საყოველთაო გლოვა გამოიწვია. ანტონ ფურცელაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ერი დასტიროდა მქადაგებელს მეცნიერს, მქადაგებელს მებრძოლს წინააღმდეგ ყოვლისა ბოროტებისა, მძლავრობისა, ძალმომრეობისა, უსამართლობისა, ჩაგვრისა“.[1]

აღსანიშნავია, რომ გაბრიელ ქიქოძის დაკრძალვამ ქართულ ორატორულ მჭევრმეტყველებას რამდენიმე სწორუპოვარი შედევრი შესძინა. საკმარისია დავახელოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკის, გ. წერეთლის, ნიკო დადიანის, ილია ხონელის (რუსულად), გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის), ვასილ მაჩაბლის (ივანე მაჩაბლის ძმის) დიდი ორატორული ხელოვნებით შეზავებული სიტყვები.

მათ რიცხვში ბრწყინავს ორატორთაგან ერთადერთი ქართველი ქალის დარია ფალავას სიტყვაც, რომელსაც მაშინვე უჩვეულო შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე, პირველ რიგში, დიდ ილიაზე. და მართლაც, ახალგაზრდა, ოჯახურად აღზრდილი ქართველი ქალის ეს სიტყვა ბრწყინვალეა არა მარტო გარეგანი სამკაულით, არამედ შინაარსითაც.

დარია ფალავას სიტყვაში ჰარმონიულადაა შეზავებული ორატორული ხელოვნების სამი საკალდებულო მხარე: შინაარსი, ფორმა და შესრულება.

როგორც წესი, ნიჭიერი ორატორი წინა პლანზე აყენებს შინაარსს, ე.ი. მთელი დატვირთვით, ყურადღების მთელი დაძაბულობით გვავალებს მოვისმინოთ, შეეიგნოთ მიცვალებულის საერო და საზოგადოებრივი ღვაწლმოსილება, მისი სულიერი ახოვნება, სიდიადე. ფრიად საყურადღებოა, რომ ორატორის სიტყვის შინაარსობრივ მხარეს ფლობს ძლიერი ოპტიმიზმი, უკეთესისა და უკეთესის მოლოდინი. მოვუსმინოთ სტრიქონებს: „ამისთანა უაღმატებულესი და დიდბუნებოვანი შვილის წართმევა საქმეზედ ისა და მის ერს ისე ჰხდის, როგორც რომ მშვენიერ ბაღში ხეებს ქერქის გართმევა და შტოების აღკვეცა. მაგრამ მას კი ჯერ ფესვები არ ეახმობია, მაშასადამე კელავ აქვს საკმაო სინედლე დარჩენილი,

[1] „იბერია“, 1896 წ., № 33.

რომლითაც კვლავ ისხამს თავს“. მაგრამ მიცვალებულის გასაპატიოსნებლად, მის ასამაღლებლად ორატორი მარტო მშრალი, ერთმანეთ'ხე მიყრილი სიტყვების გროვას როდი ენდობა. ამ სიტყვებს იგი სათანადო მხატვრული ფორმით, კაზმული გამოთქმებით უდგამს სულს, მიაქვს მსმენელის გულთან და ამით დაუვიწყარ ხატებას ქმნის იმისას, ვინც, დ. ფალავასავე სიტყვებით რომ ვთქვათ: „მისის კეთილგონიერებით ქვეყანაზე მაღლა იდგა და კაცთა შორის უმანკოდ და ღმერთთან კი ასლოს“.

ფორმის მსრივაც დ. ფალავას სიტყვა უნაკლოა. წინადადებათა სინტაქსური წყობა, შედარებები, ჰიპერბოლები, ეპითეტები, განმეორება, ინვერსია და სხვა მხატვრული სამკაულები სრულ ჰარმონიაში იმყოფებიან სიტყვის ცენტრალურ მხარესთან – შინაარსთან.

რაც შეეხება შესრულებას, ე.ი. თვითონ წარმომთქმელის სხეულის დაჭერას, ჟესტებსა და სახის მიმიკას, ამ მხრივ შეგვიძლია იქ დამსწრე მიხეილ სხირტლაძის ზეპირგადმოცემა დავიმოწმოთ.

„ვისაც ოდნავ მაინც ახსოვს გაბრიელის დიდებით დაკრძალვა, - იგონებდა მიხეილ სხირტლაძე, - მას არასოდეს დაავიწყდება ცისკენ მიპყრობილი ღრმადმეტყველი თვალები ახალგაზრდა ორატორი ქალისა, რომლის ქვადქცეული ფიგურაც არღაყანისფრად გაპობილი ბაგიდან ბგერადი, მაგრამ მეტად საამური ტონალობით აფრქვევდა ხავერდოვან ხმებს“.

ამ გასაოცარ ურთიერთობას ორატორსა და მრავალრიცხოვან მსმენელს შორის, ალბათ, კიდევ უფრო რომანტიკულსა ხდიდა და რაღაც იდუმალი გრძნობით ამაღლებდა გელათის დიდებული ტაძარი, მდუმარე გარემო, გარინდული თაღების ექო, რჩეული საზოგადოება და იქ მყოფი ილია ჭავჭავაძის შარავანდედი . . .

მოდით ჩვენს ოცნებაში წარმოსახვის მთელი ძალით გავაცოცხლოთ მადლიანი ქართველი ქალი და მოკრძალებით მოვისმინოთ სიტყვა, რომელშიც უთუოდ იგრძნობა კოლხიდის რიტორიკული სკოლის შორეული სურნელება“.[1]

---

[1] დარია ფალავას ეს სიტყვა აკაკის რჩევით, მისსავე სიტყვასთან ერთად, შეუტანიათ სპეციალურ კრებულში - „სულმნათი გაბრიელის საუნჯე“, რომელიც ქუთაისში გამოიცა 1897 წელს.

„ისე ძლიერია სასოება რწმუნებულთადმი, რომ მეც კი, ერთი უსუსურის პირის ქალსაც ენას მადგმევინებს სალაპარაკოდ ამ საკვირველ ტაძარში, ბრწყინვალე საზოგადოებათა შორის.

დიდი თუ მცირე ყველა ქართველთაგანი საკმაოდ გრძნობს ამ დიდად სამწუხარო შემთხვევას, ყველა გლოვობს, ყველა სტირის და სამძიმრობს ურთიერთშორის ამ საუბედურო მოელენას. და სწორედ რომ საშიშარია ჩვენთვის ეს დღე, - ვის ჰკარგავს დღეს საქართველო და ვის გვასალმებს სამუდამოდ ულმობელი სიკვდილი? იმას, ვინც მისის კეთილგონიერებით ქვეყანაზე მაღლა იდგა ყაცთა შორის უმანკოდ და ღმერთთან კი ახლოს.

ჩვენ ვხედავთ დღეს აქ იმ უმჯობეს კაცის უბიწო ცხედარს და თაყვანსა ვცემთ იმის ღირსეულს, პატიოსანს გვამს, რომელიც იყო უწარჩინებულესი მოძღვარი, სამაგალითო სულიერი მამა და მისის სიცოცხლის უკანასკნელ წერტილამდის განუდგომელი მოღვაწე თავისის სამწყსოსათვის. იშვიათია ჩვენში ისეთი ვინმე ჩამორჩენილი და ჩვენი ეროვნული ღირსებისაგან გამოწყვეტილი კაცი, რომელსაც არ გაეგონოს ამ ნეტარ სსენებულის დიდკაცობა.

არ არის დაფარული გაბრიელი და მისი სანეტარო ცხოვრება, არამედ თვალსაჩინოა, მაგალითად დასადები ყოველი მისი საქმე, რომელმან არ მოარიდა პირი არავითარ ჯეროვან შრომას, არ შეუშინდა არც ერთჯერ ეკლიანსა და ბნელით მოცულ გზათ; გაიარა პირნათლად ყოველ მსოფლიო შემთხვევაში და დააღწია ჭეშმარიტებას ისრე, როგორც მზე აღმოსავალით დასავალს.

მან გაარღვია ხალხის გულში შესავალი კარი, ხელში დაიჭირა ხალხთა გონების გასაღები; დაურეკა ყველას გრძნობის გასაღეიძებლად და გადაუშალა მათ გზა სწავლა-განათლებისა.

ვინ არ იცის ამისი ღირსება: ამისი ღირსება იყო ზეგარდმო-შთაგონებითი ნიჭი, ამისი გონება იყო განათლება, ამისი ზრუნვა იყო საზოგადო საკეთილდღეო მოღვაწეობა და ამისი მისწრაფება – საყოველთაო მშვიდობა.

ის იდგა ცნობიერების მწვერვალზე და ერთხელაც არ მომწყდარა მისგან; მან დასთესა ქვეყანაზე სიტყვით მარგალიტი და მოიმკო საქმით ყოველი კეთილი. ბევრი იპოვნა მან დაკარგული, ბევრი შემატა ცხოვრებას და ბევრი უსუსური

მოასულდგმულა, გამოასათუთა სასიცოცხლოდ! ეხლა კი ამიერიდან გეტოვებს, გეშორდება და უკანასკნელ ამბორებას ვაძლევთ მას, ამ მეცნიერებით მხედველს და სიბრძნის მეოფელს კაცთ-მოყვარე უგანათლებულეს შვილს ჩვენის ერისას.

ერთი სიტყვით, დაუნდობელია ეს წარმავალი ქვეყანა! მას უყვარს ჩრდილი და მზად აქვს შავი ზეწარი: სოფელი ვერ დაუშვებს ხანგრძლივად ადამიანთათვის საკეთილმყოფო განთიადხ; იგი გამოგვაცლის, რაც უკეთესია კაცობრიობაში; და აი, ეს არის საწუთრომ ჩამოგვაფარა ქართველებს სამგლოვიარო ფარდა.

ოჰ, ვერ ძალმიძს იმის გამოთქმა, თუ რაც მწუხარება გულზე მაწვება. ასრე მგონია, დღეს შეშრა ჩვენის საქართველოს კლდეებს შორის ის მშვენიერი და საშუალო წყარო, რომელიც გადმორწყავდა დედამიწის გაგვალულ მიდამოს და ამალხაზებდა ყოველსავე მისსა ფარგალში.

აღარ გვყოფს აწი ეს ჩვენი ღირსება და ჩვენი ერის ის უფროსი შვილი, რომელსაც აუფროსებს მომავალში ქართლის ძეთა უკანასკნელი მეცნიერება.

ეს სტოვებს დღეს იმ ხალხს, რომელმაც თვით ეს მაღალი დაბადა, ეს მიებარება დღეს იმ ქვეყანას, რომელმაც მას კაცობრიულად სიყვარული შთაუნერგა და ეს გაუფრინდა იმ ერს, რომელმაც მას სიცოცხლე, ღირსება მიანიჭა.

ამისთანა უალმატებულესი და დიდბუნებოვანი შვილის წართმევა სამშობლოსა და მის ერს ისე ჰხდის, როგორც რომ მშვენიერ ბაღში ხეებს ქერქის გართმევა და შტოების აღკვეცა, მაგრამ მას ჯერ ფესვები არ გახმობია, მაშასადამე კვლავ აქვს საკმაოდ სინედლე დარჩენილი, რომლითაც კვლავ ისხამს თავს.

ბუნებამ თავისი იცის! თუმცა რომ ამ სანუგეშო ნაშთს შეისვენებს ამიერიდან სამშობლოს კეთილი აკლდამის მკერდი და ვერ ვიხილავთ მის უმანკოს და ბრწყინვალე სახეს, რის გამოც ჩვენ ყოველნი ერთობით მოვაკლდებით საუკეთესო სიამოვნება-კმაყოფილებას, მაგრამ არც ისე ხელცარიელი და უიმედოდ დავრჩენილვართ ამისგან, რომ მაგ დიდებული კაცის ხსოვნება ჩვენ შორის შესულ-ხორცებით არ ცოცხლობდეს.

ეს იყო სამშობლოსათვის სახიქადულო ძე და აწიც უეჭველია სამარადისოდ არ გაცვეთება მაგის სახელი საქართველოში და არამ თუ მარტოდ თვისსა სამშობლოში,

საკუთარ მოძმეთათვის არიან სახსოვარი და სასარგებლო ამისთანა პირები, არამედ ყოველი სხვათა გარეშე ქვეყნისა და უცხო ხალხისათვის არიან ისეთნი, როგორიც არის დღეს ორთავ ძუძუ მწოვარი ძისა, გინა ასულისათვის.

ამისთანა სულით და საქმით უკვდავ მუშაკს არ ეტყვიან მოკვდაო, - მას იცნობენ და გაიცნობენ ყოველი სიბრძნის მოყვარე პირები, მას ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში, ყოველ განათლებულ სხდომაში უჭირავს მაღალი ადგილი; მისთვის მზად არის სკამი პატივცემული და საჩუქრები გონიერებისა, ეინაიდან მის დღეში არ დასცხრება მისი ჯავარი. მას ვერ გააქრობს ზოგიერთი ცრუ და ობიანი მეჭორე პირნი ისრე, როგორც მზეს ვერ გააქრობს ქარი; ვერც მის ხსენებას ვერ აღმოხოცს კაცობრიობაში ვინმე, როგორც ვერ დააშრობს მდინარე წყალს ერთი ნაკვერჩხალი.

დიდებული მწყემსთ-მთავარო, არ დაგიეიწყებს შენი სამშობლო, ეიდრემდის ქვეყანას პირი შერჩება და საქართველოს მისი ღირსება.

ყოველი შენი მოღვაწეობა ისტორიულად გარდაეცემა აწმყოს, განვლილი საუკუნეებიდამ გადაითელება დადგენილებში და ყოველი ჩვენი ერის სხვადასხვაობაში შენ იქნები უკეთილესი გასაგონარი და ცხოველი სახსოვარი, როგორც რომ ყოველი თვის დადეგში განახლებული მთვარე.

შეუწყვეტელი შრომაა უკანასკნელი შენი ანდერძი და შეუწყვეტელი დაგრჩა ხსენებაც.

შენ დგახარ დაურღვეველი სიმართლის ნიადაგზე და მაღლა გაყენებს თვით შენი საქმე.

ჩვენ არ გაქებთ შენ, არამედ შენ აქებ იმ ხალხს, რომლის ნაყოფიც შენ ხარ! წინ მიგვიძღვის ლამპარი დაუმსებელი და მიემთხვევი ვარსკვლავს განთიადისას და სიცოცხლისას.

გიგულვებთ ისევ ცოცხლად და ჩვენთან მყოფელად.

გვეყოე მეოხათ ღვთის წინაშე და მოგვანათე შენი რჩეულთა შორის გამოუყოფელი შარავანდი, რათა ერთის სიდიადითა და ერთის ერთგულის ღირსებით ბრწყინავდეს მთელი საქართველო.

ვიცით მდიდარი ხარ და არ ითხოვ ხვეისაგან ქებას, ვიცით უხვი ხარ და არ ეტრფი არვისგან დიდებას, ვიცით შენ შეიწირავ მცირე წვლილსაც.

რადგან შენ შეგიძლიან ჩაიხედო ადამიანის გულის სიღმეში და არა მარტო სიტყვაში, ვიმედოვნებ, მიიღებ ამ ჩემს ღარიბ სიტყვასაც და მაპატიებ, ნეტარ ხსენებულო იმას, რაც ვერ შეგაწერე შენს ჯეროვანებას“.

დაამთავრა თუ არა ორატორმა სიტყვა, მიხვილ სხირტლაძისავე მოგონებით, ნიკო დადიანი მიიჭრა მასთან და ნიშნად აღტაცებისა მამაშვილურად გადაკოცნა.

არ გაუვლია ორ წუთსაც და ხალხში ჩურჩული გაისმა: „ილია მოდის, ილია“. მართლაც, ახლად გაჭრილ სამარეხთან ილიას ბრგე ფიგურა აღიმართა. ამ დაუვიწყარ წუთს ასე იგონებს შალვა დადიანი: „ჯერ არ იწყებს სიტყვას, მესმის მისი გულის ბაგა-ბუგი, მკერდი ადის და ჩადის... დაიწყო, გარედან თითქოს დამშვიდდა, მაგრამ მკერდი მაინც ადის და ჩადის, ისე ახლოს ვდგევარ, რომ თვალნათლივ ვხედავ, მესმის მისი გულისძგერა, ამ მკერდიდან ამომხდარი ხმები“[1].

წინა ორატორთა გამოსვლას და, კერძოდ, დარია ფალავას სიტყვას იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ ბუმბერაზზე, რომ თავისი ქებათა-ქება, მიძღვნილი გაბრიელისადმი, ასე დაუწყია:

„არ ვიცი, ამდენს მშვენივრად თქმულს სიტყვებს შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ რაც გინდ ბევრი ისურვოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს რა ღირსი თქმისა და ზოგი იმისთანაა, რომ სათქმელი ზღვაა“.

უკანასკნელი ფრაზებიც – და დიდმა ოქროპირმა გაბრიელის უსარმაზარი პორტრეტის მოხატვა დაამთავრა, ისეთი ხელთუქნელი ძეგლი აღმართა, რომელსაც, ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ ვიცით, რომელ მხრიდან დაეუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველ მხრიდან დიდებული სანახავია“.

შეღამდა. პროცესია დაიშალა. საზოგადოებამ ერთი გზით მიმავალ ორ ადამიანს გააყოლა თვალი, მათი სიტყვები და ხახე აღიბეჭდა ხსოვნაში. ერთი მათგანი დიდებული ილია იყო, მეორე კი დარია ფალავა.

---

[1] შ. დადიანი, რაც; გამახსენდა, 1959 წ., გვ. 92.

* * *

ჩვენ აქ გვინდოდა დაგვესვა წერტილი, მაგრამ ეიცით, მკითხველს გული დაწყდება. კიდევ მეტი, - უკმაყოფილოც კი დარჩება. უდავოა, მას სწადია იცოდეს, თუ ვინ იყო დარია ფალავა, ეს მართლაცდა, „სასიქადულო ქართველი ქალი“ („ივერია“).

დარია ფალავას შეხახებ ბევრს ვერაფერს გვეტყვის იტალიური მარმარილოსაგან გამოკვეთილი ძეგლი, რომელიც სოფ. ბანძაში (გეგეჭკორის რაიონი) ახლაც ამშვენებს მის საფლავს.

თეთრი მარმარილოს ქვაზე შავი ასოებითაა ამოკვეთილი მხოლოდ მისი ვანაობა და ამ ქვეყნიდან მიფარების მაუწყებელი თარიღი. წამკითხველს შენდობას ემუდარება ლოდქვეშ მდებარე: „ჩნეინა დარია მურზაყანის ასული ფალავა, დაბადებიდან 30 წლის, გარდაიცვალა 1899 წ. 22 იანვარს“.

ეს არის და ეს... მაგრამ მშობელი ქვეყანა ასე უსმოდ არ მიაბარებდა მიწას იმას, ვინც, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიდრე ცოცხალი იყო, „მადლსა ჰფენდა გარეშემოს“ და თავისი ცხოველი, უაღრესად მჭევრმეტყველური სიტყვების შარავანდედით მოსავდა, ამკობდა და ადიდებდა ერის წინაშე ვალმოხდილ თანამოძმეთ.

რათა კიდევ უფრო სრულად აღგვედგინა ამ მოვიწყებული ქალის პორტრეტი, ჩვენ გულმოდგინედ გადავათვალიერეთ იმდროინდელი ქართული პრესა, მოვინახულეთ მისი შვილები გულნარა და ევგენია ფალავები, შვილიშვილები ია გაბუნია, ცნობილი ექიმი დავით ფალავა, დარია ფალავასაგან შვილივით აღზრდილი ჯ. გაბუნია (იგი ახლაც სიყვარულით უვლის და დასტრიალებს დარიას საფლავს) და მისი ვაჟიშვილი ადვოკატი ალექსანდრე გაბუნია, რომელთაც ბევრი საინტერესო ცნობა მოგვაწოდეს ორატორი ქალის ცხოვრებიდან. გარდა საყურადღებო ცნობებისა, ალ. გაბუნიამ მოგვაწოდა დარია ფალავას პორტრეტიც.

ყველა ამ მონაცემის საფუძველზე, რომელსაც აკაკი წერეთლის მიერ დარიას უკვდავსაყოფად დაწერილი გულთბილი ნეკროლოგიც ასხივოსნებს, ორატორი ქალის ასეთი მედალიონი გვეხატება.

დარია მურზაყანის ასული ფალავა დაბადებულა 1869 წელს სოფ. ზანას (ზუგდიდის მაზრა).

დედიდან მისი პაპა ყოფილა კონსტანტინე აფაქიძე, კაცი თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული; მისი ცოლი, დადიანის ქალი, ახლო ნათესავი ყოფილა ნიკო დადიანისა.

სწორედ ამ ოჯახში დაბადებულა და აღზრდილა ბანძელი გოგონა. აქვე შეუსწავლია წერა-კითხვა, სასულიერო მჭევრმეტყველების შედევრები. დედულეთშივე გაიზეპირა და შეიტკბო უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, ღრმად ისუნთქა რუსთველის ენის სტიქია.

წლებმა სწრაფად გადაიქროლეს... დარია გასათხოვარი ხდება.

დედისერთა, მდიდარ, თვალტანად ქალიშვილზე ბევრს ეჭირა თვალი, ბევრს ეკვეთა მისგან ტრფობის ისარი. მაგრამ წინდახედულ, დინჯ, ზნემაღალ ოჯახზე მეოცნებე დარიას ასე ადვილად როდი მოხიბლავდა საქმურ, ფუქსავატ ნოხოსანთა ცრემლით ნამული სამიჯნურო უსტარები.

რჩეული რჩეულს უხმობდა, გული დაეძებდა გულს.

დარია ფაღავას რომანტიკულ თავგადასავალში მრავალთაგან ერთი ეპიზოდიც სამუდამოდ ჩაიწერა.

ერთმა უგონოდ გამიჯნურებულმა თავადმა, როცა მისგან ცოლობაზე სასტიკი უარი მიიღო, მოტაცება სცადა, მაგრამ მამაცი გოგონა არ დაიბნა, თავსლაფი გადაასხა თოფ-იარაღში ჩამჯდარ „რაინდებს“. იგი ელვის სისწრაფით გადმოეკიდა მაღალ მოაჯირს და ბნელ ღამეს შეუერთდა.

ბანძელ გოგონას ეს „ლეგენდარული ნახტომი“ მთელ დასავლეთ საქართველოში დაირხა, პრესაშიც კი გახმაურდა.

ამ ამბავმა კიდევ მეტი თაყვანისმცემელი შესძინა დარიას და, აჰა, ტოლიც გამოჩნდა. ეს რჩეული გახლდათ მთელ დასავლეთ საქართველოში სილამაზითა და ნიჭიერებით განთქმული, ლიცეუმდამთავრებული იურისტი მექი ფაღავა. მექის სახელს კიდევ უფრო ამაღლებდა ის გარემოება, რომ მას ახლო მეგობრობა და საბანკო საქმეების გამო საქმიანი დამოკიდებულება ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან.

მის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ილიას მიპატიჟება ბანკაში 1885 წელს, როცა დიდი პოეტი, როგორც ქართველთა შორის წ.-კ. გ. საზოგადოების თავმჯდომარე, სამეგრელოს ესტუმრა ნიკო დადიანის (მინგრელსკის) საგვარეულო ბიბლიოთეკის გადმოსაბარებლად.

აქ აღარაფერს ვამბობთ მასპინძელთაგან ილიას გულუხვ მიღებაზე, პოეტის მოლხენაზე, ენამზეობაზე, სამეგრელოს

ხილვით გამოწვეულ აღტაცებაზე. ამაზე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა.

დავუბრუნდეთ ისევ დარიას ფაღავას ცხოვრების გზას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარიამ თავისსავე გვარის, მაგრამ სიახლით შორეულ ვაჟკაცს მექი ფაღავას გაუწოდა ხელი.

აფაქიძეების ძველ ქართულ ოჯახში ტრადიციულად აღზრდილ, შინაური სწავლითა და თვითგანვითარების გზით გონებაგახსნილ დარიას ღირსეულად ეჭირა თავი იმ წრეშიც, რომელიც მექი ფაღავას გარშემო ტრიალებდა. უნდა ვიგარაუდოთ, რომ დარია ჯერ კიდევ გათხოვებამდე სავსებით მომზადებული იყო ცხოვრებისათვის. ნუ დაგვაეიწყდება, რომ ძველ ქართულ ოჯახებში, როგორც ვახუშტიც გვიმოწმებს, ქალების საერთო საქმიანობაში „ცოდნა-ხელოვნების მოყვარულობას“ საპატიო ადგილი სჭერია.

ეს წეს-ჩვეულება ოდითგანვე მთელი ტრადიციულობით იყო დაცული სამეგრელოში. არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც თითქმის 20 წელი დაჰყო სამეგრელოში, წერს: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი“.

რაც შეეხებოდა მათ სულიერ საზრდოს, იმას, თუ რა წიგნებით იკმაყოფილებდნენ გონებრივ და ესთეტიკურ მოთხოვნილებას, ამაზე ჩვენს სახელოვან ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს მოვუსმინოთ: „ისინი ტკბებოდნენ ჩვენს ენაზე დაწერილის ანუ სხვა ენით გადმოღებულის საერო თხზულებებით; კითხულობდნენ უფრო განთქმულს რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც უმშვენიერებდა სიტყვიერებას და განუწმენდდა აზრსა და ზნეობითს გემოვნებას, მრავალთ იცოდნენ ზეპირად; კითხულობდნენ საბერძნეთის ფილოსოფოსთა მშობლიურს ენაზედ, მამათა ცხოვრებასა და საღმრთო წერილებსა“.[1]

არანაკლებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ორატორი ქალის ნათესავი, მწერალი შ. დადიანიც, „ქალი – წერს იგი – არამც თუ ჩვეულებისამებრ მცოდნე იყო ქართული ენისა, „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვადასხვა ხელსაქმისა, რომელიც სავალდებულოც კი იყო მაშინდელი ქართველი ქალისათვის, არამედ საფუძვლიანად იცოდა თურმე, იმ დროის შესადარად,

[1] დ. ბაქრაძე, ქართველი ქალები, 1891 წ., გვ. 9.

საქართველოს ისტორია, ეარსველაეთმრიცხველობა, დიდი ხელთა, რომელიც მეტად რთულს – მთვარისა და მზის, დრო და ჟამის ტრფიალთა აღნუსხვის კომბინაციებს წარმოადგენს. ზედმიწევნით იცოდა საღმრთო რჯული. მაგრამ მარტო ისტორია და ლოცვები კი არა, არამედ დოგმატური გამოკვლევანი და ყოველიეე საეკლესიო წესები და ტიბიკონი".[1]

მართალია, დარია ფალავაც ასეთ ატმოსფეროში იყო აღზრდილი, მაგრამ ახლა, განახლებისა და გრიგალის ქროლვის საუკუნეში, ეს ცოდნა უკვე აღარ კმაროდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საზოგადოებრივი აზროვნების დულილი რომ გეგრძნო, ახალ სოციალურ და პოლიტიკურ ეითარებაში რომ ჩაგეხედა, საჭირო იყო ჩვენი პერიოდული პრესის, ბეჭდვითი ლიტერატურის თვალყურის დევნება.

დარია ფალავა, როგორც გახსნილი გონების ქალი, აქაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა; ქუთაისში ცხოვრების წლებში იგი ძალზე ბევრს კითხულობდა, ასლოს იმყოფებოდა მოწინავე ინტელიგენციასთან, განსაკუთრებით ორ პოეტთან – აკაკისთან და ცახელთან. თავის მხრივ, როგორც ერთი, ისე მეორე მოხიბლული ყოფილა შინაურულად განსწავლული ქალის ნიჭიერებით, მისი მაღალი ზნეობით და ეროვნული იდეალებით. დარია სისტემატურად ესწრებოდა წარმოდგენებს. იგი უღრმეს პატივსა სცემდა ქართული სცენის ვეტერანებს ლადო მესხიშვილსა და ვასო აბაშიძეს, ქალთაგან კი ნუცა ჩხეიძეს, რომელიც მისმა ქმარმა მექიმ მონათლა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დარია ფალავას კულტურულ-საქველმოქმედო საქმიანობა. მან საუცხოო წიგნთსაცავი გახსნა თავის სოფელში და თავისივე ხარჯით ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა გზა ცოდნისა და განათლებისაკენ.

ქუთაისის მოწინავე საზოგადოებაში ტრიალმა კიდევ უფრო გააფართოვა ბუნებით ნიჭიერი ქალის გონებრივი ჰორიზონტი, კიდევ უფრო მეტად აზიარა იგი მოწინავე და პროგრესულ იდეებს.

---

[1] შ. დადიანი, რაც გამახსენდა, 1959 წ., გვ. 259.

* * *

როგორც მშობელი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი და თავისი დროისათვის საკმაოდ განვითარებული ქალი, დარია ფაღავა გულისყურით ადევნებდა თვალყურს ქართულ პრესას, წვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას, აზრთა და იდეათა შეხლა-შემოხლას.

ეროვნულ-გამანთავისუფლებელი ბრძოლის აბობოქრებულ საუკუნეში, რომლის ტალღებიც ილიას ფოლადის მკერდს ეხეთქებოდა, მოწინავე ქალისთვისაც მიუღებელი და დასაგმობი უნდა ყოფილიყო ყველაფერი ის, რაც სახალხო საქმეს ზიანს მიაყენებდა, ეროვნულ შეგნებას დაასუსტებდა, ძირს გამოუთხრიდა.

დარია ფაღავამ „ივერიის“ ფურცლებიდან საინტერესო პოლემიკა გაუმართა გ. წერეთელს, რომელმაც წერილში - „საით მივისწრაფით?“ ქალაქის მომავალ არსებებთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, ტენდენციური თვალსაზრისი განავითარა ზოგიერთი საკითხის ირგვლივ.

გამოხენილ ბელეტრისტთან და საზოგადო მოღვაწესთან კამათის დროს, ზოგიერთი თავგზააბნეული ქარაფშუტა პატრიოტების გამოხდომებით გულმოკლული ქალი, ნაღელიანი კილოთი შენიშნავს: „ვინ არ იცის, რომ ჩვენში, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს ეგრეთ წოდებული „პროვინციული პატრიოტობა“. ამ ორი წლის წინათ თვით საქართველოს დედაქალაქის კეთილშობილთა კრებულში, ბანკის ერილობაზე, ათასი კაცის წინაშე, ზოგიერთმა მამულიშვილმა (?) საქვეყნოდ წარმოსთქვა შეუწყნარებელი სიტყვები: „იმერლები ნუ ერევიან ჩვენს საქმეშიო“.[1]

დარია ფაღავას იდეალით ყველა ქართველისათვის ერთგვარად სათაყვანო უნდა იყოს ჩვენი საზიარო დედა-საქართველო, „კორტოხის ორივე მხარე – იმერეთ-ამერეთი“.

ნიჭიერი ქალის სმენას მთელი გრძნობით აჩკბობდა დიდი ეროვნული პოეტის აკაკის გულში ჩამწვდომი სტრიქონები:

ჩონგური საქართველოა,
სიმები ჩვენ ვართ ყველაო...

---

[1] „ივერია“, 1897 წ., №87.

დარია ფალავას სხვა ნაწერებს ჩვენამდე არ მოულწეია. სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ხელნაწერების საკმაოდ მოზრდილი რვეული მისი გარდაცვალების შემდეგ მექის მეორე ცოლმა, ანჩხლმა დედაკაცმა, ცეცხლს მისცა.

როგორც გულნარა ფალავამ გადმოგვცა, მისთვის დაუვიწყარი დედის ამ ძვირფას რვეულში თავმოყრილი ყოფილა საკუთარი ლექსები, ვრცელი საენათმეცნიერო ნარკვევი ქართული და მეგრული ენების ახლო ნათესაობის შესახებ და, რაც ყველაზე დიდი დანაკარგია, სიტყვა დაწერილი ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ. ეს სიტყვა დარიას უნდა წარმოეთქვა საგანგებოდ შეკერილ ქართულ კაბაში, რომელიც მან ერთ ხნიერ მოლოზანს თვალისმომჭრელი სილამაზით მოაქარგვინა: მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს! ამ საოცნებო კაბაში იგი მხოლოდ კუბოში იხილეს.

* * *

1899 წლის 18 იანვრის სუსხიანი საღამო იდგა. ქუთაისის თეატრში ტევა არ იყო. ვლ. მესხიშვილი და ვ. აბაშიძე ელავდნენ სცენაზე. მეორე მოქმედებისას მოულოდნელად ხმაური ატყდა. რამდენიმე წუთიც და პარტერიდან გულწასული ქალი გაიყვანეს.

ეს ქალი დარია ფალავა იყო. იგი კონსერვს მოეწამლა და მომაკვდინებელი შხამი სწრაფად ედებოდა მთელ სხეულს. სიკვდილთან ბრძოლა ხუთ დღეს გაგრძელდა. დღისა და ღამის გაერას რუსთველის ბრძნულ აფორიზმებზე აღზრდილი ქალი ორი სიტყვით და წყვილი კურცხალით შეეგება:

- არაფერია – მშვიდობით! – წამოიძახა მან და მის დაწვთაგან სასიკვდილო აგონიის ქვალი ორმა მარგალიტმა ჩარეცხა. ქმარი კედელს ეხეთქებოდა, ოთხი პატარა ბავშვი კი გიშრისფერ დალალებს ელამუნებოდა. ყველა დაადონა ზნემაღალი, სამაგალითო ქართველი ქალის უდროოდ გარდაცვალებამ.

მისი დაკრძალვის დღეს ქუთაისის თეატრმა წარმოდგენა გადადო. ჩანს, საზოგადოება გლოვობდა თავის მშვენებას.

მწუხარების დღეებში „ეგერიაში“ გამოქვეყნდა ილია ჩიქოვანის (პონტელის) წერილი - „სასიქადულო ქალის ხსოვნას“.

მაშინ ახალგაზრდა მსახიობმა ნინო ჩხეიძემ კი იმავე „ივერიაში“ (1899 წ., №23) თავისი გამოსათხოვარი სიტყვა ასე დაამთავრა: „საუკუნო იყოს ხსენება შენი, პატიოსანო ქართველო დედაე“.

აკაკიმ თავის „კრებულში“ საგულდაგულოდ დაწერილი ნეკროლოგი მიუძღვნა დარია ფარავას ხსოვნას; ამავე დროს ილია ჩიქოვანის წერილი უცვლელად გადმოაბეჭდინა „ივერიიდან“.

თუ რა ღირსებით ბრწყინავდა დარია ფალავა და მისი სახით ვინ დაჰკარგა მაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ, ამაზე მკაფიოდ მეტყველებს საყვარელი პოეტის შემდეგი სიტყვებიც: „ის იყო ერთი უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველებურ ქართველ ქალებისა, რომელნიც დროს და ვითარებას დღეს ჩვენთვის საოცნებოდ გაუხდია“.[1]

24 იანვარს ბანძის სასაფლაოზე დიდძალ საზოგადოებას მოეყარა თავი. ყველა მწუხარე სახით გამოიყურებოდა. აღარც აკაკის ბაგეზე კრთოდა ჩვეული ღიმილი. მისი ნაღვლიანი თვალები დარიასათვის გაოხრილ ბნელ სამარეს ჩასცქეროდნენ.

სიტყვები დამთავრდა.

ვლადიმერ მესხიშვილის ხმამაღალი ტირილიც მიწყდა. მესაფლავეებმა ბარი მოიმარჯვეს. კიდევ რამდენიმე წუთიც და ბანძის სასაფლაოს გვირგვინებით შეზვინული ერთი საფლავიც შეემატა.

---

[1] აკაკის „კრებული“. 1899 წ., ტ. III, გვ. 1.

აკაკი ფაღავა[1]

1954 წლის 22 მარტს რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი. ჭარბობდნენ უმთავრესად თეატრალური ხელოვნების მოღვაწენი, მწერლები, შემოქმედებით ინტელიგენციის წარმომადგენლები. დიდძალი ხალხი მოაწყდა დარბაზს და ბევრი გულნატკენი გაბრუნდა უკან, რადგან თეატრში ტევა აღარ იყო.

რუსთაველის სახელობის თეატრში ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ აკაკი ფაღავას მოღვაწეობის 50 წლის აღსანიშნაი შემოქმედებითი საღამო იყო გამართული.

საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა შალვა დადიანმა. მან თქვა:

„ამხანაგებო! დღეს ჩვენ თავი მოვიყარეთ იმისათვის, რათა შეეჯამოთ ჩვენი საყვარელი პროფესორის აკაკი ფაღავას განვლილი შემოქმედებითი გზა და ეუსურვოთ მას მომავალშიც არ შეუნელებინოს დაუღალავი მუშაობა ჩვენი თეატრალური კულტურის ასაღორძინებლად, რომელშიც მას დიდი ღვაწლი მიუძღვიხ. საქმე ის არის, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ძლიერებისათვის დაუღალავად ვიმუშაოთ და ისეთი ხელოვანნი ვიყვნეთ, რომ მეცნიერების ყველა დარგი ისე მჭიდროდ იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი სათანადო ხიმაღლე'ს ასაყვანად ერთმანეთს გულისხმიერად ეხმარებოდნენ. აი, ასეთი უულისხმიერი ხელოვანია ჩვენი პატიეცემული და საყვარელი პროფესორი აკაკი ფაღავა.

---

[1] როდიონ ქორქიას წიგნის "აკაკი ფაღავა", თბილისი, 1960 – რეპრინტი, ფოტოების გარეშე. წიგნს აშკარად ეტყობა ეპოქის ზეგავლენა, თუმცა ფაქტების სიუხვით ბადალი არა აქვს. ჯ.ფ.

ვა'შა მას!“

იგრიალა ტა'შმა და სცენაზე წამოდგა მაღალი, ახოვანი, ლამაზი კაცი. სათნო ღიმილმა დაუმშვენა კეთილშობილებით სავსე სახე და მოწიწებით დახარა თავი აუდიტორიის წინა'მეხოლო იმ აუდიტორია'ში იყვნენ მისი ნახევარი საუკუნის მანძილზე გაწეული ღვაწლისა და შრომის, ულეველი ენერგიისა და ნიჭის პატივისმცემელნი, იყვნენ მისი გამოზრდილი მოწაფენი, ადამიანები, რომელნიც დღეს ამშვენებენ ქართულ სცენას. იყვნენ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა წარმომადგენელნი, რომელნიც მოვიდნენ აკაკი ფაღავას პატივსაცემად და მიხასალმებლად.

აკაკი ფაღავას ცხოერებასა და მოღვაწეობაზე მოხსენება წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გუგული ბუხნიკაშვილმა: სიტყვები წარმოსთქვეს ორგანიზაციათა და დაწესებულებათა წარმომადგენლებმა. ბოლოს, როცა წაკითხულ იქნა მოსალოცი დეპეშები საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკიდან და თეატრებიდან, აკაკი ფაღავამ დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა შემდეგი სიტყვით:

„ამხანაგებო! ნება მომეცით გამოგიცხადოთ ულრმეხი გულითადი მადლობა იმ ყურადღებისათვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ ჩემს მიმართ. მე მადლობას მოვახსენებ ჩვენს ხელმძღვანელ კომუნისტურ პარტიას, რომელიც საშუალებას გვაძლევს მიღწევებისას. მადლობას მოვახსენებ ხელისუფლებას, რომელიც ყველა მშრომელ ადამიანს სათანადოდ აფასებს. მადლობას მოვახსენებ თეატრალურ საზოგადოებას მისი საყვარელი თაემჯდომარის შალვა დადიანის სახით, რომელმაც მოაწყო ეს საღამო, და ყველა აქ დამსწრე საზოგადოებას ჩემი მცირე ღვაწლის დაფასებისათვის“.

ჩვენ განგებ მოვიტანეთ ეს სიტყვა ჩვენი წიგნის დასაწყისში. აკაკი ფაღავა თავის ნახევარსაუკუნოვან საქმიანობას „მცირე ღვაწლს“ უწოდებს.

ვნახოთ, თუ რა წონისა და ზომისაა ეს „მცირე ღვაწლი“. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პატარა წიგნი მიზნად არ ისახავს აკაკი ფაღავას თეატრალური მოღვაწეობის

მეცნიერულ განხილვას. ჩვენი მიზანია მკითხველთა ფართო მასებს მივაწოდოთ ისეთი პოპულარული საკითხავი წიგნი, რომელიც „საქმეთა შორის“ წაიკითხება და დაანახვებს მკითხველს, თუ როგორ უნდა უყვარდეს ადამიანს თავისი საქმე და თავისი ქვეყანა და რა დიდი შრომა გაუწევია აკაკი ფალავას ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული თეატრის განვითარების საქმეში.

ოჯახი

ფალავების გვარი სამეგრელოს უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნოდა. თავის დროზე ამ გვარს დიდი ღვაწლი მიუძღოდა სამეგრელოს წინაშე. თურქ დამპყრობლებთან ბრძოლაში ფალავების დროშა მოწინავე დროშათაგანი იყო. ვალერიან გუნიას ცნობილ პიესაში „და-ძმა“ სარდალი გაიოზ ფალავა შემთხვევით აღებული პერსონაჟი როდია. ის ისტორიული სინამდვილის მიერ შექმნილი გმირია. გაიოზ ფალავას ხმალი თეატრის რეკვიზიტიდან როდია გამოტანილი, ის ხმალი ჩვენი ხალხის თოფსანიდანაა წამოღებული.

ფალავების გვარი მუდამ მოწინავეთა შორის იყო. როცა XIX საუკუნეში დამოუკიდებელი სამეგრელო რუსეთს უშუალოდ უახლოვდებოდა და სამეგრელოს მთავრობა რუსეთთან კავშირს ამყარებდა, ფალაველების გვარეულობა გვერდით ამოუდგა გრიგოლ დადიანს, ხოლო შემდეგ ლევანსა და დავით დადიანებს. სამეგრელოს სამთავროს გაუქმების შემდეგ სამეგრელოს საქმეებს სამი კაცისაგან შემდგარი საგანგებო კომისია განაგებდა. ამ კომისიის ერთ-ერთი წევრი ფალაველების წარმომადგენელი ბახვა ფალავა იყო.

შემთხვევითი როდია, რომ საქართველოში პირველად ფალაველების ხოფელ ბანძაში დაიდგა შექსპირი. 1873 წელს ბანძაში ფალაველებმა დადგეს შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი“. ცხადია, ეს გარემოება, პირველ ყოვლისა, ფალაველების კულტურაზე ლაპარაკობს, შემდეგ კი იმაზე, რომ რუსეთთან შეერთების პირველ წლებშიც სამეგრელოში შესაძლებელი გახდა შე-

ქსპირის დადგმა, რომ დამყარდა ახალი ურთიერთობა რუსეთთან, შემოვიდა იმ დროისათვის მოწინავე კულტურა.

არც ისაა შემთხვევითი, რომ სამეგრელოს მოწინავე ადამიანები მასობრივად წავიდნენ რუსის ჯარში ოსმალეთთან ომში მონაწილეობის მისაღებად. ეს მოწინავე ადამიანები ხედავდნენ, რომ რუსის ჯარის დროშის ქვეშ ერთიანდებოდა ისტორიული საქართველო, რომ რუსეთმა გარეკა ოსმალეთი შაეი ხღვის სანაპიროებიდან, რომ რუსეთი აჭარა-ბათომს ათავისუფლებდა ოსმალების ბატონობისაგან და უბრუნებდა სამშობლოს.

ამიტომ იყო, რომ ნესტორ ფაღავა დიდის თავდადებით იბრძოდა რუსეთ-ოსმალეთის 1877-78 წლების ომში სამეგრელოს მილიციაში. დიდძალი ქართველობა დაიღუპა ამ ომში კეთილშობილი პატრიოტული იდეისათვის: ოსმალეთის ბრჭყალებისაგან აჭარის განთავისუფლებისათვის. დაიღუპნენ, მაგრამ საუკუნოებრივ მტრებზე – ოსმალებზე კი შერი იძიეს, აჭარა გაათავისუფლეს. ეინც გადარჩა, სახელოვნად დაბრუნდა სამშობლოში. სახელმოხვეჭილი დაბრუნდა ნესტორ ფაღავაც. მას მკერდს უმშვენებდა გიორგის შავ-ყვითელ ლენტზე თეთრი ბრჭყვიალა ვერცხლის ჯვარი, რომელსაც წარწერა ჰქონდა „მამაცობისათვის“. სამეგრელოში ამ ჯვარს დიდი პატივი ჰქონდა, მის პატრონს დიდი წონა და სახელი. ხალხმა ამ ჯვარს „სიცოხლის ჯვარი“ უწოდა, რადგან მისი პატრონი სისხლით იცავდა ქვეყანას და მის სიმშვიდეს. ეს პატივცემული კაცი ნესტორ ფაღავა – აკაკი ფაღავას მამა იყო.

ნესტორ ფაღავას მამა ვახტანგ ფაღავა დიდი ვაჟკაცი იყო. ის ახლობელი პირი იყო ომერ-ფაშასთან ომის მონაწილე დავით დადიანისა. ის ხმალდახმალ ებრძოდა ომერ-ფაშას, როცა მან უკან დაიხია და ჯაიანებთან და გაბუნიებთან, მირცხულაველებთან და ხორავებთან ერთად ქალაქში კინალამ ხელთ იგდო თვით ომერ-ფაშა.

ვახტანგ ფაღავას 4 ვაჟი და 4 ქალი ჰყავდა. ვაჟები: ანტონი, გიორგი, ნესტორი და კონსტანტინე. ქალები: მარიამ, სოფიო, ელენე და სალომე.

მარიამი გაჰყოლია ხეფიეთელ კონსტანტინე თოფურიძეს, ხოფიო კვათანელ დიმიტრი იოსელიანს, ელენე კულაშელ ნესტორ მესხს, ხოლო სალომე ლეჩხუმელ ირაკლი ასათიანს.

ჩვენ ეს გვარები იმიტომ ჩამოვთვალეთ, რომ მათში არ ურევია არც ერთი წარმომადგენელი ბრწყინვალე არისტოკრატიისა. ესენი სულ რიგითი აზნაურებია. ეს კი იმას მოწმობს, რომ ვახტანგ ფალავა მდიდარი კაცი არ ყოფილა.

ვახტანგის შვილებიდან გიორგი ბერად შედგა და ლეჩხუმის ნამარნეკის მონასტრის წინამძღვარი გახდა. კონსტანტინე ახალგაზრდობაში გარდაიცვალა. ახე რომ ოჯახში დარჩენილან ანტონი და ნესტორი. ამათ მამისეული ოთხოთახიანი ოდა გაიყვეს და თითოს ორ-ორი ოთახი შესდა. მიწა რომ გაიყვეს ნესტორს 12 ქცევა ერგო. ამ ნაკვეთის სიმცირე თავისთავად ლაპარაკობს იმაზე, თუ რა შეძლებისაც იყო ნესტორ ფალავა.

მაგრამ ნესტორ ფალავა ყოფილა არა მარტო პატრიოტი და მედგარი მეომარი, არამედ შრომისმოყვარეც და ფრიად გამრჯე კაციც. ის რომ თავის გამოყოფილ მიწაზე დასახლდა, მაშინ იმ ადგილას ერთადერთი ხმელა მდგარა. დატრიალდა ნესტორი და მოაშენა უშენი ადგილი. აკაკი უკვე ათი წლისა იყო, როცა ის ადგილი დამშვენდა მცენარეებითა და ხეხილის ბაღით. ჭადარი, თელა, მუხა, თუთის ხე უკვე ამშვენებდა ამ მიწის ნაკვეთს. შესანიშნავმა ხეხილმაც გაალამაზა მათი სამოსახლო. ბაღნარად გადააქცია იქაურობა, გაიხარა მსხლის, ვაშლის, ატმის და ჭანჭურის ნერგებმა, კაკლისა და კომშის ფესვგამდგარმა ხეებმა.

ომიდან დაბრუნებისას ნესტორ ფალავას ცხოვრებაში ერთი საინტერესო ამბავი მოხდა. მას, როგორც ნათმარსა და გამოცდილ კაცს, სენაკის მაზრის ხელისუფლებამ დავალება მისცა: ტყვეების პარტია ნაყვანია ქუთაისს და გადაეცა გუბერნატორის განკარგულებაში. ნესტორმა დავალება აასრულა, მაგრამ ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიაში რუსული ენა დასჭირდა. მან იცოდა მეგრული, ქართული, თურქული ენები, მაგრამ რუსული კი არა. მაშინ ნათლად დაინახა ნესტორ

ფალავამ, რომ ახლად დამყარებულმა წეს-წყობილებამ ახალი ენის ცოდნა მოითხოვა, რომ რუსული ენის ცოდნის გარეშე კაცი შორს ვერ წაეიდოდა. საქართველოში იტყვიან: „კაცმა რამდენი ენაც იცი, იმდენი კაცი ხარო“. ახალი ენის უცოდინარობამ დიდად გაუძნელა ნესტორ ფალავას დავალების შესრულება. მან ეს ეაი-ვაგლახით შესძლო. მაშინ ნესტორ ფალავა ქვაზე შედგა და დაიფიცა: „ღმერთმა ამ ქვასავით გამაცივოს, თუ ნემს შვილებს სწავლა არ მივაღებინოვო“...

სამეგრელოში ჩვეულებაა: ჰანიბალისებურ ფიცს ცივ ქვაზე იძლევიან. შედგება კაცი თუ ქალი ცივ ქვაზე და დაიფიცებს:

„ღმერთმა ამ ქვასავით გამაცივოს, თუ...“

და ფიცს უეჭველად აასრულებენ. აასრულა ფიცი ნესტორ ფალავამაც. როცა ცოლი შეირთო და შვილები შეეძინა ისინი სკოლაში მიაბარა...

აკაკი ფალავას დედა ქრისტინე იყო ტარიელ შავდიას ახული. მას ძველი ქართული ტრადიციული საოჯახო განათლება ჰქონდა მიღებული. მან ზეპირად იცოდა მთელი „ვეფხისტყაოსანი“ და ხშირად ზეპირად უკითხავდა შვილებს ნაწყვეტებს. ექვსი შვილი ჰყავდათ მშობლებს: აკაკი, ერასტი, ყარამანი, ბეკლარი, სევერიანე და ალექსანდრე. აკაკი ძმებში უფროსი იყო.

აკაკი დაიბადა 1887 წელს 15 თებერვალს ძველი სტილით, სოფელ ნახუნუეში. ეს სოფელი მდებარეობს მარტვილის მონასტრიდან 4 კილომეტრის დაშორებით. სოფლის ჩრდილოეთით ჩაუვლის მთა, რომელიც მიემართება დასავლეთით ნაქალაქევისაკენ და თავდება დღევანდელ კურორტ მენჯთან. მარტვილი, ნაქალაქევი და მთელი ეს არე-მარე ისტორიული ადგილებია, მარტო ნაქალაქევი რად ღირს, აქ ცხოვრობდა ცნობილი ისტორიული ლეგენდის მიხედვით კოლხთა მეფე აეტი. აქ მოვიდნენ არგონავტები იასონის მეთაურობით, აქედან მოინდომეს მათ ოქროს ვერძის გატაცება. და გაიტაცეს კიდეც, რადგან მათ დაეხმარათ აეტის ქალიშვილი მედეია... აქვე,

ნაქალაქევში, დგას ნახევრად დანგრეული დიდი „ციხე-გოჯი“, შესანიშნავი ნიმუში უძველესი ქართული ხუროთმოძღვრებისა.

ეს ადგილები იყო იმერ-ფაშასთან ბრძოლის ასპარეზი. ეს ბრძოლა ხომ აკაკის ბაბუას თაობამ აწარმოა? ასე რომ მთელი ეს არე-მარე არა მარტო შორეული ისტორიული ლეგენდებით, არამედ ცოცხალ დღევანდელობით იყო სავსე. და როგორც შორეული წარსული, ისე თანამედროვეობის მღელვარება ეროვნულ თვითშეგნებას იწვევდა ფაღავების ოჯახში. ეროვნულ თვითშეგნებასთან ერთად მძაფრ ეროვნულ სიამაყის გრძნობას: რა დიდ ქარტეხილებს გაუძლო პატარა ქვეყანამ!..

„ვეფხის ტყაოსანთან“ ერთად დედა ცოტნე დადიანის თავდადებაზეც მოუთხრობდა ხოლმე პატარა აკაკის. ეს იყო ქარგი ოჯახის ტრადიცია: ბავშვის აღზრდა ჯანსაღ პატრიოტულ ნიადაგზე. ეს აღზრდა ნერგავდა ბავშვში არა მარტო მწიგნობრულს, არამედ მოქალაქეობრივ ყოფაქცევის ნორმებს. დედამ შეაყვარა აკაკის სამშობლო, ქართული ენა, ქართული ისტორია, ქართული ლიტერატურა.

ხოლო მამა თეალსაჩინო მაგალითი იყო დაუღალავი შრომისა. თავადი იყო, მაგრამ თავისი მარჯვენით აცხოვრებდა ოჯახს, წარმავალი კლასის – თავად-აზნაურობის კუდაბზიკობა არ ემჩნეოდა და გლეხებთან დაახლოებული იყო. გლეხებიც დიდ პატივს სცემდნენ ნესტორს, რადგან მასში მშრომელსა და პატიოსან ადამიანს ხედავდნენ, რომელიც მათსავით მიწას ჩაკირკიტებდა და მათთან ცხვირს მაღლა არ იწევდა. მას კარგად ესმოდა, რომ ახალ ურთიერთობაში კაცი ძველი გვაროვნობით ფონს ვერ გავიდოდა. ამიტომ ტრიალებდა დღენიადაგ თავის 12 ქცევა მიწაზე. ტრიალებდა, შრომობდა და ცდილობდა შრომას შეჩვეოდნენ შვილები. აკაკიც ხედავდა თავის მამის შრომას და ბავშვობიდან ეჩვეოდა იმ აზრს, რომ მხოლოდ შრომაა ძირი ყოვლისა სიკეთისა, რომ მთელი ცხოვრება ბრძოლაა, რომ ამ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც არ დაზოგავს თავის ძალ-ღონეს, ენერგიას და არ შეუშინდება სიძნელეებს.

ამ აზრის ცხოვრებაში განხორციელება აკაკის ადრე მოუხდა. 16 წლისა იყო მამა რომ გარდაეცვალა. ეს მოხდა მოულოდნელად. ხიკვდილის წინ მამამ შვილს თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

– დედაშენი გებარებოდეს, ძმებს მოუარე!

დედაც ჩააბარა და ძმებიც მამამ... მაშასადამე მამას ჰქონდა იმედი, რომ 16 წლის აკაკი მოუვლიდა ოჯახს. და მართლაც დაეხმარა ოჯახს ძმების მოვლა-აღზრდაში. ერასტიმ დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტი, ყარამანმა პეტერბურგის სამხედრო-საექიმო აკადემია, ბეგლარმა – მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, სვეტლანამ – თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და ალექსანდრემ თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. ამათში აკაკი უფროსი იყო და მამის ადგილი დაიჭირა ოჯახში.

ამგვარად, აკაკი ფაღავას ჭაბუკობის ბიოგრაფიიდან ჩვენთვის საინტერესოა ორი მომენტი: მისი პატრიოტული განწყობილება და შრომის მოყვარეობა. თუ პირველი დედამ ჩაუნერგა, მეორე კიდეც ჩაუნერგა და კიდეც უანდერძა მამამ. აკაკი ფაღავას მთელი შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა ამ ორი ფაქტით განისაზღვრება: პატრიოტიზმით და შრომით.

სკოლის წლები

ცნობილია, რომ ძველი სკოლა გამარუსებელი სკოლა იყო. გარუსება „სოფლის სკოლიდან“ იწყებოდა და გრძელდებოდა ყველა სახის სკოლაში: სამრევლო სკოლაში, სამოქალაქო სასწავლებელში, სახელოსნო და რეალურ სასწავლებლებში, გიმნაზიაში. ქართული ენა განდევნილი იყო სასწავლებლებიდან, სასამართლოდან, ქუჩა დაწესებულებიდან. არისტოკრატია გაურბოდა ქართულ ენას და „კარგი ტონი“ რუსულ ენაზე ლაპარაკში გამოიხატებოდა. მხოლოდ ოჯახებში და ხალხში იყო შემონახული დედა-ენა და თუ ოჯახი პატრიოტული და კულტურული იყო, ის ენასაც წმინ-

დად ინახავდა და იცავდა. აკაკი ფაღავას მშობლების ოჯახი იმ პატრიოტ ოჯახთა რიცხვს ეკუთვნოდა, სადაც, როგორც დავინახეთ, ქართული ენა დაცული იყო, დაცული იყო არა როგორც სახაუბრო ენა, არამედ როგორც იარაღი ადამიანის აღზრდისა და მისი მოქალაქედ ჩამოყალიბებისა. საინტერესოა, რომ ამ გარემოებას რუსული ენისა და კულტურისადმი სიძულვილი როდი გამოუწვევია ოჯახში, არამედ შეგნება იმისა, რომ ორივე ენისა და ორივე ერის კულტურის პატიეისცემაა საჭირო განათლებული ადამიანისათვის.

„სოფლის კლასში“ ქართულიც ისწავლებოდა და რუსულიც. აქ მასწავლებლად სოფლის დიაკვანი ვლადიმერ ქურდიანი იყო. ის გულმოდგინედ და დიდის ხალისით ასწავლიდა ბავშვებს, მაგრამ თუ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენაში“ ყველაფერი გასაგები იყო ბავშვისათვის, კონსტანტინე უშინსკის „რუსკოე სლოოოში“ ბევრი რამ გაუგებარი იყო მოზარდი ახალგაზრდობისთვის. ბავშვები სწავლობდნენ „აქედან აქამდე“, ზეპირად, ტექსტის გაუხსნელად. არაფერი თვალსაჩინო რამ, რაც ადამიანის მომავალი ცხოვრების გზას კეალს დაამჩნევდა, ამ „სოფლის კლასში“ არ მომხდარა. ყველაფერი უფერული იყო აქ. მხოლოდ იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ იყო ლამაზი: წითელ ედაზე ეხატა ყვავილი, ყვავილზე დაფრინავდა პეპელა, იქვე ჩაცუცქულიყო ფმაწვილი, ქუდი მოემარჯვებინა და ლამობდა დაეჭირა პეპელა. „დედა-ენაზე“ აღზრდილმა თაობამ იცის, რომ „დედა-ენაში“ მოთავსებული იყო აკაკი წერეთლის ლექსი:

„ჭრელი პეპელა დააფრო და გააბრუა იამა,
მას მიეპარა ყმაწვილი, დაიჭირა და იამა“...

იცის ისიც, რომ ყმაწვილს შეეგრალა ჭრელი და ნაზი პეპელა და გაუშვა. ეს კეთილშობილი გრძნობა სინაზისა და სილამაზის სიყვარულისა გამოეცა პატარა აკაკის „სოფლის კლასიდან“. მაგრამ, „დედა-ენას“ ბავშვი ოჯახშიც სწავლობდა...

მეტი გავლენა იქონია ბავშვზე სენაკის ოთხგანყოფილებიანმა მოსამზადებელმა სკოლამ, სადაც აკაკი

შეიევანეს, როცა ის 9 წლისა გახდა. ეს კარგი სკოლა იყო, იქ მოწინავე პედაგოგები ასწავლიდნენ. მაგალითად, იქ მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები იეანე გომელაური, სამსონ ყიფიანი, დომენტი ოერეშიძე და სხეა... ივანე გომელაური ასწავლიდა ქართულ ენას. გომელაური დიდი პატრიოტი იყო. გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ მან ისე გამოიეენა სკოლაში, რომ ბავშვებს არა მარტო პროგრამით გათვალისწინებული საგანი შეასწავლა, არამედ შეიყვარა სამშობლო, მისი ბუნება, მისი ხალხი, მისი ისტორია. გომელაურმა ახალი საგანიც კი შემოიღო სკოლაში „სამშობლოს აღწერა“. იმ დროისათვის ეს მეტად გაბედული ნაბიჯი იყო. გომელაურმა ამ საგანს კლასგარეშე საკითხავი და საუბრის ხასიათი მისცა. ამ საგანმა დიდად შეუწყო ხელი მოწაფეთა პატრიოტულად აღზრდას.

სენაკის სკოლა აკაკიმ 1899 წელს დაამთავრა. ამ წელსვე იგი შეიევანეს ქუთაისის ქართულ პროგიმნაზიაში. ამ პროგიმნაზიაში სწავლის საქმე კარგად იყო დაყენებული. ქართულ ენას აქ ასწავლიდა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სილოვან ხუნდაძე. მისი ხელმძღვანელობით აკ. ფალავამ აქ მთელი იმდრინდელი ქართული ლიტერატურა წაიკითხა და გაარჩია თავისთვის. ამ პროგიმნაზიას დიდი როლი აქვს შესრულებული დასავლეთ საქართველოს ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. სწორედ ამიტომ იყო რომ ბევრს ცდილობდა ქართული საზოგადოება ეს პროგიმნაზია სრულ გიმნაზიად გადაეკეთებინა, მაგრამ მეფის მთავრობა წინააღმდეგი იყო. ამიტომ სკოლის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა უსახსრობის გამო შორს ვერ მიდიოდა. მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას შეეძლო გიმნაზიაში შესვლა. ეერც პატარა აკაკი წაეიდა შორს, რადგან სწორედ პროგიმნაზიის დამთავრების წელს მამა გარდაეცვალა, ოჯახი კი ხელმოკლეობას განიცდიდა. მაგრამ აკაკის ორმა გარემოებამ უშველა: აკაკი ნიჭიერი ბავშეი აღმოჩნდა და სკოლა ჩინებულად დაამთავრა. პროგიმნაზიის დირექტორი იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი. მან შეარჩია

რამდენიმე ნიჭიერი მოწაფე, რომელნიც მომავლისათვის იმედს იძლეოდნენ, დაუნიშნა მათ სტიპენდია და თბილისის ქართულ გიმნაზიაში მიაბარა. სტიპენდია წელიწადში 100 მანეთის რაოდენობით დაენიშნა აკაკი ფალავასაც. ეს იყო 1903 წელს.

თბილისის ქართულმა გიმნაზიამ ბევრი რამ მისცა აკაკის. მან არა მარტო სასკოლო-სასწავლო დისციპლინებით გაამდიდრა ჭაბუკი აკაკი, არამედ საზოგადოებრივ ცხოვრებასაც აზიარა იგი. თბილისი მაშინ ადმინისტრატიული და საზოგადოებრივი აზროვნების ცენტრი იყო კავკასიაში. მაშინდელ კავკასიაში შედიოდნენ თანამედროვე საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, დაღისტანი და მთელი ჩრდილოეთი კავკასია. ამავ ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა დღევანდელი ყარსი და ლაზისტანი, ე.ი. მთელი ის ტერიტორია, რაც ოსმალეთს აქვს მიტაცებული დღეს. თბილისში მოღვაწეობდნენ მაშინ ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, აქ მუშაობდა ქართული თეატრი და მისი კორიფენი – ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, მარიამ საფაროვა-აბაშიძისა, ნუცა ჩხეიძე, ტასო აბაშიძე და სხვები.

დიდი დულილი იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს დულილი უფრო გაღრმავდა 1904 წელს, როდესაც რუსეთ-იაპონიის ომი გამოცხადდა. ომი რუსეთის დამარცხებით დამთავრდა და 1905 წელს რევოლუციამ იფეთქა. ბევრი ახალი ძალა გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე ამ დროს. დაიწყო ჭიდილი ძველსა და ახალს შორის. აკაკი ჭაბუკური სითამამით და ენერგიით ჩაება ამ ბრძოლაში. როცა რევოლუცია დამარცხდა, ის მონაწილეობდა გიმნაზიის არალეგალურ წრეებში, სცემდა გიმნაზიაში არალეგალურ გაზეთს, დაეწაფა არალეგალურ ლიტერატურას. ძალმომრეობისადმი ზიზღი და მეფის ხელისუფლებასთან ბრძოლის წყურვილი გაუღრმავა მას გიმნაზიის დირექტორის, ცნობილი ქართველი მოღვაწის შიო ჩიტაძის ექრაგულმა მკვლელობამ. ეს მკვლელობა საყოველთაოდ ცნობილია და ჩვენ არ შეეუდგებით მის აღწერას. როდესაც თბილისის პოლიციმეისტერს ცნობილ შავრასმელ მარტინოვს ტერორისტებმა ეკომბარა ესროლეს, შიო ჩიტაძე

თავის კაბინეტში იჯდა, ხოლო მოწაფეები მერხებს უსხდნენ. კაზაკები შემოიჭრნენ სასწავლებელში და მოიკლეს უდანაშაულო ადამიანი. აკაკი ფალავანი და მისი თაობის მორალურად ნამოყალიბების საქმეში შიო ჩიტაძის ვერაგულმა მკვლელობამ დიდი როლი შეასრულა. მოწაფეებმა სიტყვა მისცეს ერთმანეთს, რომ მტრები იქნებოდნენ მეფის მოძალადე მთავრობისა და აკაკი ფალავანმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ამ სიტყვის შესრულებას შესწირა. გიმნაზიაში შეიქმნა „სოციალისტური წრე“, აკაკი მისი აქტიური წევრი გახდა. დაეწაფა არალეგალურ ლიტერატურას, ავრცელებდა პროკლამაციებს, მონაწილეობდა მიტინგებში და დემონსტრაციებში. გიმნაზიელი ფალავა შენიშნულ იქნა ჟანდარმერიის მიერ. გაჩხრიკეს კიდეც, მაგრამ წიგნების გადამალვა მოასწრო და ამით გადაურჩა ციხეს.

აკაკი ფალავას ჭაბუკობიდანვე ახასიათებდა ენერგია და შრომისმოყვარეობა. მან თავისი შრომით და ენერგიით შექმნა თავისი ბიოგრაფია, თავისი ცხოვრების გზა. ასი მანეთი წელიწადში – ეს მცირე სტიპენდია როდი ყოფნიდა ახალგაზრდას, მაგრამ მან მოწაფეობაშივე დაიწყო შრომა. ჯერ კიდევ 1905 წლის ზაფხულში აკაკი ქუთაისის საბავშვო ბაღის მასწავლებლად მიიწვია მისმა ყოფილმა დირექტორმა და მასწავლებელმა იოსებ ოცხელმა. ამ ხელფასით აკაკის თავისი მცირეწლოვანი ძმებისთვისაც უნდა გაეწია დახმარება. ძმები სწავლობდნენ, უმამო ოჯახს უჭირდა, მაგრამ აკაკი არ შეუშინდა სიძნელეებს...

საგულისხმოა ერთი გარემოება: საზაფხულო არდადეგების დროს აკაკი თავისი სოფლის გლეხის ბავშვებს უფასოდ ასწავლიდა და ამზადებდა. ზაფხული მას გლეხების ბავშვებისთვის ჰქონდა გადადებული ნაცვლად იმისა, რომ ქალაქს გართობაში გაეტარებინა დრო. ეს დეტალი დამახასიათებელია აკაკი ფალავასთვის: შრომა... შრომა ხალხისათვის...

იმ სანებში საშუალო სასწავლებლებში გავრცელებული იყო ე.წ. რეპეტიტორების ინსტიტუტი. ე.ი. თუ მოწაფე ვერ ასწრებდა რომელიმე საგანში, მას დამხმარეს ანუ „რეპეტი-

ტორს“ დაუნიშნავდნენ ხოლმე. ძველი სკოლა დიდ ცოდნას იძლეოდა, დიდ მოთხოვნილებას უყენებდა მოწაფეს. თუ რომელიმე მოწაფე ვერ მიერეოდა საგანს, აი, სწორედ ეს რეპეტიტორი ეხმარებოდა მას ოჯახში. რეპეტიტორს, რასაკვირველია, მოწაფის მშობლები ეხდიდნენ ფულს. ეს ფული კი დიდი დახმარება იყო რეპეტიტორებისათვის, რადგან რეპეტიტორები უმთავრესად გიმნაზიის უფროსი კლასის ხელმოკლე მოწაფეები იყვნენ.

1906 წლის შემოდგომაზე აკაკი თავისი ვაჟის და ქალის რეპეტიტორად მიიწვია თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ და მწერალმა პეტრე მირიანაშვილმა.

პეტრე მირიანაშვილის ოჯახში გაეცნო აკაკი ცნობილ კომპოზიტორს ზაქარია ფალიაშვილს და მის ძმებს, ერთერთმა მათგანმა ზაქარიამ გააცნო მას გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკ“-ის კორექტორი. ამან თავის თანაშემწედ მიიწვია აკაკი და შეასწავლა კორექტორობა. ერთი წელი დაჰყო აკაკიმ ამ გაზეთის რედაქციაში, გაეწაფა და დამოუკიდებელი კორექტორის თანამდებობა მიიღო გაზეთში „Закавказская Речь“, რომლის რედაქტორი იყო ცნობილი პუბლიცისტი პართენ გოთუა.

საგნების წარმატებით სწავლება და რედაქციაში კორექტორად მუშაობა დიდ ენერგიას, დიდ შრომასა და ბევრ დროს მოითხოვდა. ახალგაზრდა აკაკი არ მოერიდა შრომას, დაძაბული ენერგიით მუშაობდა და სწავლობდა. მან იცოდა, რომ ეს საჭირო იყო მისთვის, მისი ოჯახისათვის, ქვეყნისათვის. დედ-მამამ შთაუნერგა მას სიყვარული შრომისა, ქვეყნისა და ოჯახისა, ოთხებ ოცხელმა შთაუნერგა მას პატივისცემა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და აკაკი ფალავას არასოდეს უღალატია თავისი პატრიოტი დედ-მამისა და საყვარელი მასწავლებლის მიერ ნაჩვენები გზისათვის.

1907 წელს მთელი საქართველო შეარხია სპარსეთიდან სპარსელი ქართველების ნამოსვლამ. „სპარსელი ქართველი“... ეს ისტორიული ტრაგედიაა, მაგრამ ისტორიულიეე

ხინამდეილეა. ამ წელს ჩამოვიდნენ სპარსეთიდან ფერეიდნელი ქართველები ყოლამ რეზა ხუციშვილი და ჰუსეინ ოხიკაშვილი. ესენი იყვნენ შთამომავალნი იმ ქართველებისა, რომელნიც გადაასახლა მე-17 საუკუნეში, თავისი შემოსვლის დროს, შაჰ-აბაზმა სპარსეთს. დიდძალი ქართველობა გაიტლიტა მაშინ ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში, 150.000-მდე კი ტყვედ წაასხა შაჰ-აბაზმა და დაასახლა ფერეიდანში. ასეული წლების მანძილზე ამ ქართველებმა დიდი ბრძოლა გასწიეს სპარსელ აგრესორებთან, ბევრი გაწყდა ფიზიკურადაც ამ ბრძოლაში. განსაკუთრებით მწვავე იყო ბრძოლა ეროვნული არსებობისათვის მე-18 საუკუნეში, სპარხეთის მფლობელის ქერიმ-ხანის დროს. ეს ქერიმ-ხანი ფანატიკოსი იყო. მან მოსთხოვა ქართველებს: ან გათათრდით ან ამოგწყვეტთო.

ქართველებმა სიკვდილი არჩიეს. იარაღზე იკრეს ხელი.

ქერიმ-ხანმა ტყვე აჯანყებულებს რეგულარული ჯარი შემოარტყა და ერთ დიდ ხევში შერეკა აჯანყებულთა დიდი ნაწილი.

შეიქმნა ბრძოლა. ხმალ-ხანჯლით შეიარაღებული ქართველები იბრძოდნენ გააფთრებით. იბრძოდნენ ქალებიც, იბრძოდნენ ბავშვებიც. ეს არ იყო ბრძოლა მარტო ორი იდეოლოგიისა: ქრისტიანობისა და ისლამისა. ეს იყო ეროვნული ბრძოლა. ეს ესმოდათ ქართველებს და ამიტომ იბრძოდნენ თავგანწირვით.

დიდძალი ქართველობა ჩაჰხოცა ქერიმ-ხანმა იმ დიდ ხევში. დახოცილებმა თან ჩაიტანეს სამარეში სიყვარული და პატიოსნების გრძნობა თავისი რჯულისა, ენისა, თავისი უბედური შორეული სამშობლოსი. დარჩენილები კი დაჭრილები და მოხუცნი აიძულეს გამოეცვალათ რჯული, მაგრამ ვერ აიძულეს დაევიწყებინათ ენა და სიყვარული შორეული, საყვარელი სამშობლოსი... ცხოვრობდნენ ფერეიდანში და იყვნენ ქართველები...

და აი, 1907 წელს ჩამოვიდნენ თბილისს ამ სპარსელ ქართველთა წარმომადგენელნი ხუციშვილი და ოხიკაშვილი.

დიდი პატრიოტული აღტყინებით შეხვდა ქართველი ერი თავის ბედკრულ მოძმეთა წარმომადგენლებს. ქართული საზოგადოების წარმომადგენლებმა სპარსელ ქართველებს ჯერ კახეთი და შემდეგ საქართველო მოატარეს. მათთან ერთად მოგზაურობდა აკაკი ფაღავაც და კითხულობდა მოხსენებას: „შაპ-აბაზის შემოსევა მე-17 საუკუნეში და 150 000 ქართველის გადასახლება სპარსეთში“. მოხსენება წაკითხულ იქნა სურამში, ბორჯომში, ახალციხესა და ახალქალაქში. თავის მოხსენებაში აკაკი პატრიოტულ იდეებთან ერთად ძალმომრეობასთან ბრძოლის იდეასაც ატარებდა. ახალგაზრდა ლექტორის გამოსვლებს დიდი გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში.

რასან სიტყვამ მოიტანა ბარემ გავიხსენოთ, რომ ყერეიდნელებს თბილისში „დედა-ენა“ და სხვა სახელმძღვანელოები, აგრეთვე სხვა ქართული წიგნები შეუძინეს, ერთი მასწავლებელიც დაუჭირა წ.კ. საზოგადოების გამგეობამ და გააყოლა სპარსეთს. სპარსეთის საზღვარზე მათ შავრასმელ ავაზაკთა ბრბო დახვდათ, გაძარცვეს, ხოლო მასწავლებელი დაჭრეს. მასწავლებელი უკან დაბრუნდა...

ამავე წელს აკაკი ფაღავამ გიმნაზია დაამთავრა და 1908 წელს გაემგზავრა მოსკოვს, სადაც შეეიდა ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის რუსული ენისა და სიტყვიერების განყოფილებაზე. როგორც ნიჭიერსა და საიმედო ახალგაზრდას ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება მას უნიშნავს სტიპენდიას: თვეში 25 მანეთს. ამ სტიპენდიით მიემგზავრება ის მოსკოვს.

უნივერსიტეტის წლები

მოსკოვის უნივერსიტეტში აკაკი ფაღავა შეეიდა სრულიად გარკვეული სამეცნიერო პროგრამით. მან იცოდა რა უნდა გაეკეთებინა და რით უნდა გაეწია სამსახური თავისი ქვეყნისათვის. მოსკოვის უნივერსიტეტმა მხოლოდ გააძლიერა იგი დიდი ცოდნით და დიდი კულტურით.

მოსკოვის უნივერსიტეტი მაშინაც მსოფლიო მეცნიერების ერთ-ერთი ცენტრი იყო. აქ მოღვაწობდნენ მეცნიერული აზროვნების ისეთი გოლიათები, როგორიც იყვნენ მ. კოვალევსკი, თ. ბუსლაევი, ფ. ფორტუნატოვი, ტ. გრანოვსკი, ს. სოლოვიოვი და ჟ. კლიუჩევსკი. მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდნენ პ. ჩებიშევი, ნ. პიროგოვი, ა. სტოლეტოვი, ი. სეჩენოვი, კ. ტიმირიაზევი, ს. ვაეილოვი... თაეის დროზე აქ სწავლობდნენ მწერლები დ. ფონვიზინი, ა. გრიბოედოვი, მ. ლერმონტოვი, ი. გონჩაროვი, ი. ტურგენევი, ა. ოსტროვსკი, ა. ჩეხოვი, აქ უსწავლიათ რუსეთის მატერიალისტური ფილოსოფიის კლასიკოსებს ვ. ბელინსკის, ა. ჰერცენს, ნ. ოგარევს. მოსკოვის უნივერსიტეტის მოწაფე იყო რუსული პედაგოგიკის ფუძემდებელი კ. უშინსკი. ქართველებიდან კი მოსკოვის უნივერსიტეტის კედლებში მიუღიათ განათლება ალ. ხახანაშვილს, ა. წულუკიძეს, ს. დანელიას, მ. ზანდუკელს, ალ. ჯავახიშვილს, მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას, დრამატურგ სიო ჭანტურიშვილს, ძმებს ლ. და გ. ჯაფარიძეებს.

მოსკოვის უნივერსიტეტს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დიდი და სახელოვანი ტრადიცია ჰქონდა. მოსკოვის უნივერსიტეტი ყოველთვის ეხმარებოდა მოწინავე საზოგადოებრივ აზროვნებას. მე-19 საუკუნის 90-ან წლებში აქ უკვე არსებობდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტები 1905 წელს მუშებთან ერთად აწყობდნენ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს. დეკემბრის აჯანყებაში მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ცხოველი მონაწილეობა მიიღეს. ისინი იარაღით ხელში იბრძოდნენ მუშებთან ერთად. რევოლუციის დამარცხების შემდეგ მეფის მთავრობამ უნივერსიტეტის სტუდენტური ორგანიზაციები დაარბია, ხოლო 1911 წელს დიდძალი რევოლუციური სტუდენტობა გაირიცხა უნივერსიტეტიდან... მოსკოვის უნივერსიტეტი გავდა ჟულკანს, რომელიც მუდამ აფრქვევდა ცეცხლს და ანათებდა შორს. მეფის მთავრობის რესპრესიებს უნივერსიტეტი შეუნელებელ წინააღმდეგობას უწევდა. სხვათა შორის,

მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი ქართველი კაცია ვახუშტი ბატონიშვილი.

აი, ასეთ უნივერსიტეტში შეკიდა აკაკი ფაღავა 1908 წელს. პრესნაზე ჯერ კიდევ არ გამხმარიყო მუშაობა სისხლი. ჯერ კიდევ ესმოდათ მოსკოველებს გენერალ მინაის ჯარების ბათქები. ცხენები სავსე იყო პოლიტიკური ტუსაღებით, ხოლო მოსკოვის ქუჩებში ს'შირად ისმოდა კაზაკების მათრახის ტკლაშუნი.

უნივერსიტეტში შესვლისთანავე აკაკი ფაღავა გამალებით ჩაება სტუდენტთა პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში. სწავლობდა ჩინებულად და იმავე დროს მონაწილეობდა სტუდენტურ ორგანიზაციებში. ასე, მაგალითად, იყო წევრი სოციალისტური ორგანიზაციისა, ქართველთა სათვისტომოსი, „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარეთა წრისა", მან დააარსა სტუდენტებისაგან „შექსპირის შემსწავლელი წრე". ამ ორგანიზაციებში ის კითხულობდა ლექციებს ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. თემა ამ ლექციებისა იყო ი. ჭავჭავაძისა, ა. წერეთლისა, ნ. ბარათაშვილისა, ე. ნინოშვილისა, შექსპირისა და შოთა რუსთაველის შემოქმედება. მოსკოვის უნივერსიტეტში დაამუშავა მან თავისი დიდათ შინაარსიანი ლექცია „საქართველოს XII საუკუნის კულტურის ამსახველნი". ეს ლექცია მან წაიკითხა ჯერ სტუდენტთა წრეში, ხოლო შემდეგ საჯაროდ მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აუდიტორიაში. ეს ლექციები ხელს უწყობდა რუს-ქართველ სტუდენტთა და საერთოდ რუს-ქართველი ინტელიგენციის დაახლოებას.

არდადეგებზე ჩამოსვლისას ამ ლექციებს აკ. ფაღავა კითხულობდა საქართველოშიც, ასე მაგალითად, ლექცია XII საუკუნის კულტურაზე და „ვეფხის ტყაოსანზე" მან წაიკითხა ბორჯომის კურსალში 1912 წელს 25 ივლისს. ლექციამ დიდძალი საზოგადოება მიიზიდა. გაზეთი „Закавказская Речь" იმავ წლის 1 აგვისტოს №176-ში ვრცელ რეცენზიას ათავსებს ამ ლექციაზე. მომყავს მისი შინაარსი, რომ ცხადი გახდეს, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევს ლექციას გაზეთი.

„აუდიტორიამ ლექცია ყურადღებით მოისმინა. ლექტორს თხოვეს ეს ლექცია რუსულად წაეკითხა, რადგან ლექციის თემამ ბევრი რუსის ყურადღება მიიქცია.

ეს ლექცია მიმდინარე საფხულს წაკითხულ იქნა დასავლეთ საქართველოს რამოდენიმე ადგილას, მათ შორის ქუთაისში".

ლიტერატურული საკითხებით დაინტერესება აკაკი ფაღავას ჯერ კიდევ გიმნაზიაში ეტყობოდა. ასე მაგალითად, 1906 წელს მან თარგმნა გერმანელი დრამატურგის ბეიერლეინის პიესა „სამხედრო ბანაკი", ხოლო 1902 წელს, ჯერ კიდევ 15 წლის ჭაბუკმა, თარგმნა „საეონაროლა", რომლის გმირი საეონაროლა პაპისმისა და ბნელეთის მოწინააღმდეგე მეამბოხე იყო.

ორივე ნაწარმოები, როგორც „სამხედრო ბანაკი", ისე „საეონაროლა" ბუნტარული სულის მატარებელია. „სამხედრო ბანაკში" პრუსიელ იუნკერთა მიერ დევნილი და უუფლებო ჯარისკაცის დრამაა აღწერილი, ხოლო საეონაროლა კათოლიკური ეკლესიის საშინელი დოგმატიკის წინააღმდეგ აღგზნებული მებრძოლია. რომის პაპმა საეონაროლა კოცონზე დასწვა... რასაკვირველია, ორივე წიგნის თარგმნისას მთარგმნელს განსაზღვრული ლიტერატურული და საზოგადოებრივი ინტერესები ამოძრავებდა. 1906 წელს აკ. ფაღავამ ცნობილი რუსი ანარქისტისა და მეცნიერის პეტრე კროპოტკინის ბროშურა „მართლმსაჯულება" თარგმნა. ეს ბროშურა მიმართულია სახელმწიფოს წინააღმდეგ.

1906 წელს, რეაქციის მძვინვარების წელს, როდესაც ეს ბროშურა ითარგმნა და გამოიცა, რასაკვირველია დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის სახელმწიფო აპარატის – სასამართლოს - წინააღმდეგ გალაშქრებას. სწორედ ეს სასამართლო დეკნიდა მაშინ რევოლუციონერებს: აყაედა სახრჩობელაზე, ხვრეტდა, აგზავნიდა კატორღაში, ამწყვდევდა ციხეებში.

ბროშურაში წერია:

„ბატონყმობისა და მონობის დროს შობილი სასამართლოს ინსტიტუტი მსახურებს მისთვის, რომ ბატონყმობა და მონობა დაარსინოს და მათი არსებობა გაახანგრძლივოს... მას შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარყვნილების აშმორებული წუმპე და ტალახი, რომელიც სასამართლოებისა და საპყრობილეების გარშემო გროვდება. მათი ცხოვრებაში გამტარებელნი არიან პოლიციელი, ჯალათი, ჯაშუში, პროვოკატორი, ჯაშუშთა კერძო საგენტო, რომელიც ბოლო დროს ასე სწრაფად ვრცელდება და სხვა ბევრი ამგვარი. ეს ტალახის წუმპე ყოველწლობით იზრდება“.

ბროშურის თარგმნა და გამოცემა[2] მეფის სასამართლოს საწინააღმდეგო პროტესტი და აგიტაცია იყო.

როგორც მოწაფეობისას, ისე სტუდენტობის წლებში აკაკი ფაღავა აქვეყნებს მთელ რიგ წერილებსა და კორესპოდენციებს იმდროინდელ საჭირბოროტო საკითხებზე. ამრიგად, აკაკი ფაღავა ჭაბუკობიდანვე ამჟღავნებდა არა მარტო ინტერესს ლიტერატურულ და სახოგადოებრივ საკითხებისადმი, არამედ დიდის ინტერესით და გულმოდგინეობით სწავლობდა თეატრის საკითხებსაც, სწავლობდა კულტურის ისტორიას, სოციოლოგიას, პოლიტიკურ ეკონომიას.

ეს ინტერესი მარტო თეორიული ხასიათისა რჩდი იყო. აკაკი ფაღავა პრაქტიკულადაც ჩაბმული იყო რევოლუციურ მოძრაობაში. შემდეგ ჩვენ ვნახეთ, თუ რა ფორმა მიიღო მისმა რევოლუციურმა მოღვაწეობამ უნივერსიტეტიდან საქართველოში დაბრუნებისას, როცა ის საქართველოს ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გახდა. ამჟამად კი, თუნდაც ქრონოლოგიურად, მისი ჭაბუკობიდან ერთი საინტერესო შემთხვევა გვინდა მოვიტანოთ.

1908 წლის ზაფხულია, აგვისტო. სოფელ აბედათში, ეკლესიის ეზოში დიდძალი ხალხია თავმოყრილი. გარა მარტო აბედათელები მოსულან? მეზობელი სოფლებიდანაც მოსულან. საქმე ისაა, რომ სამეგრელოში დიდის აბბით იციან მარითბის

[2] ბროშურა გამოსცა მ.დ. კიკნაძემ, სტამბაში „იდეალი“, 1906 წ.

თვეში, 15 აგვისტოს ძველი სტილით „ღვთისმშობლის მიძინების“ დღესასწაულის გადახდა. მეგრულად ამას „მარაშინა“ პქვიან. ყველაფერი ხელს უწყობს „მარაშინას“ ზარ-ზეიმით გადახდას. ჯერ ერთი რომ მინდვრის სამუშაოები მოთავებულია, სიმინდს ულეაშები აქა-იქ გაუსმა, ყურძენი შეთვალდა, ქალიშვილებს გასათხოვრად ამზადებენ, რადგან საცაა შემოდგომა მოვა თაეისი ხვაეი-ბარაქით, სასიძო ვაჟკაცები ულვაშებს იგრეხენ, რადგან სამეგრელოში ქორწილები სწორედ შემოდგომაზე იმართებოდა. ახალგაზრდობა ჩაცმულია ფაქიზად და ლამაზად. მზე უხვად ანათებს და ფარჩაში ჩასმულ სოფელს ახარებს.

გათავდა წირვა, ხალხი გამოეყინა ეკლესიიდან, გალავანშიაც ბევრი იყო ხალხი, რადგან ყველა ვერ დაიტია ეკლესიამ. გალავანს გარეთ შეკაზმული ცხენებია მიბმული: დღეს დიდი ჯირითი, თარჩია და მკერდული გაიმართება. ხალხი არ იშლება, რადგან უცდის ხუცესს. წეხია, სანამ ხუცესი არ გამობრძანდება ეკლესიიდან, ხალხი არ დაიძვრის გალავნიდან. არ მიდიან ფალავებიც. ოდესღაც მთელი ეს სოფელი და მთელი ეს მხარე ბანძა-მარტვილისა ფალავების სამფლობელო და სადროშე იყო. ოსმალეთი რომ შემოესეოდა სამეგრელოს, აქ დარეკავდნენ ზარს, დაჰკრავდნენ ბუკს, ამხედრდებოდნენ ფალავები, დარაზმავდნენ ხალსს და ეკვეთებოდნენ მტერს. ახლა კი ისტორიამ სსეანაირად მოაბრუნა ნარხი. ფალავები ხუცესის გამოსვლას უცდიან. ხუცესის გამოსვლა რა არი, ზოგი ფალავები მართლაც რომ არ განირჩევიან გლეხებისაგან: იგივე ჩაცმულობა, ისეთივე ცხენები, და ისეთივე დაკოჟრებული ხელები, რადგან თოხისთვის სულ ერთია თავადი მოიქნევს მას ყანაში თუ გლეხი. მართალია, შიგადაშიგ, ამ ზდვა ხალხში, კიდევ არის თითო-ოროლა ჰეწშერჩენილი ფალავა, მაგრამ საერთო ტონი დემოკრატიულია.

ხუცესის გამოსვლას უცდის აბუდათის მამასახლისი დავით ქაჯაია. მან იცის, რომ სწორედ ის არის ამ ზდვა ხალხში რაც არის: მთავრობის წარმომადგენელია, ხელისუფლება, „ხენწიფის“ კაცია.

აი, გამოეფდა ხუცესიც. ფალავებმა, თავკაცებმა და მამასახლისებმა მას მიაშურეს. ჰოდა, სწორედ ამ დროს, მკლესიის გალავანთან წამოიმართა მადალი, გრუზა თმიანი, ლამაზი ყმაწვილი. ის გამოწყობილი იყო მწვანე დიოგენალისაგან შეკერილ სტუდენტის ფორმაში. გამოირჩეოდა ზღვა ხალხში მკაფიოდ და კონსპირატიული თვალსაზრისით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა მისი გამოსვლა. მაგრამ დრო იყო ისეთი, რომ რომანტიკა და პოლიტიკა სწორედ ხელიხელ გადახვეული დადიოდნენ ხალხში. საჭირო იყო გამბედაობა და აკაკი ფალავამაც გაბედულად მიმართა ხალხს.

მისი სიტყვა მიმართული იყო მეფის მთავრობის წინააღმდეგ. ის მოითხოვდა ხალხისათვის სიტყვის, პრესის, რწმენის თავისუფლებას. ის მოითხოვდა პიროვნების თავისუფლებას, ეროვნული ჩაგვრის მოსპობას...

ხალხი გაიტრუნა. სულგანაბული უსმენს ორატორს. გაიტრუნა მამასახლისიც, რადგან არ იცის რა ჰქნას. ორატორმა გააფრთხილა ხალხი: მე ახალს არაფერს გეტყვითო, ეს ყველაფერი წიგნებში და გაზეთებში წერიაო. დაიბნა მამასახლისი. ფალავა სტუდენტია, ნასწავლი კაცია. მან უკეთ უნდა იცოდეს რა წერია წიგნებში, რა შეიძლება და რა არ შეიძლება. ორატორი კი განაგრძობს.

და ლაპარაკობს იმას, რაც ყველასთვის გასაგებია, რასაც ყველა ფიქრობს: რომ სწავლება უნდა იყოს დედაენაზე, რომ დედაენა უნდა იყოს სასამართლოშიც, დაწესებულებაშიც. რომ საქართველო უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ ძმურ კავშირში სხვა ხალხებთან, რომ ჩვენ ძმები ვართ რუსი ხალხისა, მაგრამ მტერი რუსეთის მეფისა...

ახლა კი მისდა მამასახლისი და როცა გაისმა „ძირს თეითმპყრობელობა!“ გაიწია ორატორისაკენ. სწორედ ამ დროს ორატორმა ჯიბიდან თეთრი კონა ამოიღო და ჰაერში თეთრი ფურცლები გააბნია. ხალხი ეცა ფურცლებს, დაიჭირა ფურცელი მამასახლისმაც და... დაიწყო კითხვა.

ეს იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბურია-ხამეგრელოს კომიტეტის პროკლამაცია. აკაკი

ფალავას სთხოვეს სოციალ-დემოკრატებმა ეს პროკლამაციები გადაეყარა ხალხში.

პროკლამაციები ხელიდან ხელში ფრიალებდნენ. ვინც წაიკითხა უხაროდა, ვინც არა და ცდილობდა გაეგო რაში იყო საქმე. და როცა მამასახლისიც გაერკვა „რაში იყო საქმე“, აკაკი ფალავა უკვე იქ აღარ იყო.

მეორე დღეს მამასახლისმა ჩაფრები ჩამოიყვანა, მთელი სოფელი გაჩხრიკა, მაგრამ აკაკი ფალავა ვერ იპოვა.

აკაკი ფალავა კი მოსკოვს გაემგზავრა, რომ დაწაფებოდა მეცნიერებას და იმ დიდ ამბებს, რომლითაც მაშინ სუნთქავდა და ცხოვრობდა მოსკოვის უნივერსიტეტი.

ერთი წლის შემდეგ, აკაკი ფალავა რომ მოსკოვიდან არდადაგებზე ჩამოვიდა, მამასახლისმა უთხრა:

– ბედი შენი, რომ გადაიკარგე, თორემ გაგაციმბირებდით. ახლა კი რამდენი სტუდენტია სენაკის მაზრაში, ყველას სად ვსდით მე? ეგებ შენ არც კი იყავი ის სტუდენტი? ასეც მოეახსენე ბოქაულს: ვინ იცის ვინ იყო მეთქი...

აკაკი ფალავას სტუდენტობის დროს განათლების მინისტრმა ლ. კასომ უნივერსიტეტის ავტონომია გააუქმა. ამან გამოიწვია მოწინავე პროფესორების მკაცრი პროტესტი. მთელმა რიგმა პროფესორებმა დატოვეს უნიეერსიტეტი. პროტესტის ნიშნად სტუდენტობაც ერთი კვირა გაიფიცა. გაფიცვას მოყვა რეპრესიები.

1908 წელს, როდესაც საქართველოში აკაკი წერეთელს 50 წლის აღსანიშნავი იუბილე გადაუსადეს, მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმაც გადაწყვიტეს აღენიშნათ ეს ეროვნული კულტურის თარიღი. ქართველი სტუდენტები მოელაპარაკნენ პროფესორ საკულინს და ის დათანხმდა აკაკი წერეთლის შემოქმედების შესახებ მოხსენება წაეკითხა. ი. ჯაჯანიძის სახელობის ქართული კულტურის მოყვარულთა წრის გამგეობამ გადაწყვიტა აკაკის ლექსთა კრებულიც გამოეცა რუსულ ენაზე. თარგმანები ეკუთვნოდა ტხორჟევსკებს, ცნობილ მთარგმნელებს. წიგნის გამოსაცემად ვალი აიღეს. ბროშურის გამოცემაში სტუდენტებს ძალიან დაეხმარა მოს-

კოეში მცხოვრები ქართველი ექიმი სტომატოლოგი თეიმურაზ ხორავა. 500 წიგნი საქართველოშიც გამოგზავნეს, რომ აღებული ფულით ვალი დაეფარათ. 25 ცალი კი აკაკის გამოუგზავნეს, როგორც საავტორო ეგზემპლარები. ამანათი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გამოუგზავნეს. გავიდა დრო-ხანი და თბილისიდან პასუხი არ იყო. მაშინ წრის გამგეობამ აკაკი ფაღავას დაავალა ამ საკითხის გამორკვევა. ფაღავა ამ წრის გამგეობის მდივანი იყო.

დადგა ზაფხულის არდადაგები: ქართველი სტუდენტები, როგორც მერცხლები ბრუნდებიან ხოლმე სამშობლოში, ისე დაბრუნდნენ საქართველოში. აკაკი ფაღავა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიას მიადგა. მაღაზიის გამგე შიო მღვიმელი იყო, ხოლო ნოქარი ვახო ედიშერაშვილი. როდესაც ედიშერაშვილმა აკაკი ფაღავას მოუსმინა, ასე უპასუხა:

- ის წიგნები, მართალია, მივიღეთ და გავყიდეც კიდეც მხოლოდ ფული აკაკიმ წაიღო. წიგნები ჩვენ აკაკისაგან მივიღეთ გასაყიდათ.

ცხადი იყო, რომ რაღაც გაუგებრობა მომხდარა. აკაკისათვის 25 ცალი კი არა, არამედ მთელი ამანათი 525 ცალი - გადაუციათ. რასაკვირველია, ფულს აკაკი წაიღებდა. ნაფიქრდა აკაკი ფაღავა.

არის კიდევ 4 მანეთი დარჩენილი, - უთხრა ედიშერაშვილმა აკაკი ფაღავას. - თუ აკაკი დაგრთავს ნებას იმ თანხას თქვენ გადმოგცემთ.

რა ექნა ავაკი ფაღავას? ასეთი კურიოზული საკითხისათვის აკაკი წერეთლისათვის მიმართვა იოლი რიდი იყო, ძალიან უხერხული იყო. მაგრამ მოსკოველ სტუდენტებს ვალი ჰქონდათ აღებული და იმ ვალს ხომ დაფარვა უნდოდა?

იქვე, მაღაზიის გვერდით, წ.ქ. საზოგადოების კანცელარია იყო. აქ თავს იყრიდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწენი. აქ მოდიოდა აკაკიც. ახალგაზრდა აკაკიმ დაუცადა ჭალარა აკაკის, ძალღონე მოიკრიფა და წარუდგა. უამბო თავისი და მოხკოველი სტუდენტების გასაჭირი.

აკაკი იჯდა სავარძელში. ხშირი, თეთრი თმები თოვლივით გაბარდნული ჰქონდა. თავი მაღლა აწეული. სახე სხივოსანი, რაღაც ნათელი. თითქმის ფიზიკურად ხილული ნათელი გამოსჭვიოდა მთელი მისი საოცრად ლამაზი და მიმზიდველი სახისგან. აკაკი გაეცა ოლიმპიელს, დიდებულს, შეუდარებელს, ერთადერთს...

მოდი და ელაპარაკე ახლა რაღაც მანეთებზე ამ ოლიმპიელს.

მაგრამ საზოგადოებრივ დავალებას თავისი ძალა აქვს და აკაკი ფაღავაც დაემორჩილა ამ ძალას. აკაკიმ მოუსმინა. თავი, ისედაც მაღლა აწეული, კიდევ უფრო ასწია და იქ მჯოფთა გასაგონად თქვა:

ემაწვილო, გაგიგონიათ კაცმა ჯერ რამე განუქოს და მერე წაგართვას?

ამ სიტყვებმა საწყალ აკაკი ფაღავას თავში რომ დაჰკრა ტერფებამდე დაუარა. ისედაც ტანწვრილი და ტანმაღალი ემაწვილი კაცი აიწურა, გასაფრენად გამზადებულ წეროს დაემსგავსა.

წავიდეს? მაგრამ ხომ უნდა მოუსმინოს დიდი აკაკის საბოლოო განანენს? გარდა ამისა უპასუხოდ წასვლა უზრდელობად ჩამოერთმევა. აკაკი ფაღავა ვერ ჰკადრებს ამას აკაკი წერეთელს. პაუსა კი გრძელდება.

ალბათ აკაკი ფაღავას თავისი ხანგრძლივი სასცენო-პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ხშირად განუმარტავს თავისი მოწაფეებისათვის თუ რა არის „პაუსა“. მაგრამ მე მგონია მსოფლიო დრამატურგიიდან ის ვერ მოიტანდა უფრო მძაფრსა და განცდით სავსე „პაუზის“ მაგალითს, ვიდრე იყო ის პაუსა, რომლის განმავლობაში იგი იდგა აკაკი წერეთლის წინაშე.

– მიეცით, მიეცით! – მოისმა ბოლოს აკაკის სიტყვები და ვასო ედიშერაშვილმა ის 4 მანეთი გადასცა აკაკი ფაღავას.

ახლა ამ 4 მანეთსაც რომ თავისი ისტორია აქვს? აკაკი ფაღავამ ეს 4 მანეთი ქაღალდში გაახვია და შარვლის საათის ჯიბეში შეინახა, რუსეთს რომ გაემგზავრა. დილას ერთ-ერთ

პატარა სადგურზე, სადაც მატარებელი შეჩერდა, აკაკიმ შარვალი ლია ფანჯარაში გადმობერტყა და ის 4 მანეთიც მტვერთან ერთად მოშორდა შარვალს... დაეცა მიწაზე. სწორედ ამ დროს დაიძრა მატარებელი. რა ექნა აკაკის? საცვლებს ამარა ხომ ვერ ჩამოხტებოდა მატარებლიდან?... ის 4 მანეთი აკაკიმ საკუთარი ჯიბიდან აანაზღაურა.

მოსკოვში მეოთხე ქართველი სტუდენტობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუს საზოგადოებასთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და მონაწილეობას იღებდა რუსეთის კულტურის ცხოვრებაში.

1908 წელს მოსკოვში დიდის ამბით გადაიხადეს მოსკოვის სამხატვრო თეატრის არსებობის 10 წლის იუბილე. ქართველმა სტუდენტებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ იუბილეში. შედგა დელეგაცია დავით გაგუას, აკაკი ფაღავას და ლ. ჯაფარიძის შემადგენლობით. ცნობილ რუს თეატრალსა და საზოგადო მოღვაწეს ვლადიმერ გილიაროვსკის ქალიშვილს – ნინოს სთხოვეს ამ შემთხვევისათვის საგანგებო ლექსი დაეწერა. ეს ის გილიაროვსკია, რომელიც ცნობილია ფსევდონიმით „Дядя Гиляй“ ხოლო მისი ქალიშვილი ნინო იმ დროს მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტი იყო. აი მას დააწერინეს ჩვენმა სტუდენტებმა მშვენიერი ლექსი.

ოდესღაც აკაკი ფაღავას მამამ ნესტორმა რუსულის უცოდინარობის გამო დიდი უხერხულობა განიცადა და „ქვაზე ფიცი“ დასდო, რომ შვილს რუსულ ენას შეასწავლიდა. ახლა კი, საბჭოთა საქართველოში, სოფლებშიაც კი იციან რუსული და ჩვენც საჭიროდ მიგვაჩნია გილიაროვსკაიას ლექსი გავაცნოთ თანამედროვე მკითხველს სწორედ რუსულ ენაზე.

აი, ეს ლექსიც:

Мы, дети Грузии далекой,
От всей души приносим Вам.
Поклон почтительный, глубокий,
Искусства славного жрецам.

Вы храм воздвигли совершенный,
Вы жизнь на сцену принесли,

И новый жертвенник священный
Рукою смелою зажгли!

И верим мы, тот факел ясный
Что ярко здесь, в Москве, горит
Наш Юг свободный, Юг прекрасный,
Отчизну нашу озарит.

Цветушей Грузии долины,
Алмазы цепи снеговой,
Блестящих ледиников равнины,
Бездонных пропастей покой,

Потоки бурные, обвалы
Орлов заоблочных приют,
Туман седой, седые скалы
Вам, через нас, поклон свой шлют...

ქართული დელეგაციის გამოსვლის წინ სიტყვა ჰქონდა რუსეთის სცენის სიამაყეს, მსახიობ თეოდორე შალიაპინს. მან შეძლო ე. სტანისლავსკის რახმანინოვის მიერ სპეციალურად ამ შემთხვევისათვის დაწერილი კანტატა. შალიაპინს დიდი წარმატება ჰქონდა. ტაშის გრიალი დიდხანს არ დამცხრალა. მოდი და გამოდი შალიაპინის შემდეგ!..

მაგრამ მაინც გამოეიდნენ. დავით გაგუა და ლადო ჯაფარიძე ხოხებში იყვნენ გამოწყობილი, აკაკი ფალავა სტუდენტის ფორმაში. ლექსად დაწერილი ადრესი მოსკოვის ქართველ სტუდენტთა სახელით დავით გაგუამ წაიკითხა. წაიკითხა ისეთი ოსტატობით, რომ დარბაზმა მხურვალე ოვაცია გაუმართა ქართველებს...

იმჟამად მოსკოვში საკმაო რაოდენობით იყო ქართველობა.

მოსკოვში მეოფ ქართველთა საზოგადოების თაემჯდომარე იყო ცნობილი მსახიობი დრამატურგი ალექსან-

დრე სუმბათაშვილი-იუჟინი. იგი სტუდენტთა ქართველ სათვისტომოსაც ეხმარებოდა და ხელს უწყობდა რუსებისა და ქართველების კულტურულ დაახლოებებას, სტუდენტთა სათვისტომოს მატერიალურად დახმარებასაც. ერთ-ერთი ფორმა ამ დახმარებისა ქართული სადამოების გამართვა იყო. სადამოები იმართებოდა ე.წ. „კეთილშობილთა დარბაზში“ (ამჟამად საბჭოების სეტეებიანი დარბაზი).

სადამოებში მონაწილეობდნენ რუსეთის გამოჩენილი მსახიობები თ. შალიაპინი, ლ. სობინოვი, ა. ნეჟდანოვა, ვ. კაჩალოვი, თეოთონ ა. სუმბათაშვილი-იუჟინი. სადამოებს ამშვენებდა მომღერალ სტუდენტთა გუნდი ქართული სიმღერებითა და ცეკვებით. ამ სადამოების აქტიური მონაწილე და მათი მომწყობთაგანი იყო აკაკი ფაღავაც.

მოსკოვშივე დაუახლოვდა აკაკი ფაღავა მოსკოვის სამხატვრო თეატრს. ამ თეატრთან დაახლოვებამ გადაწყვიტა მისი მომავალი მოღვაწეობის საკითხიც: თეატრალური მოღვაწეობა და ამ გზით საკუთარი ქვეყნისა და ერის სამსახური.

საქართველოსა და ქართველ ერს კი სწორედ იმ ხანებში დიდი საფრთხე მოელოდა. მეფის გამარუსებელი პოლიტიკა სწორედ იქითკენ იყო მიმართული, რომ არც საქართველო ყოფილიყო და არც ქართველი ერი. ეს ყველასათვის ცნობილია და ჩვენ ამაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ მოვაგონებთ ჩვენს მკითხველს, რომ სწორედ ამ დროს შემუშავდა პროექტი აფხაზეთ-სამეგრელოს ჩართვისა ახალ „შავიზღვის გუბერნიაში“, ხოლო საქართველოს შუაგულში ქართლში 40 000 რუსი კომლის ჩამოსახლებისა. ეს ველიკორუსული მასა ქართლის გულში ტირიფონისა და მის სანახებში, ახალციხის მიმართულებით უნდა დაესახლებინათ. ასეთი სატანური გეგმა შეიმუშავა მეფის მთავრობამ... სტოლიპინი დაჟინებით ატარებდა „გადასახლების პოლიტიკას“ ციმბირში, ყაზახეთში, თურქმენეთში, ყირგიზეთში. ჯერი მიდგა საქართველოზე. საბედნიეროდ დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. „ხოგი ჭირი მარგებელიაო“ სწორედ ამაზე ითქმის.

ჰოდა სწორედ მაშინ იყო საჭირო ეროვნული ძალებისა და აზროვნების კონსოლიდაცია, მაშინ იყო საჭირო ბრძოლა დედაენის შენარჩუნებისათვის, ეროვნული მეობის განმტკიცებისათვის.

ამ დიდ იდეას ხელს უწყობდა იმ დროის სამი ფაქტორი: იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება და ქართული თეატრი. ამ მხრივ ფასდაუდებელია ქართველი ერის წინაშე ქართული თეატრის ღვაწლი და როლი. ეს კარგად ესმოდა აკაკი ფაღავას და ამიტომ აირჩია სამოღვაწეოდ თეატრი.

თეატრს აკაკი ფაღავა პირველად ქუთაისში გაეცნო. ეს იყო 1903 წელს. მაშინ ქუთაისში თეატრს ლადო მესხიშვილი ხელმძღვანელობდა. აკაკიმ ნახა მესხიშვილის სპექტაკლი: „კონსტანტინე ბატონიშვილი“ ალ. ყაზბეგისა. 16 წლის ჭაბუკი გაიტაცა პატრიოტულმა იდეამ. პატრიოტული განწყობილება მას ჯერ კიდევ დედის კალთიდან მოსდევდა. ახლა კი, შეგნებული და დამოუკიდებელი ცხოვრების ზღურბლზე, ამ გადაწყვეტილებამ კონკრეტული მიმართულება მიიღო: სამშობლო და თეატრი. თეატრი უნდა ემსახურებოდეს სამშობლოს, ხალხს...

ამ დროიდან დაწყებული მოსკოვს გამგზავრებამდე აკაკი ფაღავა სისტემატურად მონაწილეობს სცენისმოყვარეთა წრეებში. პროფესიონალებიც კი იწვევდნენ მას სასაფხულო გასტროლებში მონაწილეობის მისაღებად. გიმნაზიის უფროს კლასებში ყოფნის დროს თეითონაც მართავდა წარმოდგენებს, საამისოდ შეადგენდა სცენისმოყვარეთა წრეს, მოიწვევდა ერთ-ორ ცნობილ პროფესიონალს და გაემართებოდა საგასტროლოდ. ამ სახით გაუმართავს მას წარმოდგენები: აბაშაში, სეფიეთში, ბანძაში, მარტვილში, ნახუნუში, სამტრედიაში, სურამსა, ბორჯომსა და ბაკურიანში. თბილისშიაც მართავდა ასეთ წარმოდგენებს მუშათა უბნებში.

თბილისში პირველად გამოვიდა სცენაზე 1906 წელს გერმანელი დრამატურგის ბეიერლეინის პიესაში „სამხედრო ბანაკი“ ლეიტენანტ ლაუფენის როლში.

იტალიელი დრამატურგის ჯ. როვეტის პიესაში „უპატიოსნონი არ იბადებიან“ ითამაშა მთავარი როლი კარლო მორეტიხა.

მეტერლინკის პიესაში „და ბეატრისა“ ითამაშა პრინც ბელიდორის როლი.

ამ ხანებში აკაკი ფალავა მარტო ახალგაზრდა თეატრალი როდი იყო, ე. ი. პიესებში თამაშით როდი იყო გატაცებული. ჩვენი თაობის ბევრი სტუდენტი და მოწაფე მართავდა წარმოდგენებს სოფლებში, მაგრამ სხვაობა ისაა, რომ აკაკი ფალავა მოწაფეობიდანვე უყურებდა თეატრს არა როგორც გართობის, თუნდაც კულტურული გართობის საშუალებას, არამედ ეროვნული გათვითცნობიერების იარაღს. ეს იარაღი კი პროფესიული უნდა გამხდარიყო, დიდი კულტურით უნდა აღჭურვილიყო, რადიკალურად გარდაქმნილიყო და დაყრდნობოდა იმდროინდელ სასცენო ხელოვნების მიღწევათა საფუძველს.

აკაკი ფალავა ბევრს კითხულობდა ამ საკითხებზე და კარგად ერკვეოდა ამ საკითხებში მიუხედავად ასაკისა. 1908 წლის იანვარს მან სპეციალური ბროშურა გამოუშვა ამ საკითხზე „სევდას“ ფსევდონიმით. ბროშურას ეწოდებოდა „ქართული თეატრი (დღევანდელი მისი მდგომარეობა)“.

ამ ბროშურამ მთელი პრესა აახმაურა. ატყდა განგაში. ზოგი ამართლებდა ავტორს. ზოგი თაეს ესხმოდა. ბროშურას „ღვარძლიანი კრიტიკა“ ეწოდა ცნობილმა მსახიობმა და რეჟისორმა, დრამატურგმა და საზოგადო მოღვაწემ ვალერიან გუნიამ. გუნია მაშინ რედაქტორი იყო ჟურნალ „ნიშადურისა“ და 1908 წლის 10 თებერვალს 26-ში სასტიკად გაილაშქრა „ეილაც უსახელო ავტორის“ წინააღმდეგ. რას მოითხოვდა ბროშურაში აკაკი ფალავა? ის წერდა:

”დღეს დრამატული საზოგადოების გამგეობაში თავი მოეყარეთ ისეთ კაცებს, რომელთა უმრავლესობას არავითარი წარმოდგენა არა აქვს ხელოვნებაზე და კერძოდ დრამატულ ხელოვნებაზე“.

აკაკი ფალავა მოურიდებლად მიუდგა საკითხს. ის აკრიტიკებდა ქართული თეატრის ნაკლოვანებებს, უხეირო რე-

ცენზიებს, რეჟისურის აბნეულობას და სიხუსტეს. ფაღავა მოითხოვდა მსახიობთა შემოქმედებითი ოსტატობის ამაღლებას, თეატრის დაახლოებას სოციალურ საკითხებთან და მეტ პროგრესიულობას. ფაღავა მოითხოვდა ახალი ძალებისთვის გზის გახსნას და თავს ესხმოდა დრამატული საზოგადოების კონსერვატიულ მოღვაწეთ. ის წერდა:

„უმთავრესი საშუალება ქართული თეატრის ადორძინებისა და განახლებისათვის არის ახალი ძალების მოპოვება, მათი აღზრდა. მხოლოდ ახალი ძალები, განათლებული, მცოდნე ინტელიგენტი მუშაკნი იხსნიან ქართულ სცენას, დაამკვიდრებენ მტკიცე ნიადაგზე და შეაძლებინებენ გაუწიონ ხალხს და ქვეყანას ის სამსახური, რაც ნამდვილ ხელოვნების ტაძარს - თეატრს მოეთხოვება“. კონკრეტულად აკაკი ფაღავა მოითხოვდა:

1. თეატრალური საქმის სათავეში მდგომი პირები კომპეტენტური უნდა ყოფილიყვნენ თეატრალურ საკითხებში;

2. საქართველოში უნდა დაარსებულიყო თეატრალური კურსები ან, „უკიდურეს შემთხვევაში“, უნდა მოეწყოთ სპეციალური ლექციები თეატრალური ხელოვნების საკითხებზე;

3. მსახიობთა კულტურისა და მხატვრული დონის აწევას;

4. ახალგაზრდა მსახიობთა გაგზავნას რუსეთის რომელიმე თეატრალურ სასწავლებელში თეატრალური განათლების მისაღებად.

ვალ. გუნიამ, როგორც ვთქვით, ბროშურას „ღვარძლიანი კრიტიკა“ უწოდა. გუნია წერდა:

„ეითომ და კრიტიკულ ბროშურაში, სხვათა შორის, აღნუსხულია ის ორგანული ნაკლი და ხელშემშლელი მიზეზები, რომლებზედაც დიდი ხანია უთითებენ და სჩივიან, როგორც თვით მსახიობნი, აგრეთვე თეატრის გამგენი და ქართული სცენის ყველა აუდშეფატკივარნი.

ამ მხრივ ნიდაბაფარებული აეტორი ახალს სრულებით არაფერს ამბობს. იგი მხოლოდ თუთიყუშივით იმეორებს უკვე მრავალგზის სსეებისგან ნათქვამს და ნაწერს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყოველივე სიტყვა და წინადადება უსახელო

ავტორისა მოწამლულ-მოშხამულია უზომო ღვარძლით, წრეს გადასული და თავხედური ცილისწამებით და სიყალბით ქართველ მსახიობებისადმი და განსაკუთრებით კი ეხლანდელი რეჟისორებისადმი“...

მთელ რეცენზიაში ვერ იპოვით კონკრეტულ კრიტიკას ავტორიხ დებულებათა დასარღვევად. ვალ. გუნიას კარგად ეს-მოდა ეს და ამიტომ ამბობდა თავის რეცენზიაში: „თავის დროზე, რა თქმა უნდა, ჩვენ უთუოდ გამოვაშკარავებთ უსახ-ელო ავტორის გულმრუდობას და სულმოკლეობას“..

ბროშურას გამოეხმაურა გაზეთი „Закавказская Речь“, რომლის რედაქტორი იყო ცნობილი პუბლიცისტი პართენ გოთუა. პართენ გოთუაც უსაყვედურებს ავტორს ბროშურა ტენდენციურადაა დაწერილი და ჩანს ამ სეზონში ეს ავტორი მატერიალურად დაზარალებულიაო. გოთუას ეგონა ბროშურა რომელიმე რეჟისორის ან მსახიობის დაწერილი იყო. თუ გავი-ხსენებთ იმ გარემოებას, რომ პ. გოთუა ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი იყო, ცხადი გახდება მისი კრიტიკის მართლა რომ ტენდენციურობა.

სულ სხვანაირად დააფასა ბროშურა მეორე ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოღვაწემ ლ. ყიფიანმა. 1908 წ. 6 თებერვლის №31 გაზეთ „Тифлисский Листок“-ში ის წერდა:

„ავტორი მოკლედ და სამართლიანი სიმძაფრით მიუთი-თიებს ქართული თეატრალური საქმის მთელ რიგს ნაკლოვანებებზე, რეპერტუარის უვარგისობაზე, რეჟისორის უმეცრებაზე, და იმ პირთა სრულ უვიცობაზე, ვინც დრამატული საზოგადოების გამგეობაში შედიან. ეს პირები კი ამ ქართული დრამატული საზოგადოების ავან-სავანები არიან. ავტორი ამბობს, რომ ქართული თეატრის საუკეთესო წლები 80-იანი წლები იყოვო და თეატრის დაკნინებაში ინტელიგენ-ციასაც დებს ბრალს, პრესასაც და თვით მსახიობებსაც, რო-მელთაც ვერ შესძლეს ერთ ძლიერ და მოქმედ მხატერულ და-სად ჩამოყალიბება, ვერ შესძლეს თავისი რიგების გაწმენდა ჩვეულებრივი კულისების მიღმური ინტრიგებისა და სიბინძურ-ისაგან.

ბროშურაში მეტად საგულისხმო ცნობებია მოტანილი, საიდანაც ვხედავთ, თუ როგორ მზადდება ჩვენში ახალი პიესები. ავტორი ამბობს, რომ ხშირიათ შემთხვევა, როცა არამც თუ რეპეტიციის დროს, არამედ წარმოდგენის დღესაც მსახიობებმა არ იციან პიესის არა თუ ძირითადი იდეა, არამედ მისი შინაარსიც. ქართული სპექტაკლების ენა ყოვლად მიუღებელია, როლების უცოდინარობა ჩვეულებრივი მოვლენაა; ჩვეულებრივი მოვლენაა აგრეთვე ამ სპექტაკლებში დეკორაციებისა და მოწყობილობის სტილის აღრევა, ბუტაფორიისა და რეკვიზიტის უვარგისობა, რაც დაუდეგრობის შედეგია. ჩვეულებრივი მოვლენაა აგრეთვე, რომ არა ჩანს ოდნავ მაინც გამოცდილი რეჟისორის ხელი. ავტორის მათრახი (იგულისხმება აკ. ფალავა) იწვნია აგრეთვე ეგზალტირებულმა „სარეპერტუარო კომისიამ", რომელსაც სრულიად არაფერი გაუკეთებია რეპერტუარის გამოცოცხლებისა და განახლებისათვის. რეპერტუარი კი არაფრად ეარგა..."

ლ. ყიფიანი ეთანხმება ავტორს მის დებულებებში, ეთანხმება იმაშიც, რომ სანამ მთავარი საკითხები მოგვარებული არა აქვს ქართული თეატრის ხელმძღვანელობას, მოამზადონ მაინც რეპერტუარი და ძალები მომავალი საზოგადოებისათვის, ე. ი. შეარჩიონ პიესები, გაანაწილონ როლები, შეასწავლონ ეს როლები და შეუდგნენ რეპეტიციებს.

მხოლოდ ერთ რამეში არ ეთანხმება ყიფიანი ფალავას: არ არისო მართალი, თითქოს პრესა უყურადღებოდ ტოვებდა ქართული თეატრის საკითხებს. პრესა მიუთითებდა სწორედ იმ საკითხებზე, რომელზედაც გაამახვილაო ყურადღება ფალავამ. საქმე მხოლოდ ის არის, რომ ქართული დრამატული საზოგადოების გამგეობა და მსახიობები პრესის მითითებებს ყურადღებას არ აქცევდნენო...

მკითხველს ადვილად დაარწმუნებს შედარება ვ. გუნიასა და ლ. ყიფიანის წერილებისა. აგრეთვე აკ. ფალავას ბროშურიდან ამონაწერისა, თუ ვინ იყო მართალი. გუნია განსაკუთრებით გამოექომაგა რეჟისორს. რატომ?

საქმე ის არის, რომ მაშინ ანსამბლური სპექტაკლები არ იდგმებოდა. რომელიმე მსახიობი, რომელიც იმავე დროს რეჟისორიც იყო, მოიწვევდა სასწრაფოდ დასს ან სცენისმოყვარეთა წრეს, ერთი-ორი რეპეტიციით გაიელვიდა პიესას, ჩასვამდა მოკარნახეს ჯიხურაში და სპექტაკლიც მზად იყო. საქმე ის კი არაა, რომ ჭრაქით იყო განათებული სცენა, რომ ღარიბი იყო რეკვიზიტი, რომ მოკარნახის ხმა უკანა რიგებშიაც კი ისმოდა. ამას ყველაფერს ურიგდებოდა მაყურებელი, რადგან შინაარსსა და დრამატურგს გაჭირდა სპექტაკლი.

საქმე ის არის, რომ მხატვრული დამუშავება და ოსტატობა აკლდა ასე სახელდახელოდ და უპასუხისმგებლოდ შეხანხლულ სპექტაკლს, არ იყო ანსამბლურობა და ყველაფერი ცნობილი მსახიობების გარშემო ტრიალებდა. ძნელად თუ შეიძლებოდა ლაპარაკი სპექტაკლის კულტურაზე. აი, ამან გამოიწვია აკაკი ფაღავას მოთხოვნილება, რომ რეჟისორს თავისი ადგილი დაეჭირა თეატრში და თეატრი დასდგომოდა ახალ გზას. აკაკი ფაღავას ა'ხრით თეატრს მხოლოდ ამ შემთხვევაში შეეძლო გაეწია სამსახური ხალხისა და ქვეყნისათვის...

სწორედ ამან: – თეატრის საშუალებით ხალხისა და ქვეყნის სამსახურის იდეამ და თვით თეატრის სიყვარულმა გადააწყვეტინა აკაკის შესულიყო მოსკოვის სამხატვრო თეატრის სტუდიაში 1909 წელს. აქ გაიარა მან უნივერსიტეტთან შეთავსებით სარეჟისორო განსრით სასცენო ხელოვნების კურსი. ამ კურსის გავლის შემდეგ ის თეატრში ჩარიცხეს რეჟისორის თანაშემწედ. სწორედ იმ სპეციალობაში დახელოვნდა აკაკი ფაღავა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ფუძემდებლებისა და ხელმძღვანელების კონსტანტინე სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს ხელმძღვანელობით.

1913 წელს სამხატვრო თეატრში აკაკი ფაღავა ა. ბენუასთან და კ. სტანისლავსკისთან ერთად (ბენუა-რეჟისორი, ფაღავა-თანაშემწე) მონაწილეობდა მოლიერის პიესა „იჭვით ავადმყოფის“ დადგმაში. სპექტაკლმა ნინებულად ჩაიარა და

აკაკი ფალავას ოფიციალურად მიენიჭა რეჟისორის თანაშემწის ხარისხი. იგი ჩაირიცხა სამხატვრო თეატრის რეჟისორთა კოლეგიის წევრად. ამ დროიდან შემონახულია ერთი დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს კ. სტანისლავსკი (1913 წ. 14 აგვისტო). სტანისლავსკი ასე ახასიათებს აკ. ფალავას:

„ამ ბარათით ვადასტურებ, რომ ბ. ფალავა აკაკი ნესტორის ძე ირიცხება მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორის თანაშემწედ. იგი მუშაობდა ჩემთან გასულ 1912-13 წლის სეზონში მოლიერის პიესის „იჭვით ავადმყოფის“ დადგმაზე.

ბ. ფალავამ მშვენიერად იცის საქმე, სერიოზულია, კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და ყველა ამ ხანაგებისა და თანამოსამსახურეებისაგან მეტად პატივცემული“.

სამხატვრო თეატრში მუშაობის დროს აკაკი ფალავა მონაწილე იყო თეატრის გასტროლებისა პეტერბურგში, ვარშავაში და კიევში. აკაკი ფალავას ბიოგრაფიაში ეს საინტერესო ფურცელია და ჩვენ მოკლედ შევჩერდებით მასზე.

1912 წელს სამხატვრო თეატრი პეტერბურგს ჩავიდა. გასტროლებს დიდი წარმატება ჰქონდა. წარმოდგენები იმართებოდა „მიხეილის თეატრში“. მანამდე ამ შენობაში პეტერბურგის ფრანგული თეატრი იყო. ამჟამად კი ოპერის მცირე თეატრია.

გასტროლები დასასრულს უახლოვდებოდა, როცა პეტერბურგის ინტელიგენციამ მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელებს, რეჟისორებსა და გამოჩენილ მსახიობებს ბანკეტი გაუმართა. ბანკეტს ხელმძღვანელობდა ცნობილი თეატრალი და საზოგადო მოღვაწე თავადი სერგეი ვოლკონსკი. ეს ის ვოლკონსკია, რომელიც ერთ დროს საიმპერატორო თეატრების დირექტორი იყო. ვოლკონსკის დიდი ადგილი ეჭირა მეფის კარზე, მაგრამ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანი იყო. მეფის კარის დამყაყებულ რეჟიმს ვერ შეეგუა და დასტოვა თავისი დიდი პოსტი. 1910-1912 წლებში ის სამხატვრო თეატრს დაუახლოვდა და მისი მონაწილეობით დაიწყო მზადება დანუნციოს პიესისა „მკვდარი ქალაქი“, რომელსაც კოტე მარჯანიშვილი დგამდა. ამ მუშაობაში აკაკი ფალავა რე-

ქისორის თანაშემწე იყო. აი, აქ გაეცნო ვოლკონსკის ფალავა. ვოლკონსკიმ ფალავაზე ერთგმარი გავლენაც იქონია. ვოლკონსკი მწერალიც იყო. მან დასწერა მეტად საყურადღებო შრომები: „ადამიანი სცენაზე“, „მხატვრული გამოძახილი“, „გამომსახველი ადამიანი“. ვოლკონსკი იყო პოპულარიზატორი ჟაკ დალკროზის რიტმული გიმნასტიკისა. ვოლკონსკი დიდად აფასებდა ახალგაზრდა ფალავას და როცა პეტერბურგის საზოგადოებამ მოსკოვის თეატრს ბანკეტი გაუმართა, აკაკი ფალავაც მოიწვია. საქმე ის არის, რომ ეს უბრალო ბანკეტი რიდი იყო, არამედ პეტერბურგისა და მოსკოვის, რუსეთის ორი დედაქალაქის, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა შეკრება იყო. აქ მხოლოდ რჩეულნი იყვნენ მოწვეულნი. ქართველთაგან აქ იყვნენ მოწვეულნი: კოტე მარჯანიშვილი, ცნობილი პეტერბურგელი ადვოკატი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და აკაკი ფალავა.

რუსთაგან იყვნენ: ცნობილი ორატორები და საზოგადო მოღვაწენი ანატოლი კონი, სერგეი ვოლკონსკი, ლეონიდე ანდრეევი, ნიკოლოზ კარაბჩევსკი და სხვა.

პეტერბურგიდან თეატრი ვარშავას გაემგზავრა. სამხატვრო თეატრის გასტროლები ვარშავაშიც სულ ანშლაგებით მიდიოდა, მაგრამ ვარშავის პრესა სამხატვრო თეატრს მაინცდამაინც არ გამოესმაურა. ამ გარემოებამ აკაკი ფალავა დააინტერესა და მიზეზი სულ იოლად იპოვა. საქმე ის იყო, რომ მეფის დროს პოლონეთი დაჩაგრულ განაპირა ქვეყნების რიცხვს ეკუთვნოდა. აკაკის შეკითხვაზე პოლონელები უპასუხებდნენ: ვიდრე რუსეთის მეფის მთავრობა ასე გვჩაგრავს და გვდევნის, ჩვენ ხხვანაირად ვერ მოვიქცეითო...

მაგრამ სამსატვრო თეატრის სპექტაკლებზე მაინც დადიოდნენ, რადგან დიდი იყო ძალა სამსატვრო თეატრისა. ვარშავაში აკაკი ფალავა ერთხელ კიდევ დარწმუნდა, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენს თეატრი.

ვარშავიდან სამხატვრო თეატრი კიევს გაემგზავრა. წარმოდგენები იმართებოდა კიევის უდიდეს თეტრში – საოპერო

თეატრში. კიევშიაც სამხატვრო თეატრს დიდი წარმატება ჰქონდა.

კიეველმა თაყვანისმცემლებმა სამხატვრო თეატრს კანევოში გემით გასეირნება მოუწყეს. კანევოში მარხია ტარას შევჩენკო და ამ გასეირნებას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა.

აკაკი ფაღავამაც მიიღო მოსაწვევი ბარათი:

„მოსკოვის სამსატვრო თეატრის კიეველ პატივისმცემელთა ჯგუფი გთხოვთ მობრძანდეთ კვირას, 12 ივნისს დღის 12 საათისათვის დნეპრზე გემით გასასეირნებლად."

12 საათზე დნეპრის ნავსადგურზე მოსკოველებს სპეციალური გემი დაუხვდა. სტუმრებს გემბანზე 12 მუსიკოსი საყვირებით მიეგება. სტუმრები გემის სასადილოში შეიპატიჟეს, სადაც 200 კაცისათვის სუფრა იყო გაშლილი. მოუსხდნენ სუფრას.

მიდის გემი. ლამაზია დნეპრის ნაპირები. ლამაზი იყო დღეც. ცელქი ტალღები გემის კედლებს ეშხაპუნებიან. რუსი და უკრაინელები სუფრას უსხედან. და უცებ გაისმა ქართული „მრავალჟამიერი".

მ. მოსკვინმა წამოიწყო ქართული სიმღერა. ქართულმა სიმღერამ დაამშვენა რუს-უკრაინელთა მეგობრული სუფრა.

კანევოში გეირგეინებით შეამკეს ტარას შევჩენკოს საფლავი.

აკაკი ფაღავამაც ტარას შევჩენკოს საფლავი გვირგეინით შეამკო.

სამსატვრო თეატრში სწავლა აკაკი ფაღავამ 1915 წელს დაამთავრა, ხოლო მოსკოვის უნივერსიტეტი 1914 წელს. 1915 წელს ის ჩამოდის საქართველოში და ამ დროიდან მთელი მისი მოდვაწეობის უდიდესი ნაწილი ქართულ თეატრთანაა დაკავშირებული. თვითონ ქართული თეატრის ზრდა-განვითარება და მისი საზოგადოებრივი დონის გადიდება, ქართული თეატრის ეროვნული როლის გაძლიერება და მისი ღირსების ამაღლება ქართველი ერის თვალში აკაკი ფაღავას სახელთანაა დაკავშირებული თეატრის სხვა მოღვაწეებთან ერთად.

ეს იყო პირველი მსოფლიო ომის შფოთიანი დრო. ეს იყო სისხლის ღვრის, დიდი ქარიშხლებისა და მეტად მძიმე დრო. ხალხის საუკეთესო შვილები – რევოლუციონერები – ციხე-კატორღაში იტანჯებოდნენ, ან იატაკქვეშ იმალებოდნენ, ან ემიგრაციაში იყვნენ. მეორე ნაწილი და უმრავლესობა – მსოფლიო ომის სანგრებში იჯდა ფინეთიდან და ბალტიის ზღვიდან დაწყებული არტაან-არზრუმამდე... მეტად მძიმე და რთული იყო მდგომარეობა, მეტად საშინელი და სახიფათო იყო საზოგადო მოღვაწეობაც. აი, ასეთ სისხლიან და ქარიშსლიან ხანაში გამოდის სამოღვაწეო ასპარეზზე აკაკი ფაღავა. ის უმაღლესი განათლებითაა აღჭურვილი: – სპეციალური სარეჟისორო და პედაგოგიური განათლებით.

ბრძოლა ახალი თეატრისათვის

1915 წელს აკაკი ფაღავა საქართველოში ჩამოვიდა. ამ დროისათვის მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპები უკვე ფეხს იკიდებდნენ ქართულ სცენაზე. ჯერ კიდევ 1908 წელს გაზეთი „ნაპერწკალი“ (1908. წ., №18, 14 და 15 ივნისი) წერდა, რომ ლ. მესხიშვილი მოულოდნელად ისეთ წარმოდგენებს ჩამოიტანსო ხოლმე ქუთაისიდან, რომ გააკვირვებსო მაყურებელს. გაზეთი ამბობდა: „პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ქართულ საზოგადოებას თავის დღეში არ უნახავს ისეთი მოხდენილი და ხელოვნური თამაში, ისე ნიჭიერად შესრულება როლებისა, ისე მწყობრად და შეთანხმებით ჩატარება წარმოდგენისა, როგორც წარსულ შაბათსა და კვირას“.

სამხატვრო თეატრში აღზრდილი რეჟისორი ალ. წუწუნავა უკვე მუშაობდა ამ პრინციპებით და ყურადღებასაც იპყრობდა. მას ბაძავდნენ სხვებიც, მაგ. ვ. შალიკაშვილი და ქართული თეატრის სპექტაკლები ანსამბლურობის გზას ადგენენ.

1909 წელს ა. წუწუნავამ მოსკოვის სამსატვრო თეატრის სტილით დადგა გ. დანუნციოს პიესა „იორიოს ასული“. გაზეთი „ჩვენი აზრი“ 1909 წ. 1 იელისის №44 ასე აფასებს

სპექტაკლს: „ქართულ სცენაზე ჩვენ უკეთესი მოთამაშენი ბევრი გვინახავს, უკეთესად დადგმული კი არცერთი... ჩვენში რომ ყოველთვის ასე დგამდნენ პიესებს, დარწმუნებული ვართ საზოგადოება მუდამ ბლომად დავსწრებოდა. ა. წუწუნავამ გვიჩვენა პრაქტიკულად აქედან გამოსავალი გზა...“ რეცენზენტი აღნიშნავდა, რომ რეჟისორი ა. წუწუნავა „მოსკოვის სარეჟისორო სკოლის მოწაფეა“... 1914 წ. ივნისს შალვა დადიანმა დადგა ნინო ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე?“ ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ (№17, 29 ივნისი) წერდა: „ქართული მელპომენეს ტაძარი დიდი ხანია ასე მადლიანად არ ამეტკეკლებულა, როგორც 15 ივნისს... შალვა დადიანის დასის თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა. ერთსულოვნება, სისადავე, სიწრფელე, სიმარტივე, გონიერებასთან შეთანხმებული ზომიერება, აი რით ხასიათდება მათი სასცენო ხელოვნება. ერთი მთავარი მოქმედი პირი, პირველი არტისტი აქ არ ჩანდა. მთელს წარმოდგენაში მხოლოდ პიესის სული იყო გაპიროვნებული“... ცხადია ეს ანსამბლურობა როლების ცოდნას გულისხმობდა, პარტნიორთან შეხამებას მოითხოვდა, ყველა როლის შემსრულებელს პასუხისმგებლობას უკარნახებდა. მაყურებელი ხედავდა, რომ ახალი სკოლის სპექტაკლები ჯობდა ძველს, სადაც არც ანსამბლურობა იყო, არც როლები იცოდნენ, და არც პასუხისმგებლობას გრძნობდნენ მაყურებლების წინაშე. არამც თუ რიგითი მსახიობები, ისეთი დიდი მსახიობებიც კი, როგორიც ვასო აბაშიძე და ნატო გაბუნია-ცაგარელისა იყვნენ, სშირად სცოდავდნენ მაყურებლის წინაშე. ერთ კომედიაში ვასო აბაშიძე ვაჭრის როლს თამაშობდა და ხშირად ჩაურთავდა თავის რეპლიკას „შენ სარ ჩემი ბატონი“. როცა მას უხაყვედურეს ეს თავისობა, ვასომ ღიმილით უპასუხა:

„რა ვქნა, ქაჯან! „შენ ხარ ჩემი ბატონი“ სულის მოსათქმელი მალამოა, როცა მსახიობმა როლი არ იცის“...

იყო ასე... მაგრამ ეს როდი უშლიდა ხელს ქართული თეატრის საერთო ზრდა-განვითარებას. იმ დროს ქართული თეატრი უკვე ძლიერი ფაქტორი იყო ჩვენი კულტურული

ცხოვრებისა. თბილისში და ქუთაისში უკვე მუდმივი დასები მუშაობდნენ, თეატრს ბევრი პროფესიონალი მსახიობი და რეჟისორი ჰყავდა. ზოგიერთ ქალაქებში და დაბებში სცენის მოყვარულთა ძლიერი დასები მუშაობდნენ. გვყავდა ერთი მოძრავი დასიც, რომელიც ქალაქად და სოფლად დაიარებოდა. გვქონდა სპეციალური ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“... ჩინებულად მოღვაწეობდა სახალხო თეატრი. ყველაფერი ეს იყო, ოღონდ არ იყო სპექტაკლების მეცნიერულად გამართვის სისტემა... თეატრი არ იდგა მაღალ პროფესიონალურ დონეზე.

ახლა ავიღოთ ქართული ოპერის ამბავიც. სად იყო იმ დროს ქართული ოპერა? მაგრამ სწორედ იმ დროს მოისმინა ქართველმა საზოგადოებამ ახალგაზრდა კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“. ეს იყო პირველი ქართული ოპერა. ეს ამბავი იმ დროს ეროვნულ დღესასწაულად გადაიქცა და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართულ საზოგადოებაზე. ოპერა კონცერტული სახით იქნა შესრულებული. ცნობილმა პოლიტიკურმა საზოგადო მოღვაწემ გიორგი ლასხიშვილმა ამ კონცერტს „სახალხო გაზეთში“ აღფრთოვანებული წერილი უძღვნა. ის წერდა:

„ის, ვისაც ახსოვს რა მდგომარეობაში, რა საფეხურზე იდგა ქართული სიმღერის საქმე ამ ოცი წლის წინად, როცა ლადო აღნიაშვილმა და რატილმა იკისრეს მძიმე და დიდი ტვირთი მომღერალი გუნდის ორგანიზაციისა და ქართული სახალხო მოტივების პირველად საკონცერტო სცენაზე გამოტანა, დაგვეთანხმება, რომ ამ მხრივ დიდი ნაბიჯი გადავდგით წინ. მაშინ ერთ ხოროს, რომელიც უაკომპანიმენტოდ ასრულებდა უბრალო ხალხურ სიმღერებს, აღტაცებაში მოვყავდით. ახლა დახელოვნებული და ნიჭიერი მცოდნენიცა გვყავს ჩვენის მუსიკისა, ბევრი კარგი ხოროც, რომელნიც მხატვრულად ასრულებენ რთულ მოტივებს ორკესტრის აკომპანიმენტით, ხშირად ორიგინალურ და ლამაზ ჰარმონიზაციით გამშვენიერებულთ.

ახლა კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით წინ: მოვისმინეთ პირველი ქართული ოპერის „აბესალომ და ეთერის“ პირველი

აქტი და რამოდენიმე ნაწყვეტი დანარჩენი აქტებისა, რომელთაც ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს ყველაზე და იმედი ჩაგვისახეს, რომ ახლო მომავალში ქართული ხელოვნება, ქართული მუსიკა თავის საკადრის, შესაფერის თეალსაჩინო ადგილს დაიჭერს განათლებულ ქვეყნების ხელოვნებაში. ოპერა, რამდენადაც ეს სჩანს ერთის აქტიდან, ნამდვილ ქართულ ბუნებისაა, ლამაზი და მომხიბლავი მელოდიებით, გმირული და აღმაფრთოვანებელი ხოროებით. მეტად სასიამოვნო და ნაზი არიებით აბესალომისა და ეთერისა, საუცხოო საფინალო სორო მესამე მოქმედებისა, აგრეთვე ცალკე ასრულებული ოპერის მეორე აქტიდან მშვენიერი კვარტეტი და ხორო „დიდება აბიო მეფეს“ ჩვენის აზრით, საუცხოო მარგალიტებია, რომელთაც ნამდვილად აღნეია შემოქმედების ძალა“.

დაახლოებით იმავე ხანებში დაიწერა მეორე მშვენიერი ქართული ოპერა დიმ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე“. ამ ოპერამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ქართული საზოგადოება ორივე ოპერის გამოჩენას შეხვდა როგორც ეროვნულ მოვლენას, რომელიც; იმ აზრს ადასტურებდა, რომ ქართველი ერის სიცოცხლის უნარიანობა და სულიერი ძალა ვერ დაეთრგუნა მეფის გამარუსებელ პოლიტიკას, იფეთქა ეროვნულმა გრძნობამ, ეროვნულმა სიამაყემ. მაგრამ არაეის მოსვლია აზრად, რომ ეს იყო რუსული თეატრალური კულტურისაგან განდგომის გზა ან ნიშანი. პირიქით, მეფის ძალმომრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსული თეატრალური კულტურის მოღვაწეებს ახლა უფრო მჭიდროდ ამოუდგა გვერდით ქართული თეატრალური კულტურის მოღვაწეთა ფალანგა, რომელიც გამდიდრებულიყო ნაციონალური თეატრით, ოპერით, ნაციონალური კადრებით.

ასეთ ვითარებაში საჭირო იყო თეატრალური კულტურის ერთიანი ფრონტით გამოსვლა, ხმამაღლა აღიარება იმისა, რომ ქართული თეატრი დიდი საზოგადოებრივი ძალაა, რომელსაც ერის ცხოერებაში თავისი წონა და ადგილი აქვს.

ასეთ ვითარებაში საჭირო იყო თეატრს გარკვეული იდეოლოგიური და ხაზოგადოებრივი სახე ჰქონოდა, შემდეგი ზრდის გზები დაესახა, კუსტარულობას აცილებოდა და ეროვნული და სოციალური ინტერესებისათვის ბრძოლა უფრო გაეძლიერებინა.

ასეთ ვითარებაში საჭირო იყო სიმტკიცეც და პრინციპულობაც, რომ ახალგაზრდა აკაკი ფაღავას არ მორიდებოდა სცენის ზოგი ძველი ქურუმების ჩამორჩენილობისა და იარაღი ავსხა ახალი თეატრალური პრინციპებისათვის საბრძოლველად. ხაჭირო იყო ახალი სისტემის თეორიული დასაბუთებაც.

აი, ამ საკითხებში გასარკვევად მოწვეულ იქნა სრულიად საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა პირველი ყრილობა თბილიში. საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკაკი წერეთელი. საქმიან თავმჯდომარედ გიორგი ლასხიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგებად ლადო მესხიშვილი და კიტა აბაშიძე. პრეზიდიუმის წევრებად ი. გედევანიშვილი და საშა კრინიცკი (დარახველიძე)...

ყრილობამ რამოდენიმე დღე გასტანა. ყრილობას დიდძალი ხალხი ესწრებოდა. მოხსენებები და კამათი ქართულ ენაზე იყო. „ქართულ ენაზე აბა სხვა რომელზეო?“ გაუკვირდება მკითხველს. ჰო, ახლა ესაა გასაკვირი, ეს კითხვა. მაშინ კი ის უკვირდათ ძველი თაობის წარმომადგენლებს, თუ საიდან მოვიდა მშვენიერი ქართული მოლაპარაკე თაობა: ახალგაზრდა მომხსენებელნი და მოკამათენი? ეს თაობა კი აღზარდა „დედა-ენამ“, წ.კ. საზოგადოების საქმიანობამ და ქართულმა თეატრმა...

სრულიად საქართველოს ხცენისმოყვარეთა ყრილობა შედგა 1914 წელს 12 ივნისს. ამ ყრილობაზე აკ. ფაღავამ მოხსენება წაიკითხა თემაზე „სასცენო ხელოვნება“... მას შემდეგ 45 წელმა განვლო, მაგრამ ამ მოხსენებაში გამოთქმულ აზრებს დღესაც არ დაუკარგავთ ძალა და ცხოველმყოფელობა. საქმე ის არის, რომ ამ იდეებით ცოცხლობს და მუშაობს დღესაც სამხატვრო თეატრი და განა მარტო ის. საბჭოთა

ქვეყნების ყველა თეატრი ამ გზით მიდის. ახლა ამ იდეებს „სტანისლავსკის სისტემას“ ეძახიან, მაგრამ საქმე სახელწოდებაში რიდია, საქმე ის არის თუ როგორი უნდა იყოს სასცენო ხელოვნება. გარდა ამისა დღეს, კომუნიზმის მშენებლობის ხანაში, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სასცენო ხელოვნებით არა მარტო პროფესიონალები, არამედ არაპროფესიონალებიც, ე.ი. სცენის მოყვარენიც არიან დაინტერესებულნი. საქართველო დასერილია კულტურის სახლებით და კლუბებით, მათი რიცხვი აღწევს 2000, თვითმოქმედ კოლექტივებში ათეული ათასი ადამიანია ჩარეული, ესენი შეგნებულად და გატაცებით მუშაობენ თავის თეატრალურ კოლექტივებში. მათთვის ზედმეტი რიდი იქნება ერთხელ კიდევ გავახსენოთ რა გზით უნდა წასულიყო სასცენო ხელოვნება სამხატვრო თეატრის ქართველ მოწაფეთა აზრით.

თავის მოსსენებაში აკაკი ფაღავამ მოაგონა მსმენელთ, რომ არსებობს სხვადასხვა სასცენო მიმართულება: ნატურალიზმი, მოდერნიზმი, რეალიზმი და სხვა.

„ყველა ამ მიმართულებაში არის ორგვარი სახე განხორციელებისა და დღეს-დღეობით უმთავრესად ჩამოყალიბებულია ორი ღონისძიება სასცენო შემოქმედებისათვის: ერთია თეატრი წარმოდგენისა, მეორე – თეატრი განცდისა. პირველი არ იყენებს, რომ იგი სახავს „მოგონილ ცხოვრებას“, რომ მას პირობითი ხასიათი აქვს. იგი ცდილობს მუდამ ახსოვდეს მაყურებელს, რომ ის თეატრშია, რომ ის უყურებს აქტიორს, რომელიც წარმომდგენილია ამა თუ იმ მოქმედი პირისა. აქ ძალაუნებურად უმთავრესი ყურადღება გადადის ფორმაზე, გარეგნობაზე. ასეთი თეატრი წარმოდგენისა, მხოლოდ მომსსენებელია იმისი, რაც შექმნა ავტორმა.

წარმოდგენის თეატრი ზედაპირზე დასცურავს, იგი არ იძიებს შინაგან განცდას, ღრმად ვერ ჩაუხედია ადამიანის სულსა და გულში და მოქმედ პირთა შინაგანი არსების განცდებით ვერ აუტოკებია გული მაყურებლისა.

ასეთ თეატრს, თეატრს წარმოდგენისას, ჰყავს მსახიობი. წარმომდგენელი მსახიობი არ დაგიდევთ მოქმედ პირთა ინდიეიდუალურ თვისებას. მას აქვს შემუშავებული ერთგვარი შაბლონი, ერთგვარი თარგი, რომელზედაც გამოჭრის ხოლმე ყველა მის მიერ წარმოდგენილ პირს. ყველა პიროვნების წარმოსადგენად იგი სარგებლობს ერთი და იმავე საშუალებით.

არის მეორე თეატრი. თეატრი განცდის. ეს თეატრი ამბობს, რომ ვინაიდან სცენა გამოსახავს ადამიანის აზრსა და გრძნობას, თეატრმა უეჭველად ჯერ თვითონ უნდა გაიგოს ეს აზრი და განიცადოს ეს გრძნობა და შემდეგ იგივე აზრი გააგებინოს და გრძნობა განაცდევინოს მაყურებელს. უნდა შევნიშნოთ, რომ წარმოდგენის თეატრი უფრო ეტრფის სანახაობას, მას აინტერესებს მაყურებელი; განცდის თეატრს კი პირიქით — აინტერესებს შინაგანი ცხოვრება ადამიანისა, მას სწყურია მსმენელი და არა მაყურებელი, მასთან მსმენელი გულისყურით.

ასეთი თეატრის მსახიობმა უეჭველად უნდა განიცადოს ის გრძნობა, რა გრძნობითაც დაახასიათა ავტორმა ესა თუ ის მოქმედი პირი. იდეალი სასცენო ხელოვნებისა ის არის, რომ თეატრისა და ავტორის შემოქმედება იმდენად შესისხლხორცდნენ, რომ იქნეს ერთსულ და ერთხორც. აი, სად არის აღთქმის ქვეყანა სცენისათვის. როგორც ყოველ ადამიანს აქვს საკუთარი სახე, ისევე ყოველ ავტორს აქვს საკუთარი სახე, საკუთარი მელოდია. აი, ამ მელოდიის განცდა ყოველ შემოთხვევაში აუცილებელი ვალდებულებაა სცენისა".

შემდეგ მომხსენებელი ამბობდა, რომ თეატრალური შემოქმედება კოლექტიურიც არის და ინდიეიდუალურიც. თეატრის კოლექტივიზმი იმაში გამოიხატება, რომ თეატრს მსახიობისა და რეჟისორის გარდა სჭირია მხატვარი, მოქანდაკე, მუსიკოსი, ტექნიკოსები სხვადასხვა დარგისა და უბრალო მუშები. თეატრის ინდივიდუალიზმი კი იმაში გამოიხატება, რომ თითეულ ნაწარმოებს გამოუქებნოს მისი საკუთარი, „სხვაში გამორჩეული" სახე.

შემდეგ მომხსენებელმა განაცხადა, რომ ქართული თეატრი განიცდის „შინაგანი მუშაობის ხრულ უღონობას, რომ საჭიროა საზოგადოებას შეძლება ჰქონდეს შეგნებული კონტროლი გაუწიოს თავის თეატრს“.

ზეეით ჩვენ ვთქვით, რომ ქართული თეატრის მსახიობები როლებს არ სწავლობდნენ. მომხსენებელმა კი უთხრა ყრილობას, რომ მსახიობმა არამც თუ თავისი როლი, პიესის შინაარსი თავიდან ბოლომდე უნდა იცოდეს, რომ მას უნდა შეეძლოს ყველა მოქმედ პირთა დახასიათება, რომ მსახიობისათვის აუცილებელია ცოდნა ყოველივე დეტალისა თავისი როლისათვის“.

ამის შემდეგ მომხსენებელმა დეტალურად გაარჩია თუ რა მოეთხოვება მსახიობს სცენაზე, როგორი უნდა იყოს მისი განცდა, რომ თუ მსახიობს რეჟისორმა როლი მიუჩინა, მსახიობი არ უნდა დაეჭვდეს თავის ძალაში, რომ სცენაზე ყველა წვრილმანს აქვს მნიშვნელობა და რომ სცენაზე „წვრილმანი“ არ არსებობს.

„წარმოდგენის ყველა შემქმნელთა შორის არსებობს მჭიდრო კავშირი: რეჟისორი იქნება ის თუ მსახიობი, სკამი, ბალიში, მუშა თუ ტექნიკოსი“...

ამ დროს დარბაზში ირონიულად გაიღიმეს ოურმე. მომხსენებელმა შენიშნა ეს ირონიული ღიმილი. შენიშნა და თქვა: თქვენ მე ირონიული ღიმილით დამასაჩუქრეთო... შეიძლება რომელიმე თქვენგანმა ისიც კი თქვას:

„თქვენს პირს შაქარი, მაგრამ განა შესაძლებელია ჩვენთვის ყოველივე ესა?“...

ასეთი დაეჭვება ყრილობისა სრულიად ბუნებრივი იყო, რადგან სწორედ ამ ყრილობაზე ისხდნენ ისინი, ვინც არამც თუ სხვისი როლი და შინაარსი პიესისა, თავისი როლიც კი არ იცოდა და ოილად გადიოდა ფეხს მოკარნახის საშუალებით. ამიტომ მომხსენებელმა განაცხადა:

„რასაკვირველია ის, რაც მე დაგისახეთ შედარებით იდეალია, განსაკუთრებით ჩვენთვის, მაგრამ ეს სრულებითაც არ

ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უარი ვსთქვათ მის განხორციელებაზე, უკიდურეს შემთხვევაში არ დაუახლოვდეთ მას“.

რა საშუალებით, რა გზით შეიძლება ქართული თეატრის აღორძინება? მომხსენებელმა დასახა გზები:

– აუცილებელია პიესის მეცნიერული შესწავლა და მხატვრული განხორციელება.

– საჭიროა ავტორის პატივისცემა („თუ შექსპირი წლობით ჰქმნიდა თავის დრამებს-ჩვენ უფლება გვაქვს 2-3 დღეში შეეხანხლოთ იგივე ნაწარმოები და საჯაროდ გამოვიტანოთ?“)

– მსახიობის დახელოვნებაში საჭიროა თანდათანობა. ერთბაშად არ უნდა დაიტვირთოს თეატრში მოსული ახალგაზრდა, თუნდაც ის ნიჭიერი იყოს. ზედმეტი ტვირთი სამუდამოდ დაასახიჩრებს მსახიობს.

– საჭიროა სკოლა. უნდა მოვიზიდოთ ახალგაზრდობა. ამ ახალგაზრდობამ მონაწილეობა უნდა მიიღოს ჯერ საჯარო სცენებში, გაიწვრთნას, დახელოვნდეს. ეს იქნება ერთგვარი „სკოლა“. საჭიროა მათ ასწავლონ, უხელმძღვანელონ. საჭიროა დასის რეჟისორებმა კვირაში 2-3 საათი შესწირონ მათთან მეცადინეობას“.

„ეს ფრიად“ მნიშვნელოვანი საკითხია ქართული სცენის მომავლისათვის და ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს.

საჭიროა ნამდვილი სკოლაც „თეატრთანვე დაარსებული“. “ეს სკოლა მოგვცემს ახალ, სპეციალური ცოდნის ხალხს. უმაგითოდ საქმეს არ ეშველება. დროა პალიატივებს თავი დავანებოთ და შევუდგეთ სერიოზულ მუშაობას“. „აუცილებელია სკოლა, სკოლა ქართული“.

– უნდა შეიცვალოს ქართული თეატრის მუშაობის სისტემა ძირიანად.

– რა მიმართულებას უნდა დაადგეს ქართული თეატრი? „უპირატესობა მხატვრულ რეალიზმს უნდა ეარგუნოთ“... მოსკოვის სამხატვრო თეატრი იმით არის საინტერესო, რომ მისი ყოველი სპექტაკლი მხატვრულია, პიესები კი სხვადასხვა ხასიათისა აქვს...

საინტერესოა, რომ აკაკი ფაღავა, მოსკოვის სამხატვრო თეატრში აღზრდილი და მისი მოწაფე, არ შემოიფარგლა ამ თეატრის მეთოდოლოგიით. მან უპირატესობა მისცა ამ თეატრის პრინციპებს, მაგრამ განაცხადა:

„როდესაც ჩვენი თეატრის ყოველმხრივ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, უსათუოდ უპირატესობა მხატვრულ რეალიზმს უნდა ვარგუნოთ. რასაკვირველია, ეს გზას ვერ შეუკრავს სხვა მიმართულების წარმოდგენას, თუ კი იგი საინტერესოდ იქნება განხორციელებული“.

მომსსენებელმა ასეთი სიტყვებით დაამთავრა მოხსენება:

„თეატრი, განსაკუთრებით ჩვენს მდგომარეობაში მეოფი ერისათვის, ტაძარია, სადაც ადგილი აქვს მხოლოდ გულით წმინდას და გონებით მასვილს ადამიანს. იგი უნდა ქმნიდეს სამარადისო ღირებულებას და მაშინ გაამართლებს იგი ყველა იმ იმედს, რასაც ჩვენ თეატრზე ვამყარებთ“.

ჩვენ ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით ამ მოხსენებაზე, რომ მასში გამოთქმული აზრები საფუძვლად დაედო აკაკი ფაღავას მთელ შემდგომ მუშაობას და ქართული თეატრიც ამ გზას დაადგა თანდათანობით. თანდათანობით, რადგან ამ გზის გამარჯვებას ბრძოლები დასჭირდა.

ეს მოხსენება იმდენად საინტერესო იყო და იმდენი გამოძახილი გამოიწვია, რომ იგი ჯერ გამოქვეყნებული იქნა გაზეთ „სამშობლოში“ (№19, 24 თებერვალი, №20, 25 თებერვალი, და №21, 26 თებერვალი 1915 წლისა). ხოლო ლექციის სახით განმეორებული იქნა ქუთაისში 1915 წელს 10 თებერვალს. ქუთაისში ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა ყალეზე შედგა. „როგორ? ჩვენ? ჩვენ, ძველებს, ჭკუას გვასწავლიან?“ და გამგეობამ აკაკი ფაღავა სამუშაოდ არ დაუშვა. გამგეობამ განაცხადა: „ამჟამად ჩვენ არ შეგვიძლია აკაკი ფაღავას წინადადებით ვისარგებლოთ“. წინადადება კი იყო დასში სამუშაოდ დაშვება.

მაშინ აკაკი ფაღავამ ღია ბარათით მიმართა გამგეობას. ბარათი დაბეჭდილი იყო გაზეთ „იმერეთში“, №4. 10 იანვარი, 1915წ.

აკაკი წერდა:

„ბატონებო! მე დიდად მიკვირს და ვერ გამიგია რად სცნობს შეუძლებლად გამგეობა ჩემს მუშაობას დასში.

თქვენი პასუხი, მეტი რომ არა ვთქვათ, დიდათ გასაოცარია, იმიტომ რომ დრამატული საზოგადოების პირდაპირი მოვალეობაა ხელი შეუწყოს ქართულ სასცენო ხელოვნებას, გზა მიეცეს ახალ მოელენას და საშუალება მსურველს გამოიჩინოს თავისი ცოდნა და უნარი“...

რა იყო უარის მიზეზი? მიზეზი იყო, რომ ჩვენი სასცენო ხელოვნება იმ დროს შაბლონს ვერ გასცილდებოდა, ერთხელ და სამუდამოდ მიღებული ტრაფარეტით იოლად გადიოდა ფონს. თეატრს არ სურდა გარჯა, მეცადინეობა, პიესის შესწავლა და ხშირად დგამდა დამყაყებულ მელოდრამებს შესანიშნავი პიესების გვერდით.

ასე, მაგალითად, ქუთაისის სცენაზე იდგმებოდა მაშინ ჰ. ირეთელის „ქრისტინე“, ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, ნ. გოგოლის „რევიზორი“, ა. ჩეხოვის “ძია ვანო”, ლ. ანდრეევის “დღენი ჩვენი ცხოვრებისა”, მ. გორკის „უკანასკნელნი“, ა. დიუმას „ედმონდ კინი“, შექსპირის „ჰამლეტი“, შილერის “ყაჩაღები”, ჰ. იბსენის “ნორა” და ”ექიმი შტოკმანი”, ბ. შოუს „მეამბოხე“, ი. გედევანიშვილის „სინათლე“, მონტის „კაიუს გრაკხუსი“, ანრი ბერშტეინის „ურიის სისხლი“, ა. ცაგარელის „ციმბირელი“, ხ. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“, ჰაუპტმანის „ჩაძირული ზარი“... და ამათ გვერდით უაზრო ვოდევილები.

რადგან აკაკი თეატრში რეჟისორად ვერ მოეწყო, პედაგოგიურ მუშაობას მიჰყო ხელი თავისი მეორე სპეციალობის მიხედვით. თეატრს კი მაინც არ ანებებდა თავს. მთელი 1915-16 წლის განმავლობაში სისტემატურად ათავსებს წერილებს პრესაში ქართული თეატრის დადგმების შესახებ, არჩევს სპექტაკლებს, როლების შემსრულებლებს, რეჟისურას.

თუ რა სასიათისაა და რა მიმართულების ეს წერილები, თუ რა მოთხოვნილებისა და საზომის მიხედვით სჯის ფაღაეა თეატრს, შევჩერდეთ ერთ წერილზე.

1915 წ. 8 იანვარს ქუთაისში დაიდგა ალ. დიუმა-მამის პიესა „ედმონდ კინი“. გაზეთ „იმერეთის“ 11 და 13 იანვრის №5 და №6 აკაკი ფალავა არჩევს ამ დადგმას. ჯერ გარჩეულია პიესის შინაარსი სოციალური თვალსაზრისით, შემდეგ მსახიობთა თამაში, რეჟისურა, გაგება პიესისა.

ფალავას სიტყვით „დიუმას ნაწარმოები – ცქრიალა, გამჭვირვალე, აქაფებული შამპანიურია, რომელშიაც ნაზად და კოხტად ჩაქსოვილია ტანჯვა, ტრაგიზმი კინის განცდათა. ტრაგიზმი სოციალურ უთანასწორობაშია. კინი – მდაბიოა, ურთიერთობა კი აქეს უელსის პრინცთან. სპექტაკლს უნდა გამოეწვია პროტესტი სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ. ეერ გამოიწვია. რატომ?“ თურმე:

„შამპანურის მაგივრად ჩვენმა დასმა მოგვაწოდა მღვრიე რიონის წყალი, ისიც დაუშაბავი“, – ამბობს ფალავა.

საქმე ის არის, რომ კინის როლის შემსრულებელს ვერ ყავდა შეხმატკბილებული ანსამბლი. „რასაც მესხიშვილი – ხელოვანი თავისი შემოქმედებით აშენებდა, ყველა სხვა მონაწილე ანგრევდა“...

ზოგ მსახიობს მუდმივ, ერთგვარ სიარულს, ერთგვარ ხმას, ერთგვარ მიხერა-მოხვრას და ქართულში რუსულ მახვილებს უსაყვედურებს; ზოგს – მოუმზადებლობას. ზოგს ტრაფარეტობას, ზოგს სრულიად არ ესმოდა თავისი როლი. ზოგ მსახიობზე ამბობს „ხელოვანი რეჟისორის“ ხელში უკეთესი იქნებოდაო. რეჟისორზე ამბობს ნაჩქარევი სპექტაკლია, საქმის ხელმძღვანელთ არ ესმით, რომ აჩქარება არ შეიძლებაო... დადგმის ხერხებსაც იწუნებს ავტორი. „რეჟისორის დიდი შეცდომა იყო უკანასკნელი სცენის ნაწილის პარტერში გადატანა“. გრაფის ლოჟასაც იწუნებს რეცენზენტი. „ნუთუ ყველგან და ყოველ პიესაში ხალიჩები უნდა იყოს?“ განა არ შეიძლება ხალიჩები მაუდით შეცვლილიყო? მით უმეტეს რომ ეს ხალიჩები თეატრის საკუთრება არ არის, იგი ოჯახებიდან გამოაქვთ.

რეცენზენტი იწუნებს პროგრამასაც. ის ცუდადაა შედგენილი. პიესის რეჟისორად აფიშაზე მესხიშვილი ყოფილა გამ-

ოცხადებული, პროგრამაში კი შალიკაშვილი. ასეთი დაუდევრობა არ ეპატიება თეატრს. საჭიროა, ამბობს რეცენზენტი, პროგრამაში აღნიშნული იქნესო მოქმედებათა რაოდენობა, პიესის ავტორისა და მთარგმნელის სახელი და გვარი... რეცენზენტი დაასკვნის:

„უნდა გავაფრთხილოთ ჩვენი თეატრის მესვეურნი, რომ ჩვენ მოვითხოვთ საქმეს, სერიოზულ საქმეს. დროა ძველ გზას ავუსვიოთ, გაეცდეთ ჭაობს და მოვძებნოთ ანკარა წყალი“...

ერთ-ერთ რეცენზიაში, რომელიც ეხება ჰაუპტმანის „დაძირულ ზარს“ აკ. ფაღავა გადაკვრით ამბობს ქართველ ადამიანზე, საქართველოზე, ჩვენს ნიჭსა და მშვენიერებაზე და ამ სოციალური დრამის გარჩევისას მკითხველს შენიღბულად მიახვედრებს თანამედროვეობაზე. იგი ამბობს „ახალი ცხოვრების გამოჭედვის ცდაზე“, ჩვენი სულიერი და მატერიალური სიმდიდრის გამოყენებაზე. იგი წერს: „ყურადღებით უნდა ჩაესწავლეთ ჩვენს გარემოს, ყოველივე იმას, რაც შეაჩერებს ჩვენს ყურადღებას ასეთ მოვლენებზე და შეეცვალოთ საუმჯობესოდ ასეთი მდგომარეობა“. (გაზ. „მეგობარი“ №№79–80 6 და 8 იანვარი, 1919 წ.) ომისდროინდელ ცენზურის პირობებში მეტის თქმა არ შეიძლებოდა. საკმაო დრო დასჭირდა ჩვენს ხალხს, რომ „არსებული საუმჯობესოდ შეეცვალა“.

საკმაო დრო დასჭირდა ქართულ თეატრს გასცდენოდა ჭაობს და „მოეძებნა ანკარა წყალი“. საკმაო დრო დასჭირდა აკაკი ფაღავასაც ამისათვის. 1915-1916 წლებში ის ჯერ დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრია, ხოლო შემდეგ გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი. ხოლო 1917 წელს – გამგეობის თავმჯდომარე.

ამ წლებში ის აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქ.შ.წ.კ. გამაერცელებელი საზოგადოების მუშაობაში, კითხულობს ლექციებს სახალხო უნივერსიტეტში ხელოვნების საკითხებზე.

1915 წელსაც აკაკი ფაღავა ხშირად ათავსებს პრესაში წერილებს ხელოვნების საკითხებზე, განსაკუთრებით თეატრზე. ის ამახვილებს საზოგადოების ყურადღებას, რომ საჭიროა

გვქონდეს სათეატრო შენობა არა მარტო თბილისში, სადაც თეატრი დაიწვა, არამედ ქუთაისშიაც, სადაც არსებული სათეატრო შენობა უვარგისია.

აკაკი ფალავა ისევ და ისევ იმ აზრის აგიტაციას ეწევა, რომ საჭიროა ნამდვილი თეატრი და არა პაროდია თეატრისა, რომ ქართული საზოგადოება ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს თეატრს.

ფალავა ისევე ქადაგებს იმ აზრს, რომ საჭიროა ახალი მეთოდი თეატრალურ საქმეში, უკანასკნელ მიღწეულთა გამოყენება და ჩვენი თეატრი კი ძველ გზას ტკეპნისო. ეს იმით აიხსნებაო, რომ თეატრის მესვეურნი სპეციალისტები არ არიანო, რომ ჩვენში ფიქრობენო თითქოს სცენაზე მუშაობას, თეატრის გაძღოლას არავითარი ცენზი, არავითარი მომზადება არ ესაჭიროებოდესო. იგი ამბობდა:

„ხომ არცერთი ჩვენთაგანი არ მოითხოვს, თუ სათანადო ცოდნა არა აქვს შეძენილი, დაინიშნოს გიმნაზიის მასწავლებლად, ბანკის დირექტორად, მოსამართლედ, ხომ ვერ გავბედავთ სათანადოდ მოუმზადებელ ვექილობას, დირიჟორობას, გუნდის ლოტბარობას, პიანინოს, ჭიანურის ან ვიოლონჩელის დაკვრას? არა! მაშ, რა უფლებით სურს ვისმე გახდეს ჩვენში თეატრის გამგე, მისი მესვეური, როდესაც იგი თეატრის საქმის სრული უცოდინარია? როგორ არის, რომ ისეთი ადამიანი, რომელმაც ლაპარაკიც კი არ იცის, ორატორობა კი არა, უბრალო, მართებული ბაასი (სასცენო დიქცია კიდევ განსაკუთრებით შესასწავლია) ქართული თეატრის მსახიობია?...“ (გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 27 მარტი, 1916 წ.)

აკაკი ფალავა იბრძოდა იმისათვის, რომ ქართული თეატრი განთავისუფლებული ყოფილიყო უცხოელი ელემენტებისაგან. იგი მოაგონებდა მკითხველს, რომ როცა თბილისში იავორსკაიას ქალის გასტროლი იყო და ქართული თეატრის შენობაში რუსული წარმოდგენები იმართებოდა, „ქართული დასი ერთგული ძაღლივით ყურეუტებდა დერეფანში და რომელ დღესაც მიუგდებდნენ იმ დღეს ელირსებოდა წარმოდგენას“. (იგივე გაზეთი, №24, 29 მარტი, 1916წ.)

„ახალი თეატრის შენობის აგების ეროვნულ (ხალხის) საქმედ გადაქცევა ერთადერთი ხსნაა ჩვენი ხელოვნებისა“ – წერს აკაკი ფაღავა.

აკ. ფაღავა მოუწოდებდა გამგეობას ხელი აეღო ქველმოქმედებაზე, აეწია სპექტაკლების ხარისხი, მოეგვარებია თეატრალური მეურნეობა. ის მოაგონებდა, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით თეატრი კომერციული დაწესებულებაა, რომ თეატრში საქველმოქმედოდ სიარული წლიდან წლამდე აბსურდია, რომ პოლიტიკური ეკონომიკის რკინის კანონი აქაც მოქმედებს, რომ საჭიროა ზრუნვა შემოსავალზე... და ციფრებით ამტკიცებს (იხ. იგივე გაზეთი №27, 1 აპრილი 1916 წ.), რომ თეატრი შესძლებს არსებობას, თუ თავი დააღწია რუტინორობას, პრიმიტიულობას, სიზარმაცეს... რომ თუ მხატერულობის მაღალი დონე და პრაქტიკული საქმიანობა გონივრულად იქნა შერწყმული ერთმანეთთან, ისე, როგორც ეს კულტურულ ქვეყნებშია, ჩვენ გექნება ნამდვილი, მოქმედი, ეროვნული და ხალხისათვის საჭირო და სასარგებლო თეატრი.

თეატრის შენობის აგებასთან ერთად აკაკი ფაღავა მოითხოვდა ერთგვარი თანხის გაღებას (50 000 მანეთს) „ახალი დრამის შესაქმნელად“. ის მოითხოვდა რეპერტუარის შედგენას და შერჩევას, დასის დაქირავებას არა სეზონის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, არამედ ნახევარი წლით ადრე, ის მოითხოვდა პიესების შეძენას, ბიბლიოთეკის შედგენას, ქუთაისისა და თბილისისათვის ერთი ძლიერი დასის შექმნას.

ერთი სიტყვით, აკაკი ფაღავა თეატრის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას დიდ ყურადღებას აქცევდა.

საინტერესოა, რომ საკითხის ახე დაყენება და გადაჭრა დრამატული საზოგადოების გამგეობამ არ მოინდომა. 1916 წლის 16 თებერვლის სხდომაზე აკაკი ფაღავას დასაბუთებული მოხსენების მოსმენა გამგეობამ არ იხურეა. მან ვიწროდ შემოფარგლა საკითხი და მხოლოდ სათეატრო შენობის საკითხზე იმსჯელა... მაშინ აკ. ფაღავამ თავისი პროექტი პრესაში გამოაქვეყნა...

აი, რანაირად და რა პირობებში უხდებოდა აკაკი ფაღავას ბრძოლა ქართული თეატრის ორგანიზაციისათვის, ვიდრე რევოლუცია შეანძრევდა ძველ ქვეყანას. მთელი ამ ხნის განმავლობაში, ე.ი. 1915, 1916, 1917 წლებში ის პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. ასწავლის რუსულ ენასა და ლიტერატურას ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში, რადგან ჯერჯერობით სერიოზული მსატვრულ-შემოქმედებითი მუშაობა ვერ ხერხდებოდა თეატრში. აკაკი ფაღავა, როგორც ვთქვით, ჯერ დრამატული საზოგადოების გამგეობის წევრია, შემდეგ 1916 წელს – გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი, სოლო 1917 წელს გამგეობის თავმჯდომარე.

1916 წელს მოსკოვში შესდგა სრულიად რუსეთის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ყრილობა. აკაკი ფაღავა დელეგატი იყო ამ ყრილობისა. მან გაბედულად გაილაშქრა მეფის მთავრობის შავრაზმული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების შემოღება არარუსი ეროვნებათათვის. პრესამ აღნიშნა ეს გაბედული გამოსვლა.

ამ გამოსვლისათვის ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოწაფეებმა აკაკი ფაღავას ქართველიშვილის მიერ გამოცემული „ეეფხისტყაოსანი“ უძღვნეს.

ამავე დროს აკაკი ფაღავა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის წევრია და მისი ერთ-ერთი ლიდერი, ეწეოდა დიდ არალეგალურ მუშაობას. ლეგალურად კი თანამშრომლობს პრესაში, აქვეყნებს წერილებს საჭირბოროტო საკითხებზე, ისევ და ისევ თავს დასტრიალებს თეატრს და არჩევს სპექტაკლებს. ასე გრძელდება 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

1917 წელს მოხდა თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუცია.

თითქოსდა მოსალოდნელი იყო, რომ ქვეყანა ამოისუნთქავდა.

მაგრამ ომი ისევ გრძელდებოდა, ხალხის საუკეთესო შვილები სისხლს ღვრიდნენ თვალუწვდენელ სიერცეებზე გად-

აჭიმულ ფრონტების სანგრებში, მცირე ერებს ისევ-ისე სჭირდებოდა თავისი ეროვნული ინტერესებისათვის ბრძოლა.

საქართველოში მაშინ რამდენიმე პოლიტიკური პარტია არსებობდა და იბრძოდა. ეს პარტიები არალეგალური მდგომარეობიდან გამოვიდნენ და ეკამათებოდნენ ერთმანეთს: არა მე ვარ ხალხის ინტერესების დამცველი, არა მეო. განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა სოციალ-დემოკრატებსა და სოციალ-ფედერალისტებს შორის. ბრძოლა მიმართული იყო, როგორც ეროვნული საკითხის, ისე სოციალური საკითხების გარშემო. აკაკი ფალავა მთელი თავისი ენერგიით ჩაება ამ ბრძოლაში.

იმ დროს ყველა საკითხთა შორის ყველაზე მწვავე და საჭირბოროტო საკითხი იყო მიმდინარე მომენტის საკითხები. და აკაკი ფალავაც ამ საკითხზე კითხულობს მოხსენებას. ამ მოხსენებით მან შემოიარა თითქმის მთელი საქართველო: ქუთაისი, სენაკი, ფოთი, ბათომი, ზუგდიდი, სამტრედია, ხონი, ოზურგეთი, ნოხატაური, ლანჩხუთი, ჭიათურა, ბორჯომი, გორი, თელავი, სიღნაღი. მოხსენების შემდეგ ჩვეულებად იყო შემოღებული დისპუტი. მოხსენებაში დასმული საკითხებით მთელი ხალხი იყო დაინტერესებული. საკითხები ომისა, ზავისა, მიწისა, სკოლისა, დისპუტი ხშირად გათენებამდე გრძელდებოდა. ფალავას მოხსენებები იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მთავარ დებულებებში ის ბოლშევიკებს უახლოვდებოდა.

ოქტომბრის რევოლუციას აკაკი ფალავა თანაგრძნობით შეხვდა. პარტიულ გაზეთში „ტალღა“ (1917 წ. 30 ოქტომბერი, №6) ის წერდა (სტატია „მომენტი და საქართველო“):

„...რევოლუციის ხსნა მხოლოდ ომის დაუყოვნებლივ ლიკვიდაციას და აგრარულ, სოციალურ და ეროვნულ საკითხთა რადიკალურად გადაჭრაშია. მენშევიკები და ესერთა მემარჯვენე ფრთა შეხმატკბილებულან ცენზიან რუსეთთან და დღეს ვერ გაარჩევთ ერთმანეთში მილიუკოვ-გუჩკოვ-წერეთელ-კერენსკის...“

„ბოლშევიკების უკანასკნელი გამოსვლა ახალი ეტაპია რევოლუციის გაღრმავებაში და მხოლოდ რევოლუციის გაღრმავება თუ მიანიჭებს საქართველოს იმ იმედების განადგურებას, რომელსაც ამდენი სანია იგი ალოლიავებს. იმდენად, რამდენადაც ბოლშევიზმი რადიკალურად სჭრის მიწის, სოციალურ და ეროვნულ საკითხებს, საქართველოს სიმპატიაც მათკენ უნდა იყოს...“

ამ წერილმა ძალზე გაამწვავა აკაკი ფაღავას ურთიერთობა მენშევიკებთან. 1917 წელს დასავლეთ საქართველოს მასწავლებელთა ყრილობა შედგა. აკაკი ფაღავას ორგანიზატორის დიდი ნიჭი აქვს და მან შესძლო ამ ყრილობაზე თავისი მოძმრეების უმრავლესობა გაეყვანა. უმცირესობაში მოქცეულმა მენშევიკებმა დემონსტრაციულად დასტოვეს ყრილობა.

1917 წელს აკ. ფაღავა ამიერ-კავკასიის მასწავლებელთა ყრილობის დელეგატია. ამ ყრილობაზე ირკვეოდა სწავლების საკითხი ახალ პირობებში, რევოლუციის პრინციპების შესაბამისად.

1918 წელს ხაქართველოში „ეროვნული საბჭო“ შეიქმნა. აკაკი ფაღავა ამ საბჭოს წევრია. „ეროვნულ საბჭოში“ აკაკი ფაღავა ხელოვნების სექციაში მუშაობს და იბრძვის იმისათვის, რომ ქუჩაში გაძევებული ქართული თეატრი სახელმწიფო თეატრად გადაიქცეს. მისი ცდა მიზანს ვერ აღწევს. საქართველოს მთავრობას ქართული თეატრისათვის არ ეცალა...

აკაკი ფაღავას ბიოგრაფიაში განსაკუთრებით აღსანიშნაია 1919 წელი და მისი მოღვაწეობა ბათომში.

ამ დროს ბათომი და აჭარა ინგლისელებს ეჭირათ. ბათუმში იყო საქართველოს მთავრობის რწმუნებული, მაგრამ სამოქალაქო ხელისუფლება ფაქტიურად დენიკინელთა ხელში იყო. ქართულმა მოსახლეობამ ადგილობრივი „ეროვნული საბჭო“ შეადგინა და ქართული სკოლის გახსნა მოითხოვა. საქართველოს განათლების სამინისტრომ საკითხის გამოსარკვევად აკაკი ფაღავა გაგზავნა. ფაღავა ჩავიდა ბათუმს და

ერთი თვის განმავლობაში – თებერვლის თვეში – გიმნაზია დააარსა თითქმის სრული კურსით: 7 კლასი ჩამოაყალიბა თავისი პარალელებით. საქმე ის იყო, რომ ბათუმში მოწაფეთა კონტიგენტის ნაწილი არსებობდა, ნაწილი კი გაბნეული იყო.

მეზობელი რაიონებიდან დიდძალი ახალგაზრდობა მოაწყდა ბათუმს. ფაღავამ 700 ახალგაზრდა შეარჩია და გიმნაზია გახსნილად გამოაცხადა. მთავრობამ იგი გიმნაზიის დირექტორად დანიშნა. აღსანიშნავია, რომ დენიკინელები ხელს უშლიდნენ გიმნაზიის ჩამოყალიბებას, მაგრამ ფაღავამ დასძლია წინააღმდეგობანი, მოიწვია საუკეთესო პედაგოგები, გასწია აგიტაცია მოწაფეებში, რომ მარტიდან იელისამდე დაეძლიათ წლიური სამოსწავლო პროგრამა. ასეც მოხდა.

ამ დიდ ეროვნულ საქმეში საყურადღებოა ერთი ფაქტიც. ამ გიმნაზიაში ჩამოაყალიბა აკაკი ფაღავამ აჭარელი მოსწავლე-ახალგაზრდობის პირველი ჯგუფი. ამ ჯგუფმა მისცა საქართველოს აჭარელი ცნობილი საზოგადო მოღვაწეები.

ამავე დროს აკაკი ფაღავა ბათუმში ინტენსიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც აწარმოებდა: იგი იყო ეროვნული საბჭოს წევრი, ქალაქის თვითმმართველობის ხმოვანი, გამოდიოდა მოხსენებებით სხვადასხვა საზოგადოებრივ და ხელოვნების საკითხებზე.

1920 წლისათვის ოჯახური პირობების გამო აკაკი ფაღავა თბილისში ბრუნდება და ისევ იწყებს ბრძოლას ქართული თეატრისათვის...

1920 წლის მაისს თბილისში შედგა ქართველ მსახიობთა პროფესიული კავშირის ყრილობა. ეს კავშირი მაშინ 87 წევრს აერთიანებდა და ქართული თეატრის მთავარ ძალას წარმოადგენდა. ყრილობის მსჯელობის საგანი იყო ქართული თეატრის არსებობის საკითხი. ყრილობამ ამ საკითხზე ასეთი რეზოლუცია გამოიტანა: (დაცულია რეზოლუციის სტილი. რ. ქ.)

„ქართველ მსახიობთა პროფესიული კავშირის ყრილობამ გაითვალისწინა რა, რომ საქართველოს დედა-ქალაქში ქართული თეატრის კარი ამოქოლილია და ილაჯგაწყვეტილი

ქართველი მსახიობი განუკითხავად განიწირა უსახელო და ხელოვნური სიკვდილისთვის, კერძოდ მაშინ, როდესაც მას თავისი უკანასკნელი სიტყვა ვერ უთქვამს და საკუთებით ვერ გადაუშლია თავისი პოტენციალ ერისა და დემოკრატიის სამსახურად, დაადგინა:

1) უტყუარი და სწორი ცნობები მიაწოდოს მთავრობას ქართველ მსახიობთა ავკარგიანობაზე.

2) ეთხოვოს ცენტრალურ საპროფესიო კავშირთა სეკრეტარიატს, რომ ხმა აღიმაღლოს ქართველი მსახიობის შელახულ უფლებათა აღსადგენად და

3) ეთხოვოს, როგორც მთავრობას, ისე ხელოვნების გამგეობას, რომ შექმნას ისეთი ნორმალური პირობები, რომელნიც ააცდენენ ქართულ თეატრს ხელოვნურ სიკვდილს.

უკეთუ ხსენებული პირობები 1 მკათათვემდე არ იქნება შექმნილი, დაევალოს საბჭოს მოიწვიოს საგანგებო საზოგადო კრება კავშირის წევრებისა ჩვენი მომავალი მოქმედების შესახებ".

მაგრამ ამ ყრილობას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია. ქართული თეატრის ასეთი უნუგეშო მდგომარეობით გამწარებული აკაკი ფალავაც სახელოვნო კომიისის სხვა წევრებთან ერთად წარუდგა მთავრობის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარემ დელეგაცია მიიღო, მოუსმინა და უპასუხა, რომ მთავრობა ქართველ მსახიობთაგან სახელმწიფო თეატრს ვერ შეჰქმნის, რადგან ეს თეატრი სახელმწიფოს პრესტიჟის შესაფერი ვერ იქნებაო.

მაშინ აკაკი ფალავამ მთავრობის თავმჯდომარეს ასე უპასუხა:

—თქვენ ოღონდ მოგვეცით საშუალება ქართველ მსახიობს ჰქონდეს ისეთივე პირობები, როგორიც რუსულ დრამისა და სასაზინო ოპერის მსახიობებს აქვთ, ე.ი. ბინა და შრომის ხელფასი, და პასუხს ვაგებთ, რომ ჩვენი მხატვრული პროდუქცია დღეს არსებული რუსული თეატრების პროდუქციაზე უარესი არ იქნება...

(რუსულ თეატრებში ფაღავა გულისხმობდა სახაზინო ოპერასა და „ტარტოს“. „ტარტო“ (Театр Артистического Общества) - ეს იყო მსახიობთა ამხანაგობა, რომელიც იმყოფებოდა დღევანდელ რუსთაველის თეატრის შენობაში. ეს თეატრი კერძო პიროვნებას ეკუთვნოდა, ფითოევის ქვრივის. რ. ქ.)

აკაკი ფაღავას განცხადებამ არ გასჭრა. მთავრობის თავმჯდომარე შეპირდა მხოლოდ: შეუდექით საქმეს და ვნახოთო... დაგეხმარებითო...

ძალიან პრობლემატური იყო ეს შეპირება, მაგრამ აკაკი ფაღავა მაინც შეუდგა საქმეს...

რადგან სახელმწიფოს მეთაურმა უარი სთქვა ქართული თეატრი სახელმწიფო თეატრად ეცნო, საქმეს ისევ დრამატული საზოგადოება უნდა გამღოლოდა. ასეც მოხდა. აღდგენილი დრამატული საზოგადოების გამგეობამ ქართული თეატრის ფაქტიური ხელმძღვანელობა აკაკი ფაღავას დააკისრა. აკაკი დაინიშნა სამხატვრო ნაწილის გამგედ და მთავარ რეჟისორად.

ამ წელს მოხდა ქართული თეატრის ისტორიაში გაუგონარი ამბავი: აკაკი ფაღავამ დასი რომ ჩამოაყალიბა, სურამში წაიყვანა სეზონის მოსამზადებლად. სურამი იმაევ დროს განთქმული აგარაკი იყო და მსახიობები თან მუშაობდნენ, თან ისვენებდნენ.

მთელი ზაფხულის სეზონი იმუშავა აკაკი ფაღავამ დასთან. მან თან წაიყვანა რეჟისორი მიხეილ ქორელი. ქორელმა მოამზადა ორი პიესა: სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და შალვა დადიანის „გუშინდელნი“. ხოლო თვითონ აკაკი ფაღავამ დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“ და „დარისპანის გასაჭირი“ და შექსპირის „ოტელო“.

დადგა შემოდგომა და დასი თბილისში ჩამოვიდა. ჩამოვიდა და ბინა კი აღარ ჰქონდა. მთავრობამ არ იზრუნა ბინისათვის. ვერც ფითოევის ქვრივს ჩამოართვა შენობა და არც იჯარით აიღო იგი. მაშინ კი აღშფოთდა მუდამ დინჯი, მუდამ უწყინარი აკაკი ფაღავა. დარაზმა დასი, გაუძღვა წინ

და დემონსტრაციულად, ძალით შევიდა ფითოევისეულ შენობაში. დაიწყო რეპეტიციები... მოწვეული იქნა მთავრობის კომისია, რომელმაც გახინჯა მომზადებული პიესები.

სეზონი გაიხსნა 29 ნოემბერს შალვა დადიანის „გუშინდელნით“.

მთავრობამ როგორც იქნა ქართული თეატრი სახელმწიფო დრამად აღიარა. თეატრის სამხატვრო ნაწილის გამგედ და მთავარ რეჟისორად აკაკი ფაღავა იქნა დამტკიცებული.

სამი თვის შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. დაიწყო ახალი ხანა ერისა და თეატრის ცხოვრებაში. აკაკი ფაღავას შემოქმედებას და მოღვაწეობას ფართო გასაქანი მიეცა.

საბჭოთა პერიოდი

საბჭოთა საქართველოში არავისთვის არ იყო საჭირო იმისი მტკიცება, რომ თეატრი სახელმწიფო უნდა ყოფილიყო, რომ თეატრს ბინა უნდა ჰქონოდა, რომ მსახიობები უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ. საბჭოთა ხელისუფლებამ ქართული დრამის თეატრს დიდი ქართველი მწერლის რუსთაველის სახელი უწოდა და ყველა ეს საკითხი მოხსნა ქართული თეატრის დღის წესრიგიდან. მაგრამ თვით ქართულ თეატრში საქმე ისე იყო აწეწილ-დაწეწილი, ძველი და ახლის მოტრფიალენი იხე იყვნენ ერთმანეთში არეული და იმავე დროს გათიშული, რომ უცბად ძნელი შეიქმნა სიცოცხლის უნარიანი და მკვეთრი შემოქმედებითი სახის დასის შექმნა. სწორედ ამ წელს წერდა აკაკი ფაღავა ერთ თავის სტატიაში ამის შესახებ: „ძველი და ახალი ისეა არეული, იმდენად გადაჯაჭვულია ერთმანეთში, რომ ერთი-მეორეს სიკვდილ-სიცოცხლის საშუალებას არ აძლევენ“.

1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატი ავალებს აკაკი ფაღავას სათეატრო განათლების საქმის ორგანიზაციას და მოგვარებას მთელს რესპუბლიკაში. აკაკი ფაღავა დიდ

შრომას ეწევა, რათა ეს დიდი და ისტორიული საქმე მოაგვაროს. შრომა – ეს ხომ მისი სტიქიონია და აკაკიც თავს არ ზოგავს.

1921 წელს საქართველოში გამოვიდა ჟურნალი „ხელოვნება“. მის №1-ში აკაკი ფაღავა აყენებს საკითხს, თუ რა უნდა აკეთოს ქართულმა თეატრმა, რა ამოცანები დგას მის წინაშე პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში. მართალია, ახლა დიდი გასაქანი მიეცა თეატრს, მაგრამ პრაქტიკულად ყველა საჭირო საკითხი მოგვარებული როდი იყო. აშიტომ აკაკი ფაღავა მთელ რიგ ორგანიზაციულ და შემოქმედებით საკითხებს აყენებს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე და მოითხოვს მათ გადაჭრას.

ჟურნალის მომდევნო ნომერში აკაკი ფაღავა ახალ საკითხს აყენებს მთავრობის წინაშე: ახალი ძალების მოზიდვას თეატრში, ახალი კადრების აღზრდას. მთელი 1921 წელი ამ საქმისათვის მზადებას მოუნდა და 1922 წელს მიზანი მიღწეული იქნა – დაარსდა დრამატული სტუდია.

ამ სტუდიაზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ დაწვრილებით. ამ დროსვე, პარალელურად აკ. ფაღავა ისევ რუსთაველის თეატრში მუშაობს.

1922 წელს ქართული თეატრის ისტორიაში ახალი ხანა იწყება. რუსეთიდან კოტე მარჯანიშვილი ჩამოდის. აკაკი ფაღავა ხალისით ხვდება კოტეს მოწვევას თეატრში. კოტე დგამს „ცხვრის წყაროს“. ეს იყო ბრწყინვალე რევოლუციური სპექტაკლი. ლაურენსია საუცხოოდ ითამაშა თამარ ჭავჭავაძემ, კომანდორი ჩინებულად ითამაშა დავით ჩხეიძემ. ამ დადგმის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მარჯანიშვილს სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელობას აბარებენ, აკ. ფაღავა კი დასის გამგედ და რეჟისორად რჩება. იმ დროს რუსთაველის თეატრის დირექტორად იყო მსახიობი დავით ჩსეიძე. დავით ჩხეიძემ დიდად შეუწყო ხელი, როგორც კოტე მარჯანიშვილს, ისე აკაკი ფაღავას, რომ რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მუშაობა ახლებურად წარმართულიყო.

არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ერთ გარემოებას. ცნობილია, თუ რა თაემოყვარეობის ხალხია თეატრის ადამიანები.

აკაკი ფალავას სახახელოდ უნდა ითქვას, რომ მას არასოდეს, ვიმეორებთ – არასოდეს – პირადი თავმოყვარეობა წინა პლანზე არ დაუყენებია საზოგადოებრივ საქმეში. ეს მისი დიდი მორალური ღირსებაა. ეს მისი ხასიათის კეთილშობილური სამკაულია.

ლამაზი და აღგზნებული სტრიქონებით ახასიათებს აკაკი ფალავა კოტე მარჯანიშვილს ჟურნალ „სახიობაში“ (გვ. 7, 1923 წ.). ეს ჟურნალი პირველი ქართული საბჭოთა თეატრალური ჟურნალი იყო, იგი აკ. ფალავას რედაქციით გამოვიდა. ამას დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა და სწორედ ამ ჟურნალში მიესალმა აკ. ფალავა კ. მარჯანიშვილს:

„დაუდეგარი, შფოთი და შმაგი... და თან უსაზღვრო ფანტაზიის ბატონპატრონი. იგი სულ სადღაც იმზირება... ხედავს მსახიობს და მკვეთრი ცქერით მის არსებაში იძირება. ორთის და კანკალებს.

მისი გონება უფრო ადრე აყალიბებს შესაქმნელ სახეს და რომ არ სდევდეს ანალიზი დაუნდობელი, თვით იქცეოდა მსახიობად.

გაახლებული თეატრის სატრფო, და მოტრფიალე, რომელს არ ძალუძს მის გარეშე, მარტო სიცოცხლე. მუდამ სახენი და ნიღაბნი ეჩვენებიან... მისი სამყარო სულ სხვაა, ერთი ათასად უფრო ბრწყინვალე და უზომოდ მრავალფერადი. ცეცხლი და მტკიცე ენერგია, შემოქმედება და მიღწევა. მოუთმენელი ვერ იტანს სახეს ინერტულს და ატმოსფეროს დამძიმებულს. ცეცხლს აფრქვევს ყველგან...

სწვაეს და დაგავს უნიათობას, სულსა და ძარღვებს აღანთებს...

თუ ეინმესა აქვს ნატამალი აქტიურობის, არ შეიძლება მასთან იგი არ გაარტისტდეს.

ხელოვანია იგი მსოფლიო.

მოხარული ვარ მე პირადათ, რომ წილად მერგო მასთან ახლო თანამშრომლობა...

სახელი მისი – დიდი კოტე მარჯანიშვილი. □

მკითხველებმა იციან, თუ რა დიდი გარდატეხა მოჰყვა ქართული დრამის თეატრში კოტე მარჯანიშვილის მოსვლას. მისმა სპექტაკლმა „ფუენტე ოვეხუნამ“ – „ცხერის წყარო“ – ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. და იმ შეფასებას, რომელსაც აკაკი ფალავა აძლევს კოტე მარჯანიშვილს, იმეორებს სრულიად საქართველოს ახალი მწერლობის კავშირის ორგანო „რუბიკონი“ (იხ. №11, 17 ივნისი, 1923 წ.)

„ქართულმა თეატრმა გაიმარჯვა, იგი აღსდგა. კოტე მარჯანიშვილის მისვლა ქართულ თეატრთან იყო უკანასკნელის მეორედ დაბადება და ამასთანავე ძირითადი რევოლუცია, რევოლუცია, რომელმაც გამოიწვია ჩვენი სათეატრო მიღწევების სრული გადალაგება.

...რეეოლუციის პირველი მოვარდნა ქართულ სცენაზე იყო „ფუენტე ოვეხუნა“. იგი სრული მოულოდნელობა იყო, უდიდესი გამარჯვება და ხიხარული, როგორიც კი ჰქონია ოდესმე ქართულ თეატრს მის ჯეარცმულ წარსულში“ (წერილი შ. აფხაიძისა). „ამაეე წარმოდგენამ მოხსნა ქართველ არტისტს სირცხეილი, დაამტკიცა, რომ მასში ძლიერია არტისტული გარდაქმნა მოვლენისა. ეს დღე იყო ამიტომ ქართველი არტისტის ამაღლება, სრული რეაბილიტაცია“.

ამნაირად, კოტე მარჯანიშვილმა ხელთ აიღო ქართული საბჭოთა თეატრის საჭე. აკაკი ფალავა მაშინვე შეუდგა ახალი კადრების აღზრდაზე ზრუნვას. შეადგინა გეგმა და წარუდგინა განათლების სახალხო კომისარიატს.

სტუდიის დაარსების საკითხი უცბად და იოლად როდი გადაწყდა. არა მარტო ორგანიზაციული საკითსების მოგვარება, საჭირო შეიქმნა თეორიული აგიტაციაც სტუდიის დაარსების სასარგებლოდ.

ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების მეორე თვეს, სახელდობრ აპრილში, აკაკი ფალავა ამ საკითხზე მოხსენებით გამოდის სახალხო განათლების კომისარიატში.

ის ამბობდა: „საქართველოში სისტემატიურ სათეატრო ანუ სასცენო განათლებას დღემდის არა ჰქონია ადგილი.

ძველი თეატრი იყო ზეგარდმო ნიჭით ცხებულთა ინდივიდუალური თეატრი. დღეს კი ამ კოლექტივისათვის საჭიროა სათანადო განათლებითა და მომზადებით აღჭურვილ პირთა კონტიგენტი, რომელიც უნდა მოგვცეს სპეციალურმა, სასცენო განათლების პატრონმა ხალხმა. ამისათვის აუცილებელია საქართველოს დიდ ცენტრებში სათანადო დაწესებულებათა შექმნა. ვინაიდან სცენაზე სამუშაოდ მომზადებისათვის აუცილებელია თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული მომზადებაც, ამისათვის სათეატრო განათლების მომცემი დაწესებულება უნდა მჭიდროდ დაუკავშიროთ თეატრებს. სათეატრო განათლების სკოლად უნდა იქნეს სტუდია, დაარსებული სახელმწიფო თეატრებთან“... (აკაკი ფაღავას არქივიდან. რ.ქ.).

აკაკი ფაღავა იძლევა კონკრეტულ პროგრამას, თუ რა უნდა იცოდეს, რა უნდა შეისწავლოს სტუდიელმა, თეატრის მომავალმა მოღვაწემ. აქ მთელი პროგრამაა გადაშლილი: საზოგადოებრივი მეცნიერებიდან დაწყებული პარიკის დამზადებამდე.

სტუდიის დაარსებას აკაკი ფაღავა შრომის პრინციპებს უკავშირებდა. ყველა ფიზიკურ სამუშაოს სტუდენტები უნდა ასრულებდნენ. მაგალითად: დეკორაციების დადგმა, მათი მომზადება, ბუტაფორიის დამზადება, სცენის მოროვა, რეკვიზიტი, პარიკების დამზადება სულ სტუდენტების საქმე უნდა იყოსო...

აკაკი ფაღავას მოწინააღმდეგენიც გაუჩნდნენ. ამბობდნენ, რომ საქართველოში დრამატული სტუდიის მოწყობა შეუძლებელიაო. იმასაც კი ამბობდნენ: მოსკოვში გავაგზავნოთ ახალგაზრდობა, იქაური სტუდია დაამთავრონ და მერე იმუშაონ ქართულ თეატრში...

აკაკი ფაღავას მოწინააღმდეგეებს ავიწყდებოდათ, რომ მსახიობი უნდა იზრდებოდეს ეროვნულ ნიადაგზე, ეროვნულ რეპერტუარსე, ეროვნულ გარემოცვაში და ატმოსფეროში.

სტუდიის დაარსებას ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი. სწორედ ამ დროს თბილისში მუშაობდა ახალგაზრდა

სცენისმოყვარეთა წრე. ამ წრის წევრმა მსახიობმა გ. მიქელაძემ (ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) წინადადებით მიმართა აკ. ფალავას ხელმძღვანელობა გაეწია წრისათვის. აკ. ფალავამ ისარგებლა ამ წინადადებით და ამ ახალგაზრდების ბაზაზე ჩამოაყალიბა დრამატული სტუდია. პედაგოგებად მოიწვია გ. ახვლედიანი, დ. უზნაძე. ა. შანიძე, ა. ნათიშვილი (შემდეგში აკადემიკოსები), რეჟისორები კ. მარჯანიშვილი, ა. ახმეტელი და მ. ქორელი (მსახიობის ოსტატობაში); ნ. შიუკაშვილი, ცნობილი დრამატურგი (მეტყველებაში), სამხატვრო თეატრის პედაგოგი ვ. ჟღენტი (პლასტიკაში), მანიონი (ცირკის მსახიობი – აკრობატიკაში), გ. დიდებულიძე (ფარიკაობაში), ბასუტაშვილი-შულგინა, შემდეგში სახალხო არტისტი (სიმღერაში).

ერთი წლის მუშაობის შემდეგ აკ. ფალავამ სტუდიის გამოფენა მოაწყო. გაზეთი „რუბიკონი“ წერდა: „უთუოდ ყურადსაღები მოვლენა იყო ქართული დრამატული სტუდიის გამოფენა. ჯერ მარტო სათეატრო მასალების დაგროვება რად ღირს... მასალის მხრით სტუდია გამართლებულია თავიდან ბოლომდე.

თვითონ მუშაობის შედეგიც კარგია. პირველ ყოველისა, პლასტიკა. ამ მხრივ მართლაც დიდი რამ არის გაკეთებული“.

წერილის ავტორი ნაკლზეც მიუთითებს: ხმის დაყენება მოიკოჭლებსო, განსაკუთრებით დიქცია. მიულებელიაო ჟესტიკულაცია. ქართულ მახვილს არ იცავენო, ლექსებს ცუდათ კითხულობენო. საბოლოოდ კი რეცენზენტი დაასკვნის:

„ყოველ შემთხვევაში სტუდიის მუშაობა მეტად მნიშვნელოვანია და სასურველია ეოველგვარი დახმარება გაეწიოს მის ენერგიულ ხელმძღვანელს აკაკი ფალავას“ („რუბიკონი“ №11, 17 ივნისი, 1923 წ.).

1924 წელს დრამატული სტუდია თეატრალურ ინსტიტუტად გამოცხადდა და სათავეში ისევ აკაკი ფალავა დარჩა. დიდია ამ ინსტიტუტის როლი ქართული თეატრის ისტორიაში. ამ ინსტიტუტმა მისცა ძირითადი კადრები რუსთაველის, მარჯანიშვილის და მოსარდ მაყურებელთა ქართულ სახელმწიფო

თეატრებს. ესენი არიან: აკაკი ხორავა, ვახო გოძიაშვილი, სეხილია თაყაიშვილი, გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თეალიაშვილი, ემანუილ აფხაიძე, სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი სადარაძე, პიერ კობახიძე, სერგო ჭელიძე და მრავალი სხვანი.

აკაკი ფაღავასთან დაიწყეს სასცენო მუშაობა თამარ ჭავჭავაძემ, უშანგი ჩხეიძემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, კ. პატარიძემ, შალვა ღამბაშიძემ, ელენე დონაურმა, გიორგი დავითაშვილმა.

ჭეშმარიტად დიდი როლი შეასრულეს სტუდიამ და თეატრალურმა ინსტიტუტმა... და ეს გააკეთა აკაკი ფაღავამ.

უშანგი ჩხეიძე უწოდებს მას „განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელს და მისი ახალი კადრების აღმზრდელს, თავის პირველ ხელმძღვანელს“.

დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკი ფაღავას ქართული ოპერის განვითარების საქმეშიც. თუ ქართულ თეატრში ქართულად მაინც ლაპარაკობდნენ და დიდი მსახიობები მოღვაწეობდნენ, „სახალხო ოპერას“ ქართულისა არა ეცხოთ რა. საჭირო იყო მისი გაქართულება, საჭირო იყო ქართული. ამ საქმის მოსაგვარებლად დატრიალდნენ ზაქარია ფალიაშვილი, ივანე ფალიაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, იოსებ იმედაშვილი, აკაკი ფაღავა. ამ დროისათვის კონსერვატორიაშიც მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ადგილობრივი სპეციალისტები ვერ მორიგდნენ ერთმანეთთან და მთავრობამ გადაწყვიტა მოსკოვიდან მოეწვია ავტორიტეტიანი მუსიკოსი. არჩევანი შეჩერდა იპოლიტოვ-ივანოვზე, რომელიც მეფის დროსაც მუშაობდა თბილისში მუსიკალურ საზოგადოებაში და მუსიკალურ სკოლას განაგებდა.

საორგანიზაციო, ადმინისტრაციული, სასწავლო და ფინანსური დარგების მოგვარება დაევალა აკ. ფაღავას. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ლევან ღოღობერიძემ მას ასეთი დაევალება მისცა:

„გასწმინდეთ ეს ავგიასის თავლა და დაამყარეთ ნაციონალური სული!“

სცენისმოყვარეთა წრე. ამ წრის წევრმა მსახიობმა გ. ქელაძემ (ამჟამად ხელოვნების დამსახურებული მოღვ. წინადადებით მიმართა აკ. ფალავას ხელმძღვანელობა გაე წრისათვის. აკ. ფალავამ ისარგებლა ამ წინადადებით და ახალგაზრდების ბაზაზე ჩამოაყალიბა დრამატული სტუ პედაგოგებად მოიწვია გ. ახვლედიანი, დ. უსნაძე, ა. შანიძე ნათიშვილი (შემდეგში აკადემიკოსები), რეჟისორები კ. მ ჯანიშვილი, ა. ახმეტელი და მ. ქორელი (მსახიობის ოსტა ბაში); ნ. შიუკაშვილი, ცნობილი დრამატურგი (მეტ:ველება სამხატვრო თეატრის პედაგოგი ე. ჟღენტი (პლასტიკაში), მა ონი (ცირკის მსახიობი – აკრობატიკაში), გ. დიდებულ (ფარიკაობაში), ბახუტაშვილი-შულგინა, შემდეგში სახალ არტისტი (სიმღერაში).

ერთი წლის მუშაობის შემდეგ აკ. ფალავამ სტუდ გამოფენა მოაწყო. გაზეთი „რუბიკონი“ წერდა: „უთუოდ ქ ადსაღები მოვლენა იყო ქართული დრამატული სტუდი გამოფენა. ჯერ მარტო სათეატრო მასალების დაგროვება რ ღირს... მასალის მხრით სტუდია გამართლებულია თავიდ ბოლომდე.

თეითონ მუშაობის შედეგიც კარგია. პირველ ყოველ პლასტიკა. ამ მხრივ მართლაც დიდი რამ არის გაკეთებული“.

წერილის ავტორი ნაკლზეც მიუთითებს: ხმის დაყენ მოიკოჭლებსო, განსაკუთრებით დიქცია. მიუღებელიაო ჟესტ კულაცია. ქართულ მასვილს არ იცავენო, ლექსებს ცუდა კითხულობენო. საბოლოოდ კი რეცენზენტი დაასკვნის:

„ყოველ შემთხვევაში სტუდიის მუშაობა მეტად მნიშვნ ლოვანია და სასურველია ყოველგვარი დახმარება გაეწი მის ენერგიულ ხელმძღვანელს აკაკი ფალავას“ („რუბიკონ №11, 17 ივნისი, 1923 წ.).

1924 წელს დრამატული სტუდია თეატრალურ ინსტ ტუტად გამოცხადდა და სათავეში ისევ აკაკი ფალავა დარ დიდია ამ ინსტიტუტის როლი ქართული თეატრის ისტორიაშ ამ ინსტიტუტმა მისცა ძირითადი კადრები რუსთაველის, მა ჯანიშვილის და მოზარდ მაყურებელთა ქართულ სახელმწიფ

თეატრებს. ესენი არიან: აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, სვ-სილია თაყაიშვილი, გოგუცა კუპრაშვილი, თამარ თვალიაშვილი, ემანუილ აფხაიძე, სტეფანე ჯაფარიძე, გიორგი სალარაძე, პიერ კობახიძე, სერგო ჭელიძე და მრავალი სხვანი.

აკაკი ფალავასთან დაიწყეს სასცენო მუშაობა თამარ ჭავჭავაძემ, უშანგი ჩხეიძემ, ვერიკო ანჯაფარიძემ, კ. პა-ტარიძემ, შალვა ღამბაშიძემ, ელენე დონაურმა, გიორგი დავ-ითაშვილმა.

ჭეშმარიტად დიდი როლი შეასრულეს სტუდიამ და თეატრალურმა ინსტიტუტმა... და ეს გააკეთა აკაკი ფალავამ.

უშანგი ჩხეიძე უწოდებს მას „განახლებული ქართული თეატრის ერთ-ერთ ფუძემდებელს და მისი ასალი კადრების აღმზრდელს, თავის პირველ ხელმძღვანელს“.

დიდი ღვაწლი მიუძღვის აკაკი ფალავას ქართული ოპე-რის განვითარების საქმეშიც. თუ ქართულ თეატრში ქართულად მაინც ლაპარაკობდნენ და დიდი მსახიობები მოღვაწეობდნენ, „სახალხო ოპერას“ ქართულისა არა ეცხოთ რა. საჭირო იყო მისი გაქართულება, საჭირო იყო ქართული. ამ საქმის მოსაგვარებლად დატრიალდნენ ზაქარია ფალი-აშვილი, ივანე ფალიაშვილი, ალექსანდრე წულუნავა, იოსებ იმედაშვილი, აკაკი ფალავა. ამ დროისათვის კონსერვატორი-აშიც მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. ადგილობრივი სპეციალ-ისტები ვერ მორიგდნენ ერთმანეთთან და მთავრობამ გად-აწყვეტა მოსკოვიდან მოეწვია ავტორიტეტიანი მუსიკოსი. არჩევანი შეჩერდა იპოლიტოვ-ივანოვზე, რომელიც მეფის დროსაც მუშაობდა თბილისში მუსიკალურ საზოგადოებაში და მუსიკალურ სკოლას განაგებდა.

საორგანიზაციო, ადმინისტრაციული, სასწავლო და ფი-ნანსური დარგების მოგვარება დაეკალა აკ. ფალავას. მთავ-რობის თავმჯდომარის მოადგილემ ლევან ღიღობერიძემ მას ასეთი დაკალება მისცა:

„გასწმინდეთ ეს აუგიასის თაღლა და დაამყარეთ ნაციონ-ალური სული!“

აკაკი ფაღავამ ბრწყინვალედ შეასრულა ეს დავალება. გადაარჩევინა კონსერვატორიის ჯანსაღი ელემენტები, ე.ი. სათანადო მონაცემებით აღჭურვილი ახალგაზრდობა, შეადგინა რეალური სასწავლო გეგმა (იპოლიტოვი დაგვიანებით ჩამოვიდა), დაამყარა დისციპლინა, მოსპო ფიქტიური საათების ანაზღაურება. ერთი სიტყვით სასწავლო წლის განმავლობაში (1924-25) კონსერვატორიამ სრულიად იცვალა ფერი. იმავე წელს მან ჩამოაყალიბა კონსერვატორიასთან საოპერო სტუდია, რომელშიაც სასცენო ხელოვნებას (მსახიობის ოსტატობას) თვითონ ასწავლიდა. საოპერო სტუდიის დაარსების საჭიროებას აკაკი ფაღავა ასე ასაბუთებდა:

რომ გაერკვე მხატვრულად ასასულ სოციალურ არეში, უნდა იცნობდე სოციალურ წესწყობილებას, როგორც წარსულში ისე აწმყოში, ამისი ცოდნა კი საზოგადო წყობილების გარეშე შეუძლებელია. იგივეა ძირითადი მოკარნახე და საფუძველი ხელოვნებისა. მაშასადამე, ხელოვანს უნდა ჰქონდეს ფართო მხატვრული ჰორიზონტი და იცნობდეს ხელოვნების ყველა დარგებს, მათ ისტორიას და სოციოლოგიას...

არამც თუ კვალიფიციური ხელოვნება, არამედ უბრალო ხალხური შემოქმედება, როგორც ქალაქის, ისე სოფლისა, აგებულია რიტმზე. ცხადია, რომ საოპერო მსახიობი, რომლის შესასრულებელი მასალა მთლიანად რიტმზეა აგებული, თვითონაც უაღრესად რიტმული უნდა იყოს. რიტმის შეძენა კი პრაქტიკის გარეშე შეუძლებელია. მარტო თანდაყოლილი, ბუნებრივი რიტმულობა არ კმარა. ამისათვის აუცილებელია რიტმის სწავლება და შემდგომ იმისა პლასტიურობისაც, რადგანაც პლასტიურობის გარეშე ხელოვნება არ არსებობს, კერძოდ კი ოპერის ხელოვნებისათვის იგი აუცილებელია. მაგრამ რიტმულობა და პლასტიურობა რომ ცალმხრივი არ დარჩეს, იგი ფიზკულტურასთან უნდა იყოს შეზავებული.

ფიზიკური სრულყოფა და პლასტიურობა რომ ამეტყველდეს, მსახიობი რომ რიტმული და პლასტიური იყოს, საჭიროა რეფლექსოლოგიის შესწავლა. საჭიროა საამისო კურსები – სტუდია...

დღეს ჩვენ ეროვნული საბჭოთა სახელმწიფო გვაქვს. საჭიროა აღვზარდოთ ჩვენი, ეროვნული კადრები. გარდა ამისა, რომ ენის ფონეტიკისა და მორფოლოგიასთან დაკავშირებით მხოლოდ ასეთ მსახიობს ექნება მკაფიო ქართული დიქცია, ჩვენ ჩვენი ეროვნული კადრებიც გვეყოლება. ეს კი დიდი სახელმწიფოებრივი საქმეა... ამიტომ უნდა შეიქმნას საოპერო სტუდია. აკაკი ფაღავა ამბობდა:

– ახლანდელი ოპერა იდეოლოგიურად ვერ ასახავს დღევანდელ სინამდვილეს. სიუჟეტის მხრივ დღევანდელი ოპერა ბნელ საუკუნეთა წყვდიადშია მოქცეული. მეფეებისა, რაინდებისა, ფეოდალებისა, ერთი სიტყვით გაბატონებული კლასების სულისკვეთებას, ყოფასა და მიზნებს უმღერის. ამიტომ ზურგი უნდა ვაქციოთ ამ მემკვიდრეობას და მხოლოდ ისტორიულ მასალად უნდა გამოვიყენოთ. მეორე მომენტი, რომელიც ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, ის არის, რომ ამ სიუჟეტის მუსიკალურ ბგერებში ასახვა. ცხადია, იმავე ზრახვებსა და სულისკვეთებას ამჟღავნებს, რასაც სიტყვიერი მახალა. ლიბრეტოს მიხედვითაა დაწერილი ოპერა თუ მუსიკის მიხედვითაა შეთხზული ლიბრეტო, მდგომარეობა არ იცვლება არსებითად. ორივე შემთხვევაში დღეს არსებული ოპერა გარდასულ დროთა და ჩვენთვის მიუღებელ გრძნობებსა და აზრებს უმღერის. ცხადია, პირველ რიგში ამ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება და ყოველგვარი ღონე ვიღონოთ, რომ როგორც წარსული, ისე განსაკუთრებით აწმყო სოციალ-ისტური მშენებლობის პანგებით აეამღეროთ ოპერაში. რა არის ამისათვის საჭირო? – სრულიად ახალ საოპერო კონტექსტის შექმნა და მუსიკალურად ამეტყველება. რაკი პერსონალურად ცალ-ცალკე ამ ამოცანის შესრულება ჩვენს კომპოზიტორებს უმძიმთ, ისინი კოლექტიურად უნდა აეამუშაოთ და საოპერო სტუდიასთან ამ მიზნით რევოლუციონერ კომპოზიტორთა ლაბორატორია დაეაარსოთ. თუ სტუდიას ახალი მასალა არ ექნება, ცხადია, ვერ შეიქმნება ის, რაც ჩვენ გვჭირდება...

აკაკი ფაღავა ამბობდა:

– ახალი ოპერის მსახიობი მომზადებული უნდა იყოს არა მარტო ვოკალურად, არამედ ფიზიკურად და ფსიქიურად. არ კმარა მარტო და მხოლოდ სუფთა „სი ბემოლის“ ან სხვა რაიმე ნოტის სუფთად აღება. ეს ცოტაა. ახალი ოპერის მსახიობი უნდა იყოს მომზადებული არა მარტო სასცენო ტექნიკის თვალსაზრისით, არამედ იგი პოლიტიკურად და საზოგადოებრივად, მხატვრულად განვითარებული და ცოდნით შეიარაღებული უნდა იყოს: თუ მსახიობს არ ესმის რა ადგილი უჭირავს თვითონ მას და მის ხელოვნებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე იქნება უბრალო ტიკინა, უაზრო და უშინაარსო... ის მსოლოდ ნოტების მომღერალი იქნება და არა ახალი ცხოვრების, ახალი ხელოვნების ამშენებელი.

– ოპერა უაღრესად საინტერესო ხელოვნებაა. არა მარტო მუსიკას, არამედ ლიტერატურას, ქანდაკებას, ხუროთმოძღვრებას, მხატერობას, ისტორიას, მატერიალურ კულტურას, იდეათა ევოლუციას, კლასთა ბრძოლის ისტორიას შეიცავს იგი. თუ ახალი ხელოვანი არ გახდა შეგნებული მონაწილე და მშენებელი სოციალიზმისა კომუნისტური მოძღვრების ნიადაგზე და საბჭოთა სისტემის შეგნებული მესვეური, იგი მიუღებელი დარჩება და ჩვენ რომ ხელი დავაფაროთ – თვით ცხოვრება გარიყავს მას...

– საოპერო სტუდიის კადრებში მიზანი და დანიშნულება იქნება სრულიად ახალი ოპერის შექმნა, ახალი, შესაფერისად გაწვრთნილი ძალების გამოყვანა. ეს იქნება ახალი მებრძოლი კადრები სოციალიზმის სხვა მშენებლებთან ერთად... (აკაკი ფაღავას არქივის მასალებიდან. რ. ქ.)

დღეს ამის წინააღმდეგ ვის რა შეუძლია თქვას? მაშინ კი ამ აზრის განხორციელებას ბრძოლა სჭირდებოდა. აკაკი ფაღავამ იბრძოლა და მიაღწია მიზანს – ჩამოაყალიბა საოპერო სტუდია.

ამ სტუდიის პირველი წარმოდგენა 1925 წლის 10 ივნისს იყო ჩიმაროზოს „ფარული ქორწინება“ ქართულ ენაზე. ლიბრეტო თარგმნა აკ. ფაღავამ. დადგმა განახორციელეს კ. მარ-

ჯანიშვილმა და აკ. ფალავამ ირაკლი გამრეკელის დეკორაციებში. დირიჟორობდა ივ. ფალიაშვილი.

სპექტაკლს სტუდიის სცენაზე დიდი წარმატება ხვდა წილად.

ინტერესს არ იქნება მოკლებული გავაცნოთ მკითხველს, თუ როგორ მუშაობდა აკ. ფალავა. 1925 წლის ზაფხულს აკ. ფალავამ სტუდიის ერთი ჯგუფი: დ. ანდღულაძე, დ. ბადრიძე, დ. მჭედლიძე, შ. ცირღილაძე, მრავალი, ჭრელაშვილი და სხვ. ბორჯომში წაიყვანა. წაიყვანა პედაგოგებიც: დირიჟორი ივ. ფალიაშვილი, კონცერტმეისტერი ნ. გრიქუროეა და ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების მთელი ორკესტრი. ეს ორკესტრი ზაფხულის განმავლობაში სიმფონიურ კონცერტებს მართავდა ბორჯომის პარკში. ამ ორკესტრში იყვნენ მაშინ ახალგაზრდა, შემდეგში ცნობილი კომპოზიტორები შ. აზმაიფარაშვილი, გ. კილაძე, ი. ტუსკია, ვ. გოკიელი, შ. თაქთაქიშვილი, პროფ. ბ. თაქთაქიშვილი, შ. ასლანიშვილი, სომხეთის სახალხო არტისტი, ერევნის ოპერის მთავარი დირიჟორი ს. სარქოეი და სხვ. ბორჯომში მომზადდა შავად – ქართულად ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზები“.

ორი წლის მუშაობის შემდეგ 1926 წელს 1 აპრილს სტუდიამ თავისი ნამუშევარი უჩვენა მაყურებელს რუსთაველის თეატრის სცენაზე. გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ (№1141, 3 აპრილი) სპექტაკლს ასეთი შეფასება მისცა:

„ქართული საოპერო სტუდია. „ჯამბაზები“, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე აპრილის პირველს დაიდგა, ქართული საოპერო სტუდიის მუშაობაში საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ნათელი, ცხოველი და ყოველ ნაწილში ლამაზი სპექტაკლიდან მიმზიდველი სიახლე და ახალგაზრდული გაბაცება გამოკრთოდა. ივ. ფალიაშვილმა და ალ. ახმეტელმა თავიანთი ახალგაზრდული ენერგიით სასახელო გამარჯვება მოიპოვეს.

ივ. ფალიაშვილმა მისთვის ჩვეული ენერგიით, მხატვრული გამოცდილებით და დაძაბული მუშაობით საგრძნობ

– ახალი ოპერის მსახიობი მომზადებული უნდა იყოს არა მარტო ვოკალურად, არამედ ფიზიკურად და ფსიქიურად. არ კმარა მარტო და მხოლოდ სუფთა „სი ბემოლის“ ან სხვა რაიმე ნოტის სუფთად აღება. ეს ცოტაა. ახალი ოპერის მსახიობი უნდა იყოს მომზადებული არა მარტო სასცენო ტექნიკის თვალსაზრისით, არამედ იგი პოლიტიკურად და საზოგადოებრივად, მხატვრულად განვითარებული და ცოდნით შეიარაღებული უნდა იყოს: თუ მსახიობს არ ესმის რა ადგილი უჭირავს თვითონ მას და მის ხელოვნებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე იქნება უბრალო ტიკინა, უაზრო და უშინაარსო... ის მხოლოდ ნოტების მომღერალი იქნება და არა ახალი ცხოვრების, ახალი ხელოვნების ამშენებელი.

– ოპერა უაღრესად საინტერესო ხელოვნებაა. არა მარტო მუსიკას, არამედ ლიტერატურას, ქანდაკებას, ხუროთმოძღვრებას, მხატვრობას, ისტორიას, მატერიალურ კულტურას, იდეათა ევოლუციას, კლასთა ბრძოლის ისტორიას შეიცავს იგი. თუ ახალი ხელოვანი არ გახდა შეგნებული მონაწილე და მშენებელი სოციალიზმისა კომუნისტური მოძღვრების ნიადაგზე და საბჭოთა სისტემის შეგნებული მესვეური, იგი მიუღებელი დარჩება და ჩვენ რომ ხელი დავაფაროთ – თვით ცხოვრება გარიყავს მას...

– საოპერო სტუდიის კადრებში მიზანი და დანიშნულება იქნება სრულიად ახალი ოპერის შექმნა, ახალი, შესაფერისად გაწვრთნილი ძალების გამოყვანა. ეს იქნება ახალი მებრძოლი კადრები სოციალიზმის სხვა მშენებლებთან ერთად... (აკაკი ფალავას არქივის მასალებიდან. რ. ქ.)

დღეს ამის წინააღმდეგ ვის რა შეუძლია თქვას? მაშინ კი ამ აზრის განხორციელებას ბრძოლა სჭირდებოდა. აკაკი ფალავამ იბრძოლა და მიაღწია მიზანს – ჩამოაყალიბა საოპერო სტუდია.

ამ სტუდიის პირველი წარმოდგენა 1925 წლის 10 ივნისს იყო ჩიმაროზოს „ფარული ქორწინება“ ქართულ ენაზე. ლიბრეტო თარგმნა აკ. ფალავამ. დადგმა განახორციელეს კ. მარ-

ჯანიშვილმა და აკ. ფალავამ ირაკლი გამრეკელის დეკორაციებში. დირიჟორობდა იე. ფალიაშვილი.

სპექტაკლს სტუდიის სცენაზე დიდი წარმატება ხვდა წილად.

ინტერესს არ იქნება მოკლებული გავაცნოთ მკითხველს, თუ როგორ მუშაობდა აკ. ფალავა. 1925 წლის ზაფხულს აკ. ფალავამ სტუდიის ერთი ჯგუფი: დ. ანდღულაძე, დ. ბადრიძე, დ. მჭედლიძე, შ. ცირღილაძე, მრავალი, ჭრელაშვილი და სხვ. ბორჯომში წაიყვანა. წაიყვანა პედაგოგებიც: დირიჟორი ივ. ფალიაშვილი, კონცერტმეისტერი ნ. გრიჭუროვა და ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების მთელი ორკესტრი. ეს ორკესტრი საფხულის განმავლობაში სიმფონიურ კონცერტებს მართავდა ბორჯომის პარკში. ამ ორკესტრში იყვნენ მაშინ ახალგაზრდა, შემდეგში ცნობილი კომპოზიტორები შ. აზმაიფარაშვილი, გ. კილაძე, ი. ტუსკია, ე. გოკიელი, შ. თაქთაქიშვილი, პროფ. ბ. თაქთაქიშვილი, შ. ასლანიშვილი, სომხეთის სახალხო არტისტი, ერევნის ოპერის მთავარი დირიჟორი ს. ჩარექოვი და სხვ. ბორჯომში მომზადდა შავად – ქართულად ლეონკოვალოს ოპერა „ჯამბაზები“.

ორი წლის მუშაობის შემდეგ 1926 წელს 1 აპრილს სტუდიამ თავისი ნამუშევარი უჩვენა მაყურებელს რუსთაველის თეატრის სცენაზე. გაზეთმა „ზარია ვოსტოკამ“ (№1141, 3 აპრილი) სპექტაკლს ასეთი შეფასება მისცა:

„ქართული საოპერო სტუდია. „ჯამბაზები“, რომელიც რუსთაველის თეატრის სცენაზე აპრილის პირველს დაიდგა, ქართული საოპერო სტუდიის მუშაობაში საუკეთესო მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ნათელი, ცხოველი და ყოველ ნაწილში ლამაზი სპექტაკლიდან მიმზიდველი სიახლე და ახალგაზრდული გატაცება გამოკრთოდა. ივ. ფალიაშვილმა და ალ. ახმეტელმა თავიანთი ახალგაზრდული ენერგიით სასახელო გამარჯვება მოიპოვეს.

ივ. ფალიაშვილმა მისთვის ჩვეული ენერგიით, მხატვრული გამოცდილებით და დაძაბული მუშაობით საგრძნობ

შედეგს მიაღწია მუსიკალურ დადგმაში. შექმნილია მტკიცე ანსამბლი. ორკესტრი გატაცებით უკრავს, ისე, რომ შეგშურდება: კეთილი ხმიერება (კარგად არის წარმოდგენილი სიმებიანი ჯგუფი), თანხლების სისწორე, ნასვევების სხვადასხვაობა. კარგად მღეროდა გუნდი – მწყობრად, სრული ხმით, ნიუანსებით, არა მარტო მღეროდა, არამედ კარგადაც თამაშობდა: მოფიქრებით, ნერვებით...

როლები ახმეტელის ხელმძღვანელობით მოფიქრებით და ყოველმხრივ დამუშავებულია და მთელი სპექტაკლი მოცემულია ნერვით და ცხოველი დინამიკით.

თვით დადგმა ახალისებს თვალს თავისი სანახაობით, წითელი ფერებით, მასიური სცენების მოძრაობით და იდეის სიახლით.

სპექტაკლი ხალხით საესე დარბაზს ძლიერ მოეწონა, მხურვალე ოვაცია გაუმართეს ივ. ფალიაშვილს, ალ. ახმეტელს და სტუდიის ხელმძღვანელს ა. ფაღავას."

ამ სტუდიაში გამოი'ხარდნენ ქართული საოპერო ხელოვნების ისეთი ოსტატები, როგორიცაა დავით ანდღულაძე, დიმიტრი მჭედლიძე, დავით ბადრიძე, დავით გამრეკელი, მერი ნაკაშიძე, ნადეჟდა ხარაძე, ბათუ კრაველიშვილი, შალვა ცირღილაძე, გ. გრიგორაშვილი, გ. ყიფიანი.

ეს სახელები მარტო ქართულ ოპერას როდი ამშვენებენ, არამედ მოსკოვის დიდ თეატრშიც დიდი პოპულარობით სარგებლობენ. დ. ანდღულაძე, დ. მჭედლიძე, დ. ბადრიძე მთელი რიგი წლების განმავლობაში დიდის წარმატებით გამოდიოდნენ დიდ თეატრში.

ამ მსახიობებმა თბილისის სტუდიაში შეითვისეს სასცენო ხელოვნება. საინტერესოა აღინი'შნოს ერთი ფაქტი. როდესაც დ. ანდღულაძე კ. სტანისლავსკის სტუდიაში მიიღეს, იქ გა'ეკვირდათ საიდან იცნობდა იგი სტანისლავსკის სისტემას? მაგრამ როდესაც მან განუცხადა, რომ ივ. ფალავას ხელმძღვანელობით შეისწავლა სასცენო ხელოვნება, ყველაფერი ცხადი შეიქნა.

ქართული თეატრისა და ოპერის საბჭოურად გარდაქმნისა და განმტკიცების საქმეში აკ. ფალავას ბევრი ბრძოლები დასჭირდა. ბრძოლა რუტინასთან, ინტრიგებთან, პირადი თავმოყვარეობით და განდიდების მანიით შეპყრობილ ადამიანებთან. მას დასჭირდა ბრძოლა იმდროინდელი ინტელიგენციის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ნაწილთან. მწვავე იყო ეს ბრძოლები.

ამ ბრძოლაში აკ. ფალავას მხარს უჭერდნენ რუსთაველის სახელობის, მარჯანიშვილის სახელობისა და ქართული ოპერის მოწინავე მსახიობები და ახალი ძალები. ამ ძალებთან ერთად აკაკი ფალავამ მიზანს მიაღწია და საშუალება მიეცა ახალ მიმდინარეობას ჯერ კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით ქართული თეატრალური ხელოვნების რეფორმაცია – რეორგანიზაცია ჩაეტარებინა, ხოლო შემდეგ საოპერო თეატრის განახლება გამარჯვებით დაემთავრებინა...

ამ რეორგანიზებულმა და საბჭოთა სულისკვეთებით აღზრდილმა თეატრმა მაყურებლის ყურადღება სწრაფად დაიპყრო, მის სულიერ მოთხოვნილებას პახუხი გასცა და წელში გაიმართა. 1926 წლის გაზაფხულ-ზაფხულს რუსთაველის თეატრი საქართველოს დაბა-ქალაქებში გაემგზავრა საგასტროლოდ. ეს მოგზაურობა აკაკი ფალავამ მოაწყო.

რუსთაველის თეატრმა წაიღო თავისი საუკეთესო დადგმები. გასტროლებზე გაემგზავრა მთელი დასი 60 კაცის შემადგენლობით. დასმა მოიარა საქართველოს დაბა-ქალაქები. სპეციალურად გამოშვებულ ბროშურაში: „რუსთაველის თეატრი. ქართული დრამა. 1925-26წ. სეზონის გასტროლები“ აკაკი ფალავა წერდა (გვ54):

„ამ მოგზაურობას აქვს უაღრესი კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა, რაც საქ. სამ. სოც. რესპ. სახალხო კომისართა საბჭომ აღიარა თავის სხდომაზე ა.წ. 21 აპრილს და სასურველად სცნო საგასტროლო მოგზაურობის მონაწილეთა ყოველგვარ გადასახადებისაგან განთავისუფლება“.

ასე ორგანიზაციულად და ასე ფართო მასშტაბით მოწყობილი მოგზაურობა პირველი იყო საქართველოში. მთელი რესპუბლიკა ეზიარა ახალი საბჭოთა ქართული თეატრის ბრწყინვალე მიღწევებს, გაეცნო პირდაპირ ჩვენს შესანიშნავ ახალგაზრდა მხახიობებს.

ამ მოგზაურობით ახალი ქართული საბჭოთა თეატრი მტკიცედ დამკვიდრდა ქართველი მაყურებლის და ქართველი ერის შემეცნებაში.

სწორედ ამ დროს, 1926 წელს, მდგომარეობამ მოითხოვა, რომ ბათომში ძლიერი სახელმწიფო თეატრი გვქონოდა, რომ აჭარაში საბჭოთა ხელოვნების ჩირაღდანი ანთებულიყო. სწორედ ამიტომ ბათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად აკაკი ფაღავა იქნა მიწვეული. ორი სათეატრო სეზონი დაჰყო აკაკი ფაღავამ ბათუმში და განახორციელა შემდეგი დადგმები: ბ. ლავრენევის ცნობილი პიესა „რღვევა“ (თარგმანი თვითონ აკაკი ფაღავას ეკუთვნის), შ. დადიანის „გუშინდელნი“, მიხ. ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძე“, შ. დადიანის ინსცენირება, ტრეტიაკოვის „იღრიალე ჩინეთო“, ნ. შიუკაშვილის „ამერიკელი ძია“ და სხვა...

ორი წლის განმავლობაში ბათუმის თეატრში აკაკი ფაღავას მუშაობა იმდენად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო, რომ ხელოვნების მუშაკთა პროფესიული კავშირის სრულიად საქართველოს VIII ყრილობაზე საქართველოს სახალხო განათლების კომისარი შემდეგი სიტყვებით ახასიათებს ამ მუშაობას:

„ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს პროვინციაში. როდესაც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიაზე ეიმეოფებოდი ბათუმში, ვინახულე ბათუმის თეატრიც და მან ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ეს მართლაც კოლოსალური ნაბიჯია წინ. ის რეპერტუარი და მისი მხატვრული გაფორმება, რაც მე იქა ვნახე, გვიჩვენებენ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მას ორგანიზაციულად უშუალოდ არ ვხელმძღვანელობთ, იქ მაყურებლისა და მხატვრული კოლექტივის სწორი

ხელმძღვანელობა არსებობს“. პრესაც როგორც ბათუმისა, ისე თბილისისა, აღნიშნავდა ბათუმის თეატრის დიდ მიღწევებს.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის თეატრის კოლექტივისადმი აკაკი ფაღავას შერბილებული და შედავათიანი მოთხოვნილებანი რიდი წაუყენებია. ის ბათუმის თეატრშიც ისეთი მომთხოვნი იყო და ისეთივე სტილს იცავდა, როგორც რუსთაველის თეატრის დადგმებში, სადაც მან დადგა: შექსპირის „ოტელო“, ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“, აკაკი წერეთლის „თამარ ცბიერი“, მოლიერის „ტარტიუფი“, ჰენრიკ სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული დრამა „ვიდრე ხვალ“, ფულდის „ვირის ჩრდილი“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, შ. შარაშიძის ინსცენირებით და სხვა...

1928 წელს აკაკი ფაღავა თბილისში ბრუნდება. თბილისში მას განათლების სახალხო კომისარიატის მთავარი ხელოვნების სათეატრო-სამუსიკო განყოფილების გამგედ იწვევენ. ამავე დროს მას რესპუბლიკის სამხატვრო-სარეპერტუარო საბჭოს წევრად და პასუხისმგებელ რეცენზენტად (იყო იმ დროს ასეთი თანამდებობაც! რ. ქ.) ნიშნავენ, იმავე დროს აკაკი ფაღავა პროფკავშირთა თვითმოქმედი თეატრის ქართულსა და რუსულ სექტორებს ლექციებს უკითხავს... საოცარია ამ კაცის ენერგია! დაუშრეტელი, მოუქანცველი, უსაზღვრო... ბიბლიური მაყლოვანივით იწვის, სხვას გზას უნათებს, თვითონ კი არც ენერგია აკლდება და არც სინათლე!... ის ყოველთვის ახალ-ახალზე ფიქრობს, ახალ წამოწყებაზე, ახალ მიღწევებზე, რომ საბჭოთა ადამიანის სულიერი ცხოერება გაამდიდროს და გაალამაზოს.

1929წ. სრულიად საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადა მოეწყო თბილისში. ეს იყო პირველი ოლიმპიადა თვითმოქმედი ხალხური ხელოვნებისა ჩვენში. მან დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ოლიმპიადაში 30 გუნდი მონაწილეობდა 903 კაცის შემადგენლობით. სამი დღე გასტანა ოლიმპიადამ, 60.000 კაცი დაესწრო ამ ოლიმპიადას და ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოიყვანა თოქმის მივიწყებული სახალხო ეიკალურ-ქორეოგრაფიული შემოქმედება.

მეტად დიდია ამ ოლიმპიადის მნიშვნელობა. ამ დროიდან იწყება ზრდა-განვითარება ორგანიზებული ხალხური ცეკვა-სიმღერების ანსამბლებისა. ხალხურ შემოქმედთა საუკეთესო ძალები იღებენ მონაწილეობას ამ დიდ ეროვნულ საქმეში და დღეს ყველა ვხედავთ, თუ რა სიმაღლემდე ავიდა ეს საქმე ჩვენში. დღეს მთელი საქართველო დაქსელილია ცეკვა-სიმღერის თვითმოქმედი ანსამბლებით, დღეს ამ ანსამბლებში 28. 000 მოცეკვაეე და მომღერალია გაერთიანებული.

ამ გრანდიოზული საქმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი აკაკი ფალავაც იყო.

ქართული ოპერა უკრაინაში

1930 წელს აკაკი ფალავამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თეატრში ახლებურად დადგა ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი".

ოპერა „აბესალომ და ეთერი" ამ დროისათვის ორასჯერ უკვე იყო წარმოდგენილი სცენაზე. ოპერას არამც თუ არ დაუკარგავს მიმზიდველობა და ინტერესი, არამედ ყოველი მისი დადგმა იწვევდა შეუნელებელ ხალისს, რადგან ის ღრმად იყო შეჭრილი მაყურებელთა ფართო მასებში, ხალხის შემეცნებაში. თითქოსდა ერთი ბეწოთიც არ შეიძლებოდა ამ ოპერაში რაიმეხ შეცვლა. ამიტომ ოპერის ახალმა დადგმამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

გაზეთმა „კომუნისტმა" ამ დადგმას მაღალი შეფასება მისცა (იხ. გაზ. „კომუნისტი" 1930 წ. 25 აპრილი №95). რადგან ეს რეცენზია მეტად დიდი მნიშვნელობის საკითხს ეხება, მოგვყავს ზოგი ადგილი:

„ა. ფალავას გამარჯვება გამოიხატება იმაში, რომ მან დააშორა ყველა პერსონაჟები „ტრადიციას" და ცდილობს შექმნას ახალი ტრადიცია, სადაც მსახიობი ჰკარგავს საოპერო მომღერლის ტრაფარეტულ სახეს, სადაც იკარგება სცენური განსხვავება პრემიერისა და უბრალო გუნდში მონაწილეს შორის და ინდივიდუალური შემოქმედება ფასდება, როგორც

მხატვრული, მხოლოდ მაშინ, თუ სავსებით შეთანხმებულია კოლექტიურ შემოქმედებასთან. დამდგმელის გამარჯვებად ჩაითვლება სწორედ ის გარემოება, რომ მიუხედავად ოპერის ფაქტურის მრავალი ადგილების სტატიზმისა, მან იპოვა კოლექტივის დინამიური შემოქმედებისათვის გამოსავალი, არ დაარღვია კავშირი მუსიკასა და სცენურ მოძრაობათა შორის. ჩვენი ოპერის სცენისათვის ყველა ზემოხსენებული – ახალი გზებია, ჩანს ოპერის მუშაობის ერთადერთი და წარმატებით დაძლეული ხაზი. ამიტომ რეჟისორის მუშაობის შეფასებაში დეტალიზაციის და მცირე დეფექტების ძებნას ადგილი არ უნდა ქქონდეს“...

1931 წელს ეს ოპერა აკაკი ფაღავამ უკრაინის იმდროინდელ დედაქალაქ ხარკოვში დადგა უკრაინულ ენაზე (ლიბერტოს უკრაინული თარგმანი კ. ცაგარელმა შეასრულა). ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ქართული ოპერა საქართველოს ფარგლებს გასცდა. ცხადია, თუ რა დაძაბულად ადევნებდა ქართული თეატრალური საზოგადოებრიობა თვალყურს ამ დადგმას: რა გამოხმაურებას იპოვნიდა ოპერა უკრაინაში?

გამოხმაურებამ მოლოდინს გადააჭარბა. როგორც პრესა, ისე ხარკოვის თეატრალური წრეები, როგორც სპეციალისტები, ისე მაყურებელთა ფართო მასები აღტაცებით შეხვდნენ ოპერას. სწორედ რომ აღტაცება გამოსჭვივის იმ რეცენზიებში, რომელიც გამოქვეყნდა ამ დადგმის გარშემო. რეცენზენტები აღნიშნავდნენ დამდგმელის მაღალ დონეს სასცენო ხელოვნების ყველაზე უფრო ნამორჩენილი ფორმის – ოპერის დარგში, მის ნოვატორობას, ახალ სიტყვას, ფაღავას მიღწევას; რომ ფაღავა „აღიარებული უნდა იქნას აეტორად ისეთი წარმოდგენისა, რომელიც ახალი პროდუქციაა მუსიკალურ-დრამატული მასალის საფუძველზე“. ავტორს უწონებენ „დიდ კულტურას და მხატვრული ზომიერების ალღოს“. ხოლო უკრაინის მთავარი სარეპერტუარო კომიტეტი წერს:

„მთავარი სარეპერტუარო კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ დადგმის ამოცანა საოპერო ხელოვნების დარგში ქართველი კომპოზიტორების, დრამატურგების და რე-

ჟისორების ნაციონალურ თვისებათა და შემოქმედებითი ხასიათის გაცნობა, განსაკუთრებით დამდგმელი-რეჟისორის ამხ. ფაღავას დიდი მუშაობის წყალობით ხელოვნებათა რეკონსტრუქციის ხაზით საუსებით დაძლეულია „აბესალომ და ეთერის“ უკრაინის დედაქალაქის საოპერო სცენაზე დადგმის დროს. ამხ. ფაღავამ შესძლო მოეთავსებინა თავის დადგმაში ქართული კულტურის ნაციონალური თვისებანი და განეხორციელებინა მასში საქართველოს შემოქმედი რევოლუციონური აზროვნების ყველა მისწრაფებანი“. ასეთი მაღალი შეფასება ოფიციალურადაა გამოტანილი უკრაინის მთავარი სარეპერტუარო კომიტეტის სხდომაზე 1931 წლის ოქტომბრის თვეში. ჩვენ ეს შეფასება იმიტომ მოვიტანეთ, რომ ქართველმა მკითხველმა იცოდეს, თუ როგორ შეხვდა მოძმე უკრაინის მაყურებელი და მისი თეატრალური საზოგადოებრიობა ქართული საოპერო კულტურის გატანას უკრაინაში. აკაკი ფაღავამ მეტად საჭირო საქმე გააკეთა.

ლაბირინთი

ვინც აკაკი ფაღავას შემოქმედებით ბიოგრაფიას ეცნობა, მას უეჭველად თარიღებისა და სამოღვაწეო თბიექტების ლაბირინთში მოუხდება ხეტიალი. უეჭველად საჭირო იქნება მავანი და მავანისათვის არიადნეს ძაფი, რომ არ დაიბნეს ამ ლაბირინთში. აი, მაგალითებიც:

ხარკოვიდან დაბრუნებისას, 1931, 1932, 1933 და 1934 წლებში აკაკი ფაღავა სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტია და საოპერო კლასის ხელმძღვანელი.

1933 წელსვე განსასკომის დავალებით „სასცენო ხელოვნების უმაღლეს კურსებს“ აყალიბებს. 1933-1934-1935 წლებში ის ამ კურსების დირექტორია, სამხატვრო ნაწილის გამგეცა და ლექტორიც. კითხულობს „თეატრის ისტორიის“ კურსს.

1935 წელს ოპერის თეატრის დირექტორია.

1936 წელს კინო-მსახიობთა სტუდიის ლექტორია.

იმავე დროს მე-2 და მე-4 მუსიკალურ ტექნიკუმში რეჟისორულ მუშაობას ეწევა.

კონსერვატორიაში „თეატრის ისტორიის“ კურსს და „მსახიობის შემოქმედებითი მეთოდის“ კურსს კითხულობს.

კინო-მსახიობთა სტუდიაში „თეატრის ისტორიის“ და „ანტიკური ლიტერატურის“ კურსს კითხულობს.

იმავე დროს პრაქტიკულ სასცენო მუშაობას აწარმოებს კონსერვატორიის სტუდენტებთან.

1938-39 სასწავლო წელს სპეციალური მუსიკალური ათწლედის დირექტორია, იმავე დროს სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტია და საოპერო კლასის რეჟისორია.

იმავე დროს ლექტორია კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრთან არსებული დრამატული სასწავლებლისა.

კვლავ ლექტორია „საქფილეთის“ საესტრადო სასწავლებელში.

1939 წელს აკაკი ფაღავა ინიშნება რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო დარგში. აკაკი ფაღავა დღესაც ამ ინსტიტუტში მოღვაწეობს.

აკაკი ფაღავა ერთ-ერთი დამაარსებელია საქართველოს თეატრალური საზოგადოებისა.

აკაკი ფაღავა დელეგატია ყველა ერილობისა, რომელიც კი მოწვეული ყოფილა თეატრალურ საკითხებზე საქართველოში, მოსკოვსა და ლენინგრადში.

თავისთავად იბადება საკითხი: როგორ უძლებს ერთი კაცი ასეთ დატვირთვას?

საქართველოს თეატრალურ მუზეუმში და აკაკი ფაღავას პირად არქივში დაცულია ერთი საინტერესო დოკუმენტი, რომელიც იძლევა ამ კითხვის პასუხს. დოკუმენტი წარმოადგენს ცნობილი დრამატურგისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო შიუკაშვილის მოგონებას აკაკი ფაღავას შესახებ. ეს მოგონება დიდად საინტერესოა და მთლიანად მოგვყავს იგი.

„სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ვთქვა რამოდენიმე სიტყვა აკაკი ფაღავას საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მით

უფრო, რომ ამ საზოგადოებრივი მოდვაწეობის უდიდესმა ნაწილმა ჩემი მასთან თანამშრომლობის თეალწინ გაიარა.

აკაკი ფაღავა არაჩვეულებრივი უცნაური მოვლენაა ქართული ინტელიგენციის ისტორიაში.

პირველად ყოვლისა, ფაღავა არის საქმიანობის „გიჟი", სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით: დაუშრეტელი ენერგია, მისწრაფება ნაკისრი საქმის მაქსიმალურად შესრულებისაკენ, თავდადებულად ბრძოლა ამისათვის, არაფისი დანდობა და პირველად ყოვლისა კი თავისი თავისა. ამიტომ ფაღაეას იშვიათი გამძლეობა სწორედ პერიოდულობით განიცდის ისეთ ნგრევას, რომელიც მოითხოვს ხოლმე დიდ სერიოზულ აღდგენას.

მშვიდი, წესრიგში მოყვანილი საქმე ფადაეას ვეღარ აკმაყოფილებს – ის უკვე ეძებს რამე დიდი კვეთების საბრძოლოს.

სრულებით არ მინდა ვთქვა, რომ ფაღავა არასდროს არ სცდება. მისი გატაცება საქმით მეტად ზეზომიერია, და, აი, აქ შესაძლებელია ხოლმე რეალური საზღვრის გადაცდენა, რაც თვითონვე მას დაატყდება ხოლმე თავს არა დამსახურებული სიმძიმით...

აკაკი ფაღავა პირველად გავიცანი საერთო საქმეში 1920 წელს, როდესაც დრამატული საზოგადოების მიერ მე ეიყავი არჩეული პირველად დაარსებულ ქართულ სახელმწიფო დრამის (რუსთაველის თეატრის) დირექციის თავმჯდომარედ, ხოლო აკაკი ფაღავა სამხატვრო ნაწილის გამგედ. მოსაგონებლადაც კი ძნელია ის თაებრუდამხვევი აღტაცების რთული საორგანიზაციო და სამხატვრო მუშაობა, დაკავშირებული ფინანსურ გაჭირვებასთან, და აი, იქ აკაკი ფაღავა ცალი ფეხით რომ თბილისში იდგა, მეორე ფეხით სურამში, სადაც წარმოებდა ჯერ არაჩვეულებრივი დიდი ქართული დასის მზადება მომავალი სეზონისათვის, ფაღავა არ ეტეოდა თავისი დიდი დავალების ქერქში და სხვების საქმეშიდაც კი იჭრებოდა, რომ ეძლივნა თითქოს შეუძლებელიც კი.

მეორედ საერთო საქმეში ფაღავას შეეხედა 1923 წელს მის მიერ დაარსებულ დრამსტუდიაში. გაოცებული დავრჩი, სამი მშვენიერი დარბაზი (რუსთაველის თეატრის შენობაში), ესტრადა, 25 ახალგაზრდა ქალ-ვაჟი, მასწავლებლები და გახურებული სტუდიური მუშაობა. ერთი კაცი უგროშკაპიკოდ იწყებს ასეთ დიდ საქმეს, ჩქარა პოულობს მთავრობის გამოხმაურებას და 2-3 წლის შემდეგ რესპუბლიკას აძლევს ახალგაზრდობის ისეთ კადრებს, ურომლისოდაც დღესაც წარმოუდგენელია რუსთაველის, მარჯანიშვილის, მოზარდმაყურებელთა და ზოგიერთი პროვინციის თეატრები. ეს ისეთი ფაქტია, რომელიც ამსხერეკს ყველა ჯურის გიროზების ცდას ფაღავას სტუდიის დამცირების ხარჯზე ასწიოს საკუთარი აქციები.

ამ სტუდიამ გაუწია საქართველოს თეატრების აღორძინებას უდიდესი დახმარება.

საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში 1924 წლამდე ისე იყო დატვირთული სახელმწიფოებრივი პირველი მოთხოვნილების სირთულით, რომ რღვევის გზაზე დამდგარი კონსერვატორიისათვის მხოლოდ ამ წელს მოიცალა ნამდვილად: დაინიშნა იქ რექტორად იპოლიტოვ-ივანოვი, ხოლო პრორექტორად, სასწავლო-საადმინისტრაციო-საფინანსო ნაწილის გამგედ – აკაკი ფაღავა. ამ წლიდან მეც იქ მომიხდა მუშაობა და ფაღავას ჩვეულებრივი საორგანიზაციო უნარიანობა იქაც გაიშალა მთელი ჩვეულებრივი გაქანებით. კონსერვატორიის ტრადიციულმა ინტრიგანების ჯგუფმა ფარული ბრძოლა გამოუცხადა ფაღავას ჯანსაღ პოლიტიკას და ბოლოს „დაამარცხეს“ კიდეც. მაგრამ ამ დამარცხების სული ჩარჩა კონსერვატორიაში და ჩქარა მოლად გაანიავა კიდეც იმის წინ „გამარჯვებული“ ავსულობა.

ასეთმა „დამარცხებებმა“ ვერ მოსპეს ფაღავას საქმიანობის ენერგია და მისი ინიციატივობის უკანასკნელი ნაყოფია სასცენო ხელოვნების უმაღლესი კურსები. ენა ბევრ რამეს იტყვის ადვილად, მაგრამ დამაჯერებელია ფაქტებით ლაპარაკი, და ეს უკანასკნელი ფაქტიც, ალბათ, თავის სიტყვას

იტყვის ჩქარა, თუ რამდენადმე ხელი შეუწყვეს ამ კურსების მუშაობის ჯერ-ჯერობით უაღრესად მძიმე პირობებს“.

ამ წერილიდან მკითხველი დაინახავს, თუ რა სიძნელეებთან უხდებოდა ბრძოლა აკაკი ფაღავას – „უაღრესად მძიმე პირობებთან“, „ავსულობასთან“, „ინტრიგებთან“ და ყველაფერი ეს უნდა დაეძლია მას, არ გასტეხოდა გული, არ დაეყარა ფარხმალი, ბოლომდე შერჩენოდა საყვარელ საქმეს.

ამას მიაღწია მან თავისი კოლოსალური ენერგიის წყალობით. იმ ენერგიისა, რომელსაც ცნობილმა კრიტიკოსმა ბესო ჟღენტმა აკაკი ფაღავას შემოქმედებით სადამოზე „ფაღავასებური ენერგია“ უწოდა.

მახვილი გამოთქმაა და ჩვენ სიამოვნებით ვიმეორებთ მას.

აკაკი ფაღავა – რეჟისორი

თავის სტუდიებში და კურსებზე, აგრეთვე თეატრალურ ინსტიტუტში, აკაკი ფაღავას ბევრი პიესა აქვს დადგმული. მაგრამ ეს მუშაობა ლაბორატორიული ხასიათისაა და ჩვენ მასზე არ შევჩერდებით. ჩვენ გვაინტერესებს ის დადგმები, რომელიც მან საჯაროდ განასახიერა. განვიხილოთ რამოდენიმე მათგანი.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ოპერაზე „აბესალომ და ეთერი“. ამ დადგმის სტილი რეალისტურია, ოპერა დაახლოებულია თანამედროვეობასთან. ასევეა გზით მიდის აკაკი ფაღავა დრამატულ ნაწარმოებთა დადგმებშიც. გაეიხსენოთ ეს დადგმები.

1914-15 წლის სეზონში ქუთაისში ლადო მესხიშვილის მონაწილეობით დაიდგა შექსპირის „ჰამლეტი“, ნიკო შიუკაშვილის „მთის ზღაპარი“.

1920-21 წლის სეზონში რუსთაველის თეატრში დადგა დავით კლდიაშვილის პიესები „დარისპანის გასაჭირი“, „ირინეს ბედნიერება“, 1923 წელს – „უბედურება“ და 1924 წელს – ინსცენირება „სამანიშვილის დედინაცვალი“. რუსთაველისვე

თეატრში იგი დგამს შექსპირის „ოტელოს“, ს. შანშიაშვილის პიესას „უგვირგვინო მეფენი“. აკ. წერეთლის „თამარ ცბიერს“, მოლიერის „ტარტიუფს“, სენკევიჩის რომანიდან სობილშიკოვ-სამარინის მიერ გადმოკეთებულ ინსცენირებას „ვიდრე ხვალ“ (თარგმანი აკაკი წერეთლისა). ფულდას „ვირის ჩრდილს“ (თარგმ. ი. გრიშაშვილისა).

1926 წელს ბათუმში დადგა ნ. შიუკაშვილის კომედია „ამერიკელი ძია“ და ლოტარის „მეფე – არლეკინი“, 1927 წ. ტრეტიაკოვის დრამა „იღრიალე ჩინეთო“, შალვა დადიანის კომედია „გუშინდელნი“ და შალვა დადიანისვე ინსცენირება მ. ჯაფარიშვილის რომანისა „კვაჭი კვაჭანტირაძე“.

1927 წელსვე ბათუმში დადგა ბ. ლავრენიევის ცნობილი პიესა „რღვევა“ პირველად ქართულ სცენაზე.

1932, 1934 და 1937 წლებში სახელმწიფო კონსერვატორიაში დადგა საოპერო საჯარო სპექტაკლები, სახელმწიფო ოპერის თეატრის სცენაზე „ფიგაროს ქორწინება“ მოცარტისა (1932 წ.).

„ევგენი ონეგინი“ ჩაიკოვსკისა, უკანასკნელი სცენა.

„პიკის ქალი“ ჩაიკოვსკისა, სცენა თხრილთან (1932 წ.), ხოლო I აქტის 2 სურათი და IV აქტის 1 სურათი 1934 წელს.

„დაისი“ ს. ფალიაშვილისა, სპეციალური მონტაჟი.

„ბოჰემა“ პუჩინისა, სცენა II აქტიდან.

„სევილიელი დალაქი“ მეორე აქტი.

„ფიგაროს ქორწინება“ (ხელმეორედ 1934 წ.) უკვე მთლიანად.

„აიდა“ სცენა და დუეტი IV აქტიდან.

საოპერო ხაჩეენებელი სპექტაკლები ჩვენ იმიტომ ჩამოვთვალეთ, რომ გაგვეხსენებინა მკითხველისათვის, თუ რა დიდი სარეჟისორო მუშაობა აქვს გაწეული აკაკი ფაღავას. (ჩვენ აქ არ მოვიხსენიეთ 1937-38 წლებში დადგმული სცენები 7 სხვადასხვა ოპერიდან. ეს უკვე ვიწრო სპეციალისტებისა და ოპერის თეატრის მკვლევარების საქმეა).

რა ახასიათებს აკაკი ფაღავას, როგორც რეჟისორს?

იგივე რეალისტური გაგება პიესისა, სოციალური არსის გახსნა, ადამიანის შინაბუნებაში ჩახედვა, გარეგნული ზიზილ-პიპილოები და ტრიუკები აკაკი ფალავას არ ახასიათებს. პირიქით, ეს რეჟისორის სულიერ სიღარიბეს მოწმობს. აი, მაგალითად, დ. კლდიაშვილის პატარა პიესა-სურათი „უბედურება“. ერთი შეხედეთ ძალიან უბრალო სურათია, მაგრამ რამოდენა ადამიანური ამბავია მასში?. ხალხი აატირა რეჟისორმა. და განა მარტო ხალხი? გაზეთი „ქართული სიტყვის“ (1924 წელი №7) რეცენზენტი წერს: „ავტორი ჩემთან ერთად იჯდა და ისიც ცრემლებს ღვრიდა. როცა მას გადავხედე მაშინ ვიგრძენ, თუ რა არის „ჩიტის გული“ ბავშვისა: ეს ხომ უკანასკნელი ფენაა ადამიანის სულისა? აკაკი ფალავას დადგმაში ეს საზი ნათელია“.

იგივე გაზეთი (1942 წ. №24) აღნიშნავს აკაკი ფალავას დადგმის წარმატებას დ. კლდიაშვილის მოთხრობის „სამანიშვილის დედინაცვალის“ ინსცენირებაში. აკაკი ფალავამ „სპექტაკლი დადგა რეალისტურად, შეუნარჩუნა ნაწარმოებს კლდიაშვილისებური ჯანსაღი ჰუმორი, ააცილა სტილიზაცია, ტრიუკები და გროტესკი. საქმე ისაა, რომ ბევრს სწორედ ასე ესმის ეს ნაწარმოები. ესენი – რეალისტური ხელოვნების მოწინააღმდეგე ხალხია.

და ამით მოიგო სპექტაკლმა. ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა როგორც მსახიობები, ისე ავტორი დ. კლდიაშვილი და რეჟისორი აკაკი ფალავა“.

დ. კლდიაშვილი დიდად იყო კმაყოფილი აკაკი ფალავას რეჟისორული გაგებით. აკი ამიტომ ამბობს კიდეც თავის მემუარებში მის მიმართ: „განსაკუთრებული სიყვარულით გამითბო ჩემი პიესებიო, გამიცოცხლა და გამიშუქა აკაკი ფალავამ“...

აკაკი ფალავას ქმელა დადგმაში, ვიმეორებთ, წითელი ხაზივით გადის რეალისტური გაგება პიესისა, მისი ეპოქისა, ადამიანებისა, მატერიალური და სულიერი კულტურისა, პატივისცემა ავტორისა და მაყურებლისა.

აკაკი ფაღავა არ ახვევს თავზე მსახიობს მისი შინაბუნებისათვის, მისი ნიჭისათვის უცხო როლს. ეს ახალისებს მსახიობს, და როცა მსახიობი არ გრძნობს ძალადობას მის ნიჭზე, მის განწყობილებაზე, უკეთ თამაშობს როლს.

აკაკი ფაღავა არ მიმართავს ტრიუკებს, სულ ერთია ფიზიკური ხასიათის იქნება ეს თუ სხვა რამე სასიათისა. სცენაზე უნდა ცოცხლობდეს ადამიანი და არა გიმნასტი. ტანვარჯიში მსახიობის ელასტიურობას უნდა უწყობდეს ხელს, იგი დამხმარე კომპონენტი უნდა იყოს და არა თვითმიზანი.

ასევე ითქმის ფერებზე, მუსიკაზე, სცენაზე განლაგებულ საგნებზე. სამხატვრო თეატრის სკოლა ადამიანის სულში ისედება, სხვა ყველაფერი ამ სულის მოძრაობას ემორჩილება. აკაკი ფაღავა ამ სკოლის მოწაფეა და ეს ჩანს ყველა მის დადგმებში. რასაკვირველია, საქართველოში ამ სკოლის დანერგვისას მას ყოველთვის ახსოეს, რომ საქმე აქვს ქართველ ადამიანთან, ქართველ მაყურებელთან, მის თავისებურებებთან. რასაკვირველია, ეს თავისებურება ქართულ ტანისამოსში როდი გამოიხატება, არამედ ქართული პიესების პერსონაჟების ხასიათში. აკაკი ფაღავა ზედმიწევნით იცავს თავის დადგმებში ყოველი ერის ნაციონალურ თავისებურებებს და ეს მისი რეჟიხორული მუშაობის დამახასიათებელი მხარეა.

აკაკი ფაღავას ლიტერატურული მოღვაწეობა

აკაკი ფაღავა მეტად ნაყოფიერი მთარგმნელი და პუბლიცისტია. მის კალამს ეკუთვნის რეჟოლუციამდელი და შემდეგ დროინდელ პრესაში მძაფრი პოლიტიკური წერილები, რეცენზიები თეატრალურ დადგმებზე, სათეატრო ხელოვნების საკითხებზე. ის სისტემატურად იბეჭდებოდა „ცნობის ფურცელში“, „მეგობარში“, „ქართულ მწერლობაში“, „საბჭოთა ხელოვნებაში“, „მნათობში“.

აკაკი ფაღავას რედაქციით გამოეიდა 1924 წლის 2 იანვრის პირველი ქართული თეატრალური ალმანახი „სახი-

ობა“, ჟურნალში მოთავსებულია აკაკი ფაღავას რამდენიმე წერილი ქართულ თეატრზე და ხელოვნებაზე. ჟურნალში მოთავსებულია ქართული თეატრის მოღვაწეთა სურათები, თეორიული ხასიათის წერილები, ლექსები, თეატრალური ინფორმაცია, პიესა.

ამ ჟურნალის შესახებ მწერალთა კავშირის გაზეთი „ქართული სიტყვა“ (1924 წ. №10) წერდა:

„უნდა გულახდილად ითქვას, რომ ჩვენს გამომცემლობას არ ახსოვს ასეთი ფართე სახის და შინაარსის ჟურნალი; იგი დიდი კულტურული მოვლენაა“.

აკაკი ფაღავა ავტორია „ვეფხისტყაოსნის“ მშვენიერი სათეატრო ინსცენირებისა.

მეტად ნაყოფიერია აკაკი ფაღავა, როგორც მთარგმნელი. მის კალამს ეკუთვნის მშვენიერი ქართულით შესრულებული თარგმანები:

„მონსარდები“ – რეეოლუციური დრამა გიდონისა

„სამხედრო ბანაკში“ – პიესა ბეიერლეინისა

„რღვევა“ – პიესა ბ. ლავრენიევისა.

„ტემპი“ – პიესა ა. პოგოდინისა

„ემილია გალოტი“ – პიესა ლესინგისა

”ძალად ქორწინება” – პიესა მოლიერისა

„აფრიკული სიყვარული“ – პიესა მერიმესი

„ტურანდოტი“ – პუჩინის ოპერის ლიბრეტო.

„აიდა“ – ვერდის ოპერის ლიბრეტო

„ფიგაროს ქორწინება“ – მოცარტის ოპერის ლიბრეტო

„ლოენგრინი“ – ვაგნერის ოპერის ლიბრეტო.

აკაკი ფაღავას წერილები გამოირჩევიან იმით, რომ ისინი ყოველთვის დაკავშირებულია მომენტის მოთხოვნილებასთან, საბჭოთა კულტურისა და თეატრის ზრდა-განვითარების საჭიროებასთან და ინტერესთან. ის ყოველთვის ახლებურად აშუქებს ისეთ საკითხებს, რომელიც თითქოსდა ამოწურულია ერთხელ და სამუდამოდ. ეს წერილები დიდი ხალისით იკითხება და დიდი შემეცნებით ღირებულებასაც წარმოადგენენ. დავასახელებთ რამოდენიმე მათგანს:

„შექსპირი ქართულ სცენაზე“.

„ოსტროვსკი – რუსული ნაციონალური თეატრის კორიფე“.

„მოსკოვის მცირე თეატრი და ქართული სასცენო ხელოვნება“.

„სირანო დე ბერჟერაკი“.

„საბჭოთა თეატრის აღმავლობა და ბურჟუაზიული თეატრის დეკადანსი“.

„სტანისლავსკის სისტემის არსი“.

„გიორგი ერისთავი და მისი თეატრი“.

„ქართული თეატრი ასი წლის მანძილზე“.

„საბჭოთა თეატრის მსოფლიო მნიშვნელობა“.

„ქართული საბჭოთა თეატრის აღმავლობა“...

აკაკი ფაღავას სამეცნიერო მოღვაწეობა

როგორც ეხედავთ აკაკი ფაღავას საკმაო წვლილი აქვს შეტანილი ქართული თეატრის ისტორიოგრაფიაში და ქართულ თეატრმცოდნეობაში.

ჩვენ ჩამოვთვალეთ მთელი რიგი წერილები, რომელთა თემატიკაც გვიჩვენებს, თუ რაოდენ საჭირო არიან ისინი არა მარტო თეატრის მოღვაწეთათვის, არამედ ყველა კულტურული საბჭოთა ადამიანისათვის.

აკაკი ფაღავას დაწერილი აქვს საინტერესო სამეცნიერო ნაშრომები: „ნარკვევები ქართული თეატრის ისტორიიდან“ და „სასცენო ხელოვნება“. (ხატოვანი აზროვნების და განცდის როლი მსახიობის შემოქმედებაში), „მშვიდობისათვის მებრძოლი კომედიოგრაფი“ (არისტოფანე) და სხვა...

აკაკი ფაღავამ დასწერა საინტერესო ისტორიული მონოგრაფია გამოჩენილ ქართველ მსახიობსა და მოღვაწეზე ლადო მესხიშვილზე. როდესაც ქართველი ადამიანი ლადო მესხიშვილზე ლაპარაკობს, უეჭველად თვალწინ წარმოუდგება სცენაზე არა მარტო ეს მსახიობი. თანამედროვე ქართველ ახალგაზრდა ადამიანს არც კი უნახავს ლადო მესხიშვილი. მაშ

რით არის საინტერესო ეს მსახიობი თანამედროვეობისათვის? მარტოოდენ ისტორიული მოგონებით? როგორც სამუზეუმო რელიკვია, თუნდაც ძვირფასი და დაუვიწყარი?

თანამედროვე ადამიანისათვის ლადო მესხიშვილი მარტო მსახიობი როდია. ის მოქალაქეა, დიდი პატრიოტი თავისი ქვეყნისა, მოწინავე ხელოვნებისათვის, რომელიც ხალხს უნდა ემსახურებოდეს.

როდესაც ქართველი კაცი იტყვის – ლადო მესხიშვილი, უეჭველად წარმოიდგენს ნიჭიერ რეჟისორს, სასცენო შემოქმედების ნიჭიერ ორგანიზატორს, ქართული თეატრის ახალი კადრების აღმზრდელს, წარმოიდგენს ჩვენი თეატრის დიდ სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ ფუნქციას ჩვენი საზოგადოების განვითარების პროცესში. წარმოიდგენს არა მარტო ჰამლეტსა და ფრანც მოორს, ურიელ აკოსტას და კინს, გაიოზ ფალავას და ლევან ხიმშიაშვილს, არამედ წარმოიდგენს მებრძოლ მსახიობს, მოქალაქესა და ტრიბუნს, უშიშარ რევოლუციონერს, ექსპლოატატორული კლასის უშიშარ მამხილებელს.

როდესაც ჩვენ ვუყურებთ ლადო მესხიშვილის ლამაზ სახეს, მაღალსა და ნათელ შუბლს, ჯიღად გადმომდგარ ატალღებულ თმებს, საოცარი სიამაყით მობრუნებულ პროფილს, ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ სწორედ ეს ლამაზი ქურუმი სცენისა 1905 წელს ბარიკადებზე იდგა ქუთაისის თეატრთან და იარაღით ხელში ებრძოდა მეფის ხელისუფლებას.

სწორედ მას შეეძლო ეთქვა ქუთაისის კუდაბზიკა არისტოკრატიისათვის – მე თქვენ არ გეკუთვნით. მე მომავალშიც ვიბრძოლებ ხალხის ინტერესებისათვის. მე ხალხს – ერს ვეკუთვნიო...

ლადო მესხიშვილი ზრდიდა მებრძოლ-მაყურებელს. 1905 წლის 25 აგვისტოს ქუთაისის ქალაქის თეატრში ქართული დასის არტისტების წარმოდგენის დროს მეორე აქტში სცენიდან არტისტმა ალექსი-მესხიშვილმა წარმოსთქვა ქართულად სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდებდა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. სიტყვის დასასრულს ხუთჯერ წარმოსთქვა:

„ბრძოლა! ბრძოლა სახალხო!“ წარმოდგენის შემდეგ ხალხი რევოლუციური სიმღერებით დაიშალა“... ასე წერდა ჟანდარმერიის პოლკოვნიკი ნიკოლაევი ჟანდარმთა სამმართველოს...

აკაკი ფაღავას მონოგრაფიაში ქართველი მკითხველი საზოგადოება პირველად გაეცნო ლადო მესხიშვილის თეატრალური მოღვაწეობის ყოველმხრივ სოციალ-ესთეტიკურ ანალიზს. მონოგრაფიაში თაყმოყრილია დიდძალი ლიტერატურული მასალა, შესწავლილია დიდძალი დოკუმენტები. ეს შრომა შედგება ხანგრძლივი კვლევითი მუშაობისა, იგი სერიოზული მეცნიერული შრომაა. მონოგრაფიიდან ნათლად სჩანს ლადო მესხიშვილის ისტორიული როლი ქართული თეატრის განახლებისა და განვითარების საქმეში. მონოგრაფიამ გამოაელინა ის განძი, რაც ლადო მესხიშვილმა თეატრალურ ხელოვნებაში შეიტანა.

ამ მხრივ წიგნის ღირებულება მეტად დიდია. ვისაც არ უნახავს ცოცხალი ლადო მესხიშვილი, ის ამ წიგნით წარმოიდგენს ლადო მესხიშვილს. ის აითვისებს ჩვენს კლასიკურ მემკვიდრეობას. კანონსომიერად გამოიყენებს მას ჩვენი საბჭოთა სცენის განმტკიცების საქმეში. ახლა კიდევ ის გარემოება, რომ მონოგრაფიაში აწერილია ლადოს ახალგაზრდობა, მისი პირველი ნაბიჯები სცენაზე, მისი მუშაობის პირობები, მისი კერძო ცხოვრება და ჩვენ თვალწინ დასრულებული სურათია ლადო მესხიშვილისა. მონოგრაფიას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ახალგაზრდობისათვის.

ამ მონოგრაფიისათვის აკაკი ფაღავას ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სარისხი მიენიჭა.

აკაკი ფაღავას კალამსვე ეკუთვნის მეორე მეცნიერული ნაშრომი „სასცენო ხელოვნება“ ანუ „ხატოვანი აზროვნებისა და განცდის როლი მსახიობის შემოქმედებაში“.

ამ ნაშრომს შალვა დადიანმა ასეთი შეფასება მისცა:

„ასეთი სპეციფიკის ნაშრომები საერთოდ სხვაგანაც იშვიათია და საქართველოში ხომ ამგვარი რამ არც კი მოგვეპოვება.

...პროფესორ ა. ფაღავას თავისი ახალი და ორიგინალური წვლილი შეაქვს სასცენო ხელოვნებაში. როგორც თეორიული მსჯელობის, ისე საკუთარი მრავალი წლის მუშაობისა და სხვათა მუშაობის დაკვირვების საფუძველზე იგი მხატვრული მაგალითებით სრულიად მართებულად მეცნიერულად ამტკიცებს, რომ მსახიობის შემოქმედებაში ძირითად ბერკეტებად ხატოვანი აზროვნება და განცდა უნდა იქნას ადიარებული მათი ურთიერთთან და სათანადო ფორმასთან განუყრელი და ორგანული კავშირის მეშვეობით. ამ საკითხის ასე დაყენება და ასე გადაწყვეტა ჯერ არ გვქონია ჩვენს სასცენო ლიტერატურაში...

შალვა დადიანი მაღალ შეფასებას აძლევს მთელ რიგ სპეციფიკურ საკითხებს, რომელიც წიგნშია გაშუქებული, ტერმინოლოგიასა და ნათელ, გასაგებ ენას, რომ ეს ნაშრომი „ცოტაოდნად მოუმზადებელი მკითხველისთვისაც ხელმისაწვდომია, რაც პატივცემულ ავტორს დიდ დამსახურებად უნდა ჩაეთვალოს, როგორც პირველი ესეთი ნაშრომი ქართულს ენაზე, ისეთი ნაშრომი, რომელსაც ჩვენში წინაპარი არ ჰყოლია“.

ასეთი მაღალი შეფასება მისცა ამ ნაშრომს მოსკოვის სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელმა, ცნობილმა რეჟისორმა, მწერალმა და თეატრალურმა მოღვაწემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ.

ნემიროვიჩ-დანჩენკოს რეცენზიაში აღსანიშნავია ერთი გარემოება. ის ამბობს, რომ სტანისლავსკი ისე მოკვდა, თავის სისტემაზე წიგნი არ დაუწერიაო, არც ამ სისტემის თვალსაზრისით დაუტოვებიაო ნაშრომი თუ “როგორ შემზადდეს როლი“. ყველაფერი ეს მხოლოდ ზეპირ გადმოცემაში არსებობს (რეცენზია დაწერილია 1924 წელს -რ.ქ.). ნემიროვიჩ-დანჩენკო ამბობს: „ა.ნ. ფაღავა მსახიობის შემოქმედებით პროცესში სწორედ ამ ხარვეზებითაა გართული და მთელ რიგ საჭირო მოსაზრებას გამოთქვამს. ეს მოსაზრებანი უამრავი მაგალითებითაა დასაბუთებული.

ფაღავა „განცდის“ ხელოვნების თვალსაჩინო და დარწმუნებული მომხრეა, ის მომხრეა ცხოვრებისეული სიხადავის, მკაფიო სოციალური იდეის და შთაგონებული სიტყვის.

ყოველივე ამის გამო ა. ნ. ფაღავას შრომა ძვირფასია და საჭირო“...

აკადემიკოსმა დიმ. უზნაძემ ასეთი შეფასება მისცა; „ფაღავას შრომა ემყარება ლიტერატურის მასალებს, შემოქმედების ფსიქოლოგიას, სცენური ხელოვნების გამოჩენილ თეორეტიკოსთა თეორიებს, და როგორც ჩვენი ისე მსოფლიო მასშტაბის მსახიობთა და რეჟისორთა პრაქტიკას“... უზნაძე აღნიშნავს, რომ ფაღავას კრიტიკულად გაუაზრებია აქტიორული შემოქმედების თეორიები, განუხილავს დიდძალი ისტორიული მასალა ანტიკური დროიდან დაწყებული დღევანდელობამდე და რომ ფაღავას მიერ განხილულ მასალათა ანალიზი სწორია... „უფრო ღრმასა და ძლიერ შთაბეჭდილებახ სტოვებს სცენური ხელოვნების ფსიქოლოგიური ანალიზი – წერს უზნაძე. – აქ ავტორი გვეელინება როგორც ნამდვილი ვირტუოზი და მისი შრომა გატაცებით იკითხება. ავტორი საკმაოდ ნაკითხია ფსიქოლოგიაში და ფსიქოლოგიურ მოვლენათა ანალიზის იშვიათი ოსტატია... წარმოდგენილი შრომა გვიჩვენებს, რომ ავტორი აღჭურვილია დიდი სამეცნიერო ერუდიციით და სამეცნიერო ანალიზის ნიჭით“, – დასკვნის უზნაძე.

პროფ. შალვა ნუცუბიძეც მაღალ შეფასებას აძლევდა ფაღავას ნაშრომს. ის წერდა: „ჩემი რეცენზია უმთავრესად შრომის იმ ნაწილს ეხება, სადაც განხილულია სპეციალურად არა სასცენო ხელოვნების, არამედ საერთოდ ხელოვნებათმცოდნეობის საკითხები. ამ თვალსაზრისით უნდა აღვნიშნო, რომ ავტორს დაძლეული აქვს დიდძალი ლიტერატურული მასალა, თავისუფლად ფლობს მხატვრულს, განსაკუთრებით დრამატურგიული ლიტერატურის ძეგლებს და რაც მთავარია, ამ ძეგლების ზუსტსა და უმრავლეს შემთხვევაში ფრიად სწორ ანალიზს იძლევა.

წიგნში წარმოდგენილ მასალას და ანალიზს სამეცნიერო შრომის არქიტექტონიკა რომ მიეცეთ (ფაღავას შრომას კი მონოგრაფიის სახე აქვს. რ. ქ.), ეს სრულიად საკმაო იქნება სამეცნიერო-სადოქტორო დისერტაციისათვის“...

ამნაირად აკაკი ფაღავას ეს ნაშრომი იმდენად საინტერესო და მაღალ დონეზე მდგარი აღმოჩნდა, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით იმდენად საჭირო, რომ იგი ყველამ მაღალი ღირსების ნაწარმოებად მიიჩნია.

აკაკი ფაღავა – პედაგოგი

იმ მრავალფეროვან მოღვაწეობაში, რომელიც აკაკი ფაღავას ახასიათებს, განსაკუთრებით მისი პედაგოგიური მოღვაწეობა გამოირჩევა. მისი პედაგოგიური მოღვაწეობა განსაკუთრებული გამოკვლევის ღირსია. ამ მხრივ მას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქართული თეატრალური ხელოვნების წინაშე. მან რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ათეული თაობა გამოუზარდა ჩვენს თეატრს. არ არის თეატრი საქართველოში, სადაც მისი მოწაფე არ მუშაობდეს, არ არის თეატრალური დარგი, სადაც მისი მოწაფე არ მოღვაწეობდეს. ამ დიდსა და საშვილიშვილო საქმეს ის აკეთებდა, როგორც ეროვნულ საქმეს, როგორც სოციალისტური კულტურისათვის საჭირო საქმეს. მისი პედაგოგიური მუშაობა ლექციის წაკითხვა, კურსის გავლა და საგნის ჩაბარება როდია, არამედ, იმავე დროს, მოქალაქის, მსახიობის თუ რეჟისორის, მომღერლისა თუ ხელოვნების სხვა დარგის მუშაკის აღზრდაა.

აკაკი ფაღავა ბუნებით პედაგოგია. მას უყვარს არა მარტო თეატრი და ხელოვნება, არამედ ის ადამიანიც, რომელიც უნდა ემსახურებოდეს თეატრს, ხელოვნებას, ხოლო მათი საშუალებით ერს, ქვეყანას. ყურადღება, გულისხმიერება, პატივისცემა ახალგაზრდა ადამიანისადმი, აი მისი დამახასიათებელი თვისებები.

თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში აკაკი ფაღავა ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პედა-

გოგიურ მუშაობას, თეატრებისათვის მომავალი კადრების აღზრდის საქმეს.

რა საქმეც უნდა ავიღოთ: რეჟისურა იქნება თუ თეატრის ხელმძღვანელობა, ოლიმპიადის მოწყობა თუ თეატრალურ ხელოვნებაზე წაკითხული მოხსენებები, აკაკი ფალავა ისევ და ისევ კადრებზე ზრუნავს დღენიადაგ, ისევ და ისევ კადრების მომზადების საკითხს დასტრიალებს. საილუსტრაციოდ ავიღოთ თუნდაც საოპერო კადრების მომზადების საქმე.

ეს საქმე დიდი ხნის განმავლობაში მოუგვარებელი იყო. 30-ან წლებში აკაკი ფალავა ჩაუდგა საოპერო კლასს სათავეში და საქმე წაღმა მოაბრუნა. ორი წლის განმავლობაში მან ის გააკეთა, რაც ათი წლის განმავლობაში ვერ მოაგვარა კონსერვატორიის ხელმძღვანელობამ. პრესაც კი აღნიშნავდა, რომ კონსერვატორია ვერ აქცევდა ამ დარგს ჯეროვან ყურადღებას, „არ არსებობდა არაეითარი სისტემა კადრების აღზრდის დარგში, საოპერო კლასის სპექტაკლებს შემთხვევითი სასიათი ჰქონდა... ეს გარემოება სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმ დებულებას, რომელსაც იძლევა პარტია და ხელიხუფლება კადრების აღ'ზრდის საქმეში. რა თქმა უნდა, ასეთი მდგომარეობის დატოვება ყოვლად შეუწყნარებელი იყო და ჩანს, რომ კონსერვატორიას წელს სხვა გეზი აუღია, კერძოთ, ამ დარგის სათანადოთ გამოსწორებისათვის“.

ამ წლის 30 მაისს და 6 ივნისს სახელმწიფო ოპერაში გაიმართა საოპერო კლასის სპექტაკლები. სპექტაკლებმა წარმატებით ჩაიარა და იგივე გაზეთი იმავე ნომერში ამ სპექტაკლებსა და მის მომწყობთ ასე აფასებს:

„მთავარი მომენტი, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება ამ სპექტაკლებში, არის ის, რომ აქ, ამ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს საქმე არა მარტო რეჟისორ-დამდგმელებთან, არამედ რეჟისორ-პედაგოგთან, რომელიც ზრდის მომავალ მსახიობ-მომღერალს...“ „30 მაისს და 6 ივნისს მოწყობილ სპექტაკლებში ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობის დემონსტრაციის მოწყობაში მთავარი ღვაწლი მიუძღვის საოპერო კლასის ხელმძღვანელს რეჟისორ ა. ფალავას. მან გარკვეული ადგილი

დაიკავა ჩვენს რეჟისორთა 'შორის და გარდა ამისა ერთ-ერთი პირველი ადგილთაგანი უკავია როგორც პედაგოგს თეატრალურ ხელოვნებაში. საერთოდ, მან თავისი ცოდნა, ენერგია და ორგანიზაციული უნარიანობა გადმოიტანა საოპერო კლასის მუშაობაშიც. ა. ფაღავას მოდვაწეობას საოპერო კლასში ფართო გასაქანი უნდა მიეცეს. ეს იქნება გარანტია იმისა, რომ ახლო მომავალში ჩვენ შევქმნით ახალ საოპერო თეატრს"... და შეიქმნა კიდეც ეს თეატრი.

როგორც ამ თეატრის, ისე საერთოდ თეატრალური კადრების აღზრდა-მომზადებისათვის რას არ მიმართავდა აკაკი ფაღავა. მოვიტანთ ერთ-ორ მაგალითს, რომელიც დამახასიათებელია იმ დროისა და იმ პირობებისათვის.

როგორც ზევით მოვიხსენიეთ 1921 წელს აკ. ფაღავამ განსახკომის დავალებით თეატრალური განათლების გეგმა შეადგინა.

უსახსრობის და უბინაობის გამო გეგმა ვერ განხორციელდა. სწორედ ამ დროს მსახიობმა გ. მიქელაძემ (ამუამად ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) წინადადებით მიმართა აკ. ფაღავას ხელმძღვანელობა გაეწია სცენისმოყვარეთა ჯგუფისათვის. როგორც ვიცით, აკ. ფაღავამ ისარგებლა ამ წინადადებით და ჩამოაყალიბა დრამატული სტუდია. ბინის საკითხიცა და სახსრების გამონახვის საკითხიც მოაგვარა. აი რანაირად:

აკ. ფაღავამ მიმართა საზოგადოებას: მწერლებს, მსახიობებს, საზოგადო მოდვაწეებს. საზოგადოებამ მხარი დაუჭირა ამ ეროვნულ საქმეს. საგანგებო პროგრამით გრანდიოზული საღამო მოეწყო რუსთაველის თეატრის ყველა დარბაზებში. საღამოს მხატვრულ ხელმძღვანელად მოწვეული იყვნენ კ. მარჯანიშვილი და ა. ახმეტელი. მწერლობა და ინტელიგენცია პრაქტიკულ მონაწილეობას ღებულობდა ამ საღამოში: მომსახურეობა, დეკლამაცია ლექსებისა, სცენები, აბრაქციონი... მონაწილეობდნენ ამ საღამოზე ი. გრიშაშვილი, ტ. ტაბიძე... საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო, შემოსავალიც დიდი იყო.

მთელი ეს შემოსავალი ახლად დაარსებულ სტუდიას მოხმარდა.

სტუდიის არსებობისათვის აკ. ფალავამ მეორე წყაროც გამონახა. ფინსახკომის ნებართვით და კონტროლით მან მოაწყო საჯარო ლატარია. ბილეთები რკინიგზის სალაროების მეშვეობითაც ვრცელდებოდა. შეგროვდა საგრძნობი თანხა.

მესამე წყარო შეიქნა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ აკ. ფალავას დრამატული სტუდიისათვის გადებული 250 ჩევრონეცი (მაშინ ჩერვონეცი ოქროს ვალუტას წარმოადგენდა). ეს თანხა განსახკომს გადაეცა, ხოლო განსახკომმა იგი სტუდიას მოახმარა მას შემდეგ, რაც სტუდიამ საჯარო საჩვენებელი საღამო გამართა რუსთაველის თეატრში. საღამოს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. დაესწრო აგრეთვე მთავრობაც. სტუდიის ძალთა ჩვენებამ დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც საზოგადოებისა, ისე პრესის მხრივ. გასაგებიც იყო ეს მოწონება. ჯერ ერთი – სტუდიას სათავეში ედგა საქართველოში საბჭოთა თეატრალური განათლების ფუძემდებელი აკაკი ფალავა, ხოლო პედაგოგებად მუშაობდნენ საუკეთესო ძალები.

სტუდიის ბინაც მოძებნა აკ. ფალავამ. სტუდიას დაეთმო რუსთაველის თეატრის სარკიანი დარბაზი. ამ დარბაზში გამართული იქნა სცენაც და პარტერიც ... სტუდიას დაუთმო აგრეთვე სარკიანი დარბაზის გვერდით მდებარე ორი დარბაზი...

აი, რა პირობებში უყრიდა აკაკი ფალავა საფუძველს ქართულ თეატრალურ განათლებას საქართველოში. აი, რა პირობებში ქმნიდა ის ქართული დრამატული თეატრისა და შემდეგში საოპერო თეატრის ბრწყინვალე და სახახელო თაობებს. ამ ეროვნულ და სახელმწიფო საქმეში აკაკი ფალავას დიდი ღვაწლი მიუძღვის. იგი საბჭოთა თეატრალური კულტურის ფუძემდებელია საქართველოში. იგი ბრწყინვალე პედაგოგი და აღმზრდელია ჩვენი თეატრალური კადრებისა.

ახლა კიდევ გავიხსენოთ აკ. ფალავას პედაგოგიური მოღვაწეობა ქუთაისისა და თბილისის ქართულ ვაჟთა და

ქალთა გიმნაზიებში, ბათუმის გიმნაზიაში, თბილისის ინდუსტრიულ ტექნიკუმში... ამ სასწავლებლებში აკ. ფალავას თაობები აღუზრდია ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ხალხისათვის. ჭეშმარიტად რომ დიდია მისი ღვაწლი პედაგოგიურ ასპარეზზეც...

ხალხის მადლობა

იმ შემოქმედებით საღამოზე, რომელიც ჩვენ ამ წიგნის დასაწყისს მოვიხსენიეთ, ბევრი გამოჩენილი მსახიობი თავის თავს აკაკი ფალავას მოწაფედ აღიარებდა.

ვასო გოძიაშვილი, გოგუცა კუპრაშვილი, სესილია თაყაიშვილი, მალ. მრეველიშვილი, ემ. აფხაიძე, პიერ კობახიძე, პ. ფრანგიშვილი, ერ. მანჯგალაძე თავის თავს აკაკი ფალავასგან დაეალებულად თელიდნენ.

ეს შემოქმედებითი საღამო ერთგვარი ‘ხეიმი იყო აკაკი ფალავას პედაგოგიური მოღვაწეობისა.

საინტერესო მოგონებებით გამოვიდა ს.ზაქარიაძე...

შემოდგომის ერთ ალერსიან დილას ზესტაფონის ვაგზალთან რკინიგზის ლიანდაგს მხიარულად გადაურბინა 14-15 წლის ბიჭუნამ. ის-ის იყო ვაგზლიდან უნდა გასულიყო, რომ მისი ყურადღება ზესტაფონისათვის უცხო დიდმა განცხადებამ მიიპყრო. ბიჭუნა დააკვირდა განცხადებას. განცხადებაში ეწერა: თბილისში ისსნება დრამატული-თეატრალური სტუდია აკაკი ფალავას ხელმძღვანელობით. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ...

მსურველიო?

პატარა ბიჭი სიხარულით აენთო. თეატრი ხომ მისი ოცნებაა. მან არ იცოდა რა იყო სტუდია, მაგრამ თეატრი კი იცოდა რა იყო. მან იცოდა, რომ ნუცა ჩხეიძე, ცაცა ამირაჯიბი, უშანგი ჩხეიძე, შალვა ღამბაშიძე ზესტაფონელები იყვნენ. მაშ, რატომ არ შეიძლება მათ რიცხეს კიდევ ერთი მსახიობი მიემატოს: სერგო ზაქარიაძე?

და პატარა სერგო თბილისში აღმოჩნდა, წარსდგა საჯარო გამოცდაზე. გამოცდა საჯარო იყო. გამოცდას ესწრებოდნენ მსახიობები, მხატვრები, სულ ცნობილი ხალხი...

ფანჯარასთან გრძელი მაგიდა იდგა. მაგიდას მუქი შინდისფერი საფენი ეფარა. შუა ადგილას აკაკი ფაღავა იჯდა. გვერდით ესხდნენ კოტე მარჯანიშვილი, კოტე მაყაშვილი, დიმიტრი უზნაძე, მიხეილ ქორელი და სხვ.

სულ 13 კაცია...

– ეაიმე! ცუდი რიცხვია 13! – გაიფიქრა სერგომ. – ჩავიჭრები უეჭველად...

და ჩაიჭრა...

ჩაიჭრა, მაგრამ ასე ანუგეშეს: ჯერ პატარა ხარ, სამიოთხი წლის შემდეგ თუ მოხვალ, მიგიღებთო...

ძნელია სამი-ოთხი წელი იცადო თუ გაქვს შენი თავის იმედი, რომ ახლავე შეგიძლია საქმეს შეუდგე.

და პატარა სერგოც შეუდგა მისთვის დიდ საქმეს. დაატრიალა ზესტაფონელი მსახიობები – და ჩაირიცხა „თავისუფალ მსმენელად“.

სტუდიაში მკაცრი დისციპლინა იყო დამყარებული. სტუდიელთა წასვლა-მოსვლის აღრიცხვას აწარმოებდნენ. პატარა სერგოს არმოსვლის, არსწაელის აღრიცხვას არავინ აწარმოებდა, მაგრამ ზუსტად კი მოდიოდა, დროზე. მაინც არავინ აქცევდა მას ყურადღებას.

მხოლოდ ერთმა კაცმა კი მიაქცია მას ყურადღება. ამ კაცმა უთხრა:

– მე რომ ჯგუფთან მეცადინეობას დავიწყებ, დაჯექ ჩემს გვერდით, ყური უგდე მეცადინეობას და ერთად ეუყუროთ როგორ წაიკითხავენ სტუდიელები...

სერგო გახალისდა. მას გულში ჩასწვდა ამ კეთილი კაცის ფრთხილი და ფაქიზი მოპყრობა. იგრძნო, რომ 'ეფრთხილდებიან არა მარტო მის ადამიანურ თავმოყვარეობას, არამედ ნიჭსაც. ნიჭი რომ არ ჰქონოდა და ეს ნიჭი არ შეემჩნია, ის კეთილი და გულისხმიერი კაცი გვერდით არ მოისვამდა.

ის კეთილი და გულისხმიერი კაცი აკაკი ფაღავა იყო...

შემოქმედებით საღამოზე გამოქვეყნდა უშანგი ჩხეიძის წერილი.

წერილ'ში ნათქვამია, რომ აკაკი ფაღავა იყო პირველი ქართველ რეჟისორებში, რომელიც ამხნევებდა და გაბედულად აწინაურებდა ყველა უნარის მქონე ახალგაზრდობას, რომ აკაკი ფაღავა იყო არა მარტო რეჟისორ-ხელმძღვანელი, არამედ აღმზრდელი და დამცველი ჯურ კიდევ სრულიად ახალგა'ზრდა თაობისა, რომელიც გაუბედავად მოდიოდა თეატრ'ში. უშანგი ჩხეიძე აღნი'შნავდა აკაკი ფაღავას „ყველაზე უფრო არსებითსა და შესანი'შნავ თვისებას“ – ახალგაზრდობისადმი სიყვარულს...

წერილ'ში ნათქვამია:

„მიუხედავად თქვენი მრავალმხრივი მოღვაწეობისა, თქვენ მაინც არასოდეს მიგიტოვებიათ თქვენთვის ყველაზე უფრო სანუკვარი საქმიანობა – ახალგაზრდა თაობის აღ'ზრდა“.

წერილ'ში ორიგინალური აზრია გამოთქმული:

„თქვენ რომ წმინდა რეჟისორულ გზას გაყოლოდით თეატრ'ში, თქვენი სახელი დღეს შეიძლება უფრო მეტად ცნობილი იქნებოდა ფართო საზოგადოებისათვის, მაგრამ თქვენ უფრო რთული და უჩინარი გ'ზა აირჩიეთ – ახალგა'ზრდობის აღ'ზრდა.

ჩემის აზრით კი ერთი ნიჭიერი ადამიანის აღ'ზრდა მრავალ ნიჭიერად დადგმულ პიესას ბევრად აღემატება. თქვენი მოღვაწეობა უფრო რეჟისორული საქმიანობაა, ვიდრე ჩვეულებრივი რეჟისორისა, რადგან თქვენ ისეთ პიესას დგამთ, რომელსაც „ქართული თეატრის ხვალინდელი დღე ეწოდება“...

დიდი ქართველი მსახიობი უშანგი ჩხეიძე აკაკი ფაღავას მოწაფეა.

შემოქმედებით საღამოზე აკაკი ფაღავას ლექსით მიმართა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გოგუცა კუპრაშვილმა. გოგუცა კუპრაშვილიც აკაკი ფაღავას მოწაფეა. ლექსი გვახიბლავს თავისი უშუალობით და გულწრფელობით. ჩვენთვის ამ შემთხვევაში ლექსის ტექნიკა მეორე პლანზე დგას.

მოგვყავს ეს ლექსი:
როცა ვიყავ თითის ტოლა,
ძლივს ვაგნებდი სახლის კარებს,
თქვენ, ვით მამამ, მიალერსეთ,
საქართველო მომატარეთ.
გზა მიჩვენეთ სცენისაკენ,
ქართულ თეატრს მიმაბარეთ
და სამშობლოს სამსახური
თქვენ პირველმა შემაყვარეთ.
მაგონდება ლამაზი თქმა
ერთი ქართულ არაკისა:
თუ სიკეთეს ქვეყნად დასთეს,
დამთესველიც ამას მკისა.
ჩემს გულში ხომ სიყვარული
ჩაუნერგავს აკაკისა,
და მეც წმინდათ შევასრულე
რაც მის ზრუნვამ დამაკისრა.
მეც პატარებს ემსახურობდი,
მეც მათ გულში დავდგი ბინა,
ის განცდები გადავეცი,
რაც თქვენ გულმა მაგრძნობინა.
და განა მე? თქვენს აკვანში
იცით ვინ არ გამოზრდილა?
ვინც თეატრის დიდი დროშა
ცის თაღამდე ააწვდინა...
აქ მსახიობი აუდიტორიას მიუბრუნდა და განაგრძო:
და თუ ვინმეს ჩემი ღეაწლიც
ჩაგეპკურათ გულში ნამად,
თუ ღირსი ვარ თქვენი ტაშის,
და მიფასებთ მცირე ამაგს,
მას ვაკუთვნებ ჩემს აკაკის,
ვინც მიმაჩნდა მშობელ მამად,
მე კი არ ვარ ტაშის ღირსი,
ის ეკუთვნის, აი, ამას...

იფეთქა ტაშმა. და თითქოს ის ტაში მარტო რუსთაველის თეატრში მოსული აკაკი ფალავას პატივისმცემელთა ტაში რიდი იყო. მსახიობმა შესძლო განწყობილება მოზარდ მაყურებელთა თეატრში გადაეტანა, იქ, სადაც თაეაწყვეტით უკრავდნენ ტაშს ჩვენი ბავშვები მათ საყვარელ მსახიობს გოგუცა კუპრაშვილს, აკაკი ფალავას მოწაფეს...

ასე შეერთდა იმ საღამოს ორი თაობის სიყვარული და პატივისცემა აკაკი ფალავასადმი. სიყვარული და პატივისცემა მამებისა და შვილებისა...

ასე გადაუხადა ხალხმა მადლობა თავის დიდ მოამაგეს, ქართული თეატრის ამაგდარსა და მოღვაწეს, აკაკი ფალავას.

ათეული წლების განმავლობაში ნაყოფიერი, პატრიოტული, საზოგადოებრივი მუშაობისათვის აკაკი ფალავა დაჯილდოებულია მრავალი ქებითი სიგელით.

დაჯილდოებულია მეოლითი 1941-45 წლების დიდ ომში მამაცური და თავდადებული შრომისათვის.

1946 წელს საკავშორო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიენიჭა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეობის წოდება.

1946 წელს საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დაჯილდოებულია ორდენით „საპატიო ნიშანი“.

1953 წელს ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის მინიჭებული აქვს საკავშირო უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ „შრომის წითელი დროშის ორდენი“.

1957 წელს ქების სიგელი კულტურის სამინისტროსა და რესპუბლიკის პროფკავშირის გამგეობისაგან ოქტომბრის რევოლუციის 40 წლისთავთან დაკავშირებით.[3]

ამ ღირსეულად დამსახურებულ ჯილდოებთან ერთად აკაკი ფალავას პირად არქივს ავსებს ის უამრავი მოლოცვა და დეპეშა, რომელიც მას მიღებული აქვს მის შემოქმედებით საღამოზე არა მარტო საქართველოს ყოველი კუთხიდან, არამედ მოძმე რესპუბლიკებიდან, თეატრისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეებისაგან, საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანი-

[3] 1962 წელს მიენიჭა საქართველოს სახალხო არტისტის წოდება. ეფ.

ზაციებისაგან, მის პატიოსმცემელთაგან და საერთოდ კულ-ტურის მოყვარულ კერძო მოქალაქეებისაგან.

ძნელია მოლოცვებში და წერილებში უკეთესის შერჩევა. ამიტომ, ამ წიგნის დასასრულს, ჩვენ მოვიტანთ ერთი პატარა წერილის შინაარსს.

წერილი გამოქვეყნებული იქნება აკაკი ფალავას მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შემოქმედებით საღამოზე რუსთაველის თეატრში. ის ცნობილ მწერალს ეკუთვნის, მარიამ გარიყულს. მარიამ გარიყული წერს:

„ორმოცდაათი წელიწადი მოკლე დრო არ არის: ნახევარი საუკუნეა. ორმოცდაათი წელიწადი რომ ემსახუროს კაცი საზოგადოებრივ საქმეს, ორმოცდაათი წელიწადი იღვწოდეს მშობლიური ხალხისათვის, მშობლიური ლიტერატურისათვის, მშობლიური კულტურისათვის, იღვწოდეს ხშირად უსასყიდ-ლოდ და უანგაროდ, ეს მხოლოდ გმირთა საქმეა, მხოლოდ რჩეულთ ერგებათ წილად.

და თქვენს ცხოვრებაში რომ ეს ასე ყოფილა ხშირად მე თვით გახლავართ ამის მოწმე. იმ დროს ჩვენ ყველა ახალ-გაზრდანი, სამითა და იდეით გატაცებულნი, გულსავსეთ მოვდიოდით ამ გზაზე. და მე მახსოვს ახალგაზრდა, პირტიტველა, თეთრი სვანური ქუდით თავზე, ლამაზი გიმნაზი-ელი, რომელიც სათავეში უდგება მძიმე საქმეს, აგროვებს სცენისმოყვარეთა თუ მსახიობთა კადრებს, ადგენს დასს და მიყავს სოფელში, საცა ცხენის ჭენების მეტი არაფერი უნახავთ. ასეთ სოფლებში მიაქვს თეატრი და ხალხს ათ-ვითცნობიერებს.

შემდეგ ამ ახალგაზრდამ დიდი გზა გაიარა. მას მუდამ მაღლა ეჭირა ის დროშა, რომელიც სიჭაბუკის ჟამს აიღო ხელში, მას ის დროშა არასოდეს დაუხრია ძირს და დღემდის ღირსეულად მოიტანა, რაც ასე დაუფასა ხალხმა, პარტიამ და ხელისუფლებამ.

მეც მათ ვუერთებ ჩემს გულითად მადლობას და დიდხანს ჯანმრთელ სიცოცხლეს ეუსურვებ –

ჩვენს საყვარელ აკაკის – აკაკი ფალავას...“

დიდი გულწრფელობით დაწერილ ამ წერილს არა დაეშატება რა. მართლაც, ხალხის და საშობლოს სამსახურის დროშა აკაკი ფალავამ სიჭაბუკეში აიღო ხელში, ის დროშა არასოდეს დაუხრია ძირს და დღემდის ღირსეულად მოიტანა...

ასეთია აკაკი ფალავას ცხოვრება და შემოქმედება. იმ დიდ მუშაობაში, რომელსაც ის ეწეოდა თეატრის გარშემო, თეატრალური კულტურის განვითარებისა და დანერგვის საქმეში, საბჭოთა თეატრის შექმნისა, განმტკიცებისა და აყვავების სარბიელზე, ის ყოველთვის კულტურისა და ხელოვნების მოწინავე რაზმს ეყრდნობოდა, საზოგადოებასა და საზოგადოებრივ აზრს იშველიებდა. მარტოდმარტო, რასაკვირველია, ვერაფერს გახდებოდა, რომ საზოგადოებრივი თანაგრძნობა და მხარდაჭერა არ ჰქონოდა. მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა უჭერდა მას მხარს, როცა ის გაბედული პროექტებით წარსდგებოდა ხოლმე პარტიისა და მთავრობის წინაშე, ან პარტია და მთავრობა დაავალებდნენ მას საპასუხისმგებლო საკითხების მოგვარებას.

აკაკი ფალავას ნაყოფიერ, ხანგრძლივ და საზოგადოებრივ მუშაობაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი მის ოჯახსაც, მის მეუღლეს, ექიმ-სტომატოლოგ ტერეზია ფალავას, რომელიც მუდამ გვერდში ედგა მას, როგორც მეგობარი და თანაზიარი მისი მოღვაწეობისა. სტუდიისათვის მატერიალური სახსრების მოპოვებაში აკ. ფალავას მეუღლემ აქტიური მონაწილეობა მიიღო. ანეტა ქავთარაძესთან ერთად ტერეზია ფალავა პასუხისმგებელი დიასახლისი იყო ამ სადამოსი, რომელმაც პირველადი საარსებო წყარო მოუპოვა სტუდიას. ახლა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ეს ფორმა ისტორიას ჩაბარდა, მაგრამ თეატრის ისტორია გვერდს ვერ აუვლის იმ ქართველ ქალებს, რომელთაც თავისი უანგარო შრომით თავისი წვლილი შეუტანიათ ქართული თეატრალური კულტურის საქმეში.

ეს ბედნიერი ტრადიციაც იყო ქართული კულტურული ოჯახისა. აკაკი ფალავას ოჯახიც ამ ტრადიციას ადგა.

აკაკი ფალავას ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს საბჭოთა ადამიანი თავის ქვეყანას და თავის საყვარელ საქმეს.[4]

[4] უცნაური ამბავია, შესანიშნავად მახსოვს, რომ წიგნის (ალბათ სასიგნალო ეგზემპლიარი იყო) ბოლო გვერდზე მითითებული იყო აკაკი ფალავას ძირითადი მოღწეული და შესაბამისი თარიღები. რა მოხდა მერე, არ ვიცი. როგორც სჩანს მავანს ეს გადამეტებულად მოეჩვენა და ყველა ეგზემპლიარში, რომელსაც მიეწვდი, ეს გვერდი ამოხეულია, თუმცა გვერდის ნარჩენი აშკარად სჩანს. ე.ფ.

ჩვენი თანამედროვე[1]

იუსუფ ფალავა დაიბადა 1912 წლის 15 იანვარს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ყოროლისთავში. დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ ხწავლას აგრძელებს ქ. ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში. 1938 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და იმავე წელს მიიღეს აჭარის ადვოკატთა კოლეგიის წევრად. 1952 წელს ი. ფალავა აირჩიეს აჭარის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. იგი ამ თანამდებობაზე მუშაობდა გარდაცვალებამდე.

იუსუფ ფალავა პროფესიულ საქმიანობასთან ერთად მოღვაწეობდა სამწერლო ასპარეზზე... სამი ათეული წლის მანძილზე ნაყოფიერად ემსახურა ქართულ პროზას. იგი არის ისტორიული და თანამედროვეობის ამსახველი რომანების ავტორი.

იუსუფ ფალავა მწერლობაში შედარებით გვიან შემოვიდა. მისი პირველი რომანი „ჩაუმქრალი კერა“ 1959 წელს გამოქვეყნდა, როცა მისი ავტორი თითქმის 50 წელს იყო მიღწეული. შემდეგ ზედიზედ, ყოველ მეორე-მესამე წელს აქვეყნებდა რომანებს „ქედუხრელნი“, „საბედისწერო შეცდომა“, “წინაპართა აჩრდილები”, „ცხოვრების გაკვეთილი“, „სუსხი ავბედობისა“. აქედან ჩანს, რომ არისტოკრატიული სიდინჯე და თავაზიანობა მწერლისა იმაშიც ელინდებოდა, რომ მისთვის ორგანულად უცხო იყო აჩქარება და სულწასული მისწრაფება მწერლობაში, თვითგამოხატვისა და თვითდამკვიდრებისთვის. ესეც ერთი შესანიშნავი გაკვეთილია იმათთვის, ვინც სერიოზულად ფიქრობს სამწერლო მოღვაწეობაზე, ვისაც უყვარს ლიტერატურა, მწერლობა და არა საკუთარი თავი მწერლობაში.

---

[1] გაზეთიდან "100 მწერლის გაზეთი", 2002, №21 (29), 20-26 ივნისი

იესუფ ფალავა ქართულ მწერლობაში შემოვიდა, როგორც ეროვნული მწერალი. მისი ესთეტიკური იდეალია ერთიანი, განუყოფელი და დაუნაწევრებელი საქართველო. წარსულის ისტორია და თანამედროვეობა მის წარმოდგენაში საქართველოს ერთიანობის იდეალს უკავშირდება. ამასთან, ეს ერთიანობა გამსჭვალული იყო თავისთავადობის იდეით. საგულისხმოა, რომ იესუფ ფალავას რომანების უმრავლესობა ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებას ეძღვნება და ყველა ამ ნაწარმოების დერიტას თავისუფლებისაკენ ხალხის მისწრაფება წარმოადგენს. აქ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარის განთავისუფლების თემაზე იესუფ ფალავას ზედიზედ რამდენიმე რომანის გამოქვეყნების წლებში, მართალია, პრესაში არ იბეჭდებოდა ერცელი რეცენზიები და სათანადოდ არ ეწეოდა პროპაგანდა ეროვნული თავისუფლების იდეას, სამაგიეროდ, იესუფ ფალავას რომანებისა და სხვა ქართველ მწერალთა ანალოგიური სულისკვეთების ნაწარმოებების წყალობით ხალხის ცნობიერებაში თანდათან ძლიერდებოდა ეროვნული თავისუფლების იდეა.

სიმბოლურია, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თემისადმი მიძღვნილი იესუფ ფალავას რომანების სერიალის პირველ წიგნს „ცაემქრალი კერა“ ჰქვია.

ეროვნული კერის საიმედო ბურჯად იესუფ ფალავა სამართლიანად სახავს ჩვეულებრივ რიგით მშრომელ ადამიანს. ასეთ ადამიანს რომანში განასახიერებს გიორგი გობრონიძე. გადაგვარებული ბეგის რისხვას გიორგი არ შეუშინდა და საჯაროდ განაცხადა: „ჩვენი წინაპრები ქართველები იყვნენ. ქრისტეს ჯვარის და მამულის დასაცავად ბევრი სისხლიც დაღვრილა. ჩვენ რომ ქართველობაზე ხელი აეიღოთ და ისლამი მივიღოთ, ეს იმას ნიშნავს, ნამუსი ფეხქვეშ გავთელოთ... წინაპრების ძელები დაგვწყევლიან; მიწა არ მიგვიღებს“... გლეხკაცი გიორგი გობრონიძის ღრმა რწმენით, „ნამდვილი ქართველი მამულსა და ქრისტეს არ უღალატებს“. ამ სიტყვებისათვის საქართველოს მტრებმა გიორგი გობრონიძეს

თავი მოჰკვეთეს. მამის სიხლისათვის შურისძიების გრძნობამ ნოდარ გობრონიძე ფირალად აქცია. მისმა სამართლიანმა საქმემ გაიმარჯვა და გობრონიძეების კერა ისევ გათბა. ამ მხატვრულ მეტაფორმაში გაცოცხლებულია იდეა აჭარაში ეროვნული სულისკვეთების უკვდავებისა. მთელი აჭარა მწერალს ნაუმქრალ კერად აქვს წარმოდგენილი.

იუსუფ ფადავა იშვიათ ზომიერებას იჩენს ისტორიული სინამდვილის გააზრებასა და მხატვრულ ასახვაში. ამის დადასტურებას წარმოადგენს მისი ქველა რომანი, განსაკუთრებით კი „ნაუმქრალი კერა“. იმ დროს, როცა ქართულ მწერლობაში თავადიშვილი აუცილებლად ეროვნული საქმისაგან განდგომილის ან მოღალატის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, იუსუფ ფადავა კარგი თავადიშვილების სახეებსაც ხატავდა. „ნაუმქრალ კერაში“ თავადი დარისპან შერვაშიძე ქრისტიანობისა და ეროვნული ინტერესებისათვის მებრძოლთა ავანგარდში დგას. მწერალი მას ასე ალაპარაკებს: „თუ დავიღუპები, დავიღუპო. მტერს როგორ ვაფიქრებინო თავადს შეეშინდა და ჩემთან ვერ მობედაო. ხალხის საქმე მოგვარდეს ოღონდ და მე რაც დამემართება, დამემართოს“.

რომანი „ქედუხრელნი“ ორიგინალური პოზიციიდან ასახავს ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული თვითშეგნებისათვის მებრძოლ გმირთა სახე-ხასიათებს. თუ „ნაუმქრალ კერაში“ ამ ბრძოლას ეროვნული სარწმუნოების – ქრისტიანობის პოზიციაზე მტკიცედ დარჩენილი გობრონიძეები ეწევიან, „ქედუხრელნში“ რჯულშეცვლილი ნუგზარ ავალიანი განაგრძობს ბრძოლას დამპყრობელთა წინააღმდეგ, ეკლესიის კართან მისული აჭარელი ნუგზარ ავალიანი კითხვაზე – „ლოცვა იცი, ყმაწვილო?“ – მიუგებს: „რჯული შემიცვალეს, თორემ“... ეს ახალი სახეა. ფორმალურად რჯულშეცვლილი ბაბუკი კვლავ განაგრძობს ქართველობას. ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესო სახეა ვამეხ ფაშის მეუღლის – მარიამის მხატვრული სახეც. ისიც ქრისტიანულად განაგრძობს ლოცვას და ღმერთს ყოველთვის შვილების კეთილდღეობასა და ქმრის ქრისტიანობისკენ მიბრუნებას ევედრება.

მწერალი ერთგული რჩება თავისი საზოგადო კონცეფციისა, რომლის მიხედვით სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა საყოველთაო სახალხო საქმეა. ამ საქმეში ერთად იბრძვიან გლეხი და ბეგი. რომანში „ქედუხრელნი“ დამაჯერებლად არის წარმოდგენილი ბეგი როდამის სახე. იგი ჭეშმარიტად ეროვნული სულის მატარებელი და ანტიოსმალური მოძრაობის თაეკაცია.

ისტორიულ თემაზეა აგებული იუსუფ ფალავას რომანი „წინაპართა აჩრდილები“. მასში ასახულია მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს პატრიოტული ძალების ბრძოლა სამშობლოს ეროვნული მთლიანობისთვის. რომანის მთავარი პერსონაჟი ზეინაბი ქართველი დედისა და თურქი სამხედრო ექიმის შვილია. ზეინაბის დედაც და მამაც ორივე ღირსეული წარმომადგენელია საკუთარი ხალხისა. მათ ერთმანეთს არ უპირისპირებს მწერალი, მაგრამ დედაში ეროვნული გრძნობიხ სიმძაფრესა და შვილზე დედის გაელენის ფაქტზე აქცენტირებით რომანში ხორცშესხმულია იდეა იმის შესახებ, რომ მოზარდის ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება იწყება დედის მკერდიდან. როგორ გარემოებასა და პირობებში უნდა იმყოფებოდეს დედა, თავის ერმას ის მაინც მშობლიური ენის სითბოთი მიეალერსება და დაუყეავებს. ამ მომენტის ძალა კლასიკური სრულყოფით ჯერ კიდევ იაკობ გოგებაშვილმა ასახა მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა?!“ მას შემდეგ ქართულ მწერლობაში არ განელებულა ინტერესი მეობის აღზრდა-გამორკვევისადმი და ამის ერთ-ერთ დადასტურებას იუსუფ ფალავას „წინაპართა აჩრდილები“ წარმოადგენს. მისმა გმირმა ზეინაბმა თავის ასაკთან შედარებით საკმაოდ ბევრი რამ ნახა ცხოვრებაში და მოსალოდნელი იყო, ასვთ ადამიანს ნაკლებად ეფიქრა თავის სამშობლოს ბედზე. მაგრამ, როცა კრიტიკული მომენტი დადგა და საჭირო გახდა ძველ ღირებულებათა გადაფასება, ბედმა თუ მოელენათა ურთიერთდამთხვევამ განსაზღვრეს ზეინაბის დაბრუნება მშობლიურ გურჯისტანში. ეს ის დროა, როცა ბათუმში ჯერ კიდევ ოსმალი ბატონობს და 1878 წლის ისტორიულ

მოელენამდე 10-12 წელიწადი ზანტად მიიზლაზნება. რომანში ჯანსაღი ისტორიული სიმართლე ახაზრდოებს აჭარის მკვიდრი მამულიშვილების – დედა აღა ნიჟარაძის, გულო-აღა კაიკაციშვილისა და მათი თაობის ახალგაზრდების ეროვნულ სულისკვეთებას. ყოფითი დეტალების ოსტატურად მოშველიებით მწერალი ადვილად ახერხებს ამ გრძნობების სისადავით ჩვენებას. ამასთან, მწერლის თვალთახედვის არეში ყოველთვის ფართო პლანით ისახება ზნეობრივი პრობლემები. დიდი, ღრმა პოლიტიკური ცვლილებები ყოველთვის გამახვილებულად წარმოაჩენს მთლიანად საზოგადოებისა და ცალკეული პიროვნების ზნეობრივ სამყაროს. ხუსტი მორალური საყრდენების მქონე ადამიანები, როგორც ლერწამი ქარში, ისე გადაიხრებიან და გადმოიხრებიან მათთვის სელსაყრელი პოზიციისაკენ. ერთი ამისთანა მერყეული კაცის სახეა დახატული ბეგის სახით, რომელსაც თავის პატრონად თელიდა გლეხი ამბროსი. როცა ტყეების გაყიდვის დანაშაულსე წაასწრო ბეგს, ამბროსიმ ამხილა ის და უთხრა: „შენც მყიდი, ბეგ, ხომ?„ არ მეგონა, თურქში თუ გამცვლიდი, ბატონო, პატრონი მეგონე და...

– ქვეყანა თეატრია, ყარდაშ, ადამიანები – მსახიობები, – უსინდისოდ მიუგო ბეგმა.

იუსუფ ფალავას ისტორიული რომანების შემეცნებითი ღირებულება დღესაც ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას. ეს რომანები, რომლებიც ძირითადად ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლებას ეძღვნება, აჭარის ისტორიას და აჭარის მკვიდრს წარმოგვიდგენს, არა როგორც მხოლოდ დამონებულს, არამედ როგორც ქედუხრელ მებრძოლს თავისუფლებისათვის, იუსუფ ფალავას რომანებიდან ჩვენს ცხოვრებაში შემოდიან გმირები, რომლებიც გვამაღლებენ სულით და გვასწავლიან თავისუფლების ფასს.

მაგრამ კიდევ უფრო ღირსეულად გვესახება ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით იუსუფ ფალავა თელის, რომ აჭარის ისტორია არ არის მხოლოდ ოსმალთა ბატონობისაგან აჭარის განთავისუფლების ისტორია. ჩვენში ძალიან დიდხანს

მხოლოდ ეს მონაკვეთი იქცევდა მწერალთა და მეცნიერთა ყურადღებას. იუსუფ ფაღავამ გააფართოვა წარსულისადმი ჩვენი მიდგომის თვალსაწიერი და მოითხოვა, რომ თანამედროვე ქართველის ეროვნული ცნობიერების აღზრდისათვის უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია იმ სინამდვილის ასახვას, რომელიც გვიჩვენებს აჭარის როლს საერთო ეროვნული ქართული ცივილიზაციის შექმნაში, ეს უფრო განამტკიცებს ჩვენს ეროვნულ შეგნებას, ვიდრე იმის მტკიცება და წარამარა გასსენება, რომ ჩვენ სამი საუკუნის მანძილზე გვტანჯავდა უცხო ძალა, ამ ისტორიისადმი გადაჭარბებულ ყურადღებას, ნებსით თუ უნებლიეთ სულიერი დეპრესია უფრო მოჰყვება, ვიდრე აღსვვება. ამ თვალსაზრისით, იუსუფ ფაღავას ისტორიული რომანების წყებაში გამორჩეული ადგილი განეკუთვნება რომანს „სუსხი ავბედობისა“.

„სუსხი აებედობისა“ მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარს, კერძოდ, რუსუდანის მეფობის ხანას ასახავს. რომანში ნაჩვენებია, თუ რა თავგამოდებით იბრძოდა მეფის მხარდამხარ აჭარის საერისთაო გამძვინვარებული მოძალადეების – ხეარაზმელებისა და მონღოლების წინააღმდეგ.

ნაწარმოების ცენტრალური სახეა ტბელ აბუსერისძე – იმ დროის დიდი მეცნიერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მწერალი არ იფარგლება ისტორიული რეალობით. რომანის დიდი ნაწილი ხელოვანისა და მეცნიერის ბედის გაარზებას ეთმობა. საეჭვო ზნეობის მეფის, რუსუდანის თვითნებობამ ტირანიის პირობებში საუკუნის პირველხარისხოვანი მწერალი და ასტრონომი სამშობლოდან გადახვეწა.

იუსუფ ფაღავას ისტორიული რომანების კიდევ ერთ ღირსებაზე უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. ეს არის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიიდან ფაქტიური მასალების უხვად გამოყენებისა და მათი მხატვრულად გადამუშავების ნიჭი. მკითხველი დიდძალ ისტორიულ და სპეციალურ ინფორმაციას იძენს როგორც საქართველოს, ისე მეზობელი ქვეყნების სამეფო კარისა თუ სასულიერო ცხოვრების

შესახებ. ზოგჯერ დეტალებამდე წვდება მწერალი ისეთ რთულ დარგს, როგორიც სასულიერო სამყაროა და ყოველთვის ფართო და მდიდარ განათლებას ავლენს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა რომანში „სუსხი ავბედობისა“.

იუსუფ ფალავას, როგორც მწერლის, ამ განსაკუთრებულ ღირსებაზე საგანგებოდ ლაპარაკობს თავის ერთ პირად წერილში ცნობილი ქართველი პროზაიკოსი რევაზ ჯაფარიძე. ბატონი რევაზი იუსუფ ფალავას რომანში „წინაპართა აჩრდილები“, სწორედ ისტორიული დეტალების სიუხვეს და სიზუსტეს მოუხიბლავს და წერს: „თქვენი სახით ნიჭიერი, საღად მოაზროვნე, განათლებული და საქმეში ჩახედული მწერალი გვყავს. წიგნი გვეუბნება, რომ თქვენ ზედმიწევნით იცნობთ მასალას და დამაჯერებლად ასერხებთ მისთვის სულის ჩადგმას. გილოცავთ ამ წარმატებას“.

იუსუფ ფალავას მხატვრულ შემოქმედებაში ფართოდ არის წარმოდგენილი ზნეობრივი ცხოვრების პრობლემები. რომანები: „ცხოვრების ნაპრალი“, „ხაბედისწერო შეცდომა“, „ცხოვრების გაკვეთილი“ და „ბედის ვარსკვლავი“, თანამედროვე მოქალაქის ყოფის ფაქტურაზე დაყრდნობით, მრავალი კუთხიდან გვახედებს ადამიანური ღირსების საგანძურში.

იუსუფ ფალავას მწერლური და მოქალაქეობრივი ცხოვრების მიმზიდველობაზე სპეციალურად აღნიშნავდა ერთ საგაზეთო წერილში ცნობილი ქართველი პოეტი მამია ვარშანიძე: „მე რომ მკითხონ „რა არის კაცის ღირსებაო“, ასე ვუპასუხებდი: „უპირველესად მშობლიური ქვეყნისა და მშობლიური ხალხის გამორჩეული სიყვარული, კიდევ ის, რომ მთელ თავის შეაძლებლობას ხარჯავს მშობლიური ქვეყნის აღსაზევებლად, კიდევ ის, რომ იგი ჭეშმარიტი ადამიანია და მისი სულიერი კეთილდღეობა მზის შუქივით ეფინება ყველას“. ასეთ ადამიანად პოეტ მამია ვარშანიძეს იუსუფ ფალავა მიაჩნია და წერს: „იუსუფ ფალავა მაღალი ბუნების ადამიანებს განეკუთვნება და რაოდენ კმაყოფილი ვარ, რომ მე მას ბავშვობიდან ვიცნობდი“.

იესუფ ფალავას მხატვრული შემოქმედებისა და თვით მწერლის პერსონიფიკაციური შესწავლა საშურ, საჭირო საქმედ მიგვაჩნია. ასეთი ადამიანები გვზრდიან და გვაკეთილშობილებენ არა მარტო თავიანთი სიცოცხლით, არამედ მათი მოგონებითაც. იესუფ ფალავა – თავისი შემოქმედებითა და მოქალაქეობით კვლავ ჩვენი თანამედროვე მწერალი, განაგრძობს სიცოცხლეს.

-

რედაქტორის მინაწერი: ბატონ იესუფს ქართული კულტურის წინაშე კიდევ ერთი დიდი დამსახურება აქვს: მან საოთაე დაუდო შემოქმედებით დინასტიას – ეაეი ნიდარი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, მუსიკოსი, კომპოზიტორი, მწერალი; შვილიშვილი ირაკლი, მუსიკოსი, მწერალი და პოეტი. შვილთაშვილი – პატარა ანდრია, რომელმაც უკვე გაითქვა სახელი, როგორც მუსიკოსმა – "დრამერმა". **გენი ხარობს!** – ქფ.

თენგიზ ონიანი, ნინო მანჯაეიძე, ყარამან ფაღავა

ირაკლი ფაღავა
(სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა)[1]

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირაკლი ფაღავა ქართველ მოღვაწეთა იმ სახელოვან პლეადას მიეკუთვნება, რომლებმაც თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს საშამულო მედიცინის განვითარებაში.

ირაკი ფაღავა დაიბადა 1918 წლის 28 მარტს ქუთაისში ცნობილი ექიმ-პედიატრის ყარამან ფაღავას და ელენე ხეიძის ოჯახში. 1933 წელს მან წარჩინებით დაამთავრა საშუალო სპეციალური სასწავლებელი – პედაგოგიური ტექნიკუმი ჭიათურაში. ერთი წლის მუშაობის შემდეგ იგი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე ჩაირიცხა, იმავე წელს შევიდა სამუსიკო ტექნიკუმში. 1936 წელს ირაკლი ფაღავა დაობლდა, მამა გარდაეცვალა. განსაკუთრებული მეურვეობა სახელოვანმა ბიძამ – ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ, ქართული თეატრის მოამაგემ, საქართველოში უმაღლესი თეატრალური განათლების მესაძირკვლემ პროფესორმა აკაკი ფაღავამ გაუწია. 1938 წელს ირაკლი ფაღავა კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, აქ იგი 1941 წლამდე სწავლობდა. უკვე სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას მან გამოავლინა ინტერესი მეცნიერებისადმი და ეწეოდა კვლევას ბავშვთა სნეულებათა კათედრის გამგის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ მარიამ უგრელიძის ხელმძღვანელობით. მისივე წარდგინებით, 1939 წელს, ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, მან ჩააბარა

[1] წიგნიდან "ირაკლი ფაღავა (1918-1988). ბიობიბლიოგრაფია", თბილისი, 2006

სათანადო გამოცდები და ჩაირიცხა ასპირანტურაში, პედიატრიის განხრით. 1943 წელს, 24 წლის ასაკში ირაკლი ფაღავამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „სუნთქვის სიხშირე, პნევმოგრაფია და სისხლში აირების რაოდენობა ბავშვთა პნევმონიების დროს ღია და დახურულ ჰაერზე“, ხოლო 1954 წელს – სადოქტორო დისერტაცია – „ცენტრალური ნერვული სისტემის ცვლილებები დისტროფიული მდგომარეობების დროს ბავშვებში“. მან თანმიმდევრობით გაიარა აკადემიური წინსვლის საფეხურები – ასისტენტიდან პროფესორამდე. 1960 წელს კი იგი მშობლიური კათედრის გამგედ აირჩიეს, რომელსაც 28 წლის განმავლობაში, სიკვდილის დღემდე განაგებდა. ამასთანავე, 1950-1964 წლებში, ხანგამოშვებით ირაკლი ფაღავა თბილისის ოლქის, ქ. თბილისის, საქართველოს მთავარი პედიატრის მოვალეობებს ასრულებდა, 1967-1978 წლებში იყო პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. 1967 წელს არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1971 წელს – საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ.

ირაკლი ფაღავა მეტად მრავალმხრივი მკვლევარი გახლდათ, რომლის სამეცნიერო ინტერესები პედიატრიის თითქმის ყველა დარგს სწვდებოდა. ჩვენ შეეხერდებით მისი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე, რომელიც მისი შემოქმედებისთვის დამახასიათებელია და რომელმაც მედიცინის შესაბამისი მიმართულებების განვითარებაზე სათანადო გაელენა მოახდინა.

უშუალოდ ი. ფაღავას მიერ, მისი მონაწილეობითა თუ ხელმძღვანელობით შესრულებული შრომების თემატიკა პირობითად შემდეგნაირად შეიძლება დაიყოს: ასაკობრივი ფიზიოლოგია, ექსპერიმენტული მედიცინა, სამედიცინო გეოგრაფია, მედიცინისა და ფსიქოლოგიის მოსაზღვრე პრობლემატიკა, მედიცინის ისტორია, ბავშვებსა და მოზარდებში სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკა და მკურნალობის სამეცნიერო საფუძვლები.

ჯერ კიდევ ორმოცდაათ წლებში, თავისი მასწავლებლის – პროფესორ მ. უგრელიძის, საქართველოში სამედიცინო გეოგრაფიის ერთ-ერთი პიონერის ხელმძღვანელობით ი. ფაღავა სწავლობდა სხვადასხვა არაინფექციური დაავადების სიხშირეს საქართველოს რეგიონებში. შემდეგ მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ფართომასშტაბიანი კვლევა ჩვენს ქვეყანაში ალერგიის გავრცელებისა და სიხშირის შესახებ, მამოდულირებელი ფაქტორების გამოვლენით, რაც გარკვეულად საფუძველად დაედო საქართველოს სამედიცინო კარტირების პრინციპების შემუშავებას.

პედიატრიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ასაკობრივი ფიზიოლოგია. ი. ფაღავამ დიდი ყურადღება დაუთმო სუნთქვის ფიზიოლოგიის შესწავლას ონტოგენეზის ადრეულ ეტაპებზე, ახალშობილ და ჩვილ ბავშვებში, ნორმასა და პათოლოგიის დროს. მან დეტალურად შეისწავლა გარეგანი და ქსოვილოვანი სუნთქვის თავისებურებები ეიტროფიულ და დისტროფიულ ბავშვებში. გამოჰყო სუნთქვის დარღვევის სხვადასხვა ეტაპი ჩვილ ბავშვთა პნევმონიების დროს. მასიური ეპიდემიოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე ერთ-ერთმა პირველთაგანმა მოგვცა არტერიული წნევის ნორმატივები უფროსი ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში. თანამშრომლებთან ერთად, გამოკვლევათა ციკლში უახლესი ინსტრუმენტალური მეთოდების გამოყენებით შეისწავლა კარდიოვასკულარული პარამეტრების დინამიკა ახალშობილობიდან მოზარდთა ასაკის ჩათვლით. დაადგინა ჰემატო-ენცეფალური ბარიერის ფუნქციონირების, ტვინის ბიოქიმიზმისა და თავზურგ-ტვინის სითხის თავისებურებები ჯანმრთელ ეიტროფიულ და დისტროფიულ ჩვილ ბავშვებში. საინტერესოა კვლევა ფუნქციური ახიმეტრიის შესახებ ბავშვებსა და მოზარდებში. ერთ-ერთმა პირველმა ყოფილ საბჭოთა კავშირში, მან გაამახვილა ყურადღება პუბერტოლოგიის მნიშვნელობაზე.

ი. ფაღავა დიდ ყურადღებას უთმობდა ე.წ. პრემორბიდის საკითხს. ჯერ კიდევ 50-იან წლებში მოზარდებში არტერიული

წნევის ნორმატივების განსაზღვრისას მან გამოჰყო ჯგუფი ბავშვებისა ლაბილური არტერიული წნევით, ჰიპერრეაქტორები და გამოთქვა მოსაზრება, რომ ამ ბავშვებს შესაძლებელია მომავალში ჰიპერტონული დაავადება განუვითარდეთ. ეს მოსაზრება დადასტურდა შემდგომში, როგორც მისივე გამოკვლევებით (იგი სწავლობდა ამ ბავშვების კატამნეზს), ასევე სხვა ავტორების მიერადაც. დღეს დღეობით აღარ იწვევს ეჭვს ის გარემოება, რომ მოზრდილთა ჰიპერტონიის მნიშვნელოვანი ნაწილი სათავეს ბავშვთა ასაკში პოულობს. ასევე მან გამოთქვა მოსაზრება და შემდგომ დაასაბუთა კიდეც, რომ კონსტიტუციური ანომალიის ვარიანტი – ექსუდაციურ-კატარული დიათეზი ალერგიული დაავადებებისა და კოლაგენოზების პრემორბიდად შეიძლება ჩაითვალოს. ეს დებულებაც დღეს საყოველთაოდაა მიღებული. ი. ფადავა, სხვა ავტორებთან ერთად, მიუთითებდა სპაზმოფილიის მნიშვნელოვან როლზე ეპილეფსიის ჩამოყალიბებაში და აღნიშნავდა ბავშვებში ამ უაღრესად ხშირი სინდრომის პროფილაქტიკის, ხანგრძლივი მეთვალყურეობისა და ინდივიდუალური თერაპიის ჩატარების აუცილებლობას. ი. ფადავა იყო პირველთაგანი, რომელიც პროფილაქტიკური აცრების ინდივიდუალიზაციისკენ მოუწოდებდა, რადგანაც გარკვეულ სიტუაციებში ისინი იმუნოპათოლოგიური რეაქციებისა და, შესაბამისად, დაავადებების გამშვებ ფაქტორებად გვევლინება. თავის მოწაფეებთან ერთად მან მრავალრიცხოვანი გამოკვლევა ჩაატარა დედასა და ნაყოფს შორის იმუნოლოგიური ურთიერთქმედების, კერძოდ სისხლის ჯგუფების მიხედვით შეუთავსებლობის, ზეგავლენის დასადგენად ბავშვის ჯანმრთელობაზე. ეძიებდა რისკ-ფაქტორებს, მათ შორის შემაერთებელი ქსოვილის ტიპოლოგიას, რომელიც მოზარდის ორგანიზმში ალერგიულ მზაობას განაპირობებს.

ყოფილ საბჭოთა კავშირში ირაკლი ფადავა იყო პირველთაგანი, რომელმაც პედიატრიულ კლინიკაში ფსიქონეირო-სომატური ურთიერთობების კვლევას მიჰყო ხელი. თანამშრომლებთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა ბავშვებსა

და მოზარდებში სხვადასხვა შინაგანი დაავადების დროს ფსიქოლოგიური დარღვევების გამოვლენას და მათი მნიშვნელობის დადგენას ამა თუ იმ ნოზოლოგიური ერთეულის ეტიოპათოგენეზში. მან ყურადღება გაამახვილა ჰიპოგალაქტიის ფსიქოლოგიურ ასპექტებზე. პრიორიტეტულია ირაკლი ფალავას გამოკვლევები დიმიტრი უზნაძისეული „განწყობის“ ფენომენის მნიშვნელობის დასადგენად ბავშვებში სომატური, განსაკუთრებით ინფექციურ-ალერგიული დაავადებების პათოგენეზსა და კლინიკური გამოვლინებების მოდულაციაში.

კერძო პათოლოგიის ფარგლებს მიეკუთვნება მრავალრიცხოვანი შრომები სასუნთქი სისტემის დაავადებების, ტუბერკულოზისა და, კერძოდ, ტუბერკულოზური მენინგიტის, რევმატიზმის, კოლაგენოზების, ალერგოზების შესახებ. მოწოდებულია ექსუდაციური დიათეზის კლასიფიკაცია.

ი. ფალავა ქართული მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწეებისადმი მიძღვნილი მრავალი პერსონალიის ავტორია. ამ სტატიებში მან მოგვცა ქართული მედიცინის უახლესი ისტორიის მოზაიკური, მაგრამ საკმაოდ ინფორმატიული სურათი. მასწავლებლის სიკვდილიდან ზუსტად ერთი წლის თავზე მან გამოაქვეყნა მონოგრაფია „კეთილი მკურნალი“, რომელშიც შთამბეჭდავად ასახა ქართული პედიატრიის ალამდარის – მარიამ უგრელიძის ღვაწლი. სახელმძღვანელოში „ბავშვთა დაავადებები“ (I ტომი) ცალკე თავია მიძღვნილი საქართველოში პედიატრიის ისტორიისადმი. ფაქტობრივი სიმდიდრის, ანალიზის სიღრმისა და მოცულობის გათვალისწინებით იგი ცალკე, დამოუკიდებელ, ამ საკითხის კვლევის დიდი ეტაპის დამაგვირგვინებელ ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს.

ირაკლი ფალავას შემოქმედებითი პორტრეტის შექმნისას არ შეიძლება არ აღინიშნოს მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. ასისტენტი თუ დოცენტი, პროფესორი თუ კათედრის გამგე, თავისი მოღვაწეობის უმთავრეს მიმართებად იგი მუდამ ახალგაზრდობასთან მუშაობას მიიჩნევდა. მისი ლექცია-სემინარები, პრაქტიკული მეცადინეობები, ავადმყოფთა გარჩევები, შემოვლები ყურადღებას იპყრობდა არა მარტო მაღალი პროფე-

სიონალიზმით, საკითხის ამომწურავად გაშუქებით, ახლებური და ორიგინალური მიდგომით, არამედ მხატვრული ფორმითაც. ორატორული ნიჭისა და შინაგანი არტისტიზმით დაჯილდოებული, იგი თითქოსდა შეუმჩნეველად, ამავე დროს ძალუმად ამკვიდრებდა საექიმო დეონტოლოგიის კეთილშობილურ პრინციპებს. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით ორმოცამდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია შესრულდა, იგი იყო პირუთენელი ოპონენტი და რეცენზენტი. მისი წიგნები „პედიატრიის ცნობარი“ და, განსაკუთრებით, „ბავშვთა დაავადებები“ (ორ ტომად) ქართველ ექიმთა და სტუდენტთა მრავალი თაობის სამაგიდო წიგნად იქცა.

ირაკლი ფალავა იყო შესანიშნავი პრაქტიკოსი ექიმიც. საქართველოს რაიონებიდან, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონიდან მას აკითხავდნენ ავადმყოფები რთული და იშვიათი პათოლოგიით, მკურნალობისადმი რეზისტენტული კლინიკური მიმდინარეობით. ერუდიცია, მდიდარი კლინიკური გამოცდილება, თვით ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტების აღნუსხვისა და ინტერპრეტაციის უნარი, ინტუიცია და, ამასთანავე, მკურნალობის უახლესი მეთოდების ცოდნა და, ამავე დროს, მათ მიმართ ფრთხილი, თავშეკავებული, ზოგჯერ სკეპტიკური მიდგომა, ავადმყოფ ბავშვებსა და მათ მშობლებთან სწრაფი კონტაქტის დამყარების უნარი, დიაგნოზის დასმის სიზუსტე და მკურნალობის ტაქტიკის უნაკლო ჩამოყალიბება – განაპირობებდა მისი, როგორც დიაგნოსტისა და მკურნალის წარმატებებს და, შესაბამისად, პოპულარობას.

მან აღწერა მცირე ქორეის დროს ახალი სადიაგნოსტიკო ნიშანი – პალპებრალური რეფლექსის შეუკავებლობა. აღმოაჩინა ტუბერკულოზური მენინგიტის დროს ლიქვორის ცერებროლიზური უნარის გაქრობის ფენომენი, რასაც ფრიად დიდი სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა ენიჭება. შემოიტანა ამინაზინით თერაპია პედიატრიულ პრაქტიკაში. მის მიერ მოწოდებულია ჰიპოგალაქტიის მკურნალობა B_{12} ვიტამინით, დაასაბუთა აერ-

ოთერაპიის ეფექტურობა სასუნთქი სისტემის დაავადებების დროს.

ი. ფალავა ბუნებრივი კვების აქტიური პროპაგანდისტი და მისი შენარჩუნების მომხრე იყო. ამავე დროს, თანამშრომლებთან ერთად მან გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი ბავშვთა კვებაში ზოგიერთი ეროვნული კერძის (მაწონი, ნადული) ტექნოლოგიის მოდიფიკაციასა და ჩვენებებზე.

მის მიერ დეტალურად იქნა შესწავლილი ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი კურორტის – ქობულეთის, ბორჯომისა და ბასმაროს – გავლენა ბავშვის ორგანიზმის რეაქტიულობაზე, დადგინდა მათი ჩვენებები და უკუჩვენებები, ნაჩვენები იქნა თბილისის ბავშვთა რევმატიზმის მკურნალობაში.

სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ოთხ ათეულ წელს (50-80-იანებში) საქართველოში არ ჩატარებულა რაიმე ღონისძიება პედიატრიაში, არ ვადაწყვეტილა რაიმე საკითხი ბავშვთა ჯანმრთელობას, განვითარებასა და დაცვას რომ ეხებოდეს, რომლის ინიციატორი, შემსრულებელი თუ მრჩეველი მაინც ირაკლი ფალავა არ ყოფილიყო. პედიატრიის ინსტიტუტის ჩამოყალიბება, პედიატრთა ყრილობები, კონფერენციები, გასვლითი სესიები, ბათუმსა და სოხუმში პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოებების ორგანიზაცია, ბავშვთა ჯანდაცვის მიმდინარე საკითხები, ბავშვთა საავადმყოფოებისა და განყოფილებების გახსნა თუ მოდერნიზაცია, პუბერტოლოგიის საპრობლემო ლაბორატორიის, პედიატრიული ფსიქოლოგიური ცენტრისა და პედიატრიული აკუპუნქტურული და ლაზეროთერაპიის ცენტრის გახსნა, პედიატრიაში სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს მუშაობის წარმართვა – ყველგან მას თავისი არც თუ ისე მცირე წვლილი აქვს შეტანილი.

იგი მონაწილეობდა საკავშირო პედიატრიული ყრილობებისა და კონფერენცია-სიმპოზიუმების ორგანიზაციაში, საერთაშორისო კონგრესების მუშაობაში, რეგულარულად გამოდიოდა მოხსენებით სხვადასხვა სამეცნიერო ფორუმზე. არჩეული იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატთა საბჭოს

წევრად, სრულიად საბჭოთა კავშირის პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის წევრად. იყო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს წევრი.

ქვეყნისა და ერის სამსახურში ირაკლი ფაღავა არ იზღუდებოდა მხოლოდ პედიატრიის ან თუნდაც მედიცინის ფარგლებით. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქართული ლიტერატურული ენის სანორმატივო კომისიის მუშაობაში, მთავრობის დადგენილებით რომ შეიქმნა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული დემოგრაფიული კომისიის ერთერთი თავკაცი გახლდათ. ჩვენი ერისთვის ამ მეტად მტკივნეულ საკითხს უძღვნა მან ნაშრომი „მრავალი შეილი ერის უკეთესებაა“.

მრავალრიცხოვანი სტატიები პერიოდულ პრესაში, ინტერვიუები, გამოსვლები რადიოთი და ტელევიზიით, ლექციები საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, თბილისში, სენაკსა და მარტვილში სახალხო უნივერსიტეტებში მოღვაწეობა – ყველგან და ყოველთვის იგი საჭირბოროტო საკითხებს – დემოგრაფია, ბავშვთა აღზრდა, პიგიენა, სკოლა და მოსარდი – წამოსწევდა. ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან ი. ფაღავა ქმნიდა კონცეფციას ბავშვთა აღზრდის ეთიკური პრინციპების შესახებ. წარმართავდა „ახალგაზრდა დედების კუთხეს“ ჟურნალში „საბჭოთა ქალი“, ახალგაზრდა მშობლების სკოლებს. ასრულებდა საკავშირო სამედიცინო ენციკლოპედიის რედაქციის წევრის მოვალეობებს, აქტიურად თანამშრომლობდა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასთან, გაზეთ „სახალხო განათლებასთან“, იყო ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის“ რედკოლეგიის წევრი.

ნიშანდობლივია და, გარკვეულ წილად, სიმბოლურიც, რომ 1987 წლის მიწურულს, საქართველოს პედიატრთა ყრილობაზე იგი წარსდგა მოხსენებით „ილია ჭავჭავაძე ბავშვთა აღზრდისა და ჯანმრთელობის საკითხების შესახებ“, ხოლო 1988 წლის თებერვალში, გარდაცვალების შემდეგ, გამოქვეყნდა მისი ბოლო ინტერვიუ, ანდერძად რომ შეიძლება ჩაითვალოს, - „აღვზარდოთ სრულფასოვანი პიროვნება“.

ირაკლი ფალავამ მთელი ცხოვრება თავდაუზოგადავად იშრომა ქართული მეცნიერების, მედიცინის განვითარებისთვის, ნორჩი თაობის საკეთილდღეოდ. მის მიერ მიღებული სამეცნიერო შედეგები ანგარიშგასაწევია, ხოლო ზოგიერთი მათგანი პრიორიტეტული. წინწამოწეული პრობლემები – პრემორბიდი, პუბერტატი, კომპლემენტური მედიცინა, დედასა და ნაყოფს შორის იმუნური ურთიერთობა, ფსიქოსომატური და სომატოფსიქიკური ურთიერთობები – თანამედროვე პედიატრიული კვლევის ფრიად აქტუალური საგანია დღესაც.

ლილი ჟორჟოლიანი

პროფესორ კონსტანტინე ფალავას ცხოვრება და მოღვაწეობა[1]

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მსოფლიოში აღიარებული ქართული ირანისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი კონსტანტინე ფალავა დაიბადა 1919 წელს ქ. სურამში, სახელოვანი ქართველი ინტელიგენტის ექიმ ეარამან ფალავას ოჯახში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბატონი კონსტანტინე, თავისი ძმის – ცნობილი პედიატრის ირაკლი ფალავასგან განსხვავებით, მამის კვალს არ გაჰყვა და სამოღვაწეო სფეროდ ფილოლოგია, კერძოდ, ირანული ფილოლოგია აირჩია.

ბატონმა კოტემ 1941 წელს წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნიეერსიტეტი. ერთხანს სოფლის სკოლაში მუშაობდა მასწავლებლად. შემდეგ კი გაიარა ასპირანტურის კურსი ცნობილი ირანისტის იესტინე აბულაძის ხელმძღვანელობით. მან უნივერსიტეტში მუშაობა 1944 წელს დაიწყო და მრავალი წელი უანგაროდ და თავდადებით ემსახურა ჩვენს უნივერსიტეტს. 1945-1950 წლებში იგი მუშაობდა ახლად გახსნილი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, ხოლო 1952-1957 წლებში ამავე ფაკულტეტის დეკანად.

კონსტანტინე ფალავამ 28 წლის ასაკში, 1947 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რის შემდეგ იგი წლების განმავლობაში ირანული ფილოლოგიის კათედრის დოცენტი გახლდათ, ხოლო სადოქტორო დისერტაციის დაცვის შემდეგ (1972 წ.) ის ამავე კათედრის პროფესორად აირჩიეს.

---

[1] წიგნიდან "კონსტანტინე ფალავა 90. საიუბილეო კრებული მიძღვნილი კონსტანტინე ფალავას 90 წლისთავისადმი", თბილისი, 2012.

ბატონი კონსტანტინე ენერგიულად და დაუღალავად ემსახურებოდა სტუდენტთა აღზრდისა და სწავლების საქმეს. წლების მანძილზე კითხულობდა სპარსული ენისა და სპარსული ლიტერატურის ისტორიის კურსებს, ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეს, ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა მუშაობას. მისი ხელმძღვანელობით არაერთი დისერტაცია იქნა დაცული ირანისტიკაში.

კონსტანტინე ფადავა დიდი ხნის განმავლობაში იყო თსუ შრომების აღმოსავლური სერიის სარედაქციო კოლეგიის წევრი, ხოლო პროფ. დ. კობიძის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ტომის რედაქტორი. მისი რედაქტორობით გამოიცა აგრეთვე რამდენიმე წიგნი, მათ შორის ჯ. გიუნაშვილისა და ლ. ჟორჟოლიანის მიერ შედგენილი სპარსული ენის სახელმძღვანელო (ანბანი) საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის (1986 წ.).

პროფ. კ. ფადავას საზოგადოებრივი საქმიანობიდან აღსანიშნავია, რომ ის სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციების აღმოსავლეთმცოდნეობის სექციის მუშაობას, იყო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოთა კავშირ-ირანის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე და შემდგომ ამ საზოგადოების ვიცეპრეზიდენტი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების გამგეობის წევრი, მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან არსებული საკოორდინაციო საბჭოს წევრი.

პროფ. ფადავა რამდენიმე წელი თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიასაც თავმჯდომარეობდა. იგი იყო აგრეთვე ერთ-ერთი ინიციატორი თბილისის საშუალო სკოლებში აღმოსავლური ენების სწავლებისა და შემდგომ სპარსული ენის სწავლების კურატორი.

მრავალმხრივი იყო პროფ. კონსტანტინე ფადავას სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები. მაგრამ იგი, ძირითადად, კლასიკური და თანამედროვე სპარსული ლიტერატურის აქ-

ტუალურ საკითხებს იკვლევდა და ასამდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის ავტორი გახლავთ.

კლასიკური სპარსული ლიტერატურიდან მან პირველმა ირანისტებს შორის ხელი მოჰკიდა „შაჰ-ნამეს“ ცალკეული ეპიზოდების კვლევას და შეისწავლა „ზაალ-რუდაბეს ეპიზოდი“ (თსუ შრომები, ტ.41, 1950 წ.), მოახდინა რუდაქისა და ხაიამის პოეზიის შედარებითი ანალიზი (კრებული „რუდაქი 100“, 1957 წ.), გამოიკვლია ჯამის ეპოქა (კრებული „ჯამი“, 1964 წ.), მონოგრაფია მიუძღვნა ნიზამის შემოქმედების შესწავლას, რომელიც ამ პოეტის რთული შემოქმედების შესახებ ქართულ ენაზე დაწერილ პირველ გამოკვლევას წარმოადგენს (1964 წ.).

დიდი წვლილი აქვს შეტანილი პროფ. კ. ფალავას თანამედროვე სპარსული ლიტერატურის შესწავლაში იგი წარმატებით იკვლევდა ბოზორგ ალავის, სადეყ ჰედაიათის, ეჰსან თაბარისა და სხვათა შემოქმედების საკითხებს. მან შეისწავლა თანამედროვე სპარსულ პროზაში დემოკრატიული მიმდინარეობის საკითხი (თსუ შრომები, ტ.61, 1956 წ.), ამომწურავად გამოიკვლია სპარსული რეალიზმის ჩახახვისა და განვითარების ისტორია ნაშრომში „ნარკვევები კრიტიკული რეალიზმის ისტორიის შესწავლისათვის სპარსულ ლიტერატურაში“, რომელიც მისი სადოქტორო დისერტაცია იყო (1971 წ.). პროფ. დ. კობიძის შეფასებით, „ეს ნაშრომი აღნიშნულ საკითხზე დღემდე დაწერილ გამოკვლევათა შორის ყველაზე ვრცელი და მნიშვნელოვანია“. პროფ. კ. ფალავას ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევები სპარსული დრამატურგიისა და სპარსული სოციალური რომანის შესახებ.

დიდი ინტერესი გამოიჩინა მან აზერბაიჯანის სპარსულენოვანი მწერლობისადმი და მირზა ფათალი ახუნდოვის შემოქმედების კვლევას არაერთი წერილი და მონოგრაფია მიუძღვნა (1967 წ.). დიდი რეზონანსი ჰქონდა კ. ფალავას ნაშრომს, რომელშიც გაშუქებულია აზერბაიჯანულ-ქართული კულტურული ურთიერთობანი (1966 წ.).

უნდა აღინიშნოს, რომ კ. ფალავა აქტიურად მონაწილეობდა ირანისტთა სხვადასხვა დონის კონფერენციებსა და სიმპოზი-

უმებში. მისი მოხსენებები, სამეცნიერო შრომები და სტატიები გამოქვეყნებულია საათანადო კრებულებში. პროფ. კ. ფაღავა დიდ ყურადღებას უთმობდა ქართველ ირანისტთა სამეცნიერო ნაშრომების, თარგმანებისა და სახელმძღვანელოების რეცენ-ზირებას და მათ პოპულარიზაციას. ამის საუკეთესო ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ცნობილ ირანისტ ა.ა. სტარიკოვის თანაავტორობით გამოქვეყნებული რეცენზია პროფ. დ. კობიძის წიგნზე „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყა-როები“, რომელშიც ხაზგასმით იყო აღნიშნული ამ გამოკვლევის მნიშვნელობა არა მარტო „მეფეთა წიგნის“ ქართული ვერსიების, არამედ „შაჰ-ნამეს“ სპარსული ტექსტის შესწავლისა და კრიტიკული გამოცემის თვალსაზრისითაც (საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, 3. 1961 წ.). ბატონ კონსტანტინეს გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე რეცენზიები რუსი მწერლებისა და პოეტების ნაწარმოებთა სპარსული თარგმანების შესახებ.

ბატონმა კოტემ მხოლოდ ერთხელ შეძლო ეხილა ქვეყანა, რომლის ლიტერატურის კვლევასა და შესწავლას მრავალი წელი შეალია. მან 1973 წლის ზაფხულში საბჭოთა ირანისტების ჯგუფთან ერთად, რომელშიც ქართველი ირანისტები ვ. კოტეტიშვილი და გ. ჭიპაშვილიც იმყოფებოდ-ნენ, ირანის რამდენიმე ქალაქში იმოგზაურა

1976 წელს ივ. ჯავახიშვილის 100 წლის იუბილესთან და-კავშირებით უნივერსიტეტმა ბატონ კონსტანტინეს უანგარო და თავდადებული სამსახური ღირსეულად დააფასა და იგი ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით დააჯილდოვა.

1981 წელს, პროფ. დ. კობიძის გარდაცვალების შემდეგ, პროფ. კ. ფაღავა სათაეში ჩაუდგა ირანული ფილოლოგიის კათედრას. მრავალწლიანი ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილებისა და პედაგოგიური პრაქტიკის მქონე ბატონი კონსტანტინე მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობითა და შემართებით შეუდგა კათედრის გამგის მოვალეობის შესრულებას, მაგრამ არ დასცალდა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ენერგიით საესეს უკურნებელი სენი შეყარა. მან თვითონ მიი-ღო ვაუკაცური გადაწყვეტილება, გადადგა კათედრის

გამგეობიდან და თვითონვე შეარჩია თავისი ღირსეული შემცვლელი პროფ. ალ. გვახარია, რომლის ინიციატივითა და კათედრის წევრთა თანხმობით იგი სიცოცხლის ბოლომდე ირანული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლად ირიცხებოდა.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბატონი კონსტანტინე იყო ჭეშმარიტი მოქალაქე ჩვენი ქვეყნისა, დახვეწილი ინტელიგენტი, შესანიშნავი მეცნიერი, უანგარო საზოგადო მოღვაწე, სტუდენტებთან ზომიერად მეგობრული, არაჩვეულებრივი თამადა ქართული სუფრისა, მოსიყვარულე მეუღლე და მეგობარი უსათნოესი ქალბატონის ეკატერინე ღვინიაშვილისა, მზრუნველი მამა უმშვენიერესი ასულის როდამისა, რომელსაც უდავოდ ირანული პოეზიის სიყვარულის გამო დაარქვა „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟის სახელი და ბოლოს იგი გახლდათ ნამდვილი განსასიერება ქართველი ბაბუისა. ბატონი კონსტანტინე ფაღავა 1994 წლის 21 იანვარს გარდაიცვალა,

უკვე 15 წელი გავიდა რაც ჩვენს რიგებს გამოაკლდა ბატონი კონსტანტინე, მაგრამ მისი ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი მოწაფეებისა და კოლეგების გულში. ღმერთმა მარადიულ ნათელში ამყოფოს მისი სული.

ბიძაჩემი – კოტე ფაღავა[1]

პატიეცემულო საზოგადოებავ,

მოგეხსენებათ, ახლა მიღებულია, რომ სამეცნიერო ასოციაციის გამგეობაში ერთი ადგილი მეეხტორიეს, მეარქივეს, ტრადიციების შემნახველს ეთმობა. ჩვენ სანათესაოში კოტე ფაღავა იყო ამ ფუნქციების მატარებელი, ყველაფერი იცოდა, ყველაფერი ახსოვდა, ოჯახის ნამდვილი მემატიანე იყო. გავიდა წლები, ისე მოხდა, რომ ეს მოვალეობები მე დამეკისრა. სწორედ ამიტომ, თავს უფლებას ვაძლევ რამდენიმე სიტყვა გითხრათ ბატონ კოტეზე – ოჯახის შიგნიდან, ასე ვთქვათ „die Sicht von innen".

საერთოდ, ადამიანის ქცევაში ბევრი რამ მემკვიდრეობიდან მოდის. მეც ცოტა შორიდან დავიწყებ, კოტე ფაღავას ბებიიდან – ქრისტინე შავდიადან. რამდენიმე შტრიხს აღვნიშნავდი მხოლოდ - იყო ვეფხისტყაოსნის ბრწყინვალე მცოდნე, მთლიანად იცოდა ზეპირად, რაღაც ნაწერებიც ჰქონდა, გარკვეული ფილოლოგიური მიდრეკილების მქონე მანდილოსანი, თანამედროვე ტერმინოლოგიით, სახალხო მკურნალიც იყო. მისი ეს ინტერესები შვილებს და შთამომავლებს გადაეცა, მათი უმრავლესობა ექიმი ან ფილოლოგი გახდა. ადრე დაქვრივდა, ექვსი შვილიდან უფროსი სულ თექვსმეტი წლის ყოფილა. მეუღლეს ანდერძი შეესრულა – ყველაფერი გაყიდა რაც ჰქონდა, მამულები „გაანიავა", მაგრამ საწადელს მიაღწია – შვილებს უმაღლესი განათლება მიაღებინა. ძმები ერთმანეთს ეხმარებოდნენ, გაკვეთილებს აძლევდნენ, სტიპენდიებს ღებულობდნენ და თავი ასე გაჰქონდათ. საკვეთესო ინვესტიცია განახორციელა განათლებაში. ვფიქრობ, ახლაც ასეთი

[1] წიგნიდან "კონსტანტინე ფაღავა 90. საიუბილეო კრებული მიძღვნილი კონსტანტინე ფაღავას 90 წლისთავისადმი", თბილისი, 2012.

ინვესტიციაა საუკეთესო, გინდა ოჯახის და გინდა მთელი ქვეყნის დონეზე. ამ ექვსი ძმიდან უფროსი იყო აკაკი, ფილოლოგი, მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, თეატრის მოღვაწე, უმაღლესი თეატრალური განათლების ფუძემდებელი ჩვენში, პროფესორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე; შემდეგი ერასტი სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, ფიზიკა-მათემატიკის განხრით, პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა – დახვრიტეს; ყარამანი (კოტეს მამა), სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო სამხედრო-სამედიცინო აკადემიის კურსდამთავრებული, ჭიათურაში ბავშვთა ჯანდაცვის დამფუძნებელი; ბეგლარი – იურისტი (მოსკოვის უნივერსიტეტის სკოლაგამოვლილი), ლიტერატორი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე – დახვრიტეს; სევერიანე – იურისტი; ალექსანდრე – აბაშის რაიონში ჯანდაცვის დიდი მოამაგე. მათი მკვიდრი ბიძაშვილი გოგიტა (გიორგი) ფალავა, ფაქტობრივად მეშვიდე ძმა იყო, დამფუძნებელი კრების უმრწემესი წევრი, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის ხელის მომწერი, შემდეგ (1924 წელს) პარიტეტული კომიტეტის თავმდომარე, ესეც დახვრიტეს.

ასეთ გარემოცვაში იზრდებოდა კოტე ფალავა.

ბატონი კოტე შესანიშნავი მოქართულე იყო. გასაკვირი არაფერია, ცხადია, ფილოლოგს კი უნდა სცოდნოდა ენა კარგად, მაგრამ მას ენის განსაკუთრებული შეგრძნება ჰქონდა. მე ამას იმით ეხსნი, რომ ჭიათურაში იზრდებოდა, ზემო იმერეთში, სადაც შესანიშნავი ქართულით მეტყველებენ. ზაფსულობით ის დედულეთში, ქართლში, – იტრიაში, სურამში ჩადიოდა. დედა იქაური ჰყავდა – ელენე ჩხეიძე. არ შემიძლია ჩემი პედიატრიული სპეციალობიდან გამომდინარე არ ვოქვა იმპრინტინგის, ქვეცნობიერებაში ნაბეჭდვის შესახებ. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხოფელში ჩასვლას, ეს პატრიოტული გრძნობის, ფესვებთან მიახლოების წინაპირობაა, მით უფრო თუ ბაეშვებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ვაგზავნით ხოლმე, ძალიან გეჭირდება გაერთმთლიანება, ხოლო

დახვეწილი ქართულის შესასწავლად, ცხადია, ქართლ'ში უნდა გავაგზავნოთ ყმაწვილი.

ეისაც ბატონი კოტე ახხოეს, ძალზე გაუკვირდება იმის გაგება, რომ ბავშვობასა და მოზარდობა'ში იგი ძალზე ცელქი იყო, ყველაფერს იკლებდა თურმე. ცელქობის პერიოდი ჩვიდმეტი წლისას გაუთავდა, დაობლდა, მამა მოუკვდა. ოჯახი თბილისში გადაბარგდა – კოტე, ერთი წლით უფროსი აჩიკო (ირაკლი) მამაჩემი (საოცრად ტკბილი ძმობა ჰქონდათ), უმცროსი და ნელი, დედა და დეიდა, უფრო სწორედ კი მეორე დედა მარუსა, მარიამი. ცხადია, გაუჭირდებოდათ, მამაჩემი ხშირად ამბობდა ხოლმე, რომ იმ წლებში ოჯახის მთავარი მარჩენალი კოტე ყოფილა, სტალინურ სტიპენდიას ღებულობდა და ამით ეცხოვრობდითო.

გავიდა წლები, დაოჯახდა ბატონი კოტე, ითხოვა შესანიშნავი მანდილოსანი, ეკატერინე ღვინიაშვილი, განათლებით ისიც ფილოლოგი გახლდათ. სახიერი ქალი იყო ქალბატონი კატო. მოსუცებულობამდე გაჰყვა განსაკუთრებული ხიბლი. ტრაგიკული ხვედრი ერგო, სულ ახალგაზრდას პირმშო – ოთხი წლის მერაბი დაეღუპა, ბოლომდე ვერ გაშოვიდა ამ ტრაგიკული განცდიდან. შვილიშვილებმა ოდნავ გაუქარეს კაეშანი. მაგრამ, თითქოს ერთსა და იმავე ადგილას ბომბი არ უნდა ეცემოდეს, ვაგლახ, ოჯახ'ში ახალი უბედურება მოსდა. სათაყვანებელი შვილიშვილი გოგა სულ ახალგაზრდა წავიდა ამ ცხოვრებიდან. მსურს ეისარგებლო შემთხვევით და უღრმეხი მადლობა მივაგო კატო ბიცოლას და მის დას, ქალბატონ ნუნუს ხსოვნას იმ უდიდესი ზრუნვისათვის, რაც ბიძაჩემის მიმართ გამოიჩინეს. ბოლო წლებში იგი ხომ ძალზე ავადმყოფობდა და ამ ორმა დიდებულმა ქალბატონმა მაქსიმალურად შეუმსუბუქეს ყოფა. ნათელ'ში ამყოფოს ღმერთმა.

განსაკუთრებული მამა იყო ბატონი კოტე. როდამი მიხთვის ყველაფერი იყო, ამაყობდა და თავმომწონეობდა მისით. ოცდახუთი აპრილი, როდამის დაბადების დღე ხომ ოჯახისთვის მთავარი დღე იყო მთელ წელიწადში. რა დასამალია,

ეკონომიურად არ იყო მთლად გამართული კოტე ფალავას ოჯახი, მაგრამ ამ დღეს დიდი სუფრა უნდა გაშლილიყო. ერთხელ, სულ თექვსმეტი წლის ვიყავი, გარკვეული ვითარების გამო, მეც მერგო პატივი ამ საჩინო სუფრასე მეთამადა. მამაჩემისა და ბიძაჩემის თამადობის მრავალჯერ მოწმემ (სუფრის გაძღოლა ორივემ ბრწყინვალედ იცოდა), თეორიული ცოდნა პრაქტიკაში გამოეიყენე. ახლაც ძნელია დედისერთა შეილის სასწავლებლად უცხოეთში, თუნდაც სხვა ქალაქში გაგზავნა, მაგრამ ბიძაჩემმა გადალახა მეუღლის გარკვეული წინააღმდეგობა თავისი შინაგანი შეხედულებაც და მისცა როდამს შესაძლებლობა უმაღლესი განათლება გერმანიაში მიეღო, ხინებული სპეციალისტი გამხდარიყო. ან როგორი გახარებული იყო მისი დისერტაციის დაცვით, ვგონებ როდამზე მეტადაც, ეს ხომ აკადემიურ ოჯახში ერთგვარად სავალდებულოც იყო – must: უმაღლესი და შემდეგ სამეცნიერო ხარისხი. ცნობილია, მამები ცოტათი ეჭვიანობენ სიძეების მიმართ, მაგრამ კოტე ფალავა ადამიანის კარგი შემფასებელი იყო. სიძეში მან პიროვნული ღირსებები მაშინვე შეიცნო და მისი დიდი მომავალი განჭვრიტა, როგორც ამბობენ ex ungue leonem. კიდევ ერთი ფაქტი მახსენდება, გვესტუმრა ბიძაჩემი ძალზე გახარებული – როდამი მეორე ბავშვზე არის ფეხმძიმედ, ბიჭი ეყოლება და ჩვენ პატარა კოტიკო გვეყოლებაო. მაშინ ნაციფის ექოსკოპია არ ქეთდებოდა, ჯონიმ და როდამმა ისიც არ იცოდნენ ვინ ეყოლებოდათ, მით უფრო რას დაარქმევდნენ, მაგრამ დიდი კოტე უკვე დარწმუნებული იყო და ხარობდა წინასწარ. კიდევ ერთი ნიუანსი, მართლაც, ბიჭი ეყოლათ, ჯონის მშობლებს მიმართეს ახალგაზრდებმა ბატონ გრიგოლსა და ქალბატონ თინას, რას გვირჩევთ, სახელი რა დავარქვათ. პასუხი ცალსახა იყო, რა საფიქრებელი არის, რასაკვირველია კონსტანტინე. თითქოსდა წვრილმანია ყოველივე, მაგრამ მცირეში დიდი მოჩანს – Multum in parvo.

რამდენიმე ხანს მოწაფე გახლდით ბიძაჩემის, ქართულ'ში ემეცადინეობდი მასთან. სულ ახლახანს ოქსფორდში ვიყავი სტაჟირებაზე, იქაური განათლების კოლეჯურ სისტემასაც

გაეცანი. ასლა რომ ვაანალიზებ, რაღაცნაირად იმდაგვარ სწავლებას ახორციელებდა კოტე ფალავა, აზროვნებაში მავარჯიშებდა, ლოგიკაში მწაფავდა, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მესმარებოდა. საერთოდ ყრმის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მაგალითს. ბატონი კოტე მამაჩემისა და კიდევ რამდენიმე პიროვნების მსგავსად ჩემთვის სამაგალითო პიროვნება იყო. მის ოჯახში ხშირად ვხვდებოდით საუნივერსიტეტო ელიტის წარმომადგენლებს, თვალწინ მიდგას აკადემიკოს გიორგი წერეთლის არისტოკრატიული იერი (მომავალი ექიმის დაკვირვებაც თან ახლავს ამას, განუწყვეტლივ ეწეოდა). ვესწრებოდი მათ საუბრებს, გონის ქეიფს, არანებელობით ინდუქციას, ზეგავლენას ახდენდნენ ჩემზე.

მრავალ სამეცნიერო დისციპლინაში მსჯელობისას, დისკუსიის წარმართვისას მთავარ არგუმენტად „ასე სთქვა მასწავლებელმაო“ (არისტოტელეს გულისხმობდნენ) მოჰყავთ. ახლაც ხშირია ხოლმე, რომ დავაში სხვადასხვა პიროვნების, თუნდაც დიდი ავტორიტეტების შეხედულებები მოაქვთ და თავისი აზრის მართებულობას არა ობიექტური არგუმენტებით, არამედ ამ შეხედულებებით ამაგრებენ. ბიძაჩემი ასეთი არ იყო, რაღაც მათემატიკური ლოგიკისეულ წესებზე დაყრდნობით მიჰყავდა მსჯელობა. მაგალითად, არ მოსწონდა ასეთი გამოთქმა „ცხადზე უცხადესია“, სხვა აქსიომატურ გამოთქმებსაც არ სწყალობდა, დამიმტკიცეო, ამბობდა. ლაკონური იყო, ზედმეტსიტყვაობა არ უყვარდა. მახსოვს, ივანე ჯავახიშვილის უდიდესი ღვაწლი რამდენიმე დებულებაში ჩამოაყალიბა. ყველაფერი არ შერჩა მეხსიერებას, მაგრამ ზოგიერთი რამ მახსოვს – უნივერსიტეტის დაფუძნება, ეკონომიკური განვითარების კელეა, წყაროებისადმი კრიტიკული მიდგომა. ერთხელ სტუმრების თანდასწრებით ვიკითხე ენა კლასობრივი ფენომენი არის თუ არა და რას ეკრდნობიან ამა თუ იმ პოზიციაზე მდგომნი. როდესაც ერთ-ერთმა თანამოსაუბრემ მიპასუხა, ამას რა დავა უნდა, სტალინმა ხომ ასე სთქვა, ბიძაჩემმა დიდი ტაქტით საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა, რათა სტუმარს არ სწყენოდა და არგუმენტაციის ხისუსტის გამო არ შერცხვე-

ნილიყო. ზოგჯერ საოცრად საინტერესო საკითხები წამოიჭრებოდა ხოლმე, მაგალითად, ბატონ ჯემშიდ გიუნაშვილს ეხსომება, ალბათ, პატრიოტიზმის ეკონომიკური საფუძვლების შესახებ.

ტიპური საუნივერსიტეტო პროფესორი იყო თავისი ქცევით, ცხოვრების წესით, შეხედულებებით, დამოკიდებულებებით (ყოველთვის დიდი იმედი ჰქონდა ახალგაზრდების), ინტელექტუალიზმით, ზნეობის არბიტრის გარკვეული თვისებებით. რაღაცნაირად ჰერმან ჰესეს „მინის ბურთულაკებით თამაშის“ მთავარ პერსონაჟს ითსებ კნეხტს მაგონებს ახლა.

ცხადია, კონსტანტინე ფალავას სამეცნიერო ღვაწლზე ვერ შევჩერდებით, ირანულ ფილოლოგიაში არ ვარ სათანადოდ გათვითცნობიერებული, მაგრამ მისი შეხედულებანი სპარსული კულტურის სიდიადეზე, მის ზეგავლენაზე ქართულ და საერთოდ, ქართული კულტურის სინკრეტულ ხასიათზე კარგად მახსოვს. კიდევ ერთს დავუმატებდი, მისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების პრობლემატიკას ეხება. განსაკუთრებით დღევანდელობის გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომ ამით მან თავისი წვლილი შვიტანა საქართველოსა და აზერბაიჯანის დაახლოებაში, რაც, ნემი აზრით, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და, საერთოდ, მსოფლიოსი და, პირველ რიგში, დასავლეთის ჩვენით დაინტერესების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

შესანიშნავი ქართველი მწერალი და დიდი პატრიოტი ლევან ხაინდრავა თავის ერთ-ერთ მოთხრობაში გარდაცვლილ მამას მიმართავს – მძიმე ეითარებაში რომ მოვსვედრილვარ ხოლმე, ჰორიზონტზე კვამლის მხგავსი რამ მესახებოდა და გზას ამ ნიშნულით ვირჩევდი. ეს კვამლი იმ კოცონისაა, შენ რომ დაანთე, გაანალე, სწორ გზას რომ არ ავცდენოდეო.

ალბათ, ამის თქმა კოტე ფალავაზედაც შეიძლებოდა...

***

ახლა კი მაგონდება. მაშინ დაილუპა შვიდი კაცი, შვიდი ვარსკვლავი ჩვენი ჯარისა. შედან ჩიჩუა, გაიოზ ფალავა, ბახუ ჩიქვანი, ჩემი ბიძაშვილი პეტრე, ლევან გელოვანი. ბაგრატ კორძაია. ანეპოდისტე ქოზაკიძემ სისხლით დაცლილი ჩემი ცხენი რომ ნახა, თავისი დამითმო; მითხრა: „გასწი, თავს უშველეო; ჩემზე ფიქრი ნუ გაქვთ, ტყეში მივიმალებიო“.[1]

***

მთავარი ლევანი [სამეგრელოს მთავარი, 1804-1840 (1846) წლებში. ყ.ფ.] ამ ორ შესანიშნავ მოღვაწეზე [ალექსი დადიანი და ნიკო დადიანი (დიდი ნიკო) – ყ.ფ.] ამყარებდა თავის სამთავრო საქმეებს და თვით თავის დღეს ნადირობასა, ლხინსა და თავადებთან სტუმრობაში აღამებდა თურმე.

თანაც, თურმე, დიდი მათხოვარი იყო. ე.ი. რომ გეწვეოდა თავის ამალით – ჭამა-სმით ხომ გაგაწყალებდა, შემდეგ წასვლისას რაც მოეწონებოდა, უსათუოდ გთხოვდა ხოლმე: ცხენს, ძვირფას რამე ნივთს, ხატს, საქონელს, ქათამსაც კი, თუ ცოტაოდენი განსხვავებული ჯიშის იყო. სამეგრელოში ყველამ იცოდა ეს ამბავი. მაგრამ ბიჭი იყო და უარს ეტყოდა ვინმე, მხოლოდ ერთმა ფალავამ უხერხა.

ფალავას ბედაური

ამ ფალავას მეტად ძვირფასი ცხენი ჰყავდა. თავს ურწყვნიდა. ძუა-ფაფარს რძეში უბანდაო. მაგრამ ლევანის მოლოდინში ერთ საოცარ ზნეს შეანეია: თაველაში დაბმული, დაღდასმულ მერანს ყოველ დილით ქალალდს მოუტანდა

[1] ნიკო ლორთქიფანიძე. დადიანის ქალი და მათხოვარი. წიგნში: რჩეული თხზულებები, ტ.2, თბილისი, 2012, გვ. 148.

თვალებთან და იმავე დროს სადგისს უჩხელეტდა. ამ გვარად ცხენი ისე გაიწვრთნა, რომ არამც თუ დანახვაზე, ქადალდის გაშრიალებაზედაც კი ყალხზე დგებოდა. ფაღავა კმაყოფილი იყო ცხენით და ულვაშებში ცბიერად იღიმოდა:

მიბრძანდა ლევანიც. ქეიფი, ნადიმი, ნადირობა, მთელი კვირა. დადგა წასვლის დღე.

– ფაღუა [მეგრულად ფაღავას „ფაღუად“ გამოთქვამენ. შ.დ.], ცხენს გიქებენ, უნდა წაგართვა.

– ინებე, დადია, შენი ჭირიმე! ჩემი თავი გენაცვალოს!

გამოიყვანეს ცხენი. შეკაზმეს, შებრძანდა მთავარი. იამა დიდათ მთავარს ცხენის სიკეთე.

ფაღავა კი გულში იცინის, იცის რაც მოხდება. სიხარული ნაადრევია.

და მართლაც...

გზაში აგერ სამი გლეხი წამოჩოქილა. ხელში არ'ხა უჭირავთ.

მთავარი მიუახლოვდა, გლეხებმა გაშალეს არზები, უნდა მიართვან და... აი, ამ დროს:

ცხენი ერთი შეხტა და შეტრიალდა, ყალხზედაც შესდგა და მხედარი, მიუხედავად მისი მთავრობისა, მიწას დაანარცხა.[2]

დაეჟეჟილ მთავარს წყველა ამოხდა ბაგეთაგან და შეჩვენება გაუგზავნა ცბიერ ფაღავას. ძლივს წამომდგარმა ბრძანა: ეს გაუხედნავი ურა უკანვე მიუგდეთ იმ შეჩვენებულსაო...[3]

***

ქუთაისი ერთ დროს უსაქმოდ მოსეირნე თავადაზნაურობის ბუდეს წარმოადგენდა. დაუსრულებელი ქეიფი და ყანწების

---

2 გამოდის რომ პირობითი რეფლექსის აღმოჩენაში აკადემიკოს პავლოვის წინამორბედი თაეადი ფაღავა ყოფილა. ცხადია ეხუმრობ, მაგრამ ფაქტი სახეზეა. ყ.ფ.

3 წიგნიდან – შალვა დადიანი. რაც გამახსენდა. თბილისი, 1959, გვ. 253-254.

ტრიალი, სადამოს „ბულვარში“ სეირნობა და „ნაბახუსევზე“ ლაღობის წყალი, აქა-იქ ჩხუბი და ხანჯლების ტრიალი.

ერთ სადამოს სერგიამ დაინახა ფაღავების შექეიფიანებული მთელი გუნდი და ამხანაგებს საულაპარაკა:

– ფაღავა რო დეიბადება თურმე, დედამისი დაკრავს ხელხ უკანიდან და ეტყვის: ქუთაისმა გარსინოსო!..[4]

[4] *წიგნიდან – სერგია ერისთავის ოხუნჯობანი, თბილისი, 1970, გვ. 26.*

ილია რურუა

რაინდობის მწუხრის შვილები[5]

ეს გარდასული ამბები ბავშვობიდან შემორჩა მეხსიერებას. უფროსებისაგან, მეტწილად დეიდა ელისაბედისაგან მსმენია. ფეხი დადიანების ოჯახში ჰქონდა ადგმული. ცნობილი კოკი დადიანი მისი ძუძემტე გახლდათ. საზიაროდ ჰქონდათ ნაწოვი ჯიშმაგარი ვლეხის ქალის ბარბარე ჯახუას ძუძუ. სენაქელი ნიჩუებისა და ბანძელი ფალავების ზოგიერთი ნაშიერიც დაფრთიანებულა ბებიაჩემის ქალთაში. ამაყობდა და სარობდა გაზრდილებით, თუმც სიბერეში ბევრი მათგანის უბედობასაც მოესწრო ჟამთა სიავის გამო. მახსოვს, თითბრის კრიალა სალტეებითა და ვარსკვლავ-მერუცხებით მოჭედილი ნამზითვი ზანდუკის თავზე როგორ ამოალაგებდა ცნობილი თბილისელი და ქუთათური ფოტოგრაფების ატელიეებში გადაღებულ სურათებს. გაზრდილთა ფერგადასულ სახეებს მოწიწებით ეამბორებოდა, ხატის წინაშე მუხლებს მოიყრიდა და გულმხურვალე ლოცვით ეფერებოდა მათს თვალთაგან მიფარებულ არსებობას სადღაც უცხო ცის ქვეშ თუ სულაც ამ ქვეყნად გარდასულთა საუფლოში.

ნახუნაოს ლამაზ სერზე წარმოდგმული ბაკურია ჭოჭუას სახლი პირნათლად გასცქეროდა მიხ პირდაპირ აღმათულ ღვთის ტაძარს – მარტვილის კათედრალს. ამ სახლში წმინდა სანთელივით ენთო გლეხურ ჭერქვეშ დაფრთიანებულთა ხსოვნა.

ნეტარ ხსენება თქვენ, პირშუქიანო წინაპრებო! სწორედ თქვენნაირი მწვრთნელნი უნერგავდნენ ჩვენს ჯიშსა და მოდგმას, სასახლესა თუ ქოხში დაბადებულ შვილებს, საქართველოს უკვდავების გადამრჩენ რაინდულ სულს.

---

[5] 20 წელი იქნება გასული მას შემდეგ, რაც ბატონმა ილიამ მაჩუქა ეს მოთხრობები და მინიატურები, მანქანაზე დაბეჭდილი, ალბათ სადმე გამოქვეყნებულიც იქნება, მიგნება გამიჭირდა... ყ.ფ.

და სრულიად საქართველოს ერთიანობის საქმეს გადაგებული რაინდის გიორგი შარვაშიძისა და დედა კოკი დადიანისა თამარ დიდად გაელვნიანი ბანოვანი გახლდათ თურმე.

რუსეთ-ოსმალეთის ომი რომ ატყდა, ერთი ახლო ნაცნობი თავადი სწვევია თხოვნით; ხომ მოგეხსენებათ, დედისერთა ვაჟიშვილის პატრონი რომ ყარ... გუშინ გაწვევის ქაღალდი მოუვიდა და უნდა მიშველოთ... უთუოდ ფრონტზე უკრავენ თავს და ოჯახი დამექცევა... თქვენებთან მიშვამდგომლეთ, მაგათი ერთი სიტყვაც იკმარებს, სადმე უხიფათო ადგილას გაამწესონ... იქნებ სულაც აფხაზეთშიო.

შარვაშიძის ამაყ ქალს წარბები შეუკრავს:

– აბა რას ბრძანებთ, თავადო!... საქართველოს მხედრად დაბადებულს ეგეთი საქციელი ვით ეკადრება... არც აფსნის ქვეყანაში მეგულება მე ჩვენი მტრები... მართალი თუ გინდა, - ხელი სამხრეთისაკენ გაუშვერია. – განსაცდელი აქედან გვიახლოვდება და თუ შენს შვილს ვაუკაცის გული კიდევ უცემს, არ ხრუმისაკენ გაგზავნე!..

ვერ მოგახენებთ, საბოლოოდ რა არჩევანი გააკეთა იმ ახალგაზრდა კაცმა, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით – ბათუმის დამხსნელ ქართველ მამულიშვილთა საძმო საფლავში აფსნის ერთი შვილის ძვლებიც რომ განისვენებს.

ბაძღა

თამარ შარვაშიძეს ჭირვეულობაც სჩვეოდა. და როგორც ვველა დიდ, ნებიერ ქალბატონს, შვენოდა კიდეც...

ერთხელ, წვეულებაზე რომ უნდა წასულიყო, გარდერობში კაბა შეურჩევია და მოახლისათვის მიუცია – კარგად დამიფერთხეო. უკანვე რომ მოურთმევიათ, რატომღაც დაუკნესია და ისე, რომ ზედაც არ დაუხედავს, მეორესათვის გადაუ-

წოდებია – ვერ არის კარგად დაფერთხილიო... იმასაც ახირებია... მესამე მოახლეც აუცრემლებია...

სად იყო, სად არა, ამ დროს ბულვარში თავი შემოუყვია ბაძდას, ჩემს მომავალ დეიდა ელისაბედს.

– ო, ეს შენა ხარ? – გახარებია ქალბატონს ყველასთან გაშინაურებული, ბუნებით თამამი გამძღელის ასულის დანახვა. – ისევ შენ, თორემ ამ ფეთხუმებს ხელიდან არაფერი გამოსდით!..

ბაძდაც უმალ დატრიალებულა: კარს უკან, აბირებული მოახლეების თვალწინ, კაბა რამდენჯერმე გადაუფრიალ-გადმოუფრიალებია დამტვერილ იატაკზე და აფხახთა ამპარტავანი ასულისათვის მიურთმევია.

– დმერთმა გაგახაროს და გაგზარდოს! – ეოგო მკერდში ჩაუხუტებია და კაბა შეუთვალიერებლად თავზე გადაუცვია.

ონავარი ფხუკუნ-ფხუკუნით გავარდნილა გარეთ და მოახლეებთან ერთად სიცილ-კისკისით გული უჯერებია...

მოგვიანებით ყველაფერი ეს რომელიღაც მათგანს დაწვრილებით ჩაუკაკლავს ქალბატონისათვის და იმასაც გულიანად უცინია. მას შემდეგ, თურმე, შემთხვევას არ გაუშვებდა ეს ამბავი სტუმრებისათვის არ მოეთხრო და ბოლოს არ დაეყოლებინა:

– ეი პრედსტავლიაეტე, კაკოე მილოე პროიავლენიე დეტსკოი შალოსტი, ია ბი სკაზალა, დაჟე ბოეესტვენოი სპრავედლიეოსტი!

კოკი დადიანი და ფრეილინა

ბანმელი თავადის მექი ფალაეას სტუმართმოყვარულ ოჯახს ფრეილინა სწვევია პეტერბურგიდან. საიმპერატორო კარის რჩეულს თავისი მომხიბვლელობითა და უსადოდ დახვეწილი მანერებით ყველას გული მოუნადირებია... და მაინც... და მაინც... ფარული ბუნებაც გაუმჟღავნებია. არაკით გამობრუჟულა, ყოველად უმიზეზოდ აჭინჭყლებულა. შემდეგ

ისტერიულად ატირებულს, სუფრიდან სერეის ფაიფურის ძვირფასი თეფში აუტაცია და კედლისათვის მიუფშვნია...

ყველანი ფეხზე წამოშლილან. მასპინძელს უცდია სტუმრის დაშოშმინება, მაგრამ ამაოდ. ფრეილინას მაღალი, აღელვებულ-აგზნებული მკერდით საწოლი ოთახის კარი შეუნგრევია, ზღურბლზე წუთით შემობრუნებულა და ვნებამორეული, მბრძანებლური ხმით მოუთხოვია:

– ა ტეპერ ზავიტე კამნე საძოვი კოკი დადიანი, ლუჩეზარნოვო პრინცა მაეი მეჩტი!

როცა ეს ამბავი საქართველოში ყველაზე ახალგაზრდა, მართლაც მომნუსხავი ვაუკაცური სილამაზის თავადაზნაურობის წინამძღოლს მისვლია, პირღიმილიანად უთქვამს:

– ჩანს, ფრეილინა ცუდად იცნობს ქართველ მამაკაცს... ჩვენ ვასაკასავით პირდაღებულნი როდი ვდარაჯობთ ფრთამსუბუქ პეპლებს... ჩვენ მხოლოდ ამაყი სულის ქალები გვიჩქროლებენ სისხლს!

რაინდები

დადიანს მოჩვენებია, რომ საზოგადოებაში ახლად გამოსულ ყარამან ფაღავას სუფრასე თავი უდიერად და გამომწვევად ეჭირა. ლხინის შემდეგ, ეზოში, შელაპარაკება მოსვლიათ. მოთმინებიდან გამოსულ მთავრის ჩამომავალს ხელი გაქცევია და ყარამანისათვის ზურგზე მათრახი გადაუჭერია.

– დადია-ბატონო, მოინის სასჯელი რად მაკადრეთ! – ცალ მუხლზე ჩაჩოქილა ფაღავა. – ბარემ სიკვდილ მოიღეთ, სატევარი იშიშვლეთ და ღირსება დამიბრუნეთ... მერე მეც ვეცდები... ან სირცხვილს ჩამოვირეცხავ, ან კაცურად შეგაკვდებით...

ახლა დადიანს მოუყრია მუხლი, ახალგაზრდის ქოჩორა თავი მკერდზე მიუხუტებია და ხმაშეჩქროლებულად უთქვამს:

– მაპატიე, შვილო!..

ორივე – შემცოდე და დამცრობილიც – ფეხზე რაინდად წამოიმდგარა.

თითქმის ასი წელი იცხოვრა დეიდა ელისაბედმა სოფლის პირველი ქალის სახელითა და ღირსებით.

თითქოს თვით განგებამ ინება ოფლის ღვრის მოყვარული და პატიოსანი, სახე კუშტი, გლეხკაცურად ანგარიშიანი ალექსანდრე ბიძიას ცხოვრების ერთგულ მეგზურად ჰყოლოდა უსაზღვროდ გულკეთილი, ყველა შეჭირვებულის გამკითხავი და შემწე არსება, რომელსაც ბუნებამ იშვიათი ქალური სიდარბაისლე და მოძმიბველლობაც დაანათლა. საკვირველი კიდეე ის იყო, რომ ამ მრავლის მომსწრე ქალს სიბერეშიც არ განელებია ინტერესი და თანადგომისათვის მზადყოფნა და ყოველივე იმისადმი, რაშიც, ჩვეულებრივ ყველაზე უკეთ ვლინდება ცხოვრების აზრი და სილამაზე. ამიტომაც მიაჩნდათ სოფელში პირველი სიყვარულის გრძნობით გულშეტოკებულთ თავიანთ სანდო მესაიდუმლედ და რომელიმე მხარის მშობელთა გაჯიუტების გამტეხად, ყოველი მადლიანი თუ სამართლიანი საქმის ქომაგად.

ამ ადამიანის სულში განუყრელად თანაარსებობდნენ ჯერ კიდეე წინა საუკუნიდან გადმოყოლილი ნათელი მოგონებები და ყოველდღიურობის მკაცრი რეალობანი. ეს შერწყმა იმდენად ღრმა გახლდათ, რომ ზოგჯერ ავიწყებოდა კიდეც დროის უსილავი წყალგამყოფის არსებობა.

ქორონიკონი უფრო აერია სოფელში ტელევიზორის შემოჭრის შემდეგ. თუმცა ამ ჯადოსნური ყუთის საიდუმლოებას ვერაფრით ნაწედა, მისით მონიჭებულ სიხარულს, სამაგიეროდ, ბაყშვური ცნობისმოყვარეობითა და გატაცებით დაეწაფა. უჩვეულო სიამოვნებას გვრიდა ქართულ კაბებსა და ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ მომღერალ-მოცეკვავეთა ეკრანზე გამოჩენა, ძველებური ყოფის ამსახველი ფილმების ნახვა. არცთუ იშვიათად, მსხვილი პლანით დალანდულ სახეს ვინმე ნაცნობსაც ამსგავსებდა. სიცილს რომ დააყრიდნენ, გულმართლად მოეკვეთდა მტკიცებას – ჩემი ალეს სულს გეფიცებით, ნამდვილად ის იყო, გამიღიმა კიდეეაცო... „ქართულის“

შესრულების შემდეგ აუცილებლად იტყოდა: ჩემს ქალიშვილობაში ამახ „ლეკურს“ ეძახოდნენო... რაც მართალია. მართალია, კარგად კი იცეკვეს, მაგრამ მერი შერეაშიძესთან და კოკი დადიანთან მაინც ვერ მოელენ, იმათი ყურებით თვალი ვერ ძღებოდაო... ნეტავ როგორ არიან ახლა ფრანცია-შიო...

ულმერთოდ აფეთებდა „ხვესურული ცეკვა“, გაფიცხებული ბიჭები ხმლებს ერთმანეთის ფარებს რომ დაუშენდნენ და ნაპერწკლებს გააყრევინებდნენ, თავის განუყრელ შინდის ხელჯოხს კარს დაუშენდა და აყვირდებოდა:

– ქსენია!.. პარმენ!.. ქრისტიანები არა ხართ? – მოდით, თორემ დახოცა ხალხმა ერთმანეთი...

ერთსელაც ტელეეკრანიდან მოსაუბრე ახალგაზრდა კაცში თავისი ახლობელი შეუცვნია... მისი ლაპარაკიდან ბევრი ვერაფერი გამოუტანია, მაგრამ სულგაკმენდილი კი უსმენდა თურმე... გამოსახულება რომ გამქრალა, თავისიანებისათვის გაკვირვებული თვალით გადაუხედავს და გულდაწყვეტილად უთქვამს:

– საქციელი შეგირცხვა შენ, პაჭუტია!.. ბიჭო, მთელი საათი რომ რაღაცას მიედ-მოედებოდი, შენც ცსეირწინ მსხდომი ელისაბედისათვის ორი ღერი სიტყვა დაგენანა?.. ვითომ, შენგან მოკითხვის ღირსი არ ვიყავი?! – ხელი ჩაუქნევია და დაუშატებია. – ეჰ, რა უნდა გაგიკვირდეს... გაფუჭდა ახალგაზრდობა!..

ო, როგორ მინდა ამგვარადვე უბოროტო და ღიმილის მომგერელი იყოს სამდურავი, რომლითაც ასე წესმოუშლელად და დაჟინებით მიმართავს ხოლმე ძველი თაობა ახალს, რომელიც მოვალს შემდგომად ჩვენდა!

შობის ღილა

კარგად გათუნებული ჯერ კიდევ არ ეთქმოდა, რომ საშობაო მზადებით არაქათგამოლეული გახუ ცობუს ქოთქოთმა გააღვიძა...

ყური მიუგდო და სმენას არ დაუჯერა – ცოლი ვიღაცას გამეტებით წყევლიდა.

გულმოსულმა, სახეწრაფოდ ნიხა მოიგდო მხრებზე და ფანჯარას ხელი ჰკრა:

– რა მოხდა, ქალო?! რამ დაგცოფა ამ დილით?!

– ჩამოდი აგერ და ნახე, რა ღვთის წყრომაცაა ნეტარ თავს! – ამოსძახა სამზადის წინკარში მდგომმა ცოცხუმ და ხელის გულები კვლავ მუხლებზე დაიშინა. – ღმერთმა შავად გაუთენოს ეხ ქურთსეული შობიხ დილა... გამწენმა არ შეარგოს, პირდაპირ შხამად ამოანთხევინოს!

– ქალო, არ მეტყვი მაინც, რა მოხდა?!

– ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს, თოლიგე!... ნეტი ღორი, წუხელ საშობაოდ რომ გავაპატიოსნეთ, ვიღაცას მოუპარავს!..

– აუ! – აღმოსდა გახეს, შემდეგ კეფა მოიქექა და მშეიდი, აუღელვებელი ხმით წარმოსთქვა. – მერედა არ გრცხვენია, თოლიგე, შობა დილით ასე რომ იწყევლები?! ღმერთმა შეარგოს, ვინც წაიღო... ალბათ საკუთარი არ ჰყავდა იმ უბედურს და სულმა წაძლია...

მაშინვე ძირს ჩავიდა, პრიალა ყამა მოიმარჯვა და ხხვა ღორი წამოაქცია.

წრეგადასული ბავშვური სიყვარულის ზღვართან

სკოლაში წასვლის დრო რომ მოუვიდა, მარიამს შინიდან მოაკითხეს წასაყვანად.

საგანგებოდ შეკერილი თეთრი, მაქმანებიანი კაბა, რბილი, კრიალა ფეხსაცმელები ჩააცვეს.

ტირილით თვალებდასიებულ მარიამს ცოცხუ ხელებს თავზე უსვამდა და ცრემლგარეული ხმით ამშვიდებდა:

– ნუ ტირი, შურიგე!... პატონსკუა ცირას აწი ნეტარ ნეტარ ულ ქოხში რა გინდა... იქ, ქალაქში, დედოფალიეთ იცხოვრებ, ნანა... სულ ყირიმულ პურს მოგართმევენ, ბამბასავით

თეთრსა და ღუნღულას... ნაის დაგალეკინებენ, ღმერთების სასმელს...

ტკუილად კი არ ტირიდა, თურმე, საწყალი მარიამი... გულქვა, მკაცრი ადამიანების ხელ'ში აღმოჩნდა.

აბა რა ცხოერებაა ეს:

ყველას რეკერანსები უკეთია...

ყოველთვის გამოპრანჭულად იარო...

გაუგებარი სიტყვები იხეპირო...

რაღაც შავ, უზარმაზარ ყუთ'ზე თითები უკაკუნო...

წარა-მარა ხელ-პირი იბანო...

დაუხრულებლად გარიგებდნენ – ცხვირხ ხელით ნუ იხოცავ... ენას ნუ აწკლაპუნებო...

დღესაც, შემწვარი ქათმის საყვარელ ნაჭერს რომ წაეტანა სუფრაზე, დედამ ხელიდან გააგდებინა – სირცხვილია ამგვარი სულწასულობაო...

რომელი ერთი!

როცა თავის ოთახ'ში დააწვენდნენ და ლამპას ენას ჩაუწვედნენ, კედლისაკენ გადაბრუნდებოდა, ბალიშს ცრემლებით ალბობდა და თან ნაჩრობდა:

„ნეტავ როდის მოკვდებიან ჩემიანები, რომ ისევ ეჯ'ში წამიყვანონ, ცობ'ე ნანასთან, ჩემს ძიძიშვილებთან...“

იქაური სიზმრებიც ესტუმრებოდა ხოლმე და გაღეიძებულს, ფართოდ გახელილ თვალებში წმინდა კურცხლები უკიაფებდა...

ძიძიშვილები

მუშნი ფაღავას რომელიღაც წეეულებაზე მიქელაძის ასული ჩავარდნია თვალ'ში. გული ქალიშვილსაც აბრიალებია მოხდენილი, დარდიმანდი ჭაბ'უკის სიყვარულით. სარძლოდ შერაცხული მშობლებსაც შეუთვალიერებიათ შორიდან და დიდად მოსწონებიათ. მიქელაძის ქალებს ხომ ჯიშად მოსდგამთ თვალადობა, მომხიბვლელობის ჯადო და ოჯახიშვილობა.

შუამავლობა პატიეგებულ, დარბაისელ ხალხს უკისრია.

მიქელაძეები გასაჭირში ჩავარდნილან: ფალავებს უარს როგორ ეკადრებდით, მაგრამ კარგა ხანია სასიძო გამოგეიჩნდა, პატიოსანი სიტყვაც მიცემული გეაქვს და მალე ჯვარიც უნდა იფსკვნანო...

რა გაეწყობოდა!

იმერულად გულუხვ მასპინძლობასა და პურ-მარილს შაქარმოყრილი ზრდილობიანი უარი მოაყოლეს და უნებურად გაწბილებული შუამავლებიც უკანვე გაიხტუმრეს.

თავმომწონე ფალავა ასეთ სირცხვილს გადაყლაპავდა?!. მით უფრო, საბრფოსაგან შეგულიანებული. განზრახვა რომ არ გახმაურებულიყო, შემწე ცოტა შორიდან იხმო – თავისი აფხაზი ძიძიშვილი. ბელალ ზუხბამაც არ დააყოვნა, ერთი ხანდი ვაუკაცი გამოიყოლა და ოჩამჩირიდან ბანძაში გაჩნდა. ვიდრე მიქელაძის ასულთან გაბმული საიდუმლო ფოსტა სასურველ ამბავს მოიტანდა, მთელი კვირა დროის ტარებახა და ნადირობა-თევზაობაში გაატარეს. ბოლოს ქალმა შემოთვალა: ჩვენები ორი დღით ქუთაისს მიემგზავრებიან. შინ ვრჩები ძიძის, მოახლე გოგოხა და ნახევრად დაერდომილი პაპის ამარა... ისიც იცოდეთ, ორი აეი ქოფაკი რომ მდარაჯობსო...

ფლოქვებზე ნაბადამოკრული ცხენებით მიადგნენ ნაშუადამევს მიქელაძეების კარ-მიდამოს, ისეთი მაღალი მესერით შემოვლებულს, ჩიტიც რომ ვერ გადააფრინდებოდა. აფხაზები პირდაპირ უნაგირებიდან ატოტდნენ ჭიშკრის თავზე გადმობურულ ცაცხვზე... ქოფაკები მაშინვე გამოეენთნენ გააევებული ყეფით, მაგრამ ბრაზი ჭიშკრამდე არ მიჰყეათ – სორცის ხუნით ერთბაშად დარეტიანებულთ, ქეჩო უმალ დაუცხრათ და თავი პირდაპირ მათ ფეხებთან დაშვებულ გოდრებში დურთეს. ხორცის ნაჭრებს ჩაფრენილებმა, ამოხრიალებაც კი ვერ მოასწრეს, რომ ჯაერში აფრიალდნენ და სიბრაზით გაგუდულებს, ხმაც ჩაუწყდათ.

მოახლოებული საფრთხე მაინც იგრძნეს ოდაში. მომტაცებლები რიგორც კი ეზოში ჩახტნენ, მათ თვალწინ ჯერ ერთი ფანჯრის დარაბა მიისურა, შემდეგ მეორეც. ბელალმა

მაინც იმარჯვა: მესამეზე ახტომა მანამდე მოასწრო, ვიდრე დარაბებს ბუდიდან გამოშლიდნენ. ოთახის სიღრმეში გადაეოფილი ხელით ფანჯრის ჩარხის გასაღებად რომ ეჯაჯგურებოდა, მკლავში ვიღაც ჩააფრინდა კბილებით, მაგრამ ტკივილით გამწარებულმა მაინც აიტანა ტანი რაფაზე და ოთახის სიღრმეში გადაეშვა. მარდად ფეხზე წამომხტარმა, თვალი შეასწრო ჭაღარა ქალს, რომელიც წივილ-კივილით გვერდითა კარებში შევარდა. ბელალი მაშინვე ღია ფანჯრისაკენ შებრუნდა, რათა ხელი სხვებისთვის შეეშველებინა, რომ მის ზურგს უკნიდან ვიღაცის შეჭყეტლება გაიგონა:

– ჰაიტ, შე აბრაგო!...

საცვლების ამარა გამოვარდნილი, ხმალმომარჯვებული მიხრწნილი მოხუცის დანახვაზე ბელალი სახტად დარჩა. ჩაელიმა კიდეც, მაგრამ შეატყო, რომ ბერიკაცი აღარ ხუმრობდა – ხმალი გამეტებულად მოუქნია. ვინ იცის რა მოხდებოდა, მარჯვედ გვერდზე რომ არ გავარდნილიყო. თეთრი თმა-წვერის წინაშე მორიდების გრძნობით განიარაღებულ აფხაზს არც სატევარი უშიშელია და არც მოხუცხ შეტოტებია. გაცუდებული მოქნევით მკლავის ღონეგამოცლილობის გამო თუ სულაც სულგრძელობით, ბერიკაცმა ხმალი მარცხენა ხელში გადაიტანა და მის წინ ბავშვივით უმწეოდ გაშეშებულ მომხდურს ყბაში ხილა სტკიცა. აფხაზმა თავი გვერდზე მიღრიცა, მაგრამ ხილა მეორედაც რომ მოხვდა, კბილები გააკრაჭუნა და რაფიდან გადმომხტარ თანმხლებს დაუყვირა:

– კუმფ, სანამ ჭკუაზე ვარ, ეს ბერიკაცი მომაცილე!

დაზაზანაკებული მოხუცისთვის ხმლის წართმევას რა უნდოდა! კუმფმა უმალ მკლავებში მოიქცია, ბუმბულივით აიტაცა და მეზობელ ოთახში ჩაკეტა.

ის, ვის გასატაცებლადაც მოვიდნენ, ბუდუარში არ დახვდათ, ყოველი კუთხე-კუნჭული მიხრიკ-მოხრიკეს, მაგრამ უშედეგოდ.

– ქალბატონო, იქნებ გვითხრათ, სად გადამალეთ თქვენი გაზრდილი? – თავაზიანად მიუბრუნდა მუშნი ძიძას, თმაჭაღარა, სათნო გარეგნობის ქალს.

– ქუთაისში გახლავთ, ბატონო... მშობლებმა იახლეს თან, – მიუგო ძიძამ შეშინებული, გაბზარული ხმით და მაშინვე თავი ჩაღუნა.

– რატომ კადრულობ, ქალბატონო! – გამკილავად ეთხრა ფალავამ. – ამ აშლილ საწოლში რა, თქვენ იწექით თუ მოახლე?

ძიძამ არაფერი უპასუხა, ხელები სახეზე აიფარა და ატირდა.

– იქნებ თქვენ მაინც; ინებოთ სიმართლის თქმა, ქალიშვილო! – ახლა მოახლეს მიუბრუნდა მუშნი. – თქვენც; არაფერი იცით?

- ა-ა-არა, ბატონო! – ენის ბორძიკით ამოიკნავლა გოგომ, ერთმანეთში ჩაწნული თითების მტვრევა-მტვრევით, მაგრამ ახალგაზრდა კაცის გამომცდელ მზერას მაინც; ვერ გაუძლო, როცა დარწმუნდა ძიძა არ მიეურებსო, მარჯვენა ოდნავ შემართა და ნახევრად გაშლილი სახვევნებელი თითი საწოლის კუთხისაკენ გააშვირა.

მამაკაცები უმალ შებრუნდნენ და ერთმანეთს გაოცებული თვალებით გადახედეს – აბა ამას როგორ ვერ მიეხედითო!

მუშნი ფეადავა, თითქოს ვიღაცას ეპარებოდა, ნელი, ფრთხილი ნაბიჯებით მიადგა კედელზე დახვეულად აყუდებულ ირანულ ხალიჩას, ჯერ ახედ-ჩახედა, შემდეგ ხელი აუსვეჩაუსვა, მოხრილი შუათითი ზედ რამდენჯერმე მიაკაკუნა და ერთბაშად დარბილებული, ალერსიანი სმით იკითხა:

– თქვენ აქა ბრძანდებით, მშვენიერო ქალბატონო?! სუნთქავთ?!

ალბათ პასუხიც მიწედა შეყვარებული ვაჟკაცის სმენას, რაკი სიხარულით აღმოხდა:

– მომეშველეთ!...

პირველი კუმფი გატოკდა, მაგრამ ბელალმა თითი მკერდზე მიაბჯინა და თვალით კარებზე ანიშნა...

სიმძიმით წელში გადრეკილმა მუშნიმ ძვირფასი ტვირთი ოთახის შუაგულამდე მიიტანა, იატაკზე ფრთხილად დაუშვა და ნოხის კიდეზე ჩაჩოქილმა ნელ-ნელა დაიწყო მისი გაშლა.

ბოლოში გასვლას ცოტა-და აკლდა, რომ ჯერ გიშერიეთ შაეი, დაშლილი ნაწნავის ბოლო გამოჩნდა, შემდეგ კი ვარდის სახით მოსითული სალუქი ღამის პერანგის კალთა...

საძინებელი ოთახი თითქოს უფრო განათდა. ხალიჩის ტყვეობიდან დახსნილ ასულს ჯერიდან ჩამოშვებული მწვანე ხუფიანი დიდი ლამპის შუქსე თვალის ერთბაშად გახელა გაუჭირდა. შავ, გრძელ წამწამებს ოდნავ თუ შეაფათქუნებდა ზოგჯერ. ნახად ამობურცული მკერდი მღელვარედ აუდ-ჩაუდიოდა, სულს ჯერაც თავისუფლად ვერ ითქვამდა, ამიტომ წითლად შეღებილ ტუჩებს წყლიდან ამოგდებული ოქროს თევზივით აღებდა...

სრულ გონზე მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა საქმრომ ფრთხილად ხელში აიყვანა და მკლავებზე გადაიწვინა. თვალები რომ კარგად გაახილინა, შემკრთალმა მთელი ხმით შეიკივლა და ნერვულად აკოკებული ხელი მუხლებისაკენ წაიღო, ღამის პერანგის კალთის მობოჭვა სცადა...

უცხო მამაკაცების დანახვამ თუ შეაკრთო, გაიფიქრა მუშნიმ, მაგრამ როცა მოიხედა, კარებში მხოლოდ ბელალის ზურგს ჰკიდა თვალი.

„ო, ეს ზრდილი აფხაზები!“ – ჩაეცინა გულში და მკლავებში აფართხალებული სატრფო ღონივრად მკერდში ჩაიკრა.

გაჯიბრება

მარიამის ღლეობაზე ცობუ და გახუ ძღვენ-მოსაკითხით დატვირთულ ურემს ჭრიალ-ჭრიალით ფაღავების ჭიშკარს რომ მიაყენებდნენ, ოჯახის დიასახლისის პირველი განკარგულება ეს იყო:

– ცობუ მოვიდა!... არიქა, წამლები გადამალეთ!...

უცნაური რამ დასჩემდა სიბერეში შესულ ძიძას უკანასკნელ წლებში – ოღონდ კი სადმე წამალი მოეხ-ელთებინა და უმალ პირში გადაეძახებდა... განსაკუთრებით აბებს ეშტერებოდა – წამალია, საწამლავი ხომ არა... რომე-

ლიმე სატკივარს მაინც მოუხდებაო... ერთხელ იმდენი მოსვლია, ძლივს გაადაარსინეს...

მარიამის გამდელთ ყოველთვის გულდიად და პატივით ღებულობდნენ ფალავების ოჯახში. სუფრაზე რაოდენ საპატიო სტუმრებიც არ უნდა მსხდარიყვნენ, კოწი გამოცდილ ხასმიხს ზე ასწევდა და ხმამაღლა იტყოდა – ალავერდს მორდუსთან ვარო... გახუსაც ეამაყებოდა ამგვარი პატიები... იფერებდა...

ერთხელ მაინც გააბრიყვეს მუდამ სვირის მაძიებელმა სუფრის დარდიმანდებმა – მიდი, ნუ გერიდება, ღვინის სმაში ყველა თანასწორიაო...

შაკე კარგად შეზარხოშებული გახუ, მართლაც ახირებია მასპინძელს – ძალიან კი გინდათ, ფალავა-პატონ, მაგრამ ვერ დამათრობთ...

კოწის ნადიმებია და არაფერი უთქვამს. გამდელი უფრო გათამამებულა – შენი შუშის ჭიქები რას მიზამს, თუ დალევაა, დალევა იყოსო...

მაშინ მასპინძელს კოდის მოტანა უბრძანებია.. ორი კვარტი და სამი ჩარექა ჩასულა შიგ...

კოწის დაულევია და კვლავ გახუსთან გადასულა ალავერდს.

გამდელს კოდი ნახევარზე კი დაუყვანია, მაგრამ უცებ შებარბაცებულა, ხურგით კედელს ახუტებია და ასლოკინებულა:

– შეეცდი, ფალავა-პატონი!... მე ბოდიში, ფალავა-პატონ!

კაცია და ხახიათი

რომელიღაც ხელმოკლე, გაღატაკების პირამდე მისულ თავადიშვილს, დარდიან ფიქრებში ჩაძირულს, გულის სიღრმეში გასენილი ნატვრა ხმამაღლა წამოცდენია:

– მილიონის პატრონი გამხადა და მერე მე ვიცი და ჩემმა მარიფათმა.

– მერედა მე რას მიყიდი, ჩემო თვალისი ნინო? – ერთბაშად დაუტკბა თურმე, ცოლი.

მეოცნებე თავადი ცოტა ხნით ჩაფიქრებულა და გულმართლად გამოტყდომია:

– არც არაფერს!... ჩავალ ქუთეისში, დავკეტავ „ორიანტს“, გავაშიშვლებ ოცდაათ კასპას და ვიქეიფებ გემოზე... აპა-ა-ა!...

იმერეთისა და გურია-სამეგრელოს თავადაზნაურობისათვის ქუთაისი მაცდური ილუზიების, იმედის, ბედნიერებისა და სისარულის ქალაქი იყო. სადმე, მიყრუებულ სოფელში, რომელიმე ჯიბეგაფხეკილ თავადს ან აზნაურს ეაჟიშვილი რომ შეეძინებოდა, გახარებული მამა-ბატონი ჩვილს ერთ რბილ ადგილზე ხელისგულს წაუთათუნებდა და ასე დალოცავდა:

– გაიზარდე, ბაბაია, დაეაჭკაცდი... მერე კი წადი და გარჩინოს ქუთეისმა!

ანთებული სული

ჩვეულებისამებრ ‘ხაფხულობით მოგვეულინებოდა ხოლმე. წლის ჩაუგდებლად, როგორც საკუთარ ბუდეს დანატრებული გადამფრენი ფრინველი; თანაც უცხო იერიხა, არავის რომ არ ჰგავდა.

ღობეგადაჯეჯგილ, სარეველამორეული ნასახლარის ეურეში, ბებერ ცაცხვებს შორის ჩაეუეულ, სანახევროდ ყავარგადახდილ სახლში, დაფუტუროებული ბოკონებით მიწას რომ ჩაზრდოდა, ორ-სამჯერ ფიჩხის ულონო ცვეცხლს დაანთებდა ბუხრის გასაღვიძებლად, შემდეგ კი აიყოლიებდა ბანძაში ყოველთვის გამოულევ�el სცენისმოყვარეებს, მომღერალ-მოცეკვავეებს და სოფელ-სოფელ დაუყვებოდა.

ოდესღაც სახელოვანი და ძლიერი გვარის ნაშიერი უცხოდ სულაც არ გრძნობდა თავს მამა-პაპათა ნაყუძარში, ახლა ემადლოვილთა მოდგმას რომ დაეხაკუორებინა გახუეფლად. არც მედიდურობისა ეტყობოდა რაიმე. ამიტომ არავის უკვირდა, ნაცნობ სოფლელ დედაკაცებსაც ნაჯაფ ხელებზე რომ ეამბორებოდა ხოლმე. ხალხი შეუმცდარი ალღოთი გრძნობდა, „პატონსკუა“ სუფთა გულის კაცი რომ იყო. ყველა ესიყვარ-

ულებოდა, მკერდზე იხუტებდა, შინ იწვევდა. საერთო მზრუნ-ველობით ბავშვივით განებივრებული ტატოც თვალსა და ხელშუა ფეერ-ხორცით ივსებოდა, წელისფერ თვალებში ლა-ჟვარდის კიაფი უნდებოდა, მოულოდნელად მოძალებული ყრუ ხველების დახაოკებლად წარა-მარა პირთან აღარ მიჰქონდა მოუშორებლად მუჭში ჩაბღუჯული ცხვირსახოცი.

ტატოს მოხეტიალე დასი, ოფიციალურად, თუმცა „აგიტ-მხატვრულ ბრიგადად“ იწოდებოდა, მის რეპერტუარში ვერ ნახავდით იმ დროს ფართოდ მოარულ მდარე ეოდეეილებსა და სულგამოცლილ სიმღერებს. რატომღაც მგონია, ტატო არავის უთანხმებდა რეპერტუარს და არც იმას გამოერიცხავ, რომ საერთოდ არავინ თსოვდა ამას. ალბათ ენდობოდნენ, სჯეროდათ, რომ რისიმე „გაპარების“ არ იკადრებდა. ვინმეს რომ სდომებოდა, შარს თუნდაც იმის გამო მოსდებდნენ, სოფლის გასაცოდაეებულ კლუბებსა და „წითელ კუთხეებს“ ხაერთოდ რომ არ ეკარებოდა. იქნებ თავის დასაზღვევად ამბობდა ხოლმე ზოგჯერ, ყველას გასაგონად ადამიანის სული კედლებში გამომწყდეეას ვერ ჰგუობს, ლადი ბუნების შვილი გახლავთ, ამიტომ გაუმარჯოს თავისუფალ, გაშლილ სიერცეებსო! ტატოს სპექტაკლებიც მეგრეულ კოინდრიან ეზოებში იმართებოდა ყოველთვის, სოფელში ყველაზე სრული ოდის აივანზე, ბადრი მთვარით გაჩახჩახებული, იდუმალებით სავსე კოლხური დამის წიაღში...

ჩვენი სოფლის ჯერი რომ მოადწევდა, ტატო ჯერ ასაკით უფროს დეიდაჩემს ეწეეოდა, შემდეგ კი ჩვენს ჭიშკარს შემოაღებდა.

– მშვიდობა თქვენდა, გამზრდელის ასულო და ქალ-ბატონო, ფრიად დირსეულო! – ჩვეული არტისტული შე-ფრინვით შორიდანვე შესძახებდა იგი ეზოში მის შეს-აგებებლად გამოსულ დეიდაჩემს და მკლაკებგაშლილად გამ-ოჩქარდებოდა. ცალი მუხლით ჩაჩოქილი, მიწამდე თავ-დახრილი, მისი კაბის კალთას მორიდებით შეეხებოდა ტუჩებით, შემდეგ მკვირცხლად წამოდგებოდა და ხელზე ეამ-

ბორებოდა. გახარებული დედა მკერდში ჩაიხუტებდა ბარბარე ბებიას ძუძუნაწოვს, ფერმკრთალ სახეს ნაზად დაუკოცნიდა.

ოდაში ამოსული ტატო პირდაპირ წიგნების თაროს მიაშურებდა. მათი ხხრეკითა და ფურცელით გართულს, მორიდებით ვათვალიერებდი გვერდიდან. მოგრძო, ნატიფნაკვთებიანი სახითა და მხრებზე დაყრილი სწორი თმით ძალიან მაგონებდა ბარათაშვილს, მამაჩემის საწერ მაგიდას კედლიდან რომ გადმოსცქეროდა; ოღონდ მისებრ თავადურ ძვირფას ქულაჯაში კი არ იყო გამოწყობილი, არამედ შავი გაცრეცილი კოსტუმი ეცვა, თეთრად საყელოამობიბინებული პერანგით. პირველად მაშინ გავიგე, სურათზე გამოხატული კაცი ვიღაც თავადი ციციშვილი რომ ყოფილა და რომ დიდი პოეტის ნამდვილი სურათი საერთოდ არ შემოგვრჩენია. რუსთაველისა და ბარათაშვილის მსგავსი პოეტებისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მათი ხორციელი და სულიერი სახე ერთიანად მათსავე ქმნილებებშია გაძრულიო, თქვა ტატომ. შემდეგ თვალები მაღლა აღაპყრო და ჟრუანტელის მომგვრელი ხმით დაიწყო:

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“...

წარმოდგენის სამზადისში მთელი სოფელი ერთვებოდა: ვეზიდებოდით ხშირი ფოთლებით დაფარულ ღონიერ ტოტებს, მოგვიანებით ტანახოვან ხეებად რომ გვეჩვენებოდნენ სცენაზე; ზანდუკებს სტოვებდნენ მამა-პაპათა ნაქონი ნაბდები და ჩოხა-ახალუხები, ქალის კოხტა, ზონრის შესაკრავი კავებით ჩაწიკწიკებული მაღალყელიანი ფეხსაცმელები თუ გაცვეთილი გლეხური წუდა-მესტები; კედლავ ამოლაპლაპდებოდნენ სამზეოზე კაჟის თოფები და დამბაჩები, უსახელო ოსტატთა ხელით მოსვეადებული ხმლები და სატევრები... ყოველი ოჯახის თაყმოსაწონებელი კოხტა, ჭილგადაკრული ვენური სკამები, რომელთაც სხვა დროს პატრონები შეუყოყმანებლად მხოლოდ ცოდან სასწაულებრივად ჩამოსულ მამაღმერთს თუ დაუდგამდნენ, ახლა, ბავშვების თავებს ზემოთ აღმართულნი, მსუბუქად მისცურაოდნენ ჩვენი ეზო-კარისკენ...

კარგა შეღამებულზე მთელი სოფელი დაიძრებოდა იონა-ბაბუას ოდისაკენ. იმ დროს სოფელში სამად-სამი ოდა იდგა: ერთი ოდესღაც მამასახლისად ნამყოფ პავლეს ეკუთვნოდა, მეორე – გიორგი მლვდელს, მესამე კი ბაბუანუმს იონას. ნეკნი რვათვალიანი ოდა უფრო გამორჩეული გახლდათ: მის ასაშენებლად ბაბუანუმმა მთელი ჯანი და ღონე მანთაშვილის ქარსანაში ნატოვა. არც ბათუმიდან ჩამოყვანილი ხოფელი ლაზი სუროებისათვის დაუშურია ფული, რადგან ყველაფერი ლამაზად გასრულებული უყვარდა. ისიც უნდა შეგახსენოთ, მთელი სოფლის გასაკვირად, ყველაზე უფროსი და ყველაზე უმცროსი ვაჟიშვილები საზიარო ეზოში, ერთ ჭერქვეშ რომ დაასახლა და სიკვდილის წინ ანდერძად განუწესა – იცხოვრეთ ერთსულ, ერთგულ, განუყოფლად, თანხმობითა და სიამ-ტკბილობითო... ოდამ, რა თქმა უნდა, იონას ნაშიერები შემდეგში ვეღარ დაიტია, მაგრამ ის საზიარო ეზო კვლავ ღობეგაუყოფლად დარჩა, შიგ ახლა ორი ოდა დგას და ადრინდელი ცხოვრების წესი მკვიდრობს შეუმღვრეველად...

იმ დამით მთელი სოფელიც ერთიან, შეხმატკბილებულ ოჯახს ემსგავსებოდა. გული ხარობდა ამდენი ხალხის ერთად ხილვით, რაღაცნაირი რიდით აღსავსე ურთიერთდამოკიდებულებით, რომელსაც ერთბაშად გაცლოდა სოფლური წვრილმანი ქიშპი და უნდობლობა. შინიდან წამოძღვანებულ სკამებსა და ტაბურეტებზე, ძელსკამებსა და ჯორკოებზე თავისთავად, უფროს-უმცროსობის, დამსახურებული პატივის მიზღვევით, ყველა თავის კუთვნილ ადგილს იკავებდა... გადაუდებელი ოჯახური საქმეების მილაგების შემდეგ, სულ ბოლოს, გეიერთდებოდნენ უკეთეს კაბებში გამოწყობილი, თავსაფარწაკრული დედები. ჩამოსხდებოდნენ სოფლის უხუცესთა გვერდით მათთვის მიჩენილ სკამებზე, კალთაში მოკალათებულ პატარებს მკერდზე შემოაჯდობდნენ მოულლელ ხელებს, ყველაც რომ ასდიოდათ ახლად ამოღებული ყველის დამათრობელი სურნელება და სცენას მორიდებით მიანერდებოდნენ...

თითქოს ამას ელოდნენო ნავთის ლამპებითა და ჭრაქებით განათებულ რიკულებიან აივანზე ერთბაშად წყდებოდა წინ და უკან სირბილი, ფაცა-ფუცი და ტატოც გამოსნდებოდა, შევე თავისი გმირის ტანსაცმელში:

– მამულიშვილნო!... ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო, ემაწვილებო! – დაიწყებდა იგი არც თუ ისე ძლიერი, მაგრამ მკაფიო ხმით ტრადიციულ მისალმებასა და შემდეგ სათითაოდ წარმოგვიდგენდა ნახშირით სახეებმოთხერილ მონაწილეებს, რომლებისთვისაც ტაშს არ ვიშურებდით...

– ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი გასულა იმ სცენისმოყვარული წარმოდგენიდან, რომელშიც ტატო ვეხილე უკანასკნელად, მაგრამ მაშინდელი შთაბეჭდილება დღემდე არ გამნელებია. იგი ჩემს მეხსიერებას შემორჩა სევდიანი გულის შემძერელი ფინალით...

ის იყო, თავზარდაცემულმა ხევსბერმა ოინისე ჰაერში აიტაცა და ცალ მკლავში მომწყვდეული შვილის თავზე სატ-ევარი შემართა, რომ ტატოს მოულოდნელად ფილტვების დამ-ფხრეწი ხველება წასკდა. თევზივით აფართხალებულმა, ცხვირსახოცის პირთან მიტანა კი მოახერხა. მაგრამ ფეხზე დადგომა ვერ შესძლო, ვერც პარტნიორმა შეიმაგრა და იატაკზე დაცურდა. დაბნეული გოჩა ერთხანს უაზროდ დასცქეროდა, წუთით წამომჯდარ, ხაცოდავად მოკუნტულ ადამიანს, რომელსაც ხველებისაგან ზურგი ხაბერეულიეთ აუდ-ჩაუდიოდა და, ბოლოს, ხაფი ხმით დაიყვირა:

– ექიმი!... ექიმს დაუძახეთ!...

ხალხი ერთბაშად წამოიშალა, ატეხდა ალიაქოთი და წიე-ილ-კიეილი.

აივანზე ავარდნილმა სოფლიხ ექიმმა ტატოს მკლავი მოჰხვია, მოწყვეტით აიტაცა და დარბაზის კარი ფეხის კვრით შეაღო... ჩვენ მხოლოდ ხისხლით მოთხერილ გულისპირსა და ულოსნოდ ჩამოვარდნილ ხელებს ვკიდეთ თვალი წამით...

ქალები ატირდნენ, ბაქშეები აზლრიალდნენ...

მთელი კვირა იწვა ტატო ჩვენს ოდაში.

მთელი კვირა მოედინებოდა ხოფელი მის მოსანახულებლად... რა არ მოჰქონდათ ავადმყოფისათვის, მაგრამ ცნობილი ბანძელი ექიმის გრიშა კაკელიას რჩევით, ტატოს სასთუმალს რომ არ მოსცილებია, წამლების, თხის რძისა და თოხლო კვერცხის მეტს არაფერს აკარებდნენ... ბოლოს, როგორც იქნა, გამოიხედა, სიცხე ოცდაჩვიდმეტსა და ორ-სამ ხაზზე დაუდგა...

კიდევ ერთი კვირის შემდეგ წამოდგომა მოინდომა, მაგრამ ჩვენებმა შეიცხადეს – ხომ სვდავ, სიცხე ნორმამდე არ ჩამოდის, როგორ შეიძლებაო.

– ეს ჩემი სიცხეა, გადიას ასულნო, – თქვა ტატომ და შემდეგ ნაღვლიანი ღიმილით დასძინა. – თქმულა, მხოლოდ ის ანათებს, რაც იწვისო... ეტყობა, სულიც ასეა, იწვის, ანათებს და გვათბობს კიდეც. ადამიანს გააჩნია!

ამ სიტყვების შეფარულ აზრს მხოლოდ მოგვიანებით ჩაეწვდი.

ზვარაკად გამეტებულნი

კოწი ფადაეას ასული მარიამი ერთი ეკალი გლეხკაცის ოჯახში ჰყავდათ გაძიძავებული. თუმცა თავშემოელებული მზრუნველობით, მაგრამ ხოფლური ცხოვრების წესზე ზრდიდნენ და ერთხელაც თავი არ წამოტკივებია... ნებიერმა წითელბატონებმა მაინც მიაგნეს პატარა მარიამის სასთუმალს. დაფეთებული გამდელები დღე და ღამეს ასწორებდნენ: გოგონას საწოლში ვარდის ფურცლებს უფენდნენ, სანთლით ხელში გარს უვლიდნენ, ლიტანიობდნენ, ჩონგურს აღუდუნებდნენ და ტკბილი სიმღერებით გულს ულბობდნენ შიშიხმიმგვრელი ძალმოსილებით აღსავსე, წითელმანტია მოსხმულ უხილავ ბატონებს...

მარიამის გამოკეთება რომ არ იქნა, ცობუმ და გახუმ თავიანთ ღეიძლ ქალ-ვაჟს თავზე მინდერის ყვავილებისაგან შეკრული გვირგვინები დაადგეს, ხელში გრძელი თაფლის ხანთლები დააჭერინეს და ავადმყოფის საწოლს გულშხურვალე ლოცვა-ვედრებით შემოატარეს: კეთილი წითელ-

ბატონებო, ოღონდ კი ეს პატარა ანგელოზი გადაგვერჩინე და სანაცვლოდ ჩვენი შვილების სიცოცხლეს შემოგავლებთ თავზეო...

მაინც სადან ასეთი შემაძრწუნებელი მონური მზადყოფნა საკუთარი სისხლ-ხორცის ზვარაკად გაღებისა?!

თითქოს უხსოვარი დროის წკვარამიდან ამოდის ცისფერი კვამლი წარმართულ ბომონზე დანთებული ცეცხლისა და მის ლიცლიცში ხედავ სისხლიანი ღმერთის ფეხებთან მოფართხალე ზვარაკს, მსხვერპლად შეწირულს...

უფრო გინდა დაიჯერო, რომ საქმე გვაქვს მრისხანე ღმერთების გულის მოსაგებად გათამაშებულ, მივიწყების პირამდე მისულ მისტერიასთან, რომლის ქურუმთა შიშისმოგვრელი ნიღბების ქვეშ ნორჩების სიცოცხლის მფარველი კეთილი ღმერთი იღიმება...

ალბათ ასეა!

მადლობა წითელ ბატონებს ზვარაკის მიღებაზე უარის თქმისათვის!

იავ-ნანა, ვარდიე ნანა ეარდისფერ ღაწვიან წითელ ბატონებს!

კულაშელი ბულბული დანიელა

მოთხრობა

ქუთაისის გუბერნიის ებრაულ თემთა სულიერ მამებს დანიელამ უჩვეულო საყიქრალ-სადარდებელი გაუჩინა. აღებ-მიცემობით, ცხოვრების მამა-პაპური წესისადმი ერთგულებით ცნობილი ოჯახის შვილს ნამდვილად მხარი ექცა. არა, ამ ლაზათიან, წარმოსადეგი გარეგნობის ახალგაზრდა კაცს არც მოსეს სჯული დაუგდია, არც ხინაგოგის გზა დაეწყვნია და არც თალმუდის შეგონებანი. უბრალოდ, იშვიათადი ლამაზი და ძლიერი ხმის პატრონი სხვათა ქკუაზე გადაეყიდა, ოჯახზე ლამის გული აიყარა, ვაჭრული მოდგმის კაცისათვის მიუბრეველი მკრეხელობა – ფულის დაუდეერად ფანტვა დასჩემდა. დღეს ქუთაისელი ერისთაველებისა და მიქელაძეების სუფრაზე რომ გაჩკიოდა, ხვალ ზუგდიდში ამოყოფდა თავს

დადიანებთან, ზეგ – სენაკელ ჩიჩუებთან, მას ზეგ – ბანძელ ფალავებთან ან ანჯაფარიძეებთან, ხან კიდეე სულაც არავინ უწყოდა მისი ასავალ-დასავალი.

ცხოვრებით განებიერებული ადამიანების წრეში დანიელა, პირველ ხანებში, თავს რამდენადმე შებოჭილად გრძნობდა, მაგრამ ძალე თვალსა და ხელს შუა შეიცვალა: ნამდვილი დარდიმანდი გახდა, მიხერა-მოხერით, სიტყვა-პასუხითა და ჩაცმულობით ხომ თავადიშვილებშიც ვერ გამოარჩევდით. ოღონდ ეს იყო, ტანზე კოხტად მომდგარ ჩოხაზე ხმლისა და სატყვრის შემორტყმას ერიდებოდა, ემანდ რაიმე შარს არ გდაეყარაო. არადა მართალი იყო. რამდენი ტკბილი პუროობა და ლხინი ახსოვს, სულ პატარა წალაპარაკების გამო მიწევ-მოწევითა და ხანჯლების ტრიალით რომ დამთავრებულა.

მოსეს სჯულის გუშაგნი ყერაფრით შეგუებოდნენ იმას, რომ მათმა საიმედო დანიელამ არშინი ყანწებზე გაცვალა; კალათებგადაკიდებული ჯაგლაგი – ურა ცხენზე; ქათამ-ინდაურებსა და კვერცხებზე გროშების მოსაგებად ეზო-ეზო ხეტიალი თავქეიფა ხალხთან ჰარი-ჰარალესა და დროის ტარებაზე. ისიც კი ეჩვენებოდათ – ებრაულ ნაღვლიან სიმ-ღერებზე უკეთ ქართული სუფრულები და სატრფიალოები ეხ-ერხებაო. ხმა კი მართლაც ღვთის ბოძებული ჰქონდა დანი-ელას. მომღერალთა შორის მოშურნეებიც კი გაუჩნდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. მხოლოდ ბონდო მიქელაძე და კაკურია ფალავა არ უდებდნენ ტოლს. სამივე ერთად რომ მოიღერებდა ყელს სუფრაზე, იმათ მოსმენას არაფერი სჯობ-და. სხვები, უბრალოდ, პირში წყალს იგუბებდნენ ან საერთო ბანის მიცემახ სჯერდებოდნენ. ალიარება ებრაელ კაცს სახ-უმარო სიმღერითაც დაუდასტურეს:

– დანიელა ურია
ჩვენში რამ გაურია
გოჭის ხორცსაც ‘მეჩვეეია,
ინდაურის ჭგონია...

ამის შემდეგ თემთა პატრიარქებს რაღა დარჩენოდათ – საბოლოოდ საიქნიეს ხელი. არადა, კაცმა რომ თქვას, ყელამდე

მადლობელნი უნდა ყოფილიყვნენ დანიელასი. მისი განიერი, მაღალი მკერდიდან ამოხეთქილი სმა იმას ნიშნავდა, რომ მრავალტანჯულ ისრაელის შეილთა არსებაში სულაც არ ყოფილა დაშრეტილი ყოფის ტკბობა-სიხარულით აღძრული განცდა. დანიელას სიმღერა იმ მიწისადმი მადლიერების გამოვლინებადაც უნდა მიეღოთ, რომელმაც უსსოვარი დროიდან შეიფარა და შეინარდომა უსამართლოდ დევნილი და აკლებული ერის შეილები... ასე იყო თუ ისე, დანიელას სიმღერა სამადლობლად აღეველინებოდა საქართველოს მთა-ველებს, საკმეველის მსუბუქი, მოცისფრო ფთილებივით დნებოდა მის ლაჟვარდებში...

მოხდა ისე, რომ დანიელას ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმაც მოუსმინა ერთხელ. ეს შემთხვევა ცნობილ ბარამ ჩიჩუას გახმაურებულ ამბავთან აღმოჩნდა დაკავშირებული, ამიტომ ჩვენც ცოტა შორიდან უნდა დავიწყოთ. ეს სენაკელი კაცი მწიგნობრულ ოჯახებში იმ დროს მეტად პოპულარული „ბარამიანას“ ფურცლებიდან გადმოსულ გმირს ჰგავდა თურმე. გამორჩეულ შესახედაობასთან ერთად არც გულკეთილობა ჰკლებია, არც რბილი, დამყოლი ხასიათი და არც შეუვალი სიამაყე. ამის გამო სალთადაც დარჩენილიყო. ქუთაისში, რომელიღაც ოჯახში ნაადრევად დაქორწინებული გურიელის უმშვენიერესი ასული გაუცვნია და ისე მოხიბლულა, იმ დამესვე მოუტაცნია. კეკელა ქალი, რომელსაც სენაკელი ვაჟკაცი თვალების ჟუჟუნით ცვილივით რომ დაუდვნია სუფრაზე, ახლა სალ კლდედ ქცეულა – ცოლად ვერ გამოგვეები, ჩემი გული უკვე სხვას ეკუთვნისო. გაწბილებულ ბარამს ქალი თითდაუკარებლად უკანვე გაუბრუნებია და ღმერთისათვის აღთქმა მიუცია, რომ ცოლს არასოდეს შეირთავდა. მართლაც მთელი ცხოვრება მარტოობაში გააატარა.

და ასეთ კაცს კიდევ ერთხელ შებედეს შეურაცხყოფა.

დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ძეს ანდრიას, თაეისი ყოფილი სამფლობელოს მოსანახულებლად, ვიდაც მეგობარი ოფიცერი გამოეგზავნა პეტერბურგიდან. იმ დღეს

სტუმარს კოწი ფაღავას ოჯახი მასპინძლობდა. ზომაზე მეტად შეზარხოშებულ ძველ აშიკს თვალში მასპინძლის ნიორი ასული მოსვლია და ჩაცოცებია - კნიაზნა, გინდა თუ არა, უნდა მიმდერიო. მშვენიერი მარიამი სუფრას უცხო სტუმრის პატივსაცემად დასტრიალებდა, თორემ მოქეიფე მამაკაცების წრეში როგორ გამოჩნდებოდა. თხოვნა აბეზარობაში რომ გადასულა, ქალიშვილს მამის დასტურით გიტარა აუღია და დავით ფაღავას ოჯახში იმხანად პირველად გახმიანებული „ციცინათელა“ წამოუწყია. სხვებთან ერთად ბარამიც ასკოლია თავისი განუმეორებელი ბანით. ოფიცერს მოსწონებია, რომ იგი სიმღერას სელს უშლიდა და უბრძანებია - ა ვი, კნიაზ, ზამალჩიტე!... ზრდილ ჩიჩუას, რა თქმა უნდა, წაუყრუებია, მაგრამ ამით გაგულისებულ სტუმარს უკვე ფეხის დაბაკუნებით გაუმეორებია - ვამ გავარიატ, ზაკნიტეს!..

შეურაცხყოფა ასე არ უნდათ და სუფრის მოპირდაპირე მხრიდან დინჯად წამოზიდულ გოლიათს მარცხენა ყურის ძირიდან გამოქანებული რკინის მუშტი ისე უდრუნია ყბაში ოფიცრისათვის, რომ იგი სკამიანად კედლისათვის მიუფშვნია, შემდეგ სატევარი ამოუღია, ტარით მასპინძლისათვის გაუწედია და უთქვამს - ახლა შენი ჯერია, დამკარიო.

– ჩემთვის მაინც უნდა გეპატიებინა, ბარამ, – უთქვამს შეწუხებულ მასპინძელს. – მიჭირს ამის თქმა, მაგრამ გთხოვ, ამიერიდან ჩემს ოჯახში ფეხი აღარ შემოადგა!...

ეს უსიამოვნო ამბავი, ალბათ, არ გახმაურდებოდა, მაგრამ ბარამ ჩიჩუას სამეგობრო გზების დაგდება არ სჩვეოდა. სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ისევ შემოუჯირითებია ბანძაში თავისი განთქმული ბედაური. თითქოს მიწიდან ამოძვრაო, წინ ადგილობრივი ბოქაული გადადგომია, ცხენს აღეირში ჩაფრენია და მოთაფლული ენით იმდენი უქნია, ხათრიანი კაცი თავისთან შეუყვანია. ხანმოკლე უბემური საუბრის შემდეგ თავადი წამომდგარა, მაგრამ ბოქაულს ახლა გისოსებიან ბნელ ოთახში შეუტეხია – უსვეულო ნანადირევი უნდა გინვენოვო. ზღურბლზე ფეხის გადადგმა და კარის გარედან გადარაზვა ერთი ქმნილა. ბოქაულს ერთბაშად გული მისცემია – აბა

როგორ გეგონა, იმოდენა კაცის გალახვას შეგარჩენდიო!... ციმბირის გზას ქუთაისიდან გაგიყენებ, რადგან მალე გუბერნიის პოლიცმეისტეროობას გავირტყამო... ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ათი დარჩენული ხელქვეითი მიუსვეია ჩიჩუასათვის. ხაფანგში მომწყვდეულ ვაჟკაცს ყოველთვის რევოლვერის პირში მიცემული, შავი დღისათვის შემოინახული ერთადერთი ტყვია ყველაზე ახმახი სტრაუნიკისათვის დაუხლია, დანარჩენებს კი განთქმული მეუნაგრის მაკალათიას დაწნული მათრახით დარევია. თავპირდასისხლიანებული, ზურგდაფხრეწილი უმწეოდ აღრიალებული მომხდურნი ჭერეხივით იატაკზე დაუფენია, შემდეგ კარი გაუნგრევია, ყველანი მუთაქებივით ეზოში გადაუყრიალებია და კაბინეტში შევარდნილა, მაგრამ ბოქაულს დროზე გაუსწრია.

ბარამ ჩიჩუას საციმბიროდ შეიძლებოდა გასდომოდა საქმე. მისი გამოხსნა ჭკუა-გონებითა და სიდარბაისლით განთქმულმა მექი ფაღაევამ აიღო თავზე – მაშინვე სამეგრელოს თავადაზნაურობის ახალგაზრდა წინამძღოლთან კოკი დადიანთან განცდა ქუთაისში და ორივენი გენერალ-გუბერნატორს ეახლნენ.

ოღესლაც პეტერბურგის სალონების სული და გული, პირველი მოქეიფე და ამკლები დიდად გაუხალისებია ქართველ დიდებულთა ნაამბობს, ბევრიც უხითხითია, მაგრამ მაინც შეეჯავებულა – ყველაფერს მაშინ დაეიჯერებ, როცა ათი კაცის გამლახავს საკუთარი თვალით ვნახავო. ბარამ ჩიჩუა ჯაბანი კი არ იყო, მსჯავრს სამალავში დალოდებოდა, იქვე მჯდარა, მისადებში. შუა კაბინეტში ნაქალაქეის ცეხის გოდოლიეთ აღმართული გოლიათის დანახვაზე გუბერნატორს პირი დაუღია ჩემს გუბერნიაში ასეთი კაცი თუ მყავდა, აქამდე რად მიმალავდითო. ახ ტი ჩორტ, პაჩემუ ნე ილია მერომეცი უთქამს ალტაცებულს და ბარამის მკერდზე მუშტები აუბაგუნებია.

საქმის კეთილად დამთავრების აღსანიშნავი სუფრის გაშლა ბარამ ჩიჩუას გადაბმულ ძმაკაცს ბუკულა მიქელაძეს უკისრია. ამ ტკვირელ თავადს მდიდარი მემამულის სახელი

ჰქონდა გავარდნილი, თუმცა მთელ მიწებს უკვე გამოთხოვებოდა. ბოლო ხანებამდე ერთადერთი, რაც კიდევ შერჩენოდა, სანაქებო კარ-მიდამო იყო და ისიც ცეცხლმა გადაუბუგა, ამბობდნენ თვითონ დასწვაო, მაგრამ დამზღვევი კომპანიის მიზეზიანმა აგენტებმა შარის მოსადები ვერაფერი გამოუნახრიკეს და გერბიანი პოლისის პირობით აღთქმული ოქროები სულ კაკალ-კაკალ ხელში ჩაუთვალეს ბუკულას. უმამულოდ დარჩენილი მემამულე, საბოლოოდ, ქუთაისში გადმოვიდა და უკანასკნელი ოქროების ჩვეული ხელგაშლილობით ფანტვას შეუდგა. თაეისი სახლიკაცის – ბონდო მიქელაძის წაბაძულობით, საკუთარი საფირმო პაპიროსიც გაიჩინა, ზედ ოქროსფრად გამოყვანილი მონოგრამით.

მა-ა-შ! იცოდა ქართულმა თავად-აზნაურობამ მამულების ქარისათვის გაცანება და თვალში ნაცრის შეყრა!...

სწორედ ბუკულა მიქელაძის სუფრაზე გამოუჩენია თავი დანიელას თუ გამოუჩენია. სიმდერის ეშხში შესულს, ალაბიევის „ბულბული“ რომ ჩაურაკრაკებია და ზედ ბოშური რომანსებიც მიუყოლებია, გულანუყებულ გენერალ-გუბერნატორს დანიელა მკერდშიც კი ჩაუკრავს და შემდეგ ბოშათა ბანაკებში გატარებული დამის ორგიების მოგონებებზე გადასულა...

მეორე ასეთი, განსაკუთრებულად სამახსოვრო დღე დანიელას ბანძელთა მშვენების - მარიამ ფადაეას გათხოვებისას დადგომია, თუმცა ერთი კაცის ახირებულებამ კინაღამ მაერიოსს ჩამოაცილა; სულ იმის გამო, იარაღის ტარება რომ არ უყვარდა. უხმლოდ და უსატყვროდ ცხენზე ამხედრებული ებრაელის დანახვაზე ბანძელთა სიძე გეგი გელოვანი უცებ აფეთქებულა – ის არ კმარა, ფადაეას ასულს აზნაურ ჩაჩავას რომ ვატანთ, ეგ უიარაღო კაცი კიდევ რაღას ამომიყენეთ გვერდზეო. გიორგი თაეადის ხასიათი ქეელამ კარგად იცოდა, ამიტომ ვიღაცას დაუძახნია – ახლავე კაცია ფადაეას ხმალს ჩამოვხსნით კედლიდან და ნამოგირბენინებთოო. ამაზე პატარძლის ძმა კაკურია გამხდარა დასაბმელი – რუხის ცხენთან სახელოვნად ნაქნეე პაპაჩემის ხმალს ვაჭრების

ჩამომავალი კაცის წელზე რა უნდა, ღმერთი არ გაგიწყრეთ, ხელი არ ახლოთო.

დაბნეული, პირგამშრალი მაყარი ისევ თემის უხუცესს აბრამა აჯიაშვილს გამოუცანია მდგომარეობიდან - არც ისეა საქმე, ხმალიც გვეშოვება, სატეკარიც და დამბაჩაც. ვიდაც ბიჭი უფრენია შინ და დანიელასათვის ისეთი ძვირფასი, სულ ოქრო-ვერცხლით ქარქაშგაწყობილი ხმალი შემოურტყამთ წელზე, ყველას თვალი ზედ დარჩენია. ამ ხმლის დანახვაზე რომელიღაც თავადს სახეზე ფერი-ფური გადასვლია, მაგრამ აბრამა ბიბლიურ მოსეს მარტო წვერებით კი არ ჰგავდა. განა იმისი კაცი ივო, წმინდა ვაჭრული საიდუმლო გაემჟღავნებინა და ხმლის დამგირავებლისათვის საქვეყნოდ თავი მოეკრა?!

გეგი გელოვანი კიდევ ერთხელ ახირებია დანიელას, ამ-ჯერად ჩაჩავებთან. მაყრებთან გამოსათხოვარი სუფრა გათენებისას ასწლოვანი მუხის ძირას რომ გაუშლიათ და ებრაელ მომღერალს ხმა ტორთლასავით ცაში აეფრენია, ლეჩხუმელს მერიქიფესათვის უბრძანებია – მარტო სიმღერა რას მიქვია, მაგ ყმაწვილს ღვინო ჭიქით მაინც მიართვით, ნეფე-პატარძალი გვიდღეგრძელოსო. დანიელას შორს დაუ-ჯერია – დაგენაცვლე, ებრაელებს მარხვა გვაქვს და ვერ გავტეხავო. ისე გატეხ, როგორც დამიბარებიაო, დაუყვინია თავადს. დანიელასაც ფეხი მაგრად გაუდგამს. მაშინ გელოვანს ქისიდან ოქროს თუმნიანი დაუძერია და ღვინით სავსე ჭიქაში ჩაუცურებია – ახლავე ნახავთ, თუ არ დალევსო. მომღერალ ვაჟკაცს ღირსეული სიტყვა უბრძანებია – ებრაელი კი ვარ, მაგრამ სულს ოქროზე არ ვყიდიო. თავადს კიდევ – ორი ოქრო შემოუვლია თავზე – მერიქიფევ, ეგ ჭიქა ცოტა ზევით ასწიე, მზეს კარგად დაანახეო.

ქარვისფერი ღვინით გაპიპინებულ გათლილ ბრილის ჭიქაში ნაპერწკლების ფრქვევით ჩალივლივებული, გაქდნარ ოქროხავით აღუებული, ქაერის ბუშტულებით დაცვარული მონეტები თვალისმომჭრელად აკიაფებულან მზეზე, მაგრამ დანიელა უფრო გაჯიქებულა:

– რჯულის მადლმა, არა!

გელოვანი ამგვარ ურჩობას ნანე�i არ იყო, ხელი საბეგრისაკენ გაქცევია:

– ან ეგ ჯიქა, ან სისხლი!

– აკი მოგახსენეთ, თავადო, არ დაველევ მეთქი!

გელოვანისაგან კბილების გაკრაჭუნება ცუდად ჰქონდათ დაცდილი. რადაც უბედურების მომასწავებელი ხიხუმე ჩამოწვა... და უცებ, ყველასთვის მოულოდნელად, წრეში შემოსულმა პატარძალმა მერიქიფეს ხელიდან ააცილა ჯიქა, ფოფინა ხელისგულზე დაიდო და მშვიდი ღიმილით გასხეოსნებული მზერა ირგვლივ შემოატარა. ბოლოს მარჯვენა კაბურიასკენ გაიშვირა. ქმა უმალ მიუხვდა, ნახტომით დასთან გაჩნდა და ხელი ჯიბეზე გაიკრა.

ჭაბუკ ფაღაეას სხვებმა მიბაძეს.

გაპიპინებული ჯიქიდან ოქროს მონეტებით გამოდევნილი ღვინო თანდათან პატარა ტბად შეეუბდა პატარძლის ვარდისფერ ხელისგულზე, შემდეგ თითებს შუა დაიძრა და ბოლოს, დილის ნიავის უხილავ ფრთებს მინდობილი, მტვრად ჩანდა ჰაერში. თვალსა და ხელს შუა ოქროს ზოდად ქცეული ჯიქა, ერთ დაქცეული თავადის ოჯახს კვლავ ფეხზე რომ დააყენებდა, პატარძალმა ებრაელს გაუწოდა და მომაჯადოებელი ხმით ამოიღულუნა:

– გამომართვი, დანიელ, ღმერთმა სიკეთეში მოგანმაროს!

მომღერალმა სწრაფად მოიყარა მუხლები მარიამის წინაშე, მის კაბის კალთას მოწიწებით ეამბორა და როცა წამოდგა, ჟრჟოლის მომგვრელად ამოიღადადა:

– ფაღაეახ!... ღმერთსა და ჩემს შორის ჩადგომა რაკი ინებე, შეცოდებისა აღარ მეშინია! – ჯიქა ტუჩებზე ხარბად მიიკუდა, შიგ ჩარჩენილი ნაჟური სულის ერთი მოთქმით გამოსრუტა, შემდეგ ხელისგულზე გადმოპირქვავებული ცარიელი ჯიქა პირუკუღმა, შორს მოისროლა, ოქროებით სავსე მუშტი მაღლა შემართა და დასჭექა, – დაგენაცვლათ დანიელა!... დღეის სწორს ყველანი ჩემი სტუმრები ხართ!... ახლა კი ტაში თქვენს დანიელას!...

ერთბაშად აეიეინებულმა ხალხმა საცეკვაო დასცხო და ბედნიერებით სახეგაბადრულმა ებრაელმა მკლავები ლაღად გაშალა.

***

თითქმის საუკუნე გვაშორებს ამ ამბებს.

თითქმის დაცარიელდა ებრაელობისაგან კულაშისა და ბანძის, სენაკისა და ხანხერის თემები. საქართველოს სიყვარული სიყვარულად, მაგრამ მაინც თავისი გაიტანა პირველდამბადებელი მიწის იდუმალმა ძახილმა.

დღეს ვერავინ მიგვასწავლის იმ კაცის საფლავს, რომელიც მისთვის ერთადერთ სამშობლოდ დარჩენილ საქართველოს სიმღერებად უყრქვევდა სიყვარულსა და მადლიერებას. სამუდამოდ ჩამდნარა დანიელას ხმა ჩვენს სივრცეებში, მაგრამ დარჩა მისი ხსოვნის გადამრჩენი ეული სიმღერა, რომელსაც დღესაც გაიგონებთ იმერეთისა და სამეგრელოს სოფლის ორღობეებში:

– დანიელა ურია

ჩვენში რამ გაურია!...

შერისხულნი

უნდა გიამბოთ თავადის ქალზე, ვინაც სიყვარულის გულისათვის გაემიჯნა მორჭმულ ეოფას, ვინაც დარბაზებიან სასახლეს არჩია ისლით გადახურული ბლეხური ქოხი და იყო თაყვანისცემული სოფლისაგან იმით, რომ ყვავილი მისი სიყვარულისა ამოზრდილი გახლდათ ორ გვარს შორის ჩამოვარდნილი მტრობა-სიძულვილის მწარე საძირედან...

უნდა დაეწყოთ ცოტა შორიდან.

ჩვენი გვარის შეილები ძველთაგან წმინდა თევდორეს ქმაბად ითვლებოდნენ; ეფრო სწორად, მის სულიერ შვილებად და მხედრებად, რაკი სამსახური სინდის-ნამუსის გამკითხავი და სამართლიანობის მფარველი წმინდანისა უპირველესად თავად მათგან ითხოვდა ზნეკეთილობას და სიჩაუქეს. ილორის ძლევამოსილი ხატის შემდეგ სამეგრელოში წმინდა თევდორეს

ხატს ეკიდებოდა ხალხი განსაკუთრებული რიდითა და პატივისცემით. კაცი კანონ-სამართალს რომ ვერ იპოვიდა, ჩვენი გვარის სამკვიდრო სოფელს ორქას მიაშურებდა, რათა შეცოდებულისათვის სასჯელის განწესება ზეცისაგან გამოეთხოვა. სასაფლაოს შუაგულში აღმართული თეთრი საყდრის გარშემო სამჯერ შემოიტარებდა ზვარაკს და ლურსმნებით დაიარებული ასწლოვანი სალვთო მუხის ტანში კიდევ ერთ ლურსმანს ჩააჭდობდა. შემდეგ, საყდრისაკენ პირმოქცეული, მუხლებზე დავარდებოდა და ხატს შესთხოვდა:

– გვეყოლები შენ, სიმართლის მფარველო და არაკაცთა მსახვრალო, წმინდა თევდორეკ, ხსნა და მოსვენება არ აღირსო ჩემი ოჯახის მარხეული მროხის მომპარავს, ვიდრე ამ ლურსმანს საკუთარი კბილებით არ დააძრობს და ცოდვისა თვისა მოსანანიებლად არ შემოგწირავს!...

საგანგებოდ გამოჭედილი, მტკაველიანი ოთხკუთხა ლურსმნის ხის ტანიდან კბილებით ამომძრობი ვინ იქნებოდა, და სადღაც კუბოს კარამდე ტანჯვასა და ძრწოლას ეძლეოდა საძრახი საქმის ჩამდენი...

აღვილი წარმოსადგენია, რაოდენ საამაყო უნდა ყოფილიყო გვარისათვის ესოდენ ძლევამოსილი ხატის ყმად და მსახურად ყოფნა, იმაზე ფიქრი და ხრეკვა, რომ ყველა მისი შვილი პირნათელი მდგარიყო ღმერთისა და ადამიანების წინაშე. ჯოღორიასა თუ კალუელას დროიდან ნაკისრი ზნეობირივი ტვირთი ფრიად დირსეულად უსიდია ბაბუაჩემის მამას – მათე პაპას. სამართლიანობით, გარჯითა და მკლავის სიმტკიცით ცნობილს, რუხის ბრძოლაშიც უსახელებია თავი, რამდენიმე ურჯულო მომხდურის სული გაუყენებია წიაღსა თევდორესასა და სასიკვდილოდ დაჭრილი პოლკოვნიკი იოსელიანიც გამოუყვანია ბრძოლის ველიდან. შინ მეომრული ჯვარით მკერდდამშვენებული დაბრუნებულა...

ხუთი სანაქებო შვილი გაუზრდია, აქედან ოთხი – ძალგულოვანი ვაჟკაცი. ძმებში უფრო გამორჩეული კოსტა ყოფილა და არა მარტო უფროსობით; იმდენად გამორჩეული, ნაადრევად დაქერეებული ფაღავას მშვენიერი ქალის გულიც დაუპყრია... უთაკილნიათ თავადიშვილებს გლეხის ჩამომაველის

სითამამე, დადარაჯებიან გვიან ღამით პაემანზე მისულს. წასვლიან, ხელებით მოუგუდავთ და აბაშის პირახ სილაში ჩაუფლავთ – გაზაფხულის მოდიდებული წყალი წაიღებს და უკვალოდ გააქრობსო.

შავი საქმე მაინც არ დამალულა. მას უკან გადაჭიდებიან მოკლულის ძმები გოროზ ფაღავებს. ხისხლის აღება კოსტას მომდევნო ძმას – ბაგრატს რგებია. ბანძის ბაზრობაზე პირისპირ შეერია ერთ-ერთ მკელელს და იქვე, ხალხის თვალწინ, გაუგორებია ტყვეით. ტყეში გავარდნილი, ცხრაას ხუთში წითელ რაზმელებს მიჰკედლებია. მისი შიშით მაზრის სტრაჟნიკები, თურმე, თავს ვერ ჰყოფდნენ გარეთ. ბოლოს ვიღაცას მაინც გაუყიდია. სანდო ოჯახში გვიან ღამით დასაპურებლად მისული, საფარს წაწყდომია და ტყვეებით დაუცხრილავთ...

რომ ეგონათ, ცოდვა გაწონასწორდა და ორ გვარს შორის მტრობას ბოლო მოეღებაო, სწორედ მაშინ ჩამოუვლია, კიდევ ერთხელ, თავნება სიყვარულის ღმერთს. ცისკრის ვარსკვლავივით მშვენიერ, თექესმეტი წლის ნადია ფაღავას გულში გაუნელებელ ცეცხლად ჩავარდნია ეედიდკარელი ჭაბუკის იოსე გახოკიას სიყვარული. იოსე კი მკითხველისათვის უკვე ნაცნობი მათე პაპას ერთადერთი ასულის ძე გახლდათ. მაშასადამე ფაღაევებისათვის ესოდენ საძულველი კოსტასა და ბაგრატის, და, კიდევ, ბაბუაჩემის იონას დისწული... რა არ იდონეს უგონოდ შეყვარებული ქალიშვილის მშობლებმა და ახლობლებმა, სად არ გახიზნეს და გადამალეს, რა ჯადოშელოცვა არ სცადეს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. ნადიამ მაინც შესძლო შინიდან გაპარვა და თან გაიყოლა ულმობელი განაწენი – გვარიდან მოკვეთა და სამუდამოდ შერისხვა-შეჩვენება...

ოჯახში წესად გექონდა, ბანძა-ურიაკარის ბაზრობაზე მიმავალთ გზად აუცილებლად გახოკიებთან შეგეევლო ეედიდკარში. ყველაზე ადრე ოჯახის ნაბოლარა, ჩემი თანატოლი, თვალებხატული გოგუცა შეგვნიშნავდა და ერთ ამბავს ატეხდა. მაშინვე სახლიდან გამოიხედავდა და ჩვენსკენ აუსქარებელი ნაბიჯებით გამოსწევდა ნადია ბიცოლა – ტანმაღალი, თმაშეყერცხლილი დიდებული ქალი. ჯერაც

ყორმიზად შენარჩუნებულ სახეზე შექმიანად ასხდა ნაღ-ველსამდგარი შავი თვალები. ძლიერი, მაგრამ თბილი მკერდ-ისმიერი, ღულუნა ხმით ლაპარაკობდა, თან გაზეთის ქაღალდში გრძლად გახვეულ თუთუნს აბოლებდა... ამასობაში ხელჯოხით გამოხანხალდებოდა დიდი მამიდა ცუცუ, სათი-თაოდ მკერდში ჩაგეიკრავდა, დაგეკოცნიდა და აცრემლდე-ბოდა... თუ შინ იყვნენ, სიმინდებიდან და ბოსტნიდან გად-მოეიდოდნენ ოჯახის უფროსი შეილებიც შაში და ლუბა. შალვას ნახვა უკვე მონატრებული გვქონდა, რადგან სოხუმში სწავლობდა საკონდიტრო საქმეს... სულ ბოლოს გამოსნდებოდა ოჯახის უფროსიც. შორიდანვე გატყვევებდათ ამ ტანმაღალი, ძარღვიანად ასხმული კაცის დანახვა, სახელდახელოდ გადაც-მული კოვერკოტის საგარეო ხალათზე გადაჭერილი ვერცხლის ბალთებიანი ქამრის სწორებ-სწორებით რომ მოემართებოდა ნვენსკენ, ოდნავ შესამჩნეელი ღიმილით. შავგვრემანი, მარილიანი სახე ჰქონდა, მაღალი, ნაქანდაკევი შუბლის ქვემოდან გამ-ჭოლად შემოგცქეროდათ ღრმა ფოხოების სიღრმეში ნამ-ალული მკვესავი თვალები...

წაბლის სრული სახლი ედგათ, სანახევროდ მოფიცრული, სანახევროდ მიწური. ამ ნაწილში კერია ღვეთოდა ნაუმ-ქრალად, ეოველთვის რაღაც იხარშებოდა ან ცვცხლს ეფიცხე-ბოდა შესაწვავად... ღარიბულად კი ცხოვრობდნენ, მაგრამ სტუმრის დანახვა ღვთის წყალობად მიაჩნდათ, მაშინვე დატრიალდებოდნენ... ვიდრე ქათამს თავს წააცლიდნენ და კვეზე ხაჭაპურს დააკრავდნენ, ცაცხვის ძირში მრგვალ მაგიდას და ვენურ სკამებს გაიტანდნენ, ხილითა და არაყით შეგაქცევინებდნენ თავს, დარბაისლური საუბრით დაგატკბობ-დნენ... ამ ოჯახში იგრძნობოდა სრულად, რომ სიღარიბე და ხელმოკლეობა არაფერს ნიშნავს, თუ იმ ჭერქვეშ სიყვარული და ურთიერთგაგება სუფევს. მაგრამ...

ერთ დღეს ბედ-მდევარს თითქოს გაახსენდა ოჯახის დედისათვის ყმაწვილი ქალობის ჟამს ზურგში მოყოლებული წყველა-შეჩვენება. ბრმა მსჯავრი პირველად ბუნების ნებიერა შალვას დაატყდა მოულოდნელად. ახლაც თვალწინ მიდგას ელისთა ღვთაებასავით ბადრსახიანი, ტანმშვენიერი ჭაბუკი,

ყოველ ზაფხულს სოხუმელი ძმაკაცებით რომ ჩაიგრიალებდა აბაშა-მარტვილის გზაზე ალე ურიდიას ეტლით. მთელი სოფელი ხარობდა მისი გულის სითბოთი, დაუშრეტელი ხალისითა და ღვთით მონიჭებული ხმით, ძილსა და მოსვენებას რომ უკარგავდა გულაფართხალებულ სოფლელ ლამაზმანებს... ამირანის ჯანს სხეულში ვერ იტევდა, ამიტომაც ემჩატა ეედიდკრის ცაცხვების ძირში დაგორებული საჯილდაო ქვა, სულ უბრალო ნიზლევს აყოლილი, იქვე, სასაფლაოზე გადავიდა ძმა-კაცებთან ერთად, „სიდურზე" დადგა და რეა მოხეთქილი ვაჟკაცის მიერ დიდის ვაი-ვაგლახით აზიდული საფლავის ქვა მკერდზე გადაიწვინა... ორ-სამ წუთს გაუძლო კიდევ სიმძიმეს, მაგრამ მერე რა?!... რამდენიმე დღის მანძილზე უგუნებოდ, მოთენთილი და ქალალდივით გათეთრებული დადიოდა, არც ჩაწოლა ინდომა, არც ექიმი, ბოლოს კი, წისქვილში საფქვავი რომ მიჰქონდა, ალაგეზე უღონოდ გადაეკიდა და სანამ მოუსწრებდნენ, სისხლისაგან დაიცალა... გულისა და კისრის ძარღვები დასკდომოდა, ოურმე!...

პირველად მაშინ ანურჩულდა სოფელი – საწყალი ფალვასე! წყეულმა უწიაო.

შემდეგ ის იყო, ომმა დაიგრგვინა.

შაში პირველ დღეს გაიწვიეს და არც შავი ქალალდის მოსვლას დაგვიანებია.

ომმა გოგუცაც დააქერიკა ნაადრევად. სულ ახალგაზრდა ქალმა მცირეწლოვნებად დარჩენილი ობლების გაზრდას შეალია მთელი თავისი მოზეიმე მშვენიერება. ბოლოს კი თავად მასაც, ბანძაში ნაყიდი ბათმანი სიმინდით შვილებისაკენ რომ მიისწარეოდა, სიკვდილი საბარგო მანქანიდან გადმოუხტა, ზურგში მოპარეით...

ისეთი დრო იყო, სიკვდილი და უბედურება არავის რომ არ ზოგავდა, მაგრამ გახოკების ოჯახის ასე გამეტება სოფელმა მაინც ოდესღაც წყეული-კრულვით გაცხადებულ ღვთის რისხვად მიიჩნია...

გიტყდა ფალავას ამაყი ქალიც.

მის დაკრძალვას ხანათესაოდან არავინ დაჰკლებია. ხალხმა მხოლოდ ფალავები მოისაკლისა. ბედმა, თითქოს ისინ-

იც დასაჯა – დაცარიელებულიყო ფაღავების დედა-ბუდე ბანძაში... კუბოს ერთადერთი ფაღავა მოჰყვებოდა – ყველასათვის საყვარელი ტატო, ეითარცა სახემწუხარე მომნანიებელი სხვათა ცოდვისა...

იოსე ბიძია პროცესის ბოლოში მოაბიჯებდა ბებერი დევეიით... ალბათ ისურვა თავისი უძირო მწუხარება ამაყი განმარტოებით მიეტანა მეუღლის პირღია სამარემდე. ამიტომაც ვერაფინ უბედავდა მიახლოებასა და გამოლაპარაკებას. სულ გათეთრებული, მაგრამ მაინც დიდებული და ხერხემალ მოუდრეკავი, თვალებგაყინული შესცქეროდა შორიდან ხალხის თავზე მოქანავე კუბოს. გულის ეარამს მხოლოდ იმით ამყლაენებდა, რომ დროდადრო მოკუმული ტუჩები შეუცახცახდებოდა... ხიმტკიცემ სასაფლაოს ჭიშკართან უმტყუნა. წუთით გახევდა, დაფანტულად მიიხედ-მოიხედა, მარჯვენაში ჩაკეცილი ძველებური ფაფანაკი მაღალ შუბლზე გადაისვა, ერთი ღონიერად ამოიგმინა და აფლიქვინდა:

– მოვედით ხომ, თოლიგე?!. მტოვებ ხომ?!... მაინც რას უბარებ შენს იოსეს?!... იქნებ ახლა მაინც წამოგცდეს სამდურავი... დაგტანჯე, მე უბედურმა... შენი ცხოვრება მე წავიყვანე უკულმა... ცოდვილ ვარ, ცოდვილ!... აეაი, შენს იოსეს, აეაი!...

ერთი თვეც არ იყო გასული, ეედიდკრის მიწამ ისიც რომ მიიბარა.

***

მას შემდეგ, ბანძის შესაყართან ჩაჭრილ მოკლე შუკასთან რამდენჯერაც არ ჩავიელი, გული ტკივილით მეკუმშება და ნაცნობ, მაგრამ უკვე დაყრუებულ კარ-მიდამოს თვალს ვარიდებ.

ნაღვლისმომგერელია ყველაფერი, რაც სამუდამოდ გარდავლილი დიდი სიყვარულის გახსენებას აღძრავს.

სამი ირაკლი ფაღავას ლიტერატურული შემოქმედებიდან

ირაკლი ფაღავა, გაიოზის ძე

წიგნიდან "ხასან მაანი"

ფოკა

მინუს ათი.
გაყინული
ფარაჟანი.
ქარის როკვა.
ქრისტესათეის
აზიდული
ფალავანი
არის ფოკა.

***

შაეო ბედო, არ გაბედო,
დამცველი მყავს საიმედო.
ჩემო თეთრო გიორგი
მთებით გადმოდიოდი.

მგელი

ელრლნი ძელებს საკუთარს, შიშებს, იმედებს,
რამდენ ხანს გაძლებს შენი ბორკილი?
და სისხლიან კვალს გამოყოლილი
ვიპოვნი ჩემ თავს და გაეიმეტებ
ოცნებებს, ფიქრებს, ლამაზ ტყუილებს,
ხორცს, ძვალს და რკინას ერთი გაკვნეტით
ნამოვხეე ღამის გაცვეთილ ფარდაგს

და ნაკლულ მთვარეს სასოწარკვეთილ
ძილს საბანივით შემოგაცლის ჩემი ყმუილი.

შემოდგომა

შემოდგომის შემოდგომა ფანჯარაზე,
დაყუდება მრუდე წვიმით, წახნაგებით,
ხმალნაგების ამოლამბვას ფარაჯაზე
მოუნდება დრო, ზამთარი, განახლდები.
რომ ისევე ცეცხლის ხაზზე დაეკიდო,
ალამივით ვალიხფრო ლეგა ხარებს,
დაელამდნენ, სასიკვდილოდ აგეკიდონ,
გაიმარჯვო და რატომღაც გაგიხარდეს.
აიხედო, აეხიდო უცაბედი,
მოგონებად რომ გონებაც აიხადო,
დაიეიწყო ეს დღეები კუნაპეტი,
იხეიხვინო, გააჭენო, გაიხვადო,
ხატო ხვატი, ხელთუქმნელი ჰორიზონტი,
თვალსაწიერს რაც არახდროს ენახვება,
დასალიერს გამოსტაცო მერვე ნოტი,
იბრდღვიალო ძუს ძუძუებშენახებმა.
ვენახებმაც სისხლისდარად ირიჟრაჟონ,
დაგიწურონ წინაპრების აჩრდილები,
ქვევრებიდან ამოგძახონ ჰეი, ვაჟო,
მზე ვარ, გზვერავ, არ დატოვე გზად ჩრდილები
და ჩრჩილებიც ამზეურე, ამოშანთე,
მრუმე დღეთა უფერული მიჯრა წედება,
როგორც ტალღა, ეხეთქება მშობელ კალთებს,
ცოცხლდები და ყველაფერი გავიწედება.

გვერდიგვერდ მდგომი ეს ორი კვიპაროსი

გვერდიგვერდ მდგომი ეს ორი კვიპაროსი
თითქოს ცალცალკე რომ ესწრაფვის თავის წილ
ზეცას,

ხოლო მიწის ქვეშ ფესვებგადაჯაჭვული
ერთი მეორეს ასულდგმულებს, –
ბება და ბაბუ სტუმრად არიან.

მეგობარს

როგორა ხარ შე ბებერო ძაღლო,
მოდი ახლო,
ერთხელ კიდეე მოგეფერო, ხელი გახლო.
მგონი დიდხანს, შვიდ წელიწადს ეეღარ გნახო,
როგორა ხარ შე ბებერო ძაღლო,
მოდი ახლო.

ირინკა

ღამდება თუ თენდება?
თენდება თუ ღამდება?
ჩვენი სახლი შენდება.
მშენდება ვერანდებად,
უწვრილეს საფანტებად
ფიქრი გამეფანტება.
თენდება თუ ღამდება?
ხომ არ გვაგვიანდება?

მონატრება

ეს ასეთი ქარეთი,
ციები საზღვარგარეთი,
მომენატრა თბილისი,
ჩემი ფანჯრის გარეთი.
მაგონდება ბავშვობა,
ჩაქვის ხახლის ტალღეთი,
ცეცხლის ირგვლივ ვახშმობა,
ცას შემწვდარი სვანეთი.
ჩვენს ოჯახში აღდგომა,
რაინდების სტუმრობა,
ახალი წლის დადგომა,
სიხარული, ხუმრობა.
ჭექი მრავალჟამიერის
უკვდავების მოტივი,
აღტაცება წამიერი,
სიყვარულით რომ ტირი.
ეს ასეთი ქარეთი,
ციები საზღვარგარეთი,
მომანატრა თბილისი,
ჩემი ფანჯრის გარეთი.

გეძახდი

დაორთქლილ მინებზე გიწერდი წერილებს,
ფანჯრებზე გხატავდი, გწყდებოდა ცრემლები,
ვეახლე შენს თაღებს, მთებს ამოწვვრილვებს,
ტიროდნენ ისინიც ზღაპრული გველებით.
ჩანჩქერთა ღრიალში ვყვიროდი, გეძახდი,
გეძებდი სიზმრებში, ხიდები დავიარ,
სამშობლოდაკარგულ დევნილებს მეც ვახლდი
ჩნდებოდა წამიერ, რჩებოდი წამი არ,

დაორთქლილ მინებზე გიწერდი წერილებს,
ფანჯრებზე გხატავდი, გწყდებოდა ცრემლები.
ვეახლე შენს თაღებს, მთებს ამოწეერილებს,
ტიროდნენ ისინიც ზღაპრული გეელებით.

მარტი

შენი სიმარტივე,
ჩემი სიმარტოვე,
თითქოს მიამიტი
განცდა დამიტორე,
ლურჯი მინარეთი
ინით დამიტბორე,
მღერიე მდინარეთი
ქვებით დამიყორე.
ისევ სიგარეტით,
ცოტა დამიტოვე,
შენი სიმარტივე,
ჩემი სიმარტოვე.

დაუბერე

ქვა გაყინული ჩემი არსობა.
ქარი ვერ დაძრავს.
ის ვეღარ იგრძნობს ზედ დაშვებულს თითქოს
შემთხვევით
ჩიტს, მის შეხებას, ფრთების მოსმას უკიდეგანოს.
სიზმარი ბოლო დაიწურა დიდი ხანია,
ამოშრა ღელე, დაიწრიტა და აღარ არის.
ხავსის საცვეცებს მიწა ფესვებს არ გაუწოდებს,
იდება ასე შეუვალი უდრტვინველობა,
რომ ერთხელ წყალმა მოვარდნილმა თან ჩაიტანოს
და ამ დროს სანამ საბოლოოდ გავქვავებულვარ.

შიგნიდან ყველა კარი გადამერაზა,
მე ვამსხვრევ სარკეს მზერანაცნობს, ჭიქას
გამოცლილს,
ულრუბლო სარკმელს, ბროლის ხანჯალს, საათს
კედლიანს,
გავდივარ გარეთ, უკუნვთში უმისამართო
მოვარდი ქარო, დაუბერე და წამიყვანე.

დასახლდება

არ დასახელდება, მაგრამ დასახლდება,
გადასახლებაში ბიჭებს ინახულებ,
ერთად იმარხულებთ, სული ამაღლდება,
მერე ჭირნახულებს სახლში წამოიყვან,
ჭიდან ამოიყვან მთვარეს, ამზეურებ.
დილა გაიღვიძებს ძვირფას გაღიმებად,
ბოლოს შემოსძახებ: რომი მეზღვაურებს!
სასმელს რომ გადაკრავ, კარიც გაიღება.

საკანი

საკანი წვეთავს და მკლავს, მრუმეში ვიწრიტები,
გისოსებიდან შემოღწეული მზის თხელი სხივი სულზე
მისწრებს,
თითებით ეწედები და ის შვმოდის, ინექციასავით
სისხლძარღვებში მივლის,
შიგნიდან მეფინება, მათბობს,
ჩიტის კივილიც საიდანღაც ზემოდან, გამწყდარი
აკორდივით
ნიშანია – იქ ხევით ჩემები კარგად არიან, მეძახიან,
მელოდებიან
წამი განმსაზღვრელი, ამდენი ხნის მერე, როგორც იქნა,

ყველაფერი ნათელია!
უეცარი შემართება – ღმერთო! მე შენ შვილიშვილს
შემიძლია,
აი თუ არა – აი ია და კიდევ: ბიჭებო გაიღვიძეთ, თოვს!

***

არაფერი არასოდეს დამითმია,
ავიღე და ყველაფერი დავთმე.
კვდლის საათს დაემართა არითმია,
ერთ ღამეში მთელ სიცოცხლეს მართმევს.
დედას ვუხმობ, ძაძებში კი მოდის ძიძა,
სინამდვილე სიყალბესთან შეზავდება?
ჩემს ბუხარში ისევ ვეფხემა გაიღვიძა,
გადამწყვეტი ნახტომისთვის ემზადება.

ლექსები

აზრი და სიტყვა

აზრი, რომელიც სიტყვად იქცევა,
სულს გვიტოვებს და უკუიქცევა.
სიტყვამ, რომელსაც ვარქმევთ საბადოს,
ახალი აზრი უნდა დაბადოს.
მისი სიღრმის კი გვიჭირს გაგება,
სად არ ატარებს სიტყვას განგება.
ამიტომ აზრის სიტყვად ბრუნება
დაუკანონა ენას ბუნებამ.

***

აკივლებულ ქარებში მდუმარებდა ქარონი...
სისხლში იკლაკნებიან ვერცხლისებრი წყარონი.
ფიქრი მიამიტური, სამყაროზე დაება,
შორი გახდა იმედი, ახლო – გაუკვდავება.
მოზაიკურ ხილვაში იძერწება ჰადესი –
ზემო ფრენის ნანატრი წამი უდიადესი.
შენ მიხვედი საზღვრამდე, სადაც სულის კიდეა,
ირგვლივ არის ქაოსი, მაინც რა სიმშვიდეა.
აკივლებულ ქრებში მდუმარებდა ქარონი...
სისხლში იკლაკნებიან ვერცხლისებრი წყარონი.

***

გათენდა. ღამემ გაიწოვა ქუჩის ბოჰემა
და როიალის მოღრიალე შმაგი მიზეზი...
ასობით სული გადაყლაპა წინა მორევმა,

მაგრამ გაცოცხლდა დილის სხივი უფაქიზესი.
გათენდა. თითქოს გაჯანხაღდა სულის ნაწილი,
სად უსარგებლო რომანტიზმის ძველი ბადეა...
გათენდა. გონში დაიბადა სულ სხვა არწივი,
გზის ბოლოს დიდი სინათლე და სიდიადეა.

***

გასცდნენ ფერებს და ბგერებს სიტყვები
კომეტისეულ ცეცხლოვანებით.
უკან, წიაღში, ვითარც ბრიყვები,
მიეყვებით ძრწოლით და დანანებით.
ახდნენ სიზმრებში ნათელ სვეტებად,
მამის დუმილი ძეში გამოთქვეს.
სად, რომელ სულში არ ესეთქება,
ან რით ვერ რთავენ ჩვენში სამოთსეს?!
ჟამი მოაწვეს და ზედაპირის
სიტყვათ დაშრეტას ცხადყოფს მხილველი.
გაქრება, როგორც უცხო ნაპირი
უსათუთესი და მომხიბვლელი.

***

გაუმარჯოს ისეთ თვალებს
სიცოცხლეს რო განაცვალებს
გაუმარჯოს ისეთ ბგერას
რო ანდომებს გულს სიმღერას
გაუმარჯოს ბაგეს იმის
არ გამადლის ვინაც ღიმილს
გაუმარჯოს ისეთ მიწას
ღვთიხმშობელი რო დაიცავს
გაუმარჯოს ისეთ ზეცას
ცრემლს რო ვაზზე ჩამორეცხავს

გაუმარჯოს ისეთ ნებას
სიკვდილშიც რო თან მოგყვება
გაუმარჯოს ისეთ გულებს
სუყველაგან რო გიერთგულებს
გაუმარჯოს ღამეს ნათეს
მთვარეს გზას რო გაგინათებს
გაუმარჯოს ისეთ ენებას
ძალა რო სურს სხეისთეის ხარჯოს
მზის უსაზღერო ძლიერებას
და სიყვარულს გაუმარჯოს

***

გზადაგზა ეტოვებ სიცოცხლის დღეებს,
ჩემი წარსულიც თითქოს ჭორია.
უკვე ეცლებათ სამოსი ხეებს
საშემოდგომო ეიფორიით.
უხეშდებიან საგნებიც გარეთ,
იცვლიან ელფერს სშირი მოთელემით
და რჩება მხოლოდ ღამე და ქარი,
ქარი და წვიმა, გზა და ფოთლები.

***

... და შემოდგომით მონათლულ ფოთლებხ ეარცხნის ნიაეი,
ნოემბრის რკალი – წელში იხრება მოსუცი მანტო.
კედლებს შემორწათ საიდუმლოდ ჩემი ღრიალი,
დამუნჯდნენ ფერნი... გაიქცა ლანდი... ვიყავი მარტო...
ვაკვირდებოდი ველურ ძალთა ჩემში ფორიაქს,
როგორც წიგნებში გვერდებს მოსდევს ახალი გვერდი.
სხეეი დაეშეა ჩემს თავს ზემოთ, ვით სიმფონიას,
ცეეი თითებით ეკაწრავდი და... სიჩუმეს ეწერდი.

აშლილ ზეწარზე შეეიცანი სისხლში კორიდა,
ლანდი დაბრუნდა... და ბზინავდა ჰაერში მტევრი.
ბრძოლა დაიწყო! მაგრამ ვნახავთ, ამ "ჩვენ" ორიდან,
ვინ გაიმარჯვებს, ვინ იქნება ძლიერი მტერი!

ვენეციური მოზაიკა

წარსულის ხილვას ოფორტი ნიღბის გაუცრეცია,
მხეცია ღამე – მომნუსხველ ხიბლის ბალ-მასკარადით.
კარატით შუბლზე დღეს მორთული დგას ვენეცია,
ხიდთა ტერცია უქარგავს კაბას თეთრი ქარაგმით.
თუ მის მშვენებას იგულმავიწყებს აპერცეფცია,
ტკბილ მოგონებით ჩურჩულებს ბაგე: კელავ ვენეცია!

***

ისე ვბერდებით ძიებაში წმინდა გრაალის,
ჭეშმარიტებას რომ ვერ ვხედებით მაინც რა არის.

***

ლაჟვარდოვან ბინდებში, მორკალული ცელებით
მოუსვენრად დაძრწიან მოჩურჩულე ლანდები.
ჩუმი განთიადების სამუდამო მცველები...
თითქოს ძალა აკლდებათ, ძალა... მაგრამ რამდენი.
უბადრუკი ზმანება, მგლოვიარე ქარებით,
სიზმარიეით აცხადებს სახეს წმიდა მადონის.
საიდანაც მოვედით იქეთ მიეექანებით,
როგორც წრედი შობისა, ჯვარცმისა და აღდგომის.

***

მღვრიე ღამის სადღეგრძელო ჩემთან ერთად შესვით.
ღვედამიწა დაამშვიდეთ ტაეპით და ლექსით!
შეარიგეთ პოეზიით რადიკალი ორი:

მოკვდავი და უკვდავება... ფიქრი არის შორი.
ცხოვრება ხომ სიზმარია გამჭვირვალე ფერით,
კვლავ ამ ძილით გავბრუვდები და ლექსებით ვმღერი.
მე სიყვარულს არ ვუგალობ გაბრუებულს, მაცდურს,
შეუცნობელს, მიწიერს და ფარდოვნებით დაცულს.
მხოლოდ ერთი მჯერა გრძნობის, სიგიჟემდე ლამის –
უფსკრულებზე გადაფრენის და უკვდავი წამის.
რომ მძულდა და ეხლაცა მძულს სიიაფე ტრფობის,
რომ დღეს ვანთებ ბაირაღებს მარადიულ გრძნობის.
რომ გარდასულ სიფაქიზეს ვერას აკლებს გლოვა,
რაიც დღემდე არ ყოფილა, უსიკვდილოდ მოვა.
და ამ ღამით, როცა ცაზე მთვარე ცურავს სრული,
ფრთამსუბუქად გავაქროლე ქარიშხლებში სული.

***

მხოლოდ ქარი ღრიალებს უსასრულო ძახილით,
შემოდგომის მახვილი აპობს თეთრ როიალებს.
უშედეგოდ ტრიალებს ისტორიის მარხილი,
ტირიფივით დახრილი ჩვენი დროშა ფრიალებს.
რომ განგმირვის სურვილით, გაბზარული ნავებით
იმედებში გაეები, ტრფობით შემობურვილი.
უბადრუკი წყურვილი ცარიელი თაეების
ჰგავდა შემოღამებას საუკუნო დუმილით.

***

ო, ვერ ვიეიწყებ იმ აღმაფრენას,
იმ ციურ ქროლვას გული არ იტევს.
ვიხსენებ, თითქოს იგივე ღამეა,
იმ შემოდგომას და ვეკალიპტებს.
მაშინ ხვცამდე ვიყავ ასული,
მისთვის ჩირაღდნის შეეძელ დანთება.
ო, არ ეგონოს ვინმეს წარსული –

უკვალოდ ქრება და ფერმკრთალდება.
თვალწინ დგას ახლაც, როგორც სურათი,
გასხივოსნებულ სულის მშვენება.
რამ დამავიწყოს ცისკრის გუმბათი,
ის ლაჟვარდი და ის გათენება.

***

რას ვუწოდოთ სილამაზე,
თუ არ მხოლოდ გრძნობახ ღვთიურს.
პასუხი ამ შეკითხვაზე
მარტო ომს აქვს მარადიულს.
და ამ ჟინის ფარულ მიზეზს
ნუ მოვკითხავთ ველზე მებრძოლს...
. . . . . .
გამარჯვება სიძულვილზე
სიყვარულმა უნდა შეძლოს.

***

შონბერგის ცეცხლით იწვის პიერო,
ტყეს, იმ იდუმალს ევრაფრით ტოვებს.
აქ არის ჩემიც სამაგიერო,
როგორც სიკვდილი და სიმარტოვე,
როგორც ჭრილობა ბეჭედახსნილი,
თავაშვებული მდინარე სისხლის.
ცსოვრება მთელი - ურცხვი პასკვილი,
ცოდვა, წამება, წყევლა შერისხვის,
მოკლულ ოცნებით ჭვრეტა ედემის...
წარეიდა სხივი და აღარ ველი.
გამოჩნდა უცხო ზღვა იმედების
დაუნდობელი და საზარელი.

სულ სხვაა ქროლვა სიზმარეული

სული აივსო მზიან თასებით,
სულ სხვაა ქროლვა სიზმარეული.
მხოლოდ ცხადია შენათავსები,
იგია მხოლოდ დღეს ამღვრეული.
გადიყრენს გული თვის გაშლილობას,
სხივთა ნათელის დადგება ღვარი.
იქნება სულის ნახი ჭრილობა
და სიახლოვის ჩუმი საზღვარი.
გონი ცნობიერ დაიმედებით
და ზამბახებით ისევ აყვავდა.
გარს მომივლიან თეთრი გედები
სიკვდილ-სიცოცხლის გზაშესაყართან.

***

ფოთლების ორკესტრს დირიჟორობს ყმაწვილი ქარი,
ჩქარი ამბორით ეხეთქება ღრუბელი მთვარეს.
ბოთლების მთვრალი ოხშივარით იღება კარი,
ქალი უხეში ყერიმალებით აცეცებს თვალებს...
კუთხეში სუფრის მიმწყვდეულა ნატიფი ჭიქა,
იქაც და აქაც აღგზნებულთა პროფილი მოწანს.
ნუგეშის ტოლჩა... გაეცალა სუყველას სიქა,
არიქა, სახლში წავიდეთო, ღრეობა მორჩა.

***

ღრუბელი გრიგალში აფრებად ნალეწი,
მეჩხერად აწეწილ გორებზე ნავარცხნი,
მშეიდდება ბინდებში გახლართულ შუალედში,
საღამოს მოჩრდილეით აგრილებს ორაკულს.
დაღლილი მთელი დღის იხვენებს ღიმილით,

მიღწეულ მიზნებით სამეფოს შემოდის.
ღრუბელი დაეშვა გორაზე სიმწიფით,
ღრუბელი, რომელიც წარბებს ჰგავს დემონის.
მზის სხივი – ნაფოტად ქცეული ორლესა,
სპექტრული გარდაქმნის მწვერვალზე გაიპო.
დემონმა ცდუნება საკვებად მოლესა,
შერაცხა სარკედ და საკვებად გაიღო.

შედეგი სიზუსტით ბევრ საზღვარს გამოცდა:
ვინ სძლია ცდუნებას, ვის სძლია გამოცდამ.

***

შორი იალქანი ქროდა გარინდებით,
ნეტავ ქარიშხალი საით მიაქანებს...
მკვდარი თოლიების გუნდში მიმავალი
რჩება მარტოხულად და ზღვის ჭიშკარს აღებს.
ჯგუფად აედევნა დელფინების დასი,
ქარი სასარგებლოდ დაუცხრომელია.
პირთამდე აივსო ოცნებების თასი,
მათგან ჯერ არ ვიცი ჩემი რომელია.

ლექსები, თარგმანები

კოსმოლოგია

მიყვარს უსასრულობა და შაეი უკიდეგანობა,
ყოველიეეს დაუსრულებლობა, გაუთავებლობა,
ყველაფრის განუსაზღვრელობა, და თანაც
საზღვრულობა,
და სამყაროს ნელი სასრულობა...

გამორიყულის ბრაზი

გუგუნებს გულადად,
გულსაბამი
- ზვირთცემა;
ხმაურობს
- გულაყრილად,
აშ ორი ოს,
ვეებერთელა, ღრმა,
გულანთებული გუბე.

ულტრამარინი

ვის რად უნდა ფიქრი მწველი,
ყმყლაფერში სიკვდილია ნელი,
ჯობს შეხედე, შესვი თვალით,
ცას რაც ადევს ფერი ღამით.

Antonio Machado

***

La plaza tiene una torre,
la torre tiene un balcón,
el balcón tiene una dama,
la dama una blanca flor.
Ha pasado un caballero
-¡quién sabe por qué pasó!-
y se ha llevado la plaza,
con su torre y su balcón,
con su balcón y su dama,
su dama y su blanca flor.

ანტონიო მაჩადო[1]

***

მოედანზე - კოშკია,
კოშკზე – აივანია,
აივანზე – ქალია,
ქალი – თეთრი ყვავილით.

კაბალიერომ გაიარა,
ვინ იცის, რაზე ჩაიარა!
და წავიდა მოედნით,
კოშკითა და აივნით,
ქალითა და აივნით,
ქალით – თეთრი ყვავილით.

---

[1] თარგმანი ესპანურიდან

ხორხე ლუის ბორხესი
ასტერიონის სახლი[2]

მარტა მოსკერა ისტმენს

და ლედოფალმა შვა ვაჟი, რომელსაც ასტერიონი ერქვა
აპოლოდორი: ბიბლიოთეკა, III. I

ვიცი, რომ ქედმაღლობაში მდებენ ბრალს, და, შესაძლოა, კაცთმოძულეობაშიც, და, შესაძლოა, სიგიჟეშიც. ამგვარი ბრალდებები (რომლებისთვისაც სამაგიეროს ჯეროვან დროს მივუძღვი) სასეიროა. სიმართლეა, რომ არ ვტოვებ ჩემ სახლს, მაგრამ მართალია ისიც, რომ მისი კარები (რომელთა რიცხვი განუსაზღვრელია*) ადამიანებისა და ცხოველებისათვის დღე და ღამ არის ღია. დაე შემოვიდეს, ვისაც სურს. არ ჰპოვებს აქ არც ქალისიერ ფუფუნებას და არც სასახლის უხე ბრწყინვალებას, არამედ გულმშვიდობახა და მარტოხელობას. და, აგრეთვე, სახლს, რომლის სადარიც არ არის დედამიწის ზურგზე (ტყუის, ვინც ამბობს, რომ ეგვიპტეშია მსგავსი). ჩემი ავყიებიც კი აღიარებენ, რომ სახლში *ავეჯი საერთოდ არ არის.* სხვა უაზრობაა ის, რომ მე, ასტერიონი, ტუსაღი ვარ. გავიმეორო, რომ ერთი კარიც არაა დაკეტილი? დავამატო, რომ ერთი საკეტიც კი არ არის? გარდა ამისა, ერთხელ მწუხრის ჟამს გამოვაბიჯე ქუჩაში; და თუ დაღამებამდე დავბრუნდი, ეს იმ შიშის გამო, ბრბოს სახეებმა რომ აღმიძრო, გაშლილ ხელისგულსავით ფერწასულმა და გადასწორებულმა სახეებმა. მზე უკვე

[2] თარგმანი ესპანურიდან

ჩასული იყო, მაგრამ ბავშვის უბადრუკმა ტირილმა და ადამიანთა ფარის გაგრიჟულმა ვედრებამ მაუწყა, რომ მიცნეს. ხალხი ლოცულობდა, გარბოდა, პირქვე ემხობოდა; ზოგნი ჩუგლუგთა ტაძრის კვარცხლბეკისკენ მიძვრებოდნენ, სხვები ქვებს აგროვებდნენ. ვიღაცა, ვგონებ, ზღვაში გადაეშვა. ტყუილად კი არ იყო დედაჩემი დედოფალი; არ შემიძლია მდაბიოთ შეევერიო, ამას ჩემი თავმდაბლობაც რომ ითხოვდეს.

საქმე ისაა, რომ ერთადერთი ვარ. არ მაინტერესებს, ადამიანს სხვებისთვის რისი შეტყობინებაც შეეძლებოდა; როგორც ფილოსოფოსი, ვფიქრობ, რომ წერის ხელოვნების მეშვეობით არაფრის გადაცემაა შესაძლებელი. ამ ფუჭი და მოსაწყენი წვრილმანებისათვის არ არის ადგილი ჩემს სულში, რომელიც დიადისთვისაა გამზადებული; ვერასდროს დამისსომია ერთი ასოს მეორისგან განსხვავება. ერთგვარმა კეთილშობილურმა სულსწრაფობამ არ მომცა საშუალება, რომ კითხვა მესწავლა. ამას ხანდახან ვნანობ – ღამეები და დღეები გრძელია.

ცხადია, არ მაკლია შესაქცევარი. მსგავსად ერკემლისა, რომელიც მზადაა შეუტიოს, ქვის გალერეებში დაერბიეარ, სანამ, თაერეტდასხმული, ძირს გაეგორდებოდე. წვიმის წყლის ფლასკის ჩრდილში ან დერეფნის მოხახვევს იქით ვიმალები და ვთამაშობ – ვითომ მეძებენ. არის ბრტყელი სახურავები რომლებიდანაც ეეცემი, ისე, რომ გაესისხლიანდე. ნებისმიერ დროს შემიძლია ძილში ყოფნის თამაში, დახუჭული თვალებითა და ღრმად სუნთქვით. (ზოგჯერ მართლაც ვიძინებ, ზოგჯერ დღის ფერიც შეცვლილა სანამ თვალები დახუჭული მქონდა). მაგრამ იმდენი თამაშიდან ყველას სხვა ასტერიონის თამაში მირჩევნია. ისე ვიქცევი, თითქოსდა

ჩემს მოსანახულებლად მოდის და სახლს ვანახებ. დიდი მოწიწებით ვეუბნები: "ახლა გასულ მებოძირს ეუბრუნდებით", ან, "ახლა სხვა ეზოში გავალთ", ან, "ხომ გეუბნებოდი, რომ წყალსადინარი მოგეწონებოდა", ან, "ახლა ნახავ წყალსაცავს, რომელიც ქვიშით აივსო", ან, "და ახლა კი ნახავ თუ როგორ განშტოედება მიწისქვეშეთი". ზოგჯერ მეშლება და ორთავე ხალისიანად ეიცინით.

არა მარტო ეს თამაშები გამომიგონია; აგრეთვე სახლზეც მიფიქრია. სახლის ყველა ნაწილი მრავალჯერ მეორდება, ერთი ადგილი მეორეს უდრის. არ არის ფლასკი, ეზო, წყალსასმელი, საკვებური; არის თოთხმეტი (განუსაზღვრელი რაოდენობით) საკვებური, წყალსასმელი, ეზო, ფლასკი. სახლი სამყაროს მსგავსია; უკეთ რომ ვთქვათ, სამყაროა. თუმცა, ეტოვებდი რა ზურგს უკან რუხი ქვის დამტვერილ გალერეებსა და ეზოებს წეიმის წყლის ფლასკვებით, ქუჩას მივაღწიე და დავინახე ჩუგლუგთა ტაძარი და ზღვა. ეს არ მესმოდა, სანამ ღამის ზმანებამ განმიცხადა, რომ ასევე არის თოთსმეტი (განუსაზღერელი რაოდენობით) ზღვა და ტაძარი. ყველაფერი მრავალ ჯერაა, თოთხმეტჯერაა ემელაფერი, მაგრამ ორი რამ არის სამყაროში, რაც, როგორც ჩანს, ერთადერთია: ზეეით, შეუცხადი მზე; ქვევით, ასტერიონი. იქნებ მე შემიქმნია ვარსკვლავები და მზე და უზარმაზარი სახლი, მაგრამ აღარ მახსოვს.

ყოველ ცხრა წელიწადში ერთხელ ცხრა ადამიანი შემოდის, რათა ყოველივე ცუდისგან გავანთავისუფლო. მესმის მათი ნაბიჯები ან მათი ხმა ქვის გალერეების ხიღრმეში და მხიარულად მივრბივარ მათ საძებნად. ცერემონია სულ ცოტაოდენ წუთს გრძელდება. ერთი მეორის მიყოლებით ეცემიან ისე, რომ ხელები არ მისისხლიან-

დება. სადაც ეცემიან, რჩებიან, და ცხედრები მეხმარება ერთი გალერეის სხეებისგან გარჩევაში. არ ვაქცევ ყურადღებას, თუ ვინ არიან, მაგრამ ვიცი, რომ ერთ-ერთმა მათგანმა იწინასწარმეტყველა, თეისი სიკვდილის ჟამს, რომ ოდესღაც ჩემი შემწყალებელი მოვიდოდა. იქედან მოყოლებული მარტოობა არ მტკენს, რადგანაც ვიცი, რომ ჩემი ცოდვათმტვირთველი არსებობს და ბოლოს და ბოლოს შესდგება მტვერსა ზედა. ჩემ სმენას რომ შეეცნო სამყაროს ყველა ხმა, მის ნაბიჯებს გაეარჩევდი. ნეტავი წაეყვანოს ჩემი თავი ადგილას ნაკლები გალერეითა და ნაკლები კარით. ვკითხულობ – როგორი იქნება ჩემი შემწყალებელი? იქნება ხარი თუ ადამიანი? იქნება იქნებ ხარი ადამიანის თავით? თუ ჩემსავით იქნება?

დილის მზე ირეკლებოდა ბრინჯაოს მახვილისაგან. სისხლის კვალიც კი არ შერჩენოდა.

– დაიჯერებ, არიადნავ? – თქვა თეზევსმა. – მინოტავრი თავს თითქმის არ იცავდა.

* – ორიგინალში არის *თოთხმეტი*, მაგრამ საკმარისადაა საფუძვლები, რათა დაეასკვნათ, რომ ასტერიონისათვის ეს რიცხვითი სახელი *განუსაზღვრელს* ნიშნავს.

ფოტოები საოჯახო ალბომიდან[1]

მექი ფალავა, ცნობილი იურისტი და საზოგადო მოღვაწე

დარია ფალავა, მექის მეუღლე, საზოგადო მოღვაწე

[1] ფოტოები მოძიებულია ჩვენს მიერ ნათესავების და ახლობლების ოჯახებში. შესანიშნავი ფოტოდოკუმენტები მიეიღეთ მინდა ფალავას და ალექსანდრე გაბუნიას საოჯახო არქივიდან/მუზეუმიდან, მოგვაწოდა ქალბატონმა მარიკა გაბუნიამ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. ე.ფ.

კონსტანტინე ფალავა

ნინო ფალავა, გრაფი
როსმორდიუკისა

ბეგლარ ფაღაევა

ბახვა ფაღაევა

ძაძულია ფაღავა

ყათლარ ფაღავა

ანტონ ფალავა და მისი მეუღლე ციცუ დადიანი

სალომე ფალავა დადიანისა

გრიგოლ ფალავა

დესპინე ფალავა

გოგიტა ფალავა, პოლიტიკური მოღვაწე

ძმები ფალავები (მარცხნიდან – აკაკი, საზოგადო და თეატრალური მოღვაწე; ერასტი, ფიზიკოს-მათემატიკოსი, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას; ყარამანი – ექიმი; ბეგლარი – იურისტი, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე; სევერიანე – იურისტი; ალექსანდრე - ექიმი)

აჭარელი ფაღავების ჯგუფი

მწერალი იუსუფ ფაღავა

პედიატრი ირაკლი ფაღავა

აღმოსავლეთმცოდნე, ირანისტი კონსტანტინე ფალავა

მხატვარი ვერა ფალავა, მოღვაწეობდა პარიზში

ფრანგული ბალეტის ვარსკვლავი ეთერ ფაღავა

ექიმი დავით ფაღავა, "ციცინათელას" მუსიკის ავტორი

სარჩევი

ყარამან ფაღავა – წინასიტყვაობა 3
ყარამან ფაღავა – ფაღავები 5
ოლღა სოსელია – ფაღავათა სათავადო 15
შალვა ჯღარკავა – ფაღავების სათავადო (ბანძა) 24
ყარამან ფაღავა – ოდიშის სამთავროს თავადი
და აზნაური ფაღავები 34
ყარამან ფაღავა – წაჩინებული ფაღავები აჭარაში
(თავად-აზნაურები – ბეგიები და აღიები) 39
სიმონ სხირტლაძე – მჭევრმეტყველი ქართველი
ქალი 44
როდიონ ქორქია – აკაკი ფაღავა 62
იური ბიბილეიშვილი – ჩვენი თანამედროვე 162
თენგიზ ონიანი, ნინო მანჯავიძე, ყარამან ფაღავა –
ირაკლი ფაღავა (სამეცნიერო-პედაგოგიური და
საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე
მიმოხილვა) 170
ლილი ჟორჟოლიანი – პროფესორ კონსტანტინე
ფაღავახ ცხოვრება და მოღვაწეობა 179
ყარამან ფაღავა – ბიძაჩემი კოტე ფაღავა 184
მინიატურები და მოთხრობები ფაღავებზე
[ნიკო ლორთქიფანიძის, შალვა დადიანის, სერგია
ერისთავისა და ილია რურუას ნაწარმოებებიდან] 190
**სამი ირაკლი ფაღავას ლიტერატურული
შემოქმედებიდან** 226
ფოტოები საოჯახო ალბომებიდან 247

Караман Пагава [Редактор] – Пагава. Книга I

Оглавлеиие с аннотациями

Караман Пагава – Предисловие..... 3

Представлены цель и структура сборника.

Караман Пагава – Пагава..... 5

Представлены данные о происхождении рода Пагава, показано, что они являются потомками древнего феодального рода Багваши-Орбелиани. Схематично описан вклад Пагава в историю и культуру Грузии.

Ольга Соселиа – Княжество (синьория) Пагава..... 15

Представлены исторические данные и социально-экономическая характеристика княжества (синьории) Пагава во Владетельном Княжестве Одиши.

Шалва Джгаркава – Княжество Пагава (Бандза)..... 24

Представлены исторические данные и социально-экономическая характеристика княжества Пагава (в основном Бандзы) в регионе Салипартиано.

Караман Пагава – Князья и дворяне Пагава во Владетельном Княжестве Одиши..... 34

Представлены краткие данные о князьях и дворянах Пагава вместе с их семьями во Владетельном Княжестве Одиши.

Караман Пагава – Князья и дворяне (беги и ага) Пагава в Аджарии..... 39

После присоединения Батумского края к Российской Империи встал вопрос о предоставлении местной аристократии сословных привилегий. В очерке вкратце описываются попытки их представителей получить признание в качестве российских князей и дворян и, соответственно, быть уравненными в сословных правах. Представлены краткие данные о бегах и ага Пагава в Аджарии.

Симон Схиртладзе – Выдающаяся женщина оратор..... 44

В очерке представлены данные о выдающейся общественной деятельнице и ораторе Дарье Пагава. Приводится ее речь при

погребении в Гелати, Кутаисской губернии видного церковного деятеля Габриэла Кикодзе.

Родион Коркиа – Акаки Пагава..... 62

Представлен детальный обзор жизни и творчества выдающегося общественного и театрального деятеля, педагога и ученого профессора Акаки Пагава.

Юрий Бибилеишвили – Наш современник..... 162

Представлен краткий озор литературной деятельности видного грузинского писателя Юсупа Пагава.

Теигиз Ониани, Нино Манджавидзе, Караман Пагава – Иракли Пагава..... 170

Дан обзор научно-педагогической и общественной деятельности видного ученого и врача-педиатра Иракли Пагава

Лили Жоржолиани – Жизнь и деятельность профессора Константина Пагава..... 179

Дан обзор научно-педагогической и общественной деятельности видного ученого, востоковеда-ираниста Константина Пагава

Караман Пагава – Мой дядя Котэ Пагава..... 181

Представлены воспоминания о Константине Пагава

Миниатюры и рассказы о Пагава (Из произведений Нико Лордкипанидзе, Шалва Дадиани, Сергиа Эристави и Ильи Руруа)..... 190

Из литературного творчества троих Иракли Пагава (Гайозовича, Нодаровича и Карамановича)..... 226

Фотографии из семейных альбомов..... 247

Table of contents with annotations

Karaman Pagava – Foreword..... 3

Purpose and structure of the collection.

Karaman Pagava – Pagava..... 5

Data on the origin of Pagava; evidence showing that they are descendants of the ancient feudal family Baghvashi-Orbeliani; schematic description of Pagava's contribution to the history and culture of Georgia.

Olga Soselia - Principality (Signoria) Pagava..... 15

Historical data and socio-economic characteristics of the Principality (Signoria) Pagava in the Sovereign Principality Odishi.

Shalva Djgarkava - Principality Pagava (Bandza)..... 24

Historical data and socio-economic characteristics of the Principality Pagava (mainly Bandza) in the region Salipartiano.

Karaman Pagava - The princes and noblemen Pagava in the Sovereign Principality Odishi..... 34

Brief information on princes and noblemen Pagava together with their families in the Sovereign Principality Odishi.

Karaman Pagava - The princes and noblemen (begs and agas) Pagava in Adjara..... 39

After joining of the Batumi region to the Russian Empire a question about assigning the class privileges to the local aristocracy came up. In the essay there are briefly described the attempts of their representatives to be recognized as Russian princes and noblemen, and, accordingly, to be equalized in the class rights. Brief data on begs and agas Pagava in Adjara.

Simon Skhirtladze – Outstanding female speaker..... 44

The essay contains data regarding the public figure and orator Daria Pagava. Her speech at the burial of a prominent church leader Gabriel Kikodze in Gelati, Kutaisi province.

Rodion Korkia – Akaki Pagava..... 62

A detailed overview of life and work of the outstanding public and theater figure, educator and scientist Professor Akaki Pagava.

Yuri Bibileishvili - Our Contemporary..... 162

A brief overview of the literary work of the prominent Georgian writer Yusuf Pagava.

Tengiz Oniani, Nino Mandjavidze, Karaman Pagava – Irakli Pagava 170

A review of the scientific, pedagogical and public work of the prominent scientist and pediatrician Irakli Pagava.

Lili Jorjoliani - Life and work of Professor Konstantine Pagava 179

A review of the scientific, pedagogical and public work of the prominent scientist, orientalist, and specialist on Iran - Konstantine Pagava.

Karaman Pagava - My uncle Kote Pagava..... 181

Reminiscences about Konstantine Pagava.

Sketches and stories about Pagava (from the works of Niko Lortkipanidze, Shalva Dadiani, Sergia Eristavi and Ilia Rurua)... 190

Extracts from the literary works of three Irakli Pagava (different patronymics - Gaioz, Nodar, Karaman)..... 226

Photographs from the family albums..... 247

წიგნის გარეკანზე – ფაღავების გერბი
(იდეა – ყარამან ფაღავასი,
მხატვრული გაფორმება – დაეით გულორდავასი)

წიგნი გამოდის ფონდი “სიჯანსაღის” მხარდაჭერით